

Georgian Scientists

ქართველი მეცნიერები

ასოციაცია მეცნიერებისათვის

Association for Science

Journal DOI: <https://doi.org/10.52340/gS>

<https://journals.4science.ge/index.php/GS/index>

სარედაქციო საბჭო

თამარ ხახუტაშვილი: მთავარი რედაქტორი, კომპიუტერული მეცნიერებების მაგისტრი, ასოციაცია მეცნიერებისათვის პრეზიდენტი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი <https://orcid.org/0000-0003-0953-2073>

ნინო ბერიანიძე: მთავარი რედაქტორის მოადგილე, კომპიუტერული მეცნიერებების მაგისტრი; ასოციაცია მეცნიერებისათვის აღმასრულებელი დირექტორი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი სპეციალისტი

მარიეტა სულაბერიძე: რედაქტორი, კომპიუტერული მეცნიერებების მაგისტრი; ასოციაცია მეცნიერებისათვის თანადადამფუძნებელი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების, მთავარი სპეციალისტი

გიორგი გოროშიძე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის განყოფილება; <https://orcid.org/0000-0002-6244-2942>

ომარ ლანჩავა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ტექნიკური მეცნიერებების დოქტორი, პროფესორი; <https://orcid.org/0000-0003-4249-9404>

ვახტანგ კვაჭაძე: ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი. <https://orcid.org/0000-0002-3875-505X>

ლელა ბახტაძე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. <https://orcid.org/0000-0003-0482-0711>

ავთანდილ ამირანაშვილი: მ.ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი <https://orcid.org/0000-0001-6152-2214>

აგაევ რაუფ მაგსუდ ოღლუ: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოს მ. თოფჩუბაშევის სახელობის ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, აზერბაიჯანის სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიული სნეულებათა დეპარტამენტის პროფესორი, კათედრის გამგე (ბაქო, აზერბაიჯანი)

ირაკლი ნადირაძე: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პათოლოგიისა და კანის სიმსივნეების ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველო ისრაელის ერთობლივი კლინიკა GIDMEDI: თბილისი, საქართველო <https://orcid.org/0000-0002-4764-655X>

ელი კაკიაშვილი: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქირურგი, გალილეის სამედიცინო ცენტრი, ნაჰარია, ისრაელი; მედიცინის ფაკულტეტი გალილეაში, ბარ ილანის უნივერსიტეტი, საფადი, (ისრაელი) <https://orcid.org/0000-0002-8796-9724>

ლუის მ. ალედორტი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მერი ვაინფელდი კლინიკური კვლევის პროფესორი ჰემოფილიაში, მოუნთ სინაის მედიცინის სკოლა, ნიუ იორკი, შშ

ნადეი ჰაკიმი: GCSJ, MD, PhD, FRCS, FRCSI, FACS, FICS(Hon), FASMB, FIMSA(Hon) მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ტრანსპლანტაციის ქირურგი, ლონდონის საიმპერატორო კოლეჯი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი; ზოგადი ქირურგი, კლივლენდის კლინიკა (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი); <http://orcid.org/0000-0001-9442-7950>

მამუკა ბოკუჩავა: პროფესორი, სისხლძარღვთა ქირურგი, ანგიოლოგი, მედიცინის დოქტორი, ნ. ბოხუას სახელობის სისხლძარღვთა და გულის დაავადებათა ცენტრის დირექტორის მოადგილე. <https://orcid.org/0000-0002-6719-1302>

მერაბ კილაძე: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. აშშ-ს, საერთაშორისო, ევროპის და რუსეთის ქირურგთა ასოციაციების წევრი, ქირურგი, კლინიკა გიდმედის ქირურგიული სამსახურის უფროსი.

გოგი (გიორგი) ბოჭორიშვილი: პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, უროლოგი, თბილისი, საქართველო

ნინო კიკნაძე: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. საქართველოს გარემოს დაცვის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. ამერიკის ქიმიის საზოგადოების (ACS) წევრი, ბათუმი, საქართველო <https://orcid.org/0000-0001-7864-3899>

ტექსტის რედაქტორი:

მარიამ ჩაჩანიძე: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ბიბლიოთეკის სპეციალისტი

მიხეილ ერგემლიძე: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ინფორმატიკის ბაკალავრი.

ვებ რედაქტორი:

გიორგი ბანეთიშვილი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

სარჩევი

ანანო ბერაძე, ამირან ბერძენიშვილი, ნიკა ნაკაიძე, ტატა ოქროჯანაშვილი, კახა ქეცბაია - სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება ექსპერტთა გამოკითხვის მიხედვით -----	1-13
გულიკო დვალი, ლეილა ზვიადაძე, მაია კობახიძე, ნაილი ლომთაძე, კარლო კიკორია - ბიოპრეპარატ „ბიოკატენას“ გავლენა პომიდვრის ფესვისა და რიზოსფეროს სოკო Fusarium-ზე -----	14-20
მანანა შამილიშვილი, მარი წერეთელი, ნათია სვანიძე, თინათინ მაჭარაშვილი - კონსტრუქციული ჟურნალისტიკა როგორც სენსაციურობის ალტერნატივა - სპეციფიკა და ამოცანები -----	21-36
მარიამ გოგოტიშვილი, მზია ბაქრაძე, ფრიდონ ჯაფარიძე, ნინო გოგებაშვილი, თინათინ გორგილაძე - ქრონიკული მორეციდივე ჰერპესული სტომატიტის კომპლექსურ მკურნალობაში პრეპარატ ლაზოლექსისა და ზოვირაქსის გამოყენების ეფექტურობის კლინიკო-იმუნოლოგიური შესწავლა -----	37-47
რომან სამხარაძე, მზია კიკნაძე, გიორგი სახვაძე, ლია გაჩეჩილაძე, გურამ აჭარაძე - ინფორმაციის უსაფრთხოების ტრენინგის დაგეგმვა და ავტომატიზაცია -----	48-54
ქეთევან კვესელავა, ირაკლი ბოჭორიშვილი, ლევან ჯიქიძე, ლიანა თედეშვილი, ზურაბ სამხარაძე - საინჟინრო დიზაინის მიდგომები და ტოპოლოგიის ოპტიმიზაციის ინსტრუმენტების შედარებითი კვლევა -----	55-78
გულნარა კოტრიკაძე, ამირა ქიმაძე - ონლაინ სასწავლო ცხრილების პლატფორმა GTU TABLES -----	79-112
ლეილა ხარდინა, ნინო ფუტკარაძე, ნანული ჭარბაძე - რესპონსიული სამეტყველო აქტის ფუნქციონირების მახასიათებლების მნიშვნელობა კულტურათაშორისო კომუნიკაციაში -----	113-120
დარეჯან ჯაფარიძე, ნათელა ოღრაპიშვილი - გრიპის პანდემიის კოსმოსური ფაქტორები -----	121-128
ელენე სორდია, სოფიო ძნელაძე, ელენე ქებულაძე, ელენე ბუცხრიკიძე - ცხვედიანის თეთრასა და გვეურცტრამინერის ღვინის შედარებითი დახასიათება -----	129-133

პეტრე ქენქაძე, ავთანდილ შარვაშიძე, გიორგი კაციტაძე - სატვირთო ტიპის ვაგონების გამოყენების წილის დადგენა და მათი მწარმოებლურობის გაზრდისათვის ინტენსიური ტექნოლოგიების შერჩევა -----	134-143
Nunu Kutaladze, Zurab Mikeladze, Shota Lominadze, Sophio Papunidze, Avtandil Tsintskiladze, Dodo Abuladze, Teimuraz Gorgiladze - On the Rules of Applying Fertilizers to Red Soils -----	144-152
თენგიზ ხაჩიძე, ნიკოლოზ ხაჩიძე, ინგა კაპანაძე - ტემპერატურის სტაბილიზაცია მზის ენერჯის მიმღები მრავალკასკადიანი ფოტოელექტრული გარდამქმნელების გაცივებისას -----	153-158
აკაკი აზიანიძე მსოფლიო ისტორიის განვითარების ციკლური თეორიის საკითხები -----	159-169
გიორგი დარსაველიძე, კახაბერ შამათავა, ავთანდილ სიჭინავა, ია ყურაშვილი, მარინა ქადარია მაღალი ენერჯის ელექტრონებით დასხივების გავლენა Si-ისა და Si+2ატ%Ge შენადნობის ფუძეშრეების ბლანტი მსხვრევის მახასიათებლებზე -----	170-176
გიორგი არზიანი, ბაია ქვათაძე, ლუკა ბარამიძე - მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების „PI“ ტიპის და „T“ ტიპის მოდელების ქცევის შესწავლა ჰარმონიკულ ნაკადგანაწილებაში -----	177-187
მანანა მამულაშვილი, ეკატერინე მაცაბერიძე - გარემოს დაბინძურება ტყვიით და მისი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე -----	188-195
ნინო ფუტკარაძე - საზღვაო ტერმინთა შემოკლებული ფორმები -----	196-205
გიორგი არველაძე, რიმა ბერიაშვილი, შოთა კეპულაძე, გიორგი ბურკაძე - ბაზალურუჯრედოვანი კარცინომების სხვადასხვა ქვეტიპების პროლიფერაციული აქტივობის შეფასება AgNOR ტექნოლოგიით -----	206-218
დარეჯან ჩიქოვანი, მერაბ არძენაძე, ალექო კალანდია, ინგა ქარცივაძე, ლენა კობლატაძე, ელენე ქამადაძე, ქეთინო თელია - მანდარინის ანარჩენისგან მიღებული P-ვიტამინის პრეპარატის ხარისხობრივი შეფასება: სამუშაოები შესრულებულია ბსუ-ს მიზნობრივი გრანტის ფარგლებში -----	219-225
თეონა მატარაძე, ანნა ყაფლანიშვილი - ახალგაზრდული პერსპექტივა: საქართველოს თაობა Z-ის ეროვნული იდენტობის ტენდენციები -----	226-252

ალექსანდრე ლომიძე - ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემის პრიორიტეტულად გასატარებელი ღონისძიების განსაზღვრა ურბანული მობილობის გაუმჯობესების მიზნით მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად ---	253-260
თამარ ნიკოლაიშვილი, ციციწო ფარულავა, ინგა მამუჩიშვილი, ნინო ქანთარია, გიორგი ბურკაძე - ლიმფოციტური დუოდენიტების ჰისტოლოგიური და იმუნოჰისტოქიმიური პროფილი და ადგილობრივი იმუნური რეაქციების თავისებურებები -----	261-271
პაველ იავიჩი, მზია კახეთელიძე, ბ. კიკალიშვილი, ლაშა მსხილაძე - მზისგან დამცავი კოსმეტიკური საშუალებების შექმნის კონცეფცია -----	272-284
ნონა ოთხოზორია, მედეა ნარჩემაშვილი, ვანო ოთხოზორია - ჰუკი-ჯიგისის მეთოდის ეფექტურობის შეფასება ექსპერიმენტის შეცდომების პირობებში-----	285-288
დავითი სუბელიანი, ლევანი ჩიკვატია - მხრის ართროპლასტიკა რევერსული ენდოპროთეზით, მხრის ძლის პროქსიმალური ბოლოს მრავალფრაგმენტოვანი მოტეხილობების დროს: შემთხვევის აღწერა -----	289-296
ილია მოსაშვილი, ნონა ოთხოზორია - RFID-ის გამოყენება ციფრული საწარმოს ეფექტური ადმინისტრებისთვის -----	297-301
რენიკო საკანდელიძე, იზოლდა ლომსიანიძე, ხათუნა რუსაძე, თეიმურაზი ლომსიანიძე, ერეკლე ჯულაყიძე - შფოთვის ემოციური მდგომარეობის ინტენსივობის შესწავლა ცხოველთა განსხვავებული ხანგრძლივობის იზოლაციის პირობებში -----	302-321
სალომე მახარაძე, რატი მიქაშავიძე, ცოტნე გვაგვალა, გიორგი ერაძე - მეხუთე თაობის (5G) მობილური ქსელების ელექტრომაგნიტური გამოსხივების უსაფრთხოების საკითხები -----	322-334
ნინო ზაალიშვილი - მნემონური სტრატეგიის ეფექტური გავლენა ინგლისური ენის ლექსიკის შესწავლაზე (საქართველოს ერთ-ერთი პროფესიული კოლეჯის მაგალითზე) -----	335-341
თამარ ყველიაშვილი, გიორგი დიდავა, ნინო თევზაძე, შოთა კეპულაძე, გიორგი ბურკაძე - ნაღვლის ბუშტის ლორწოვანი გარსის პროლიფერაციური აქტივობის თავისებურებანი სიმსივნის წინარე და სიმსივნური პათოლოგიების დროს გამოვლენილი AgNOR ტექნოლოგიით -----	342-352

სოფიო მესხი, დავით შენგელია, ბაჩო შენგელია, თინათინ კილასონია - ასაკისა და რეფრაქციის კორელაცია ბადურისა და ქორიოიდის სისქესთან ახლომხედველ ბავშვებში -----	353-362
Omar Lanchava, Nino Ratiani - Analysis of the emergency ventilation performance parameters for a road tunnel -----	363-364
Emeliane Gogilidze, Natia Gogilidze - Intelligent Transport Systems Challenges and achievements -----	365-377
სოსანა გრიგალაშვილი - წინასაარჩევნო კოალიციის ფორმირების, როგორც პოლიტიკური ქცევის, ფსიქოლოგიური ასპექტები -----	378-391
ლელა ებრალიძე - ჯენი ჯოზეფის ლექსი “Warning” და მისი ქართული თარგმანი -	392-401
გიორგი გოროშიძე - კორუფციის გამომწვევი ვადიანი შრომითი ხელშეკრულების დაუშვებლობა უმაღლესი განათლების სისტემაში -----	402-416



სტუდენტთა კადემიური თავისუფლება ექსპერტთა გამოკითხვის მიხედვით

ანანო ბერაძე, ამირან ბერძენიშვილი, ნიკა ნაკაძე, ტატა ოქროჯანაშვილი, კახა ქეცბაია
orcid.org/0000-0001-9149-5376

აბსტრაქტი

სტატია თვისებრივ კვლევას - ექსპერტულ ინტერვიუს ემყარება. ექსპერტების სახით ინტერვიუში მონაწილეობა მიიღო 14 პროფესიონალმა საქართველოს საგანმანათლებლო და საუნივერსიტეტო კონტექსტის მცოდნე შემდეგი სფეროებიდან: ფილოსოფია, განათლების მეცნიერება, სოციოლოგია, უმაღლესი განათლების მართვისა და მენეჯმენტის სფეროს ყოფილი და ახლანდელი წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, რომლებსაც ქართველი საზოგადოება სხვადასხვა მედიის საშუალებით განათლების ექსპერტებად იცნობს. კვლევა თბილისში 2023 წლის ივლისსა და აგვისტოში ჩატარდა. ემპირიულ კვლევასთან ერთად გაანალიზებულ იქნა აკადემიური თავისუფლების შესახებ არსებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა და სხვადასხვა მეორადი მონაცემი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უნივერსიტეტებს საქართველოში აკადემიური თავისუფლების მხრივ სერიოზული პროგრესი ჯერ კიდევ არ განუცდია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია უმაღლეს დონეზე იცავს აკადემიურ თავისუფლებას, ზოგადი სიტუაცია ქვეყანაში, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში – ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა, შრომითი უფლებების დაუცველობა, განათლებისა და მეცნიერების მწირი დაფინანსება – ხელსაყრელ პირობებს ვერ ქმნის უნივერსიტეტთა სათანადო განვითარებისთვის. შესაბამისად, აკადემიური თავისუფლების, როგორც საუნივერსიტეტო საქმიანობის ორგანიზების და ფუნდამენტური ღირებულების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ასპექტები დღემდე აქტუალურია ჩვენში. მათ შორისაა სტუდენტთა აკადემიური თავისუფლებაც.

კვლევის შედეგად გამოკვეთეთა, რომ სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება შეზღუდულია. ხოლო ის ფაქტორები, რომლებიც სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას ზღუდავს შრომის ბაზრის მოთხოვნები, სწავლასა და კვლევაში შეზღუდული თავისუფალი არჩევანი, უნივერსიტეტების მართვაში არსებული ხელოვნური ბარიერები, სტუდენტთა ინტერესების დამცავი მოძრაობებისა და ორგანიზაციების სისუსტე, აკადემიური თავისუფლების დასაცავად საჭირო გამოცდილების უქონლობა, კონფორმისტული კულტურა,

ფავორიტიზმი, ზეწოლისა და კონტროლის ფარული მექანიზმები, ბიუროკრატიზმი და ა.შ. ყოველივე ეს ხელს უშლის სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების რეალიზაციას.

საკვანძო სიტყვები: აკადემიური თავისუფლება, სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება, საუნივერსიტეტო განათლება, სწავლა, კვლევა, თავისუფალი არჩევანი, ექსპერტული ინტერვიუ.

შესავალი: ზოგადად აკადემიური თავისუფლება გულისხმობს მასწავლებლის თავისუფალ არჩევანს სწავლის პროცესში, მეცნიერის თავისუფალ არჩევანს კვლევაში და სტუდენტის თავისუფალ არჩევანს (რომელიც ლექციებზე დასწრების კონტროლსაც გამორიცხავს). ყოველივე ამის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე საუნივერსიტეტო განათლება. ამით დაცულია სწავლება და კვლევა გარეგანი ჩარევისაგან, შესაბამისად, აკადემიური თავისუფლება თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო საქმიანობის ბაზისურ ღირებულებას წარმოადგენს, რომელიც საქართველოში სისტემურად შესწავლილი არ არის, მით უფრო სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემები.

აკადემიური თავისუფლების დონის გაზომვა სტუდენტთა პოპულაციაში თანამედროვე მეცნიერომეტრული გაზომვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელსაც ევროპისა და აშშ-ს უმაღლეს სასწავლებლებში დიდ ყურადღებას უთმობენ. თავის დროზე ცნობილმა სოციოლოგმა პიერ ბურდიემ აჩვენა, რომ 1968 წლის სტუდენტური მოძრაობა აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიისათვის, ფაქტობრივად, სტატუსური მოლოდინების უთანხმოებით გამოწვეული პრივილეგიებულთა მოძრაობა იყო ანუ სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას პრივილეგიების (სოციალური და სიმბოლური კაპიტალის) იზოლირება და კონსერვაცია უნდა მოეხდინა (იხ. პ. ბურდიეს ნაშრომი: „ჰომო აკადემიკუსი“).

ფაქტია, რომ აკადემიური თავისუფლება კვლევა-ძიებისა და აზროვნების თავისუფლებისთვისაა აუცილებელი, მაგრამ როგორ მოქმედებს ეს თავისუფლება სტუდენტ-ახალგაზრდობაზე, ქცევისა და ქმედების რა სტანდარტებს ამკვიდრებს ახდენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სწორედაც, სათანადო კვლევას საჭიროებს. გარდა ამისა, საინტერესოა იმის დადგენა აკადემიურ თავისუფლებაში სტუდენტები აბსოლუტურ თავისუფლებას ხომ არ გულისხმობენ და, ამდენად, გადაჭარბებული მოლოდინები ხომ არ აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით. გარკვეული ფუნქციონალური დატვირთვის გარეშე აკადემიური თავისუფლება ხომ არ მივა ანარქიამდე? ბუნებრივია, აკადემიური თავისუფლების პრობლემები ქართულ საგანმანათლებლო სივრცეშიც არსებობს, რაც სათანადო შესწავლას საჭიროებს.

თემის აქტუალობას განაპირობებს ის, რომ აკადემიური თავისუფლება თანამედროვე (ევროპისა და აშშ-ს) საუნივერსიტეტო განათლების საყრდენია. მის როლსა მნიშვნელობაზე ზოგადად პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტში და არა მხოლოდ საუნივერსიტეტო საქმიანობაში, მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2023 წელს აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის გამო ევროკომისიამ (EC) უნგრეთის რამდენიმე უნივერსიტეტი Erasmus+-დან

გარიცხა. აკადემიური თავისუფლების დაცვას დიდი ყურადღება ეთმობა ევროპარლამენტში, სადაც აკადემიური თავისუფლების დასაცავად სპეციალური საპარლამენტო ფორუმია შექმნილი. ბუნებრივია, ყოველივე ეს სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებასაც შეეხება.

სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება მუდმივად ევროპის სტუდენტთა კავშირის (ESU) განხილვის თემას წარმოადგენს. ასე მაგალითად 2023 წლის 12 იანვარს ევროპის სტუდენტთა კავშირმა (ESU) განიხილა ეს თემა და გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც 30 ევროპული ქვეყნის სტუდენტების გამოკითხვას ეყრდნობოდა და მიზნად ისახავდა აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის კვლევას სტუდენტური პერსპექტივიდან. კვლევა ევროპული ქვეყნების პოლიტიკური და აკადემიურ კონტექსტს ითვალისწინებდა. ამ და სხვა მსგავსი კვლევის შედეგად სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება ევროპაში აკადემიურ, ინტელექტუალურ, საგანმანათლებლო და პოლიტიკურ წრეებში მწვავე დებატების საგანი გახდა.

საუნივერსიტეტო ცხოვრებისა და საქმიანობის ძირითადი აქტორებისთვის (იგულისხმება სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები) აკადემიურ თავისუფლებაზე ღია, გულახდილი მსჯელობა და ამ მხრივ არსებული ვითარების ობიექტური შეფასება ერთობ რთული და სენსიტიური საკითხია. სწორედ ამ გარემოებით არის განპირობებული ექსპერტთა გამოკითხვის ჩატარება.

კვლევის მეთოდები: თეორიული კვლევის ფარგლებში გათვალისწინებულია აკადემიური თავისუფლების ცნების ანალიზი. ამ მხრივ არსებული უცხოური გამოცდილების რეფლექსია, რაც აკადემიური თავისუფლების შესახებ პირველადი და მეორადი წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლაზეა დამყარებული. ამ შემთხვევაში თეორიულ-სოციოლოგიური ანალიზის მეთოდია გამოყენებული.

ემპირიული კვლევა ექსპერტთა გამოკითხვის სახით არის წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება ექსპერტული ინტერვიუების მეშვეობით სხვადასხვა სოციალური რაკურსით შეფასდა.

კვლევის შედეგები: თეორიულ-სოციოლოგიური ანალიზი: აკადემიური თავისუფლების ცნების ანალიზი სათავეს გერმანიაში საუნივერსიტეტო განათლების ფუძემდებელ ჰუმბოლდტიდან იღებს. ამ დროიდან მოყოლებული საუნივერსიტეტო განათლება დიდ მოაზროვნეთა ყურადღების მიღმა არასოდეს დარჩენილა. მათ შორის არიან: ფიხტე, ჰეგელი, იასპერსი, ჰაიეკი, ვებერი, რასელი, კარანი და სხვ.

უნდა ითქვას, რომ ჩვენში საკვლევ თემასთან დაკავშირებით სამეცნიერო ნაშრომების სიმწირეა. პრობლემა მეტ-ნაკლებად შესწავლილია მხოლოდ დოკუმენტების ანალიზი გზით სამაგისტრო ნაშრომების დონეზე, თანაც ზოგადად და არა სტუდენტურ კონტექსტში. შესაბამისად, წარმოდგენილი ნაშრომი სტუდენტებთან მიმართებაში აკადემიური თავისუფლების სოციოლოგიური გამოკვლევის ერთ-ერთი პირველი მცდელობაა.

პირველი ქართული უნივერსიტეტის (ახლანდელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის) პირველ წესდება (1917) შეეხება უნივერსიტეტის ავტონომიას და მმართველობის დამოუკიდებლობას, მაგრამ არა – აკადემიურ თავისუფლებას.

აკადემიური თავისუფლების საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მეოცე საუკუნის შუა ხანებიდან, ტოტალიტარულ რეჟიმებში, განსაკუთრებით ბოლშევიკურ საბჭოეთში და ფაშისტურ გერმანიაში მეცნიერთა და შემოქმედთა დევნის გამოცდილების შემდეგ შეიძინა. სწორედ ამის შემდეგ დაიკავა ამ იდეამ და კონცეფციამ მნიშვნელოვანი ადგილი დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციებსა თუ კანონმდებლობაში.

საბჭოთა პერიოდში ყველა უნივერსიტეტს, მათ შორის, ცხადია, საქართველოში, სახელმწიფო მართავდა, ხოლო სწავლება და კვლევა მკაცრ იდეოლოგიურ კონტროლს ექვემდებარებოდა. უმთავრესი კრიტერიუმი უნივერსიტეტებთან მიმართებაში, ბუნებრივია, არა აკადემიური თავისუფლების ხარისხი, არამედ ყალბ ოფიციალურ მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიასთან შესაბამისობა იყო.

მართებული იქნება იმის აღნიშვნა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უნივერსიტეტებს საქართველოში ამ მხრივ სერიოზული პროგრესი არ განუცდია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია უმაღლეს დონეზე იცავს აკადემიურ თავისუფლებას, ზოგადი სიტუაცია ქვეყანაში, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში – ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა, შრომითი უფლებების დაუცველობა, განათლებისა და მეცნიერების მწირი დაფინანსება – ხელსაყრელ პირობებს ქმნის უნივერსიტეტთა პოლიტიკებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. შესაბამისად, აკადემიური თავისუფლების, როგორც საუნივერსიტეტო საქმიანობის ორგანიზების და ფუნდამენტური ღირებულების რიგი უმნიშვნელოვანესი ასპექტები დღემდე აქტუალურია ჩვენში.

ხშირად აკადემიური თავისუფლების ცნება თანამედროვე მეცნიერული დებატების საგანია, რადგან დღემდე მისი ზუსტი განმარტება არ არსებობს. ამ მიზნით ჩატარებულ კვლევებს შორის საყურადღებოა 2003 წელს აკერლინდისა და ქეირუზის კვლევა სახელწოდებით: „აკადემიური თავისუფლების გაგება: სოციალური მეცნიერების შეხედულებები“, ოღონდ ამ შემთხვევაში კვლევა აკადემიური თავისუფლების შესახებ პროფესორების შეხედულებების ანალიზს (Akerlind & Kayrooz, 2003) შეეხება მხოლოდ. მკვლევრებმა გამოიყენეს ფენომენოგრაფიის მეთოდი ანუ რესპონდენტთა მიერ დაწერილი კომენტარები მსგავსებისა და განსხვავებების საფუძველზე ერთმანეთს შეადარეს და აკადემიური თავისუფლების სხვადასხვა გაგება გამოკვეთეს. მათგან მნიშვნელოვანია: აკრძალვების არარსებობა აკადემიურ საქმიანობაში, აკრძალვების არარსებობა თვითრეგულირებისა და გარედან რეგულირების სფეროში, შეზღუდვების არარსებობა საერთო ინსტიტუციონალურ მხარდაჭერასთან ერთად, აკადემიური პერსონალის პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების სფეროში.

განთლების ფილოსოფიის მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული წარმომადგენელი ჯონ დიუი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აკადემიურ თავისუფლებას. მისი აზრით, „აკადემიური თავისუფლება აუცილებელია სოციალური განვითარებისთვის, რადგან თავისუფალი სწავლების პროცესისა და გამოკვლევების გარეშე განვითარებული საზოგადოება ვერ შეიქმნება“ (Dewey, 1936). დიუის მიაჩნია, რომ „აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლება ყველანაირი სახის თავისუფლების საფუძველია და მისი შეზღუდვა პირდაპირი დანაშაულია, რომელიც დემოკრატიის წინააღმდეგაა მიმართული. მისთვის მიუღებელი იყო სწავლების

მიზნების, მეთოდებისა და მასალების (შინაარსის) განსაზღვრა ერთპიროვნულად, რადგან მიიჩნევა, რომ მსგავსი საკითხები უნდა განისაზღვრებოდეს დისკუსიებისა და ინტელექტუალური განხილვების საშუალებით, მასში ჩართულნი უნდა იყვნენ როგორც მასწავლებლები, ასევე სტუდენტები“.

ალტბაჩი (Altbach, 2001) ნაშრომში: „აკადემიური თავისუფლება: საერთაშორისო გამოწვევები და რეალობა“ იხილავს სხვადასხვა ქვეყანაში შემჩნეულ დარღვევებს იხილავს, მაგალითად, აკადემიური პერსონალის დააპატიმრება და სხვა.

უნივერსიტეტის ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია აკადემიური თავისუფლების დაცვა და შენარჩუნება (AAUP, 1940; Marginson & Condisine, 2000; Osieja, 2016.).

აკადემიურ თავისუფლებას აკავშირებენ დემოკრატიულ პროცესებთან, სოციალური დებატების ნაკლებობასთან (Melody, 1997).

აღსანიშნავია ისიც, რომ ადმინისტრაციულმა და ინსტიტუციურმა შეზღუდვებმა არ უნდა შეუწყოს ხელი აკადემიური და მეცნიერული საკითხების დებატებზე უარის თქმას, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს სასწავლო პროცესზე (Kayrooz, Kinnear & Preston, 2001; Tierney, 2001).

3. ოსიეჯა 2016 წელს სტატიაში „აკადემიური თავისუფლება: პრინციპები, შეზღუდვები და დელიმიტაცია“ აღნიშნავს, რომ „დღეისათვის სიღრმისეული ცოდნის მიღება ბევრად უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე ის, რაც მხოლოდ ზედაპირული ინფორმაციის გაცვლაა. სწორედ ამიტომ, რომ უნივერსიტეტები ჩამოყალიბდნენ იმ ძირითად ცენტრებად ჩამოყალიბდნენ, სადაც შესაძლებელი იქნება ძველი იდეებისა და პარადიგმების კრიტიკულად გააზრება და განხილვა, რადგან სწორედ იდეათა დაპირისპირებაა ახალი ცოდნის შექმნის უმთავრესი საშუალება, ამასთანავე, შესაძლებელი უნდა იყოს ახალი ცოდნის წარმოშობა, რომელიც ობიექტურ კვლევებს დაეფუძნება და რომლის მიზანიც მხოლოდ სიმართლის ძიება იქნება. იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა ასეთი ფუნქციების შესრულება შეძლოს, პირველ რიგში, სწორედ აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფაა საჭირო“ (Osieja, 2016).

ტ. კარანის (Karran, 2007) აზრით, „აკადემიური თავისუფლება ბოლონიის პროცესის განხორციელების მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან ბოლონიის პროცესის წარმატება მოითხოვს, რომ ევროპულ უნივერსიტეტებს ჰქონდეთ უფლებამოსილება, იმოქმედონ ავტონომიის ძირითადი პრინციპებით და დაეთანხმონ უნივერსიტეტების დიდ ქარტიას (The Magna Charta Universitatum, 1988)“.

ამერიკული უნივერსიტეტების შესწავლის შედეგად კ. კეიტი (Keit, 1996) მივიდა მოსაზრებამდე, რომ ფართო გაგებით აკადემიური თავისუფლება განიხილება, როგორც უსაფრთხოების გარანტია „ჭეშმარიტების ძიებაში“, რაც ვიწრო გაგებით სწავლებისა და კვლევის მეთოდების თავსუფალ არჩევანს და კოლეგებთან და სტუდენტებთან თავისუფალ დებატებს გულისხმობს.

აკადემიური თავისუფლების ქართულ მკვლევართაგან აღსანიშნავია ნ. კობახიძისა და ლ. სამნიაშვილის სტატია: „გთხოვთ, ნაკლები სსრკ, მეტი დემოკრატია! იმედი და უკმაყოფილება საქართველოს სწრაფვაში აკადემიური თავისუფლებისაკენ“, რომელიც 16 პროფესორ-

მასწავლებლის ნარაციული ინტერვიუს საფუძველზეა შექმნილი. სტატიის ავტორთა აზრით, განსხვავებულია აკადემიური თავისუფლების „დეიურე“ და „დეფაქტო“ მდგომარეობა. პირველ შემთხვევაში აკადემიური თავისუფლება ყველა დონეზე აღიარებულია, ხოლო პრობლემური რეალური მდგომარეობაა, რომლის მიზეზად „უნივერსიტეტებში არსებული საბჭოთა მემკვიდრეობის ნარჩენებია“ დასახელებული (Kobakhidze, Samniashvili, 2021). მაგ., თვითცენზურა, კონტროლის ფარული მექანიზმები, კონფორმისტული კულტურა. მსგავსი მოსაზრებები ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერტული ინტერვიუების შედეგადაც გამოვლინდა, მაგრამ ზემოაღნიშნული ავტორებისაგან განსხვავებით, არსებულ მდგომარეობას ექსპერტები უნივერსიტეტებში მხოლოდ „საბჭოთა მემკვიდრეობის ნარჩენების“ არსებობას არ მიაწერენ. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული კვლევა უშუალოდ არ ეხება სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას. მიუხედავად ამისა მსგავსი მოსაზრებები აკადემიური თავისუფლების კვლევის პროცესში გასათვალისწინებელი.

აკადემიური თავისუფლების ცნების გარშემო სხვადასხვა დროს გამართული დისკუსიადებატები დღემდე გრძელდება. ამ ცნების ნებისმიერი განმარტებისთვის საერთო ნიშანია კვლევისა და სწავლების თავისუფლება, რაც განათლებისა და მეცნიერების ავტონომიურობას გულისხმობს. ამ დეფინიციის მიხედვით, აკადემიური თავისუფლება კომპლექსური კონტექსტუალური ცნებაა, რომელსაც აკადემიურობასთან ერთად აქსიოლოგიური, პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური, სამართლებრივი და მრავალი სხვა ასპექტი გააჩნია.

ექსპერტული ინტერვიუს შედეგები: ექსპერტებად შეირჩა 14 პროფესიონალი საქართველოს საგანმანათლებლო და საუნივერსიტეტო კონტექსტის მცოდნე შემდეგი სფეროებიდან: ფილოსოფია (2), განათლების მეცნიერება (1), სოციოლოგია (3), უმაღლესი განათლების მართვისა და მენეჯმენტის სფეროს ყოფილი და ახლანდელი წარმომადგენლები (6), ექსპერტები, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები არიან და რომლებსაც ქართველი საზოგადოება სხვადასხვა მედიის საშუალებით იცნობს (2). გამოკითხვა თბილისში 2023 წლის ივლისსა და აგვისტოში ჩატარდა. ექსპერტული ინტერვიუს შედეგად გამოვლენილი ტენდენციები ჰარმონიზდა თეორიული ანალიზის ზოგად შედეგებთან, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა შესაბამისი დასკვნები.

ა) აკადემიური თავისუფლების შესახებ: ბუნებრივია, აკადემიური თავისუფლება კავშირშია სიტყვის თავისუფლებასთან, ამიტომ კვლევის პროცესში ყურადღება ექცევა აკავშირებენ თუ არა რესპონდენტები ამ და სხვა მსგავს ცნებებს (თავისუფალი გამოხატვის საშუალება, აკადემიური თუ შემოქმედებითი აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებას და სხვ.) აკადემიურ თავისუფლებასთან.

ექსპერტული ინტერვიუები აკადემიური თავისუფლების ცნების დეფინიციისა და საუნივერსიტეტო განათლებაში აკადემიური თავისუფლების როლისა და მნიშვნელობის გარკვევით იწყება.

აკადემიური თავისუფლების ის დეფინიცია, რომელსაც რესპონდენტები იძლევიან სრულ თანხმობაშია სამეცნიერო და აკადემიურ ლიტერატურაში დამკვიდრებულ დეფინიციასთან („სწავლის, კვლევის, აზრის გამოხატვის თავისუფლება აკადემიურ საკითხებზე“). ექსპერტთა

უმრავლესობას მიაჩნია, რომ აკადემიური თავისუფლება უმაღლესი განათლების სისტემის ერთ-ერთი იმდენად მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომ მის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობა, ამიტომ სახელმწიფომ (უნივერსიტეტების მაქსიმალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფით) და უნივერსიტეტებმა ხელი უნდა შეუწყონ პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების აკადემიური თავისუფლების დაცვასა და უზრუნველყოფას ხელი უნდა შეუწყონ.

ექსპერტთა ნაწილს კი მიაჩნია, რომ ფორმალურად, საკანონმდებლო დონეზე აკადემიური თავისუფლება ჩვენში დაცულია, თუმცა საქმის რეალური მდგომარეობა სულ სხვაგვარია. კერძოდ სახეზეა აკადემიური თავისუფლების შემზღვევითი მთელი რიგი ფაქტორები. მაგალითად აკადემიურ თავისუფლებას ზღუდავს უნივერსიტეტების კომერციალიზაცია, პროფესორ-მასწავლებლების დაქვემდებარება საბაზრო პრინციპებისადმი და მათ მიერ ე.წ. თვითცენზურის დაწესება, როდესაც პროფესორ-მასწავლებელი საკუთარ აზრს ვერ გამოხატავს იმის შიშით, რომ ამას შეიძლება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, სტუდენტების ან საზოგადოების მხრიდან არაადეკვატური რეაქცია მოჰყვეს. სხვა ფაქტორი, რომელიც აკადემიურ თავისუფლებას ზღუდავს რესურსების ნაკლებობაა. ცხადია პროფესორ-მასწავლებლებს იმის თავისუფლება აქვთ, რომ იკვლიონ ის, რაც მათ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, მაგრამ კვლევისთვის საჭირო რესურსების უქონლობის გამო რეალურად თავისუფლებას მოკლებულნი არიან. ამ შემთხვევაში სახეზეა მეტად უცნაური მდგომარეობა, როდესაც ფორმალურად პროფესორ-მასწავლებელი შეზღუდული არ არის თავის კვლევაში, მაგრამ სინამდვილეში მას მისთვის საინტერესო და სასურველი კვლევის ჩასატარებლად საშუალება (დრო, ფინანსები, ცოდნა-გამოცდილება და ა.შ.) არ აქვს.

ექსპერტთა ნაწილმა „აკადემიური თავისუფლების“ დეფინიციის სირთულეზე გაამახვილა ყურადღება და მიანიშნა, რომ ამ შემთხვევაში სამე გვაქვს რეალტიურ ცნებასთან იმ გაგებით, რომ „აკადემიური თავისუფლება რელატიურად თავისუფლებაა“, რაც გულისხმობს როგორც პროფესორების ისე სტუდენტების სწავლისა და კვლევის თავისუფლებას გარკვეული რეგულაციებით, ამიტომ თითოეულმა მათგანმა საკუთარი ინტერესები, აზრები, შეხედულებები და იდეები ამ „ჩარჩოს შიგნით“ უნდა წარმოადგინოს, სხვაგვარად შეუძლებელი იქნება აკადემიური თავისუფლება. ამ მოსაზრებას ეთანხმება ერთ-ერთი ექსპერტი, რომელსაც მიაჩნია, რომ აკადემიური თავისუფლება უნივერსიტეტის ძირითადი მოთხოვნების დაცვას უნდა ითვალისწინებდეს.

აკადემიური თავისუფლების ცნების განმარტებისას ექსპერტთა ნაწილმა ყურადღება გაამახვილა ცენზურაზე. აღინიშნა, რომ აკადემიური თავისუფლება შეუძლებელია ზემდგომის მიერ დაწესებული ცენზურის ან თვითცენზურის პირობებში მით უფრო მაშინ, როდესაც პოლიტიკური ისტებლიშმენტია იმით დაინტერესებული, რომ პროფესორმა მისი მხარდამჭერი აზრი გამოთქვას ან პოზიცია დააფიქსიროს, თუმცა ასეთი ცენზურა დღეს საქართველოში არ არის. ამ შემთხვევაში რესპონდენტმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ერთმანეთში არ უნდა აურიოთ ცენზურა და რეცენზირება (მაგ., ფარული რეცენზირება), რაც მიმართულია პლაგიატისა და მდარე, ყალბი სამეცნიერო პროდუქციისა და არა აკადემიური

თავისუფლების წინააღმდეგ, ამიტომ ფარულ რეცენზირებაზე პუბლიკაციის გაგზავნა სულაც არ არ ნიშნავს აკადემიური თავისუფლების შეზღუდვას.

ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს, რომ აკადემიური თავისუფლება არ ნიშნავს იმის თქმას და კეთებას ვისაც რა სურს. აკადემიური თავისუფლება თვითნებობას გამორიცხავს. ჩვენში ეს ორი რამ, სამწუხაროდ, ხშირად ერთმანეთში ერევათ. პროფესორის ან სტუდენტის აკადემიური თავისუფლება იმ უფლებებისა და მოვალეობების დაცვასა და განხორციელებას გულისხმობს, რომლებიც უნივერსიტეტების მიერ მათთან დადებულ ხელშეკრულებაშია დეკლარირებული. ამ კონტექსტში საინტერესოა პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების შეფასება. ექსპერტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ პროფესორის აკადემიური თავისუფლება „გარკვეულწილად შეზღუდულია“ როდესაც მას ეუბნებიან, რომ გამოცდა მაინცდამაინც ამ და ამ დროს ჩაატაროს, „ნიშანი გამოიყვანოს გარკვეული კომპონენტებით და საბოლოო გამოცდაში მაქსიმუმ ორმოცი ქულა დაწეროს. ესეც შეზღუდვაა. შეფასება ზოგადად 100 ქულიანია, იმიტომ რომ სახელმწიფომ დააწესა ასე, თუმცა როგორ გამოიყვანს ამ 100 ქულას პროფესორი, ეს სახელმწიფოს მიერ დეტალურად გასაწერი არაა, პროფესორი უნდა განსაზღვრავდეს ამას“. ეს და მსგავსი მთელი რიგი ნიუანსები მიანიშნებს იმაზე, თუ რამდენად მრავალწახნაგოვანია აკადემიური თავისუფლების ცნება და რა სირთულეებთან არის დაკავშირებული მისი დეფინიცია.

ბ) სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების შესახებ: ექსპერტული ინტერვიუს ფარგლებში განხილული საკითხი სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას შეეხებოდა. ამ შემთხვევაში ექსპერტებმა მრავალი ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრებები წარმოადგინეს.

ექსპერტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ სტუდენტის აკადემიური თავისუფლება შეზღუდულია. დავიწყოთ იმით, რომ სტუდენტი შეზღუდულია პროფესორის არჩევაში, რადგანაც ანგარიში უნდა გაუწიოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მაგ., „*შეიძლება, ადამიანს აინტერესებდეს ასირიოლოგიის შესწავლა და სწავლობდეს ბიზნეს-ადმინისტრირებაზე, იმიტომ რომ ეს უკანასკნელი პროფესია უფრო მოთხოვნადია და უფრო მეტი შანსი აქვთ ამ პროფესიით, რომ დასაქმდნენ*“.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ტუდენტები „*ჩარჩოებში არ უნდა მოვაქციოთ, უნდა მივცეთ თავისუფალი არჩევანის საშუალება. აი, ამ ასპექტში უნდა ჩანდეს სტუდენტის აკადემიური თავისუფლება*“, შესაბამისად სტუდენტებისთვის მცირე რაოდენობის არჩევითი კურსების შეთავაზება სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მათ აკადემიურ თავისუფლებას. სასწავლო პროგრამები არჩევით კურსებთან ერთად პროფესორ-მასწავლებელთა ფართო არჩევანსაც უნდა სთავაზობდეს სტუდენტს ანუ ერთსა და იმავე დისციპლინაზე რამდენიმე პროფესორს შორის არჩევნის გაკეთების შესაძლებლობა.

კიდევ ერთ-ერთი შემზღუდავი ფაქტორი უნივერსიტეტების მართვაში არსებული ხელოვნური ბარიერებია. ამ შემთხვევაში ექსპერტს მხედველობაში აქვს ის ფაქტი, რომ სხვა უნივერსიტეტში აღებული კრედიტის აღიარება ბიუროკრატიული სირთულეების (აკადემიური მობილობის) გარეშე შეუძლებელია.

სტუდენტის აკადემიური თავისუფლების შეზღუდვაა, როდესაც ლექტორი „*სტუდენტს უკრძალავს სხვადასხვა წიგნიდან ცალკეული თემის მომზადებას, ანუ გარდა სასწავლო*

პროგრამით განსაზღვრული წიგნისა, კიდევ სხვა მასალების გამოყენებას“. „სტუდენტები უნდა ჩავრთოთ პროგრამისა თუ შეფასების სისტემის შემუშავების პროცესებში. სალექციო კურსის ბოლოს უნდა შევეკითხოთ რა მოეწონათ და, რა არა, როგორ შეცვლიდნენ ამ კურსს, ანუ სტუდენტი უნდა გავხადოთ პროფესორთა თანამშრომელი და ყველა პროცესი ლექტორმა და სტუდენტმა ერთად უნდა გაიარონ. იმავე გამოცდების შემთხვევაში უნდა ვკითხოთ სტუდენტს როგორ ურჩევნია გამოცდის ჩაბარება, როდის დაწეროს და ა.შ. ესეიგი სტუდენტი მაქსიმალურად უნდა ჩავრთოთ სასწავლო პროცესში, ვითანამშრომლოთ მასთან“, - ასეთია ექსპერტთა უმრავლესობის მოსაზრება.

სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების შემზღუდავი ფაქტორი სტუდენტთა ინტერესების დამცავი მოძრაობებისა და ორგანიზაციების სისუსტეა, რის შედეგად თავიანთი აკადემიური თავისუფლების დასაცავად სტუდენტებს საჭირო გამოცდილება არ გააჩნიათ.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა კადემიურ თავისუფლებაზე ცალსახა მსჯელობა ძნელია, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა, პროფესორება და ლექტორებმა უფრო მეტად „უზრუნველყონ სტუდენტებში აკადემიური თავისუფლების განვითარება... რომ მეტი თავისუფლება გააჩნდეთ სტუდენტებს ამ თვალსაზრისით და მეტი ხელშეწყობა ჰქონდეთ, რომ ისეთი თემები იკვლიონ, რომელიც მათ აინტერესებთ და არა ისეთი რომლებიც უფრო საინტერესო არის პროფესორ-მასწავლებლებისთვის“.

გ) ქართულ უნივერსიტეტებში არსებული სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების ხარისხისა და დონის შეფასება: ქართულ უნივერსიტეტებში სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების ხარისხისა და დონის შეფასებისას ექსპერტული ინტერვიუს მონაწილე რესპონდენტთა მოსაზრებები ორ ნაწილად გაიყო. ექსპერტთა ერთი ნაწილი კრიტიკული მოსაზრებებით გამოვიდა, ხოლო მერე ნაწილმა კრიტიკისაგან თავი შეიკავა ან პრობლემა სტუდენტებში დაინახა.

კრიტიკულად განწყობილმა რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ დღეს უნივერსიტეტებში სტუდენტს არავინ არ ესაუბრება რაში გამოიხატება მისი აკადემიური თავისუფლება და როგორ უნდა მოახდინოს მისი რეალიზება. ამას ემატება ისიც, რომ სასწავლო პროგრამების ნაწილი ჩაკეტილია ანუ სტუდენტის ინტერესებს არ პასუხობს. ამასთან სტუდენტებს თითქმის არ აქვთ სახელმძღვანელოების არჩევის თავისუფლება. რაც შეეხება ხელმძღვანელის არჩევას საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო ნაშრომების შესრულებისას, არჩევანი აქაც შეზღუდულია, რადგან ხელმძღვანელების არჩევანი მცირეა. „სტუდენტების რაოდენობა დიდია, ხელმძღვანელებისა პირიქით“. „ასევე ხელმძღვანელებს შეზღუდული კომპეტენციები აქვთ. შესაბამისად, რთულია სტუდენტისთვის მისი ინტერესის შესაბამისი ხელმძღვანელის პოვნა და ამის გამო, ხელმძღვანელები თვითნებურად განაპირობებენ იმ თემების დავიწროებას, რაც სტუდენტებს აინტერესებთ და ესეც პრობლემურია“.

ყოველივე ამას ემატება ფინანსური, ეკონომიკური პრობლემებიც. კერძოდ „თუ უნივერსიტეტი არ ეხმარება სტუდენტებს, რომ დაძლიონ ფინანსური საკითხები, მაშინ შეიძლება არჩევანი კურსების თვალსაზრისით სტუდენტმა გააკეთოს არა ინტერესიდან გამომდინარე, არამედ იმის მიხედვით, თუ რა უფრო მოსახერხებელი იქნება მის სამუშაო პირობებთან მიმართებაში. მაგალითად აირჩიოს ისეთი კურსი, რომელიც შაბათ-კვირას არის

და არა კვირის სხვა დღეებში, იმიტომ რომ შეიძლება დამსაქმებელი ხელს არ უწყობდეს, რომ დღის განმავლობაში იმუშაოს და თან ისწავლოს“.

კრიტიკულად მოსაზრებებით გამორჩეულ ექსპერტთა აზრით, ყვეალსათვის გასაგებია, თუ რას ნიშნავს სტუდენტის აკადემიური თავისუფლება, რომ აკადემიურ საქმიანობაში ჩართული ადამიანები მაქსიმალურად თავისუფლები უნდა იყვნენ და ა.შ. მაგრამ ამ თავისუფლებას მატერიალური, რესურსული მხარდაჭერა სჭირდება, „იმ შემთხვევაში თუ ჩვენ გვინდა, რომ კვლევები უფრო ხარისხიანი იყოს, პროფესორები და სტუდენტები უნდა უფრო მეტად დამოუკიდებლები იყვნენ თავიანთ არჩევანში“. აღსანიშნავია, რომ ქართული უნივერსიტეტების დიდ უმრავლესობაში რესურსებით უზრუნველყოფა დრემდე უმთავრეს გამოწვევად რჩება.

ექსპერტთა დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ „არის ბევრი უნივერსიტეტი (უმთავრესად კერძო უნივერსიტეტები იგულისხმება), რომელიც სტუდენტს ეუბნება, რომ კონკრეტულ თემაზე იმუშაოს, რაც არასწორია“. სტუდენტს ყოველთვის უნდა ჰქონდეს თავისუფალი სააზროვნო არეალი.

ექსპერტთა ის ნაწილი, რომელიც კრიტიკულ მოსაზრებებს მოერიდა სცადა, რომ მთელი რიგი პრობლემები სტუდენტებში დაენახა. მაგალითად იმის აღნიშვნა, რომ სტუდენტი „უნივერსიტეტში თავის ნებით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე უნდა დადიოდეს“. ჩვენში სტუდენტთა დიდი ნაწილი მუშაობს და ამდენად ყოველდღიურ სამსახურებრივ რუტინას მიბმულს შემოქმედებითი განწყობები დაქვეითებული აქვს, სათანადოდ ვერ სწავლობს და ა.შ. ამიტომ „სახელმწიფომ უნდა შემოიღოს შესაბამისი რეგულაციები, რომ სტუდენტის მუშაობის შიზღუდვა თუ არა რეგლამენტირება მოახდინოს“, თუმცა ამგვარი რამ შეიძლება სტუდენტის თავისუფლების შეზღუდვად იქნეს მიჩნეული. გარდა ამისა, სტუდენტმა უნდა იცოდეს, რომ მას უნივერსიტეტში ყველაფრის (რაც მას მოესურვება) კეთების უფლება არ აქვს, რასაც ზოგიერთი სტუდენტი ნაკლებად აცნობიერებს.

მიუხედავად არსებული პრობლემებისა, რომლებსაც ლოკალური ხასიათი აქვთ, ექსპერტთა დიდი ნაწილის აზრით, ქართული საუნივერსიტეტო განათლება სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების სტანდარტებს აკმაყოფილებს, თუმცა ბევრი რამ ამ სფეროში კვლავ გამოწვევად რჩება.

დ) სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების ინსტიტუციური, ორგანიზაციული და კონტექსტუალური შეზღუდვები და მათი გამოსწორების გზები: ექსპერტთა აზრით, „სტუდენტებს გარდა იმისა რომ თავისუფლება აქვთ, აქვთ გარკვეული ტიპის ვალდებულებაც. სტუდენტს აქვს ვალდებულება, რომ ისწავლოს მიიღოს ცოდნა, დაექვემდებაროს არსებულ რეგულაციებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებით და ამავდროულად ხელი შეუწყოს საკუთარ თავსაც და პროგრამასაც, რომ პროგრამით დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევა იყოს სრულყოფილი“. სწორედ ამაში ვლინდება სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების ინსტიტუციური, ორგანიზაციული შეზღუდვა, რომელსაც ვერცერთი სტუდენტი ვერ უარყოფს. ხოლო კონტექსტუალურ შეზღუდვაში გარეგანი (სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვ. მაგ. კონფორმისტული კულტურა,

ფავორიტიზმი, ზეწოლისა და კონტროლის ფარული მექანიზმები, ბიუროკრატიზმი და ა.შ. ეს ყველაფერი სახეზეა ქართულ უნივერსიტეტებში) ზეწოლა იგულისხმება.

არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად ექსპერტების აზრით აუცილებელია, რომ სასწავლო პროგრამები „გაიხსნას“ და „უნივერსიტეტთაშორისი გაცვლა გამარტივდეს“, გაიზარდოს პროფესორების რაოდენობა „ან სტუდენტებისა შემცირდეს“. „გარდა ამისა, აქტიური უნდა იყოს სტუდენტების ინფორმირებულობის მექანიზმები, რომლებიც დააფიქრებს მათ რა არის ეს თავისუფლება და როგორ უნდა გამოიყენონ იგი... გარკვეული პლატფორმები უნდა არსებობდეს, სადაც სტუდენტები აქტიურად გამოხატავენ თავიანთ აზრს, რომელიც გავლენას იქონიებს უნივერსიტეტში გადაწყვეტილების მიღებაზე. დღეს არსებობს რაღაც პლატფორმები ფორმალურად, მაგრამ მათი ხმა დიდად არ ისმის და სტუდენტების ინტერესებს ამ თვალსაზრისით არ გამოხატავს. შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს რაღაც კლუბების არსებობა, საინფორმაციო ფორუმების, საუნივერსიტეტო გაზეთების არსებობა, რაც დაეხმარებოდა სტუდენტებს ამ ინტერესის დაკმაყოფილებაში“.

სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტის პიროვნულ ზრდა-განვითარებას და ამისთვის სხვა დამატებითი ღონისძიებების გატარებას. სტუდენტი მაქსიმალურად უნდა წავახალისოთ და, რაც მთავარია, უნივერსიტეტებმა უნდა შეძლონ აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ძალიან ბევრი კრიტერიუმის დაკმაყოფილება; რაც შეიძლება ნაკლები უნდა იყოს ადმინისტრაციული შეზღუდვები და ბიუროკრატიზმი.

დასკვნა

ფორმალურად აკადემიური თავისუფლებას გამოკითხული ექსპერტები ერთნაირად განმარტავენ, თუმცა მათი მოსაზრებები სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებით განსხვავებულია.

ექსპერტებმა, რომლებიც ადმინისტრაციულ საქმიანობას ეწევიან სხვადასხვა უნივერსიტეტებში სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების კუთხით პრობლემა მთელი სისრულით ვერ დაინახეს, რაც, დიდი ალბათობით, კონფორმისტული კულტურის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ.

კრიტიკულად განწყობილი ექსპერტების აზრით კი უნივერსიტეტებში სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით მრავალი გადაუჭრელი პრობლემა არსებობს, რამეთუ სახეზეა თვითცენზურა, კონტროლისა და ზედამხედველობის ლატენტური მექანიზმები, კონფორმისტული, ფავორიტისტული კულტურა, ბიუროკრატიზმი და სხვ. ყოველივე ეს ხელ უშლის სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების რეალიზებას.

გამოყენებული ლიტერატურა

- დიუი ჯ. (2010). დემოკრატია და განათლება, თბ.
- დვალი გ. (2012). კონცეფცია - აკადემიური თავისუფლება, ჟურნ. ლიბერალი, 26 ოქტომბერი.
- ქეცბაია, კ. (2015). მეცნიერების სოციოლოგია, თბ. გამ. უნივერსალი.
- ხოფერია, რ. (2021). აკადემიური თავისუფლება როგორც კონსტიტუციით გარანტირებული უფლება (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გერმანიის, აშშ-ის და საქართველოს მაგალითზე), საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი (სპეციალური გამოცემა - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ბათუმი.
- Altbach, G. (2001). Academic freedom: International realities and challenges, Center for International Higher Education, Boston College.
- Bourdieu, P. (1988). Homo Academicus, Stanford, California.
- Boyer, J W.(2002). Academic Freedom and the Modern University, Chicago.
- Dworkin, R. (1996). We Need a New Interpretation of Academic Freedom, Chicago.
- Kayrooz, C. Akerlind S (2003), Understanding Academic Freedom: The views of social scientists, Higher Education Research & Development Vol. 22, No. 3, November.
- Karran, T. (2009). Academic Freedom: In Justification of a Universal Ideal, Studies in Higher Education, Vol. 34, No. 2.
- Karki, C.B. (2015). Academic Freedom for Faculty Members and Students, Oslo.
- Keith, K. (1996). Faculty Attitudes Toward Academic Freedom: Tenure, Teaching and Research Doctoral Dissertation, University of Southern California.
- Haddon, A. (1987). Academic Freedom and Governance: A Call for Increased Dialogue and Diversity. Texas Law Review.
- Kobakhidze, N, Samniashvili, L. (2022). "Less USSR, more democracy please!" Hope and discontent in Georgia's quest for academic freedom, Including Special Issue on Academic Freedom in the Re-Imagined Post-Humboldtian Europe, Volume76, Issue3.
- Guinness, K. (2002). The Concept of Academic Freedom. New York.
- Manan, W. (2000). Academic Freedom: Ethical Implications and Civic Responsibilities. In The Universities' Responsibilities to Society: International Perspectives, ed. Guy Neave, Kidlington: Elsevier Science.
- Osieja, H. (2016). Academic Freedom: Foundations, Limitations and delimitations, 8th International Conference on Education and New Learning Technologies, 4-6 July, Barcelona.
- Sunstein, C.R. (1996). Academic freedom and law: Liberalism, speech codes, and related problems, Chicago.
- Shiell, T.C. (2006). Three conceptions of academic freedom. Stanford University Press.
- Tierney, G, Lechuga V. M. (2005). Academic Freedom in the 21st Century, National Education Association. Washington.
- Tight, M. (1988). So what is academic freedom? In M. Tight (Eds.), Academic freedom and responsibility. Stony Stratford: Open University Press.

Students' Academic Freedom According to the Expert Interviews

Anano Beradze, Amiran Berdzenishvili, Nika Nakaidze, Tata Oqrojanashvili, Kakha Ketsbaia

orcid.org/0000-0001-9149-5376

Abstract

The article is based on qualitative research -the expert interviews. 14 professionals well-acquainted with the educational and university context working in the following spheres: philosophy, science of education, sociology, and the sphere of organizing and management of higher education participated in the research. They were former and present representatives of these spheres, members of non-governmental organizations and representatives of the civil sector who are known to Georgian society via various mass media facilities as experts on education. The research took place in Tbilisi in July and August 2023. Alongside the empirical research, the fundamental scientific works and various secondary data on academic freedom were analyzed.

Since the disintegration of the Soviet Union, the universities in Georgia have not made serious progress regarding academic freedom. Though academic freedom is guaranteed and protected by the Consitution of Georgia, the general situation in the country, especially during the recent decade – economic and political instability, vulnerability of labour rights, scanty investment into education and science - does not create profitable conditions for proper development of universities. Therefore, the most important aspects of academic freedom as the condition of arranging university activities and as the fundamental value are still on the agenda in our country. Students' academic freedom is among them as well.

As a result of the research, it became clear that the academic freedom of students is limited; the factors limiting the academic freedom of students are the following: labour market demands, limited free choice in the process of learning and research; artificial barriers existing in the university management, weakness of the organizations and movements protecting students' interests, absence of the experience necessary to protect academic freedom, conformist culture, favouritism, hidden mechanisms of pressure and control, bureaucracy, etc. All these and other factors hinder the realization of students' academic freedom

Key Words: academic freedom, students' academic freedom, university education, learning, research, free choice, expert interview.

ბიოპრეპარატ „ბიოკატენას“ გავლენა პომიდვრის ფესვისა და რიზოსფეროს სოკო *Fusarium*-ზე

გულიკო დვალი¹, ლეილა ზვიადაძე², მაია კობახიძე³, ნაილი ლომთაძე⁴,

კარლო კვიციანი⁵

¹საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი; ²საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი; ³მკვლევარი; ⁴მკვლევარი; ⁵ბიოაგრო მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის დირექტორი

აბსტრაქტი

სტატიაში მოცემულია საქართველოში წარმოებული ბიოპრეპარატ „ბიოკატენას“ გავლენა პომიდვრის ფესვისა და რიზოსფეროს პათოგენ სოკო ფუზარიუმზე. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბიოპრეპარატის მოქმედებით შემცირდა ფუზარიუმის რაოდენობა, როგორც მცენარის ფესვზე, ასევე რიზოსფეროში. მიღებულ იქნა მცენარე კარგად განვითარებული ფესვთა სისტემით და ჯანსაღი ღეროთი.

საკვანძო სიტყვები: ბიოპრეპარატი, ბიოკატენა, ფუზარიუმი, რიზოსფერო, ფესვი.

შესავალი

ფუზარიოზი ფართოდ გავრცელებული საშიში სოკოვანი დაავადებაა, რომლითაც მცენარე ავადდება განვითარების ყველა ფაზაში. ფუზარიოზი ვითრდება ნიადაგში; დაავადება მცენარეში ფესვის და ფესვის ყელის ლპობით მჟღავნდება. დაავადებული ქსოვილი მუქდება, ღერო წვრილდება, ფოთლები ყვითლდება, რის შედეგად მცენარე იღუპება. ფუზარიოზის გამომწვევია სოკო ფუზარიუმი, რომელიც ფაკულტატი პარაზიტია. ნიადაგიდან მცენარეში ფესვის ყელიდან იჭრება ქერქში, გაივლის ღეროს ქსოვილში და ფოთლამდე აღწევს. ფოთლები ჭკნება. დარჩენილი ფოთლების კიდები წყლიანი ხდება, ხოლო ცალკეული ფოთლის მონაკვეთი მკრთალი მწვანე, ან ღია ყვითელი. ყუნწი სუსტდება და ფოთლები ღეროს გასწვრივ ეკიდება. +16°C ტემპერატურაზე დაავადებული მცენარე სწრაფად იღუპება. ამ დროს სოკო

გამოყოფს ტოქსინს, რომელიც იწვევს უჯრედის ქსოვილის დაშლას, ფესვის ლპობას, ტოტების გამუქებას და გახმობას. ჰაერის ტენიანობის გაზრდის დროს ფოთლის ზედაპირზე წარმოიქმნება ნაზი, თეთრი ფიფქი. სოკო ფუზარიუმი დიდხან ინახება ნიადაგში, მცენარის ქსოვილებში. ფუზარიული ჭკნობის დროს მცენარის ტურგორი ეცემა, რაც იმით არის განპირობებული, რომ ფუზარიუმი იწვევს ჭურჭელ-ბოჭკოვანი კონების დაცობას გუმოსმაგვარი ნივთიერებით. ფესვები ლპება, ფოთლებზე ჩნდება ყვითელი ფერის ლაქები.

ფუზარიუმი ინვითარებს მრავალუჯრედიან დატოტვილ მიცელიუმს, როგორც მაკრო, ისე მიკრო სპორებს. მიკროსპორები ერთუჯრედიანია, იშვიათად ორუჯრედიანი, მოგრძო-ოვალური, ცილინდრული ან ოდნავ მოხრილი. სოკო, რომელიც ნიადაგში ცხოვრობს და აქვს ფუზარიოზული ჭკნობის უნარი ნიადაგში მრავალი წლის განმავლობაში ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას. სოკოს სპორის გამრავლება ნაკვეთიდან ნაკვეთში შიძლება მოხდეს დაავადებული ნიადაგის შერევით, დაავადებული მცენარეული ნარჩენებით, ქარის საშუალებით ნიადაგის ნაწილაკების გადატანით და სარწყავი წყლის წვეთით. იგი სწრაფად ვითარდება მაღალ ტემპერატურაზე.

უკანასკნელ წლებში მცენარეთა დაცვის მიზნით ფუნგიციდების გამოყენებამ გამოიწვია სასარგებლო მიკროორგანიზმების შემცირება, ამიტომ ნიადაგის მიკრობიოლოგიური შედგენილობის გაუმჯობესებისათვის პათოგენების წინააღმდეგ საჭირო გახდა ბიოპრეპარატების გამოყენება.

მეცნიერებმა შეიმუშავეს და დანერგეს ბიოლოგიური ბრძოლის საშუალებები, კერძოდ ბიოპრეპარატები, რომელთა შემადგენლობაში შემავალ აქტიურ ნივთიერებებს წარმოადგენენ მიკროორგანიზმები და მათი მეტაბოლიტები, რადგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ხარისხის დაქვეითება უმეტესად გამოწვეულია ქიმიური პრეპარატებით. ფუზარიოზული ჭკნობის წინააღმდეგ გამოყენებული იქნა ბიოპრეპარატი „ბიოკატენა“, რაც ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს გარემოს გაჯანსაღების და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მისაღებად [1]

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა პომიდვრის ფესვისა და რიზოსფეროს მიკროფლორის შესწავლა, ფესვის ლპობის გამომწვევი პათოგენი სოკო ფუზარიუმის გამოყოფა და მის წინააღმდეგ საქართველოში მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის მიერ წარმოებული ბიოპრეპარატ „ბიოკატენას“ გამოყენება და გავლენის შესწავლა, რომლის შემადგენლობაში შემავალ აქტიურ ნივთიერებას წარმოადგენს სოკო *Trichoderma lignorum*-ი და მისი მეტაბოლიტები.

ობიექტი და მეთოდი

ცდები ტარდებოდა მარნეულის რაიონის სოფ. წერეთელში არსებულ კერძო ფერმერულ მეურნეობაში. საცდელად აღებული იყო პომიდვრი სჯიში „სლივკა ტორკოელი“. გამოკვლეულ იქნა, როგორც დაუმუშავებელი ისე დამუშავებული ჩითილებით დარგული

ნიადაგი. შესწავლილ იქნა მიკროფლორა - ბაქტერიები, აქტინომიცეტები, სოკოები, მათ შორის პათოგენი სოკოები, ფესვის ლპობის გამომწვევი სოკო ფუზარიუმი (საერთო რაოდენობა), მ.ა. ლიტვინოვის მეთოდით [2]. მიკრობთა კულტივირებისათვის გამოყენებული იყო ხელოვნური და ბუნებრივი საკვები არეები - ჩაპეკი და კარტოფილი. ანალიზები ტარდებოდა განზავების მეთოდით [3]; განზავება 10^{-2} ; 10^{-3} ; მიკრობთა საერთო რაოდენობას ვანგარიშობდით ათასობით 1გ აბსოლუტურად მშრალ ნიადაგზე. გამოყოფილ იქნა პათოგენი სოკოების სუფთა კულტურები და მოხდა მათი იდენტიფიკაცია. შესწავლილ იქნა კულტურალური, მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური თვისებები.

სოკო ფუზარიუმის წინააღმდეგ გამოვიყენეთ ბიოპრეპარატი ბიოკატენა. ხელსაყრელი ფონის შესაქმნელად ნიადაგში შევიტანეთ მიკრო და მაკრო ელემენტების შემცველი სასუქი „ორგანიკა“.

შედეგები და მათი განხილვა

შევისწავლეთ საცდელად აღებული ნიადაგის მიკროფლორა და კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობები, რადგან ბიოპრეპარატი პათოგენებზე მაშინ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას, როდესაც მასში შმაგალი მიკროორგანიზმების მოქმედებას ხელს უწყობს კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობები.

საკვლევი ნიადაგი რუხი ყავისფერია, რომელიც ხასითდება სუსტი ტუტე რეაქციით და ჰუმუსის დაბალი შემცველობით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 12°C , ხოლო ტემპერატურის მაქსიმუმი 40°C . ნალექების რაოდენობა 490-550მმ-ია. ნალექების მაქსიმუმი მაისის თვეშია [4].


ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დაუმუშავებელი ნიადაგის მიკროფლორა დიდი რაოდენობით შეიცავს პათოგენ სოკოებს. დომინანტ პათოგენს წარმოადგენს ფესვის ლპობის გამომწვევი სოკო, რომელიც იდენტიფიკაციით - კულტურალური, მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური თვისებების შედეგად მიეკუთვნება ფუზარიუმს. ცხ. 1. სურ. 1.

დაუმუშავებელი ნიადაგის მიკროფლორა
(ათასობით 1გ აბსოლუტურად მშრალ ნიადაგში)

ცხ.1.

ნიმუშის აღების ადგილი	ბაქტერიები	აქტინომიცეტები	სოკოები	ფუზარიუმი საერთო რაოდ.
დაუმუშავებელი ნიადაგი	180 000	210 000	280 000 მათ შორის პათოგენი 230 000	200 000

სურ. 1.



სოკოების საერთო რაოდენობა

სოკო ფუზარიუმი

ნიადაგის მიკროფლორის შესწავლის შემდეგ საცდელ ნაკვეთზე (0,5 ჰა) დავრგეთ პომიდვრის ჩითილი. ცდის დაწყების წინ (პომიდვრის ჩითილის დარგვამდე) ბიოპრეპარატისათვის ხელსაყრელი ფონის შესაქმნელად ნიადაგში შევიტანეთ 2%-იანი ორგანიკის ხსნარი, რომელიც უნივერსალური სასუქია და შეიცავს მაკრო და მიკრო ელემენტებს. დარგვის წინ ჩითილის ფესვი ამოვავლეთ ბიოკატენას 2%-იან ხსნარში, ხოლო დარგვის შემდეგ ფოთლებს შევასხურეთ ბიოკატენას 1%-იანი ხსნარი. ჩითილების გამოკვება ხდებოდა 15-20 დღის ინტერვალით (ყოველ 100ლ წყალში 1ლ ბიოკატენა). საკონტროლოდ აღებული გვექონდა დაუმუშავებელი ნიადაგი და ჩითილი.

ნიმუშები აღებულ იქნა პომიდვრის განვითარების ყვავილობის ფაზაში. აღმოჩნდა, რომ ფესვის ლპობის გამომწვევი ფუზარიუმი და პათოგენების საერთო რაოდენობა მეტი იყო დაუმუშავებელ ნიადაგში. ცხ. 2. სადაც განვითარდა ფუზარიოზული ჭკნობა, რაც გამოწვეული იყო ფუზარიუმის მიერ ჭურჭელ-ბოჭკოვანი კონების დაზიანებით, გამტარ კონების დაცობით, რამაც შეაფერხა პომიდვრის ღეროში და ფოთლებში წყლის მიწოდება, მცენარეში დაეცა ტურგორი და დაჭკნა, ფესვები დაავადდა და გაშავდა, ნაყოფის ზრდა შეფერხდა, რაც კარგად ჩანს სურათზე (სურ.2)

სურ. 2



ბიოპრეპარატ ბიოკატენას გავლენა პათოგენებსა და ფესვის ლპობისგამომწვევ სოკო ფუზარიუმზე (ათასობით 1გ აბსულუტურად მშრალ ნიადაგში)

ცხ. 2.

ნიმუშების აღების ადგილი	პათოგენები			ფუზარიუმი		
	საეთო რაოდენობა	ფესვი	რიზოს ფერო	საეთო რაოდენობა	ფესვი	რიზოს ფერო
საკონტროლო დაუმუშავ. ნიადაგი	260	140	120	120	65	55
ბიოკატენით დამუშავებ. ნიადაგი	69	36	33	35	24	11

როგორც ცხრილიდან (ცხ. 2.) ჩანს ბიოპრეპარატ ბიოკატენათი ნიადაგის და მცენარის დამუშავებამ მკვეთრად შეამცირა პათოგენი სოკოების და ფუზარიუმის საერთო რაოდენობა, როგორც ფესვზე, ისე რიზოსფეროში, მივიღეთ მცენარე ძლიერი ფესვთა სისტემით და კარგად განვითარებული ღეროთი, ფოთლებით და ჯანსაღი ნაყოფებით (სურ. 2), რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბიოკატენა, რომლის შემადგენლობაში შედის სოკო *Trichoderma lignorum*-ის აქტიური მეტაბოლიტები პომიდვრის დაავადების გამომწვევ პათოგენებზე და მცენარის ფესვის ყელის ლპობის გამომწვევ სოკო ფუზარიუმზე მოქმედებს, როგორც ძლიერი

ანტაგონისტი. აღსანიშნავია ისიც, რომ ბიოკატენათი დამუშავებულ ვარიანტში ბაქტერიების და აქტინომიცეტების საერთო რაოდენობა მეტი აღმოჩნდა დაუმუშავებელ ნიადაგთან შედარებით, რაც ხელს უწყობს პომიდვრის ფესვთა სისტემის დაცვას ლპობისა და ინფექციისაგან. (სურ. 3)

სურ. 3



დასკვნა

ამრიგად, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ: მარნეულის რაიონის ნიადაგურ-კლიმატური პირობებისათვის პომიდვრის „სლივკა ტორკოელის“ ბიოპრეპარატ ბიოკატენათი დამუშავებით მკვეთრად შემცირდა როგორც პათოგენი სოკოების, ისე ფუზარიუმის რაოდენობა, რამაც განაპირობა ჯანსაღი ნიადაგი და მიღებულ იქნა პომიდორი ფუზარიოზული ჭკნობის ნაკლები დანაკარგებით.

ლიტერატურა

- Биологическая защита растений. М.В. Штерншис, Ф.У. Джалилов и др. .ст.18-22. М. „Колосс,, 2004.
Литвинов М.А. Методы изучения почвенных микроскопических грибов. Изд. „Наука,, ст. 282-290. Ленинград 1969
Ю.М. Возняковская „Микрофлора растений и урожай“ . Изд.- „Колос“ ст.173-174 Ленинград, 1969
საქართველოს ნიადაგები. ატლასი. თბილისი, 2015

The effect of the biopreparation “Biocatena” on tomato root and rhizosphere fungus Fusarium

Guliko Dvali¹, Leila Zviadadze², M.Kobakhidze³, Naili Lomtadze⁴, Karlo Kikorya⁵

¹Biotechnology Center, Georgian Technical University. Senior Researcher Doctor of Biology;

²Biotechnology Center, Georgian Technical University. Researcher; ³Researcher; ⁴Researcher; ⁵Director of the Center for Biological Protection of Bioagro Plants

Abstract

The article presents the effect of biopreparation "Biocatena" produced in Georgia on the root and rhizosphere pathogen Fusarium. As a result of the research, it was determined that the amount of fusarium was reduced by the action of the biopreparation, both on the root of the plant and in the rhizosphere. A plant with a well-developed root system and a healthy stem was obtained.

KEYWORDS: Biopreparation, Biocatena, Fusarium, Rhizosphere, Root.

კონსტრუქციული ჟურნალისტიკა როგორც სენსაციურობის ალტერნატივა - სპეციფიკა და ამოცანები

მანანა შამილიშვილი¹; მარი წერეთელი²; ნათია სვანიძე³; თინათინ მაჭარაშვილი⁴

¹ჟურნალისტიკის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების პროფესორი; ²ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი (მეცნიერებათა დოქტორი ჟურნალისტიკაში), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი (ჟურნალისტიკის მიმართულება); ³მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასისტენტ პროფესორი, <https://orcid.org/0000-0003-2626-9975>; ⁴მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასისტენტ პროფესორი, <https://orcid.org/0000-0002-7794-1648>

აბსტრაქტი

თანამედროვე ეტაპზე კარგად მომზადებული ახალი ამბავი ძირითადად ხუთ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს: უნდა იყოს ოპერატიული, მნიშვნელოვანი, შეეძლოს იდენტიფიცირება, შეიცავდეს სენსაციასა და კონფლიქტს. თუმცა, აშკარაა, რომ ამ კრიტერიუმებით მომზადებულ „კარგ ახალ ამბავს“ დღითიდღე უმცირდება მაყურებელი. რატომ? პასუხი მარტივია - ჟურნალისტი კარგავს ნდობას. სწორედ ამიტომ, აღნიშნული კრიტერიუმები ხშირად გამხდარა ფართო განხილვის საგანი. ამ რეალობამ ბიძგი მისცა ახალი ხედვის ჩამოყალიბებას, რომლის მიხედვითაც კარგად შედგენილი ახალი ამბავი კი არ უნდა კარგავდეს მაყურებელს, არამედ უნდა განამტკიცებდეს ნდობას მედიასა და მოქალაქეებს შორის. ჟურნალისტიკის მხოლოდ ასეთ მოდელს შეუძლია დემოკრატიული დიალოგის გაძლიერება და საზოგადოების ერთიანობის ხელშეწყობა.

გამოსავლის ძიებაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა (Solution Journalism) შეიძლება ჩაითვალოს ჟურნალისტიკის კონტექსტურ ფუნქციად, ჟურნალისტიკის უფრო საფუძვლიან სახეობად, რომელსაც ასევე მოიხსენიებენ, როგორც „ინტერპრეტაციული გაშუქება, სიღრმისეული რეპორტაჟი, გრძელვადიანი ჟურნალისტიკა, განმარტებითი რეპორტაჟი და ანალიტიკური რეპორტაჟი“ (Fink, 2014). გადაწყვეტილებების ჟურნალისტიკა ასევე შეიძლება განთავსდეს მსგავს, მაგრამ უფრო სპეციფიკურ კატეგორიაში, რომელსაც ეწოდება კონსტრუქციული ჟურნალისტიკა, რომელიც „მოიცავს პოზიტიური ფსიქოლოგიის ტექნიკის გამოყენებას ახალ ამბებზე მუშაობაში, რათა შეიქმნას უფრო პროდუქტიული, ჟურნალისტიკის ძირითადი ფუნქციების ერთგული საინტერესო ისტორიები“ (McIntyre, 2017). მაკინტაირი აღწერს კონსტრუქციულ ჟურნალისტიკას, როგორც „კონტინიუმს“ და არა დიქტომიას. აქცენტი გაშუქების „პირდაპირი“ სტილიდან (მაგ., მშვიდობა კონფლიქტის წინააღმდეგ), გადააქვს ყოვლისმომცველ საგამომიებო გაშუქებაზე.

„კონსტრუქციული ჟურნალისტიკა არის პასუხი თანამედროვე მედიის ახალი ამბების მზარდ ტაბლოიდურობაზე, სენსაციონალიზმსა და ნეგატიურ მიკერძობაზე“ (იორდგენსენი ქ. ლ., რისბრო ი., 2021). ნეგატიური მიკერძობა აძლიერებს ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილებას, მიანიჭოს უფრო მეტი ღირებულება ნეგატიურ ამბავს, ვიდრე პოზიტიურს. ამასთანავე, ცნობილია, რომ ნეგატიურ ამბავს უფრო დიდი გავლენა აქვს ადამიანზე და გონებაში დიდხანს რჩება. ამ ფენომენს შეისწავლის სოციალური ფსიქოლოგია.

შედეგად, თანამედროვე ჟურნალისტებს, რომლებიც უნდა განვითარდნენ „fake news“-ისა და ე.წ. პოსტ-სიმართლის ერაში, მთელ მსოფლიოში აკრიტიკებენ მზარდი ნეგატიური ახალი ამბების გაშუქების გამო. გამოსავალი კონსტრუქციული ჟურნალისტიკაა, რომელიც საშუალებას მისცემს თანამედროვე მედიას, დაიბრუნოს საზოგადოების ნდობა, რაკი მას შესთავაზებს წამოჭრილი პრობლემებიდან გამოსავლის ძიების გზას.

საკვანძო სიტყვები: კონსტრუქციული ჟურნალისტიკა, გამოსავლის ძიებაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა, პოზიტიური ფსიქოლოგია.

„გადაწყვეტილებების ძიების ჟურნალისტიკის“ ცნება, რომელიც ასევე ცნობილია პროფესიულ ლექსიკაში, როგორც „კონსტრუქციული ჟურნალისტიკა“ ან „SoJo“, გაჩნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1990-იანი წლების ბოლოს (ბენეში, 1998). 2007 წელს, New York Times-ის რედაქციასა და დანიაში, პრეს-ჯგუფ Berlingske Media-ს გაუჩნდათ სურვილი, განეხორციელებინათ ჟურნალისტური მიდგომა, რომელიც სოციალური პრობლემების მოგვარებას შეუწყობდა ხელს. ფრანსუაზა ლაჟეს მიხედვით, „გადაწყვეტილებების ძიების ჟურნალისტიკა“ („journalisme de solutions“) ან „გავლენის ჟურნალისტიკა“ („journalisme d'impact“) წარმოდგენილია, როგორც ინფორმაციის ტრადიციული დამუშავების ალტერნატივა, რომელიც ძირითადად პრობლემებზეა ორიენტირებული, ანუ ეს არის ჟურნალისტური მუშაობის კონცეფცია, რომელსაც შეუძლია მოქალაქეების ჩართვა

საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაში (Laugée, 2014). ჟურნალისტიკის ეს მეთოდი თავდაპირველად ემყარებოდა გამოძიებასა და „დღის წესრიგის“ თეორიებს (მაკკომბსი და შოუ, 1972).

კონსტრუქციული ჟურნალისტიკა წარმოადგენს მეინსტრიმული მედიაკულტურის კორექტირებას, - წერს კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ინსტიტუტის დამფუძნებელი ულრიკ ჰააგერუპი. მეინსტრიმული მედია ძირითადად დაინტერესებულია ახალი ამბებით, რომლებიც აჩვენებს, თუ რამდენად ცუდადაა საქმე. მისი თქმით, „ბოლო ათწლეულების განმავლობაში მედია ძირითადად ორიენტირებულია კონფლიქტებისა და კრიზისების გაშუქებაზე - „ომის ჟურნალისტიკა“ მუდმივად პასუხობს საზოგადოების მოთხოვნას შთამბეჭდავი და ადვილად გასაყიდი ინფორმაციის შესახებ“ (Haagerup, 2018).

ულრიკ ჰააგერუპმა, დანიის საზოგადოებრივი ტელევიზიის ახალი ამბების დირექტორის პოზიციაზე ყოფნის დროს, დაიწყო იმ ინფორმაციის ანალიზი, რომელსაც აწვდიდნენ საზოგადოებას და აღმოაჩინა, რომ ძირითადად გადასცემდნენ სიახლეებს მკვლევარების, ავარიების, კატასტროფების შესახებ... აგზავნიდნენ გადამღებ ჯგუფებს, მაგალითად, აფრიკაში კონფლიქტების გასაშუქებლად, მაგრამ ძალიან იშვიათად ამ კონტინენტზე ცხოვრების დონის სწრაფი გაუმჯობესების სხვადასხვა ასპექტის გასაშუქებლად. ისტორიები ზუსტი იყო, მაგრამ დამთრგუნველი. ჰააგერუპი მივიდა დასკვნამდე, რომ თუ მედიების უმეტესობა ასეთი ტიპის ინფორმაციებს გადაცემას გააგრძელებს, შეიქმნება უფსკრული რეალობა და საზოგადოების მიერ მის აღქმას შორის, რადგან ბევრი თვალსაზრისით სამყარო უკეთესია. ადამიანებს აღარ სურთ ახალი ამბებისთვის თვალყურის დევნება, რადგან მიღებული ინფორმაცია მათ აგრძნობინებს, რომ სამყარო ნადგურდება. ეს კი ტრაგედიაა დემოკრატიისთვის. საზოგადოებას სურს წაიკითხოს და მოისმინოს რაღაც უფრო პოზიტიური და დამამშვიდებელი.

იქედან გამომდინარე, რომ დანიაში მაღალია უნდობლობა პოლიტიკოსებისა და მედიის მიმართ, ჰააგერუპმა და მისმა თანამოაზრეებმა დისკუსიები გამართეს პარლამენტარი პარტიის ლიდერებისა და მედიების რედაქტორების მონაწილეობით. ასევე, მოაწყვეს საჯარო შეხვედრები, რათა ეპოვათ გზები დანიის პოლიტიკური ცხოვრების უკეთ გასაშუქებლად. ფოკუსი გაკეთდა იმაზე, კონფლიქტების გაშუქების შემდეგ, როგორ შეენარჩუნებინათ მედიის ყურადღება სამშვიდობო პროცესებზე, უსაფრთხოების განმტკიცებაზე, ჯანდაცვის გაუმჯობესებაზე.

ჰააგერუპის თქმით, კონსტრუქციული ჟურნალისტიკა არ არის „კარგი“ ამბების გავრცელება: „კიდევ ერთხელ, სიზუსტე ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. გარდა ამისა, ჩვენ აბსოლუტურად დარწმუნებულები ვართ, რომ კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნების კოლაფსი, ტერორისტული თავდასხმები არის ძირითადი პრობლემები, რომელთა წინაშეც მსოფლიო ამჟამად დგას, მაგრამ მედიამ უკვე გააშუქა ეს ყველაფერი დიდი დოზით. თუ კიდევ უფრო მეტს ვისაუბრებთ ამ საკითხებზე ძველი მიდგომებით, ეს გაამლიერებს შიშის გრძნობას საზოგადოებაში“ (Haagerup, 2018).

კითხვაზე, თუ რა არის დღეს ჟურნალისტის მთავარი პასუხისმგებლობა, ჰააგერუპის პასუხი შემდეგია: „ბოლო სტატიაში, სათაურით: „ჟურნალისტური მისია კრიზისის დროს“, კეტრინ ვინერი, ბრიტანული ყოველდღიური გაზეთის The Guardian-ის რედაქტორი, მოუწოდებს მედიას „განავითაროს იდეები, რომლებიც ხელს უწყობს მსოფლიოს გაუმჯობესებას“ და „გამოიყენოს სიცხადე და წარმოსახვა, გააჩინოს იმედი“. ამგვარად, პრინციპები - სიზუსტე და გადაწყვეტილებების პოვნა, მნიშვნელოვანია. ამგვარ სტატიებს ბოლომდე წაიკითხავს ფართო აუდიტორია, ამ ტიპის ამბები კარგია საზოგადოებისთვის, კარგია მედიისთვის, კარგია დემოკრატიისთვის“ (Haagerup, 2018).

როგორც სენსაციონალიზმის ალტერნატივა, კონსტრუქციული ჟურნალისტიკა თანდათან ტოვებს თავის კვალს ევროპაში და ცდილობს, მოძებნოს გამოსავალი რთული სიტუაციებიდან.

ფრანგულ ონლაინმედია - „LATITUDES“ - ში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში, ჟურნალისტი ვალერი მუკო ეხმიანება კონსტრუქციული ჟურნალისტიკის გამოწვევებს: კონსტრუქციული ან „გამოსავლის ძიების ჟურნალისტიკა“ განიხილავს ინფორმაციას პერსპექტივაში, გამოსავლის გზების ჩვენებით. მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს, დაინახოს სამყარო მის ნიუანსებსა და სირთულეებში, არ შემოიფარგლება მხოლოდ ხარვეზების გამოვლენით, არამედ, ასევე, კონსტრუქციულ წინადადებებსაც მოიცავს (Muco, 2022).

ჟურნალისტს სტატიაში მოჰყავს ულრიკ ჰააგერუპის მოსაზრებაც, რომ ჟურნალისტებს არ შეუძლიათ ინსტიტუტების შეცვლა, მაგრამ მათ შეუძლიათ შეცვალონ საკუთარი თავი: „დროა, ცოტა მეტად მოუსმინონ ხალხს და აღადგინონ ნდობა, მაგალითად, აჩვენონ, როგორ შეიძლება გადაწყდეს ის პრობლემები, რომლებსაც აშუქებენ. კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ინსტიტუტის მიზანია, ებრძოდოს ჟურნალისტიკის ტრივიალიზაციას და დეგრადაციას, უფრო ზუსტ, დაბალანსებულ და გადაწყვეტილებებზე ორიენტირებულ გაშუქებაზე ფოკუსირებით.

სტატიაში ასევე საუბარია 2022 წლის 23-25 ნოემბერს, ბრიუსელში გამართული ჟურნალისტიკის ევროპული კონფერენციის დროს, კონსტრუქციული ჟურნალისტიკის გამოწვევების შესახებ გამართულ დებატებზე და მოხმობილია ციტატები და მოსაზრებები ამ დებატებიდან.

დებატებს ხელმძღვანელობდა სამი ევროპელი ჟურნალისტი, რომლებიც ხელს უწყობენ კონსტრუქციული ჟურნალისტიკის განვითარებას: ორლა ბორგი დანიიდან, კონსტრუქციული ინსტიტუტის სტიპენდიების დირექტორი, უნგრელი ბალინტ აბლონჩი, პოლიტიკური ჟურნალისტი, Válasz Online-ის თანადამფუძნებელი, იტალიელი ლორენცო დი სტასი, ჟურნალისტი და იტალიური კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ქსელის წევრი.

ბალინ აბლონჩის თქმით, ონლაინ გაზეთ Válasz Online-ში, ისინი ცდილობენ თავი დაანებონ ახალი ამბების „შემლილ რბოლაში“ მონაწილეობას, რომელიც დომინირებს მედიაში, ასევე, დაშორდნენ უნგრეთის ცენტრალიზებულ და გაბატონებულ სამთავრობო ისტორიებს. ისინი

ატარებენ სიღრმისეულ გამოკვლევებს, ანალიზს, პუბლიკაციების გამოქვეყნების პარალელურად მართავენ დებატებს, რომლებიც გვთავაზობენ სტატიებში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტას. უნგრელი ჟურნალისტი შენიშნავს, რომ კონსტრუქციული ჟურნალისტიკა თავის კუთვნილ ადგილს იკავებს მისი ქვეყნის მოსახლეობაში: „ვხვდებით, რომ არის მოსახლეობის გარკვეული ფენა, რომელსაც მობეზრდა ეს გიჟური რბოლა ახალი ამბების გამო, „პოლიტიკური ტრაიბალიზმი“, რომელიც ჭარბად არის წარმოდგენილი უნგრეთის მედიალანდშაფტში“. მისი თქმით, კონსტრუქციული ჟურნალისტიკა შეიძლება იყოს გამოსავალი საზოგადოებისთვის, რომელსაც სურს მიიღოს ხარისხიანი ინფორმაცია და ანალიზი.

იტალიელი ლორენცო დი სტასი იხსენებს Reuters-ის ჟურნალისტიკის შემსწავლელი ინსტიტუტის კვლევის დასკვნებს, რომლებიც აჩვენებს მოსახლეობის ინტერესის ნაკლებობას ინფორმაციის მიმართ. ამ კვლევის მიხედვით, ადამიანების მზარდი რაოდენობა თავს არიდებს ინფორმაციას ისეთ თემებზე, როგორებიცაა; კორონავირუსის პანდემია, რუსეთის შეჭრა უკრაინაში ან ეკონომიკური კრიზისი. მისი თქმით, მედიის მიმართ ნდობა მთელ მსოფლიოში შემცირდა. ეს გამოკითხვა 2022 წელს Reuters Institute-ის მიერ ონლაინ ჩატარდა და მასში 93,432 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. Reuters-ის ინსტიტუტის კვლევის მიხედვით, გამოკითხული საზოგადოების მხრიდან ინფორმაციის მიმართ დაუინტერესებლობის მიზეზი არის მედიის მიერ მიწოდებული ინფორმაციისადმი ნდობის ნაკლებობა, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ განწყობაზე და იწვევს უმწეობის განცდას.

დანიელი ორლა ბორგის თქმით, საზოგადოებისგან ნდობის ასეთი ნაკლებობა გამოწვეულია იმით, რომ მედია წარმოაჩენს ყველაფერს, რაც ნეგატიურია მსოფლიოში: „ხალხი თიშავს ტელევიზორს, აღარ უყურებს ახალ ამბებს, აღარ კითხულობს გაზეთს. და რა რჩება მათთვის ინფორმაციის წყაროდ? სოციალური ქსელები, რომლებიც ზოგჯერ ავრცელებენ დეზინფორმაციას. ეს ძალიან ცუდია დემოკრატიისთვის“ (Muco, 2022). კონსტრუქციული ინსტიტუტის ამ წევრის მოსაზრებით, სჯობს საინფორმაციო სუბიექტებს კონსტრუქციული პრიზმის გამოყენებით მივუდგეთ. მიმდინარე საკითხებისადმი ინტერესის შემცირების პირობებში, ამ ტიპის ჟურნალისტიკას შეუძლია მედიისა და მისი მომხმარებლების შერიგება. იტალიელი დი სტასის აზრით, მედიამ ხელი უნდა შეუწყოს გამოსავალზე ორიენტირებული ინფორმაციის გავრცელებას, აჩვენოს კავშირი პრობლემასა და გამოსავალს შორის: „კონსტრუქციული ჟურნალისტიკა არ არის დიქტომია. მას შეუძლია შესთავაზოს გამოსავალი როგორც სამომავლოდ, ასევე აწმყოსთვის. საჭიროა არა მხოლოდ გამოსავლის შეთავაზება, არამედ ამ გამოსავლის საზღვრების ჩვენებაც“ (Muco, 2022).

NEW 6 S-ზე გამოქვეყნებულ სტატიაში: „კონსტრუქციული ჟურნალისტიკა კარგია, მაგრამ რა არის ის?“, რომელიც მომზადებულია ულრიკ ჰააგერუპის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ნაშრომებისა და მოსაზრებების მიხედვით, ვკითხულობთ, რომ კონსტრუქციული ჟურნალისტიკა ეს არის მიდგომა, რომელიც აჩვენებს სამყაროს თავისი ყველა ნიუანსითა და სირთულით, პრობლემებითა და დისფუნქციებით. თუმცა, ამასთანავე

მისი პროგრესით, კრეატიულობით, გადაწყვეტილებების ძიებით, მისი ინდივიდუალური თუ კოლექტიური ინიციატივებით, რომლებიც სასარგებლოა საზოგადოებისთვის.

იყო კონსტრუქციული ინფორმაციის მონაწილე, ნიშნავს, გააცნობიერო მედიადისკურსის გავლენა სამიზნე აუდიტორიაზე, საზოგადოებაზე და თავად საკუთარ მსოფლმხედველობაზე; გააცნობიერო ინფორმაციის დამუშავების აუცილებლობა, რომელიც იქნება რაც შეიძლება ზუსტი და ნიუანსებზე ორიენტირებული; შემოიტანო ოპტიმიზმი ინფორმაციაში; განიხილო ინფორმაცია პერსპექტივაში, ანალიზის, დადებითი ასპექტებისა და გადაწყვეტილებების ჩათვლით; გაზომო გამოყენებული ლექსიკის, გამოსახულების და ტონის გავლენა; დაწერო ჟურნალისტიკური ნამუშევარი დროთა განმავლობაში, თემის განვითარების ან/და არსებული გადაწყვეტილებების ეფექტურობის შესაფასებლად. ჩამოაყალიბო ნდობა საზოგადოებასა და მედიას შორის; დაეხმარო მოქალაქეებს სამყაროს შესახებ სრულყოფილი ხედვების პოვნაში; კონსტრუქციული ინფორმაციის გავრცელებით და შთამაგონებელი გადაწყვეტილებებით, იყო ერთ-ერთი დამხმარე ძალა საზოგადოების ევოლუციის საქმეში.

სტატიაში ასევე საუბარია კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ოთხ მთავარ საყრდენზე, რომლებიც მის არსს წარმოაჩენს.

ხედვის რაკურსის გაფართოება მთელი 360° გრადუსით, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ წარუმატებლობებით, არამედ ასახავს წარმატებებსა და კონსტრუქციულ წინადადებებს;

აქცენტი ნიუანსებზე, კონტექსტუალიზება, ურთიერთგამომრიცხავი პოზიციების თავიდან აცილება, ალტერნატიული თვალსაზრისის ძიება, სამოქალაქო დისკუსიის ხელშეწყობა; პრობლემების გადალახვა და საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებების გადასინჯვა: შემოთავაზებული გადაწყვეტილებების ძიება ან შესაძლო პერსპექტივების დასახვა; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტონის, სიტყვებისა და ილუსტრაციების შერჩევას.

რა არის კონსტრუქციული ჟურნალისტიკა? ამ შეკითხვის საპასუხოდ ჩამოთვლილია შემდეგი მთავარი ასპექტები: პროფესიის ყველა წესის დაცვა, პროფესიული ეთიკის პატივისცემა, ყველა თემის შეხების შესაძლებლობა, ფაქტებზე დაყრდნობა, ნიუანსირებული, დაბალანსებული, კრიტიკული ინფორმაციების გავრცელება, მიუკერძოებელი ინფორმაცია და გრძელვადიანი პერსპექტივა.

აქვეა ჩამოყალიბებული კონსტრუქციული ჟურნალისტიკის მახასიათებლები, - კონსტრუქციული ჟურნალისტიკა არ არის მსოფლიოს პრობლემების უარყოფა, არ არის გულუბრყვილო, გამარტივებული, სენსაციური, კამპანიური აქტივიზმი, გამოსავლის პრომოუტერი და არც საინფორმაციო კომერციულ ხასიათს ატარებს (Haagerup, news.be).

გამოყენებითი პოზიტიური ფსიქოლოგიის მაგისტრი, კეტრინ გილდენსტედი, 2011 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ახალი ამბების ჟურნალისტიკის ინოვაცია პოზიტიური ფსიქოლოგიის საშუალებით“ საუბრობს, თუ რა მნიშვნელოვნად უარყოფით ემოციურ გავლენას ახდენს ახალი ამბების მომზადება და მოხმარება როგორც აუდიტორიაზე, ასევე

ჟურნალისტებზე. მკვლევრის მიერ ჩატარებულ კვლევაში 710-ი ადამიანი მონაწილეობდა. მონაწილეებმა წაიკითხეს ახალი ამბები კლასიკურ სტილში - უარყოფითი ვალენტობით და ხუთი ვარიანტიდან ერთ-ერთი, რომელიც ექვემდებარებოდა ექსპერიმენტულ მანიპულაციებს - პოზიტიური ფსიქოლოგიის პრინციპებზე დაყრდნობით, ენისა და ემოციური ვალენტობის ოდნავ შეცვლით. მონაწილეებმა, გავლენის გაზომვების საფუძველზე, მკვლევარს თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს. შედეგებმა დაადასტურა კლასიკური სტილის ახალი ამბების მავნე გავლენა და გამოიკვეთა მოსაზრება, რომ შეიძლება რამდენიმე პოზიტიური ახალი ამბავი დასჭირდეს ერთი უარყოფითი ისტორიის ემოციური გავლენის განეიტრალებას. ახალი ამბის დადებითი ვერსია უფრო ეფექტური აღმოჩნდა კარგი ემოციების გამოსაწვევად. ჟურნალისტის მკაცრი ეთიკის მიუხედავად, რომელიც მიზნად ისახავს ზიანის მინიმუმამდე დაყვანას, ახალი ამბები ხშირად უფრო მეტად ორიენტირებულია ზიანის მიყენებაზე, რაც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ფსიქიკაზე, კეთილდღეობაზე (Gyldensted, 2011).

მენტალურ ჯანმრთელობაზე ახალი ამბების გავლენის შესახებ არის საუბარი სტატიაში „კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ტექნიკის გავლენა განწყობაზე, ინფორმაციის აღქმასა და ნდობაზე“. ჟურნალისტიკა, მრავალ სხვა ინსტიტუტთან ერთად, დასავლეთის დემოკრატიებში ნდობის კრიზისს განიცდის. მართალია, კოვიდ 19-ის დაწყებიდან ნდობა იზრდება, მაგრამ Reuters Digital News-ის ანგარიშმა აჩვენა, რომ 46 ბაზარზე ჩატარებული კვლევის მონაწილეთა 50% ენდობა იმ ახალ ამბებს, რომლებსაც ისინი თავად უსმენენ და არა, ზოგადად, ახალ ამბებს. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ამბებისადმი ნდობა ნაკლებად უკავშირდება ახალ ამბებში წყაროების გამოყენებას, ახალი ამბებისადმი ნდობის ნაკლებობა ასოცირდება არამეინსტრუმული წყაროების გამოყენებასთან, მათ შორის ისეთი წყაროების, რომლებიც ავრცელებენ ყალბ ან/და მიკერძოებულ ამბებს. ასევე, როდესაც ახალი ამბების მთავარი წყაროებისადმი ნდობა მცირდება, იზრდება ახალი ამბების გავლენა განწყობასა და მენტალურ ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით COVID-19-ის პერიოდში. ავტორი კონსტრუქციული ჟურნალისტიკის მთავარ დანიშნულებად მიიჩნევს იმ პრობლემებთან გამკლავებას, რომლებსაც იწვევს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც, თავის მხრივ, აყალიბებენ ცრუ წარმოდგენებს და გავლენას ახდენენ მომხმარებელთა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე (van Antwerpen, 2022).

დეზინფორმაციის მარტივად და სწრაფად გავრცელების ეპოქაში საინფორმაციო საშუალებები სულ უფრო მეტად ექცევიან დაკვირვების ქვეშ. შეშფოთებას იწვევს საინფორმაციო მედიის უარყოფითი გავლენა მენტალურ ჯანმრთელობაზე, რაც კავშირშია ასევე აუდიტორიის მხრიდან ახალი ამბებით დაუინტერესებლობასა და მისდამი ნდობის შემცირებასთან. კვლევა, რომელიც ავსტრალიაში ჩატარდა (ექსპერიმენტში 238 ავსტრალიელი მონაწილეობდა) მიზნად ისახავდა, გაეზომა კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ეფექტები მკითხველის განწყობაზე, მის მიერ ინფორმაციის აღქმასა და მიღებული ინფორმაციისადმი ნდობაზე. გამოიკვეთა, რომ კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ელემენტებით შექმნილი სტატიის კითხვისას კვლევაში მონაწილე პირები უფრო მეტად იღებდნენ პოზიტიურ ემოციას, ვიდრე

ის მონაწილეები, რომლებიც იმავე თემაზე კონსტრუქციული მახასიათებლების გარეშე დაწერილ სტატიებს ეცნობოდნენ. თუმცა, ამ უკანასკნელებმა ინფორმაციის აღქმის კუთხით უფრო მაღალი შედეგი აჩვენეს, რაც მკვლევრებმა ნაწილობრივ მკითხველში ნეგატიური განწყობის არსებობას დაუკავშირეს. მიღებული ინფორმაციისადმი ნდობის კუთხით კი ჯგუფებს შორის დიდი სხვაობა არ გამოკვეთილა.

მკვლევრები უნი ფრომი და ნეტე კრისტენსენი სტატიაში - „კონსტრუქციული ჟურნალისტიკის გადახედვა მომსახურების ჟურნალისტიკის საშუალებით“ კონსტრუქციულ ჟურნალისტიკაზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ ეს არის კონცეფცია, რომელიც შემუშავებულია ახალი ამბების რედაქციის სპეციალისტების მიერ. ავტორების აზრით, ახალი ამბების შემქმნელებმა თავიანთი დომინანტური რეპორტაჟები კონფლიქტების შესახებ უნდა შეცვალონ უფრო კონსტრუქციული და გამოსავლის ძიებაზე ორიენტირებული რეპორტაჟებით. კონსტრუქციული ჟურნალისტიკის კვლევები შეზღუდულია და ხშირად ასოცირდება მოქმედების, გამოსავლის ძიებისა და მშვიდობის ჟურნალისტიკასთან. მოცემულ კვლევაში წარმოდგენილია ანალიზი, თუ როგორ შეუძლია კონსტრუქციულ ჟურნალისტიკას გადაჭრას პოლიტიკასთან დაკავშირებული კონფლიქტები.

კონსტრუქციული ჟურნალისტიკა, როგორც წესი, დაკავშირებულია ჟურნალისტიკის ახალ მიდგომებთან, რომელთა მეშვეობითაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური საკითხები შექდება, მაგრამ ამასთანავე მიიჩნევა, რომ იგი ასეთ რთულ საინფორმაციო თემებზე სტატიების წერის ტრადიციულ გზებს ეწინააღმდეგება. ჩვენ მიერ მოხმობილ სტატიაში შემოთავაზებულია კონსტრუქციული ჟურნალისტიკის გაგების განსხვავებული ჩარჩო. კონსტრუქციული ჟურნალისტიკა მრავალმხრივ ჰგავს მომსახურების (service) ჟურნალისტიკას და მის ქვესფეროებს, როგორებიცაა - ჟურნალისტიკა კულტურის, ცხოვრების წესისა და მოხმარების შესახებ. როგორც ჩანს, კონსტრუქციული ჟურნალისტიკა იყენებს ზოგიერთ მიდგომას ჟურნალისტიკის ამ უფრო „მსუბუქი სახეობებიდან“. მაგალითად, კონკრეტულ ჟანრებს, ჟურნალისტიკის როლს და, განსაკუთრებით, აუდიტორიისადმი მიმართვის გზებს.

სტატიაში მოცემულია არგუმენტირებული მსჯელობები იმის შესახებ, რომ როგორც მომსახურების (service), ისე კონსტრუქციული ჟურნალისტიკა წარმოადგენს ჟურნალისტიკის სოციალური როლის შეცვლილი აღქმისა და მძიმე (hard) და მსუბუქ (soft) ახალ ამბებს შორის არსებული საზღვრების ნელ-ნელა მოშლის მაგალითებს. კონსტრუქციული და მომსახურების ჟურნალისტიკის შედარებისას გამოიკვეთა, რომ მათ მინიმუმ ორი რამ აქვთ საერთო: მიმართვის შეცვლილი ფორმა და ახალი ამბების/ჟურნალისტიკის ფუნქციის/როლის შეცვლილი გაგება. კონსტრუქციული და მომსახურების ჟურნალისტიკა მიმართულია აქტიური, მიმდინარე პროცესებში ჩართული მომხმარებლებისადმი, რომლებიც ეძებენ რჩევებს, გზამკვლევს ქაოტურ სამყაროში, სადაც ადამიანებს სჭირდებათ, ფართო გაგებით, ხელმძღვანელობა. კონსტრუქციული და მომსახურების ჟურნალისტიკის მიდგომები კვეთს ერთმანეთს, რადგან ორივე აჩვენებს, რომ ჟურნალისტიკის როლი და აუდიტორიისადმი

მიმართვის ფორმები იცვლება. მთავარი განსხვავება მათ შორის არის ის, რომ მომსახურების ჟურნალისტიკა ასოცირდება „რბილ“ ახალ ამბებთან (სოფტ ნიუსებთან), ხოლო კონსტრუქციული ჟურნალისტიკა - მძიმე ახალ ამბებთან (ჰარდ ნიუსებთან). აღსანიშნავია ისიც, რომ კონსტრუქციული ჟურნალისტიკის განვითარება დაიწყო არა პოპულარულ ან ტაბლოიდურ პრესაში, არამედ (დანიურ) საჯარო სამსახურის მედიაში. სტატიის ავტორები ამტკიცებენ, რომ კონსტრუქციული ჟურნალისტიკა უნდა განიხილებოდეს მისი პოზიტიური და პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული ხედვით, როგორც მიდგომა, რომელიც აერთიანებს ელემენტებს, რომლებიც ხშირად ასოცირდება მომსახურების ჟურნალისტიკასთან, თუნდაც მიმართვის ფორმით და „ჰარდ“ ნიუსებთან ასოცირებული სოციალური თემებით. აღნიშნული კი მაგალითია იმისა, თუ როგორ იშლება ზღვარი ჟურნალისტურ პრაქტიკაში მსუბუქ და მძიმე ამბებს შორის (From, 2018).

როგორც მოვლენების გაშუქების შედარებით ახალი მიდგომა, კონსტრუქციული ჟურნალისტიკა ცდილობს იყოს სოციალურად პასუხისმგებლიანი და ზუსტ კონტექსტში გააშუქოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხები, სენსაციების გაღვივებისა და ნეგატიურობისთვის ზედმეტი მნიშვნელობის მინიჭების გარეშე. მედიის მიკერძოებულობის წინააღმდეგ ბრძოლის გარდა, კონსტრუქციული ჟურნალისტიკა აკრიტიკებს ახალი ამბების გაშუქების ტრადიციულ მიდგომებს, მათ შორის: „ზემოდან ქვემოთ“ ახალი ამბების გაშუქებას, ასევე მრავალფეროვნებისა და მეინსტრიმულ მედიაში ასახულ შეხედულებებში დეტალიზების ნაკლებობას.

კონსტრუქციული ჟურნალისტიკის მიმართ არსებული კრიტიკული თვალსაზრისები ემყარება შემდეგ არგუმენტებს: თავად ამ ფენომენის განმარტების ბუნდოვანებას, მის ასოცირებას აქტივიზმთან და გადამეტებულ პოზიტიურობასთან, შესაბამისად, კრიტიკულობის ნაკლებობას. თავის მხრივ, კონსტრუქციული ჟურნალისტიკის მომხრეებმა უარყვეს ბრალდება კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ზედმეტად პოზიტიურობის თაობაზე.

კრიტიკის მიუხედავად, კონსტრუქციულმა ჟურნალისტიკამ პოპულარობა უკვე მოიპოვა და ცნობილი მედიასაშუალებები იყენებენ კონსტრუქციულ მეთოდებს. კონსტრუქციული ჟურნალისტიკის განმარტების მიუხედავად, თეორიული ნაშრომიდან შეიძლება რამდენიმე ემპირიულად გადამოწმებადი განცხადების გამოტანა. ჰერმანისა და გილდენსტედის (Hermans L. G. C., 2019) მიერ აღწერილი მოვლენების კონსტრუქციული გაშუქების მეთოდები ზრდის ნდობას ახალი ამბების მიმართ, აუმჯობესებს განწყობას (ან ამცირებს ახალი ამბების უარყოფით გავლენას განწყობაზე) და ზრდის მომხმარებელთა აღქმის სიზუსტეს.

ტანჯა აიტამურტო და ანიტა ვარმა ნაშრომში - „ჟურნალისტიკის კონსტრუქციული როლი“, საუბრობენ კონსტრუქციული, „გამოსავლის მაძიებელი“, ჟურნალისტიკის ნორმატიულ როლზე, რაც შედეგზე ორიენტირებული ჟურნალისტიკის მეტაჟურნალისტური დისკურსის ანალიზის საფუძველზე გახდა შესაძლებელი. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ კონსტრუქციული და „გამოსავლის მაძიებელი“ ჟურნალისტიკის განსაზღვრება ანალოგიურია - ორივე აღიარებს ტრადიციულ ანგლო-საქსონურ ჟურნალისტურ ნორმებსა და

პრაქტიკას მაშინაც კი, როდესაც ფოკუსი პრობლემებიდან გამოსავალზე გადააქვთ. მეტა-ჟურნალისტიკური დისკურსი მიუთითებს ჟურნალისტიკის ნორმატიულ როლებთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ამავე დროს, კონსტრუქციული ჟურნალისტიკის მომხრეები რეგულარულად შორდებიან საზოგადოებრივი სიკეთეების ადვოკატირებას და ამტკიცებენ, რომ ობიექტურად აშუქებენ გადაწყვეტილებებს, მათი გამართლების (დამტკიცების) გარეშე. ეს სტრატეგიული რიტორიკა მიუთითებს, რომ ეს არის მცდელობა, მკაფიო ხაზი გაივლოს კონსტრუქციულ ჟურნალისტიკასა და ადვოკატირებას შორის, ხოლო კონსტრუქციული ჟურნალისტიკა განთავსდეს ჟურნალისტიკის ტრადიციული მონიტორინგის როლის ფარგლებში. კონსტრუქციული ჟურნალისტიკის მეტადისკურსი ავლენს ფრთხილ მიდგომას თავისი ნორმატიული კონსტრუქციული როლის აღიარების თვალსაზრისით, რომლითაც ცდილობს დაეხმაროს საზოგადოებას (Aitamurto & Varma, 2018).

ახალი ამბები ხშირად ფოკუსირებულია პრობლემებზე, კრიზისებსა და ნეგატიურობაზე (Galtung and Ruge 1965; Harcup and O' Neill 2001). ამ ვითარებამ გამოიწვია სპეციალისტებისა და მეცნიერების შემფოთება, რადგან ნეგატიურობა იწვევს აუდიტორიის იმედგაცრუებას (Krüger 2017). ამ შემფოთების ფონზე, გამოსავალზე ორიენტირებულმა მიდგომებმა ბოლო წლებში განახლებული იმპულსი შეიძინა ევროპასა და შეერთებულ შტატებში, სადაც კონსტრუქციული ჟურნალისტიკა, ასევე - „გამოსავლის მაძიებელი ჟურნალისტიკა“ გაჩნდა ჟურნალისტიკის ფორმად, რომელიც მიზნად ისახავს პოზიტიური სოციალური გავლენის შექმნას (Gyldensted 2015; Haagerup 2014; McIntyre 2015). ამ ამოცანის შესრულებას იგი ცდილობს პრობლემის შესახებ საზოგადოების ინფორმირებით და ამ პრობლემების გადაჭრის კონკრეტული, ეფექტური გზების შემოთავაზებით (Gans 2011; Varma 2017). ეფუძნება რა სოციალური პროგრესის შესაძლებლობას, კონსტრუქციული ჟურნალისტიკა ყურადღებას ამახვილებს საზოგადოების პრობლემების გადაჭრისკენ მიმართულ ინიციატივებზე.

კონსტრუქციული როლის ძირითად ასპექტებს წარმოადგენს: სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე ფოკუსირება, სოციალური პროგრესის იდეალისადმი რწმენა, იმედისმომცემი რეპორტაჟები, მიმდინარე პროცესებში ჩართულობის მაღალი დონე და ჟურნალისტიკის ადამიანური სახის წარმოჩენა. მას კრუგერი (2017) უწოდებს "ცვლილების აგენტს". კონსტრუქციულობა მოიცავს ჟურნალისტიკური სფეროების ფართო სპექტრს, როგორებიცაა: ადვოკატირების ჟურნალისტიკა, გავლენის ჟურნალისტიკა, ინსპირაციული ჟურნალისტიკა, მომავალზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა, ტრანსფორმაციული ჟურნალისტიკა, განვითარების ჟურნალისტიკა და ემანსიპაციის ჟურნალისტიკა. ჟურნალისტიკა იშვიათად ჯდება ერთ ნორმატიულ კატეგორიაში, მაგრამ ამ კატეგორიების გამოიჯენა და კონცეპტუალურად განვითარება სასარგებლოა სხვადასხვა ტიპის ჟურნალისტიკის ძირითადი მოტივებისა და მისწრაფებების გასაგებად.

განსხვავებულ და საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობენ მკვლევრები: ნატაშა ვან ანტვერპენი, დებორა ტერნბული და რეიჩელ ა. სირსტონა ნაშრომში: „კონსტრუქციული რეპორტაჟების გამოყენება და უპირატესობები დეზინფორმაციასთან ბრძოლაში“. კვლევის

ავტორების აზრით, დეზინფორმაციის გავრცელება თანამედროვე საინფორმაციო გარემოში ხელს უწყობს პოლარიზაციის ზრდას და ინსტიტუტებისა და ჟურნალისტების მიმართ ნდობის შემცირებას. ეს კი თავისთავად განაპირობებს დეზინფორმაციის გავრცელებას. დიდი ყურადღება ექცევა მედიის როლს დეზინფორმაციის გავრცელებასა და ათვისებაში, ასევე ჟურნალისტებისა და საინფორმაციო ორგანიზაციების როლს დეზინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში. მკვლევრები მიიჩნევენ, რომ კონსტრუქციული ჟურნალისტიკა შედარებით ახალი მიდგომაა, რომელიც სხვა ამოცანებთან ერთად, მიზნად ისახავს აუდიტორიის ჩართულობის გაზრდას, პოლარიზაციის შემცირებასა და მოვლენების უფრო ზუსტ ხედვას. ავტორებმა 2020 წლის დასაწყისში გამოკითხეს სხვადასხვა ქვეყნის 16 ჟურნალისტი, რათა შეესწავლათ მათი აღქმა "კონსტრუქციული" სტრატეგიების გამოყენების შესახებ დეზინფორმაციის გავრცელების აღმოსაფხვრელად. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კონსტრუქციული ჟურნალისტიკა შეიძლება იყოს პერსპექტიული მიდგომა დეზინფორმაციის გავრცელებისა და მისი შედეგების აღმოსაფხვრელად. კონსტრუქციული ჟურნალისტიკა ამცირებს დეზინფორმაციის გავრცელებას და "პოსტ-სიმართლესთან" დაკავშირებულ პრობლემებს, ასევე ხელს უწყობს ჟურნალისტიკისა და საინფორმაციო მედიის მიმართ ნდობის აღდგენას. კვლევის ავტორები და კვლევაში მონაწილე ჟურნალისტები თანხმდებიან, რომ კონსტრუქციული ჟურნალისტიკა არის ახალი მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს იყოს უფრო ყოვლისმომცველი და მრავალფეროვანი, სთავაზობდეს აუდიტორიას პრობლემის გადაჭრის გზებს, გამოსავალს და ასევე ამცირებს დეზინფორმაციის გავრცელების საფრთხეს (van Antwerpen, Turnbull, & Searston, 2022).

ჟურნალისტიკის, კომუნიკაციისა და წარმოების პროფესიების სწავლებაში სპეციალიზებული მასმედიის უმაღლესი ინსტიტუტის (ISCPA) ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ბლოგ-პოსტში საუბარია კონსტრუქციულ ჟურნალისტიკასა და მის როლზე. ჟურნალისტიკის ფუნქციაა ინფორმაციის კვლევა და პოპულარიზაცია ისე, რომ გასაგები და ხელმისაწვდომი გახდეს რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის, იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი მოვლენების მიმართ.

ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი, ალბერტ ლონდრესის მოსაზრების მიხედვით, „ჭრილობაში კალმის ჩარჭობის“ სურვილით, ჟურნალისტები საკმაოდ ხშირად ჩაიციკლებიან ხოლმე პირქუშ ამბებზე - ტერორისტული თავდასხმების, ომების, სტიქიური უბედურებებისა და მსგავსთა შესახებ, რის გამოც, ზოგჯერ ყველაზე მნიშვნელოვანს უშვებენ ხელიდან. გადაწყვეტილებების ჟურნალისტიკა, რომელსაც ასევე უწოდებენ გავლენის ჟურნალისტიკას ან კონსტრუქციულ ჟურნალისტიკას, ზუსტად იმისთვის არსებობს, რომ ჩაერიოს, დაადგინოს გარკვეული ბალანსი, ხაზი გაუსვას იმას, რომ ჭიქა ნახევრად სავსეა!

რეალობის შენიღბვის, ან კიდევ სრულყოფილი სამყაროს შთაბეჭდილების შექმნის მცდელობებისგან განსხვავებით, გადაწყვეტილებების ძიების ჟურნალისტიკა მიზნად ისახავს აჩვენოს, რომ სურათი არ არის მთლიანად „შავი“ და რომ არსებობს ინიციატივები და ქმედებები, რომლებიც იმსახურებენ ჩვენს ყურადღებას. Guardian-ი, რომელმაც 2016 წელს

შემოგვთავაზა რუბრიკა - „ნახევრად სავსე“, ქვესათაურით: „გადაწყვეტილებები, ინოვაციები, პასუხები“, საუბრობს გადაწყვეტილებების მაძიებელ ჟურნალისტიკაზე და მას განსაზღვრავს როგორც გზას უკეთესობისკენ: „ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ სამყარო. ეს არის არა „კარგი ამბების“ ჟურნალისტიკა, არამედ „კონსტრუქციული ჟურნალისტიკა, რომელიც ფოკუსირებულია გადაწყვეტილებების მიღებასა და საზოგადოების კითხვებზე პასუხების მოძიებაზე. თუმცა, ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ამგვარი მიდგომა მოძიებულ ინფორმაციას არ წარმოადგენს როგორც უტყუარ მტკიცებულებას, არამედ როგორც ალტერნატიულ ხედვებს“ (ISCPA, n.d.).

გადაწყვეტილებების მაძიებელი ჟურნალისტიკა ცდილობს, ერთი მხრივ, გააღვივოს საზოგადოების ინტერესი მხოლოდ იმ ტრაგედიებზე ფოკუსირების გარეშე, რომელსაც მსოფლიო განიცდის და, მეორე მხრივ, გააღვივოს იმავე საზოგადოებისა და მისი სამოქალაქო, პოლიტიკური, გარემოსდაცვითი და ა.შ. ჩართულობა, კონსტრუქციულ ინიციატივებთან დაკავშირებული ცოდნის გავრცელების გზით, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტულ პასუხებს სოციალურ, ეკონომიკურ თუ ეკოლოგიურ პრობლემებზე, სრულიად ობიექტური და მიუკერძოებელი გზით.

ფრანგული ასოციაციის, Reporters d'Espoirs - „იმედის ჟურნალისტების“ - ოფიციალურ ვებგვერდზე სხვადასხვა საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით კონსტრუქციული ჟურნალისტიკის შესახებ. ერთ-ერთ სტატიაში: „გამოსავლის ჟურნალისტიკა: რაზე ვსაუბრობთ?“ ვეცნობით „იმედის ჟურნალისტების“ მიერ შემოთავაზებულ განმარტებებს კონსტრუქციული ჟურნალისტიკის არსისა და მიზნების შესახებ: „გამოსავლის ჟურნალისტიკა მიმართულია იმ ინიციატივების ანალიზისა და მათ შესახებ ცოდნის გავრცელებაზე, რომლებიც გვაძლევენ კონკრეტულ, რეპროდუქციულ პასუხებს სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ პრობლემებზე“ (Reporters d'Espoirs, n.d.).

სტატიაში გამოყოფილია კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ხუთი მთავარი კრიტერიუმი, როგორებიცაა:

პრობლემის ახსნა და მისი მიზეზები (კონტექსტუალიზება);

პრობლემაზე პასუხის პრეზენტაცია (ინიციატივა);

პრობლემის გადაჭრის პროცესის თხრობა, „როგორ გავაკეთეთ ეს“ (გადაჭრის პროცესი);

პასუხით მიღებული შედეგების პრეზენტაცია (ზემოქმედება);

პასუხის საზღვრების პრეზენტაცია და ახსნა (კრიტიკული სახე).

ასოციაციის წევრები მიიჩნევენ, რომ „გადაწყვეტილების ჟურნალისტიკა“, უპირველეს ყოვლისა, არის პროფესიული საქმიანობა, რომელიც ანალიზებს პრობლემურ სიტუაციას. იგი ორიენტირებულია კონკრეტული და საბოლოო პასუხების მოძიებაზე.

კონსტრუქციული ჟურნალისტიკა ეს არის მეთოდი, რომელიც არ გულისხმობს რაიმე კონკრეტულ იდეოლოგიურ პოზიციას, ეკონომიკური თუ სოციალური აზროვნების ჩამოყალიბებას. იგი გვთავაზობს პასუხებს სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით

პრობლემებზე. მას შეუძლია შთააგონოს ადამიანები და მათ მოქმედების სურვილიც აღუძრას. როდესაც Reporters d'Espoirs-მა 2004 წელს შემოგვთავაზა ცნება „გადაწყვეტილების ჟურნალისტიკა“, ზოგიერთებმა კონსტრუქციული მიდგომა შეადარეს „სასიხარულო ამბების გაზეთს“, „პატარა ქმედებებს, რომლებიც გულს ბალზამად ედება“. თუმცა, მიდგომა, რომელსაც „იმედის რეპორტიორები“ აუდიტორიას სასიამოვნო, არაფრისმომცემი ინფორმაციების ნაცვლად სთავაზობდნენ, იყო შეთავაზება ინიციატივებისა, რომლებიც ნამდვილად გვაძლევენ პასუხებს იმ პრობლემებზე, სირთულეებზე, რომლებსაც აწყდებიან ადამიანები, საზოგადოებები.

როგორც აღვნიშნეთ, კონსტრუქციული ჟურნალისტიკა სულაც არ გულისხმობს განუსაზღვრელ პოზიტივიზმსა და იმის მტკიცებას, რომ ყველაფერი კარგადაა; და არც პრობლემების, სირთულეების, კატასტროფების არსებობის უარყოფას, არამედ პასუხების იდენტიფიცირებასა და გასაჯაროებას, რაც ხელს უწყობს პრობლემის გადაჭრასა და გადაწყვეტილებების მიღებას (Reporters d'Espoirs, n.d.).

საბოლოოდ, უნდა აღვნიშნოს, რომ კონსტრუქციული ჟურნალისტიკა განვითარდა ორ განსხვავებულ ხედვაზე დაყრდნობით - ჟურნალისტების, გილდენსტედისა (Gyldensted, 2015) და ჰააგერუპის (Haagerup, 2017) ნაშრომებში. გილდენსტედის (2015) მიდგომა ეყრდნობა პოზიტიურ ფსიქოლოგიას, მათ შორის PERMA მოდელს ან „კეთილდღეობის თეორიას“ (McIntyre and Gyldensted, 2017) და ფრედრიკსონის (2001) „გაფართოებისა და მშენებლობის თეორიას“. ჰააგერუპის მიდგომა უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებს კოგნიტურ ევრისტიკასა და მიკერძოებაზე, მეტ აქცენტს აკეთებს „სიმართლის ყველაზე ხელმისაწვდომი ვერსიის“ წარმოჩენაზე (Rosling, Rosling, & Ronnlund, 2018) და ჟურნალისტიკაში შერჩევისა და სარედაქციო პროცესების შეცვლაზე.

ორივე ხედვას ბევრი მსგავსება აქვს - ორივესთვის მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების ძიება, კონტექსტი და დემოკრატიული საუბრის ხელშეწყობა. კონსტრუქციულ ჟურნალისტიკას ხშირად აიგივებენ გადაწყვეტილებების მიმღებ ჟურნალისტიკასთან. აღნიშნული ტერმინი ხშირად გამოიყენება შეერთებულ შტატებში (Lough & McIntyre, 2021). თუმცა, მეცნიერთა ნაწილის აზრით, უმჯობესია, გადაწყვეტილებების მიმღები ჟურნალისტიკა განვიხილოთ უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ქვეჯგუფად ან მის ფორმად (Lough & McIntyre, 2021; McIntyre & Gyldensted, 2017).

ბიბლიოგრაფია

Laugee, F. (2014). Le journalisme de solutions. *La Revue européenne des médias et du numérique*, 58-60.

Haagerup, U. (2018, July 12). Qu'est ce que le « journalisme constructif » ? (F. H. dignity, Interviewer)

- Muco, V. (2022, December 13). Medialatitudes. Retrieved from LATITUDES: <https://medialatitudes.be/journalisme-constructif-nous-entendons-combattre-la-banalisation-et-la-degradation-du-metier/>
- Haagerup, U. (n.d.). new6s.be. Retrieved from NEW6S Les acteurs de l'info constructive : <https://new6s.be/a-propos/le-journalisme-constructif/>
- van Antwerpen, N. S. (2022). The effects of constructive journalism techniques on mood, comprehension, and trust. *Journalism*, <https://doi.org/10.1177/14648849221105778>.
- From, U. &. (2018). Rethinking Constructive Journalism by Means of Service Journalism. *Journalism Practice*, 714-729 <https://doi.org/10.1080/17512786.2018.1470475>.
- Hermans L, G. C. (2019). Elements of constructive journalism: Characteristics, practical application and audience valuation. *Journalism*, 535–551.
- Aitamurto, T., & Varma, A. (2018). The Constructive Role of Journalism: Contentious metadiscourse on constructive journalism and solutions journalism. *Journalism Practice*, DOI:10.1080/17512786.2018.1473041.
- van Antwerpen, N., Turnbull, D., & Searston, R. (2022). Perspectives from Journalism Professionals on the Application and Benefits of Constructive Reporting for Addressing Misinformation. *The International Journal of Press/Politics*, DOI:10.1177/19401612211072782.
- ISCPA. (n.d.). Retrieved from ISCPA: <https://www.iscpa-ecoles.com/journalisme-solutions/>
- Reporters d'Espoirs. (n.d.). Retrieved from Reporters d'Espoirs: <https://reportersdespoirs.org/sojo/definition/>
- Fink, K. (2014). The rise of contextual journalism, 1950s-2000s. *Journalism*.
- McIntyre, K. (2017). Solutions Journalism The effects of including solution information in news stories about social problems. *Journalism Practice*, 16-34.
- ორგენსენი, ქ. ლ. (2022, February 3). 1tv.ge. Retrieved from 1tv.ge Web site: <https://cdn.1tv.ge/app/uploads/2022/02/1643887263-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9F%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83>
- Benesh, S. (1998). The rise of solutions journalism . *Columbia Journalism Review*, 36-39.
- McCOMBS, M. e. (1972). The agenda-setting function of mass media. *Public Opinion*, 176-187.

- Hermans L, D. N. (2018). Elements of constructive journalism: Characteristics, practical application and audience valuation. *Journalism* , 679–694.
- Galtung, J. a. (1965). The Structure of Foreign News: The Presentation of the Congo, Cuba and Cyprus Crises in Four Norwegian Newspapers.”. *Journal of Peace Research*, 64-90.
- Harcup, T. a. (2001). “What is News? Galtung and Ruge Revisited.” . *Journalism Studies*, 261-280.
- Krüger, U. (2017). “Constructive News: A New Journalistic Genre Emerging in a Time of Multiple Crises. In W. Hofkirchner, & M. Burgin, *The Future Information Society: Social and Technological Problems* (pp. 403–422). Singapore: World Scientific Publishing Co.
- Gyldensted, C. (2015). *From Mirrors to Movers: Five Elements of Positive Psychology in Constructive Journalism*. Philadelphia: CreateSpace Independent Publishing Platform.
- Haagerup, U. (2014). *Constructive Journalism: Why Negativity Destroys the Media and Democracy – And How to Improve Journalism of Tomorrow*. Rapperswil: InnoVatio Publishing.
- McIntyre, K. (2015, June 23). University Libraries. Retrieved from UNC: <https://cdr.lib.unc.edu/concern/dissertations/rn3012085>
- Varma, A. (2017). “When Empathy Is Not Enough: The Possibilities for Solidarity in the San Francisco Homeless Project. *Journalism Practice*, 1-17 doi:10.1080/17512786.2017.1394210.
- Gans, H. J. (2011). “Multiperspectival News Revisited: Journalism and Representative Democracy. *Journalism*, 3-13.
- Rosling, H., Rosling, O., & Ronnlund, A. (2018). *Factfulness: Ten Reasons We're Wrong About The World - And Why Things Are Better Than You Think*. Hodder and Stoughton.
- Lough, K., & McIntyre, K. (2021). A systematic review of constructive and solutions journalism research. *Journalism*, <https://doi.org/10.1177/14648849211044559>.
- McIntyre, K., & Gyldensted, C. (2017). Constructive journalism: An introduction and practical guide for applying positive psychology techniques to news production. *The Journal of Media Innovations*, doi:10.5617/jomi.v4i2.2403.
- Fredrickson, B. (2001). The role of positive emotions in positive psychology. The broaden-and- build theory of positive emotions. . *The American psychologist*, doi:10.1037//0003-066x.56.3.218.

Constructive journalism as an alternative to sensationalism - specifics and tasks

Abstract

A well-made news story, as we know, must meet five criteria: urgency, importance, identification, sensation and conflict. However, it is obvious that the audience for "good news" prepared by these criteria is decreasing day by day. Why? The answer is simple - the journalist loses confidence. That is why the mentioned criteria have often become the subject of wide discussion. This reality gave impetus to the formation of a new vision, according to which a well-made news story should not lose viewers, but should strengthen trust between the media and citizens. Only such a model of journalism can strengthen the democratic dialogue and promote the unity of the society.

Solution journalism can be considered a contextual function of journalism, a more fundamental type of journalism, which is also referred to as "interpretive reporting, in-depth reporting, feature journalism, explanatory reporting, and analytical reporting" (Fink, 2014). Decision journalism can also be placed in a similar but more specific category called constructive journalism, which "involves applying positive psychology techniques to news work to create more productive, engaging stories that are true to the core functions of journalism" (McIntyre, 2017). McIntyre describes constructive journalism as a "continuum" rather than a dichotomy. Shifts emphasis from "straightforward" reporting styles (peace vs. conflict, oppressor vs. oppressed) to comprehensive investigative reporting.

"Constructive journalism is a response to the increasing tabloidization, sensationalism and negative bias of modern media news" (Jorgensen K. L., Risbrough I., 2021). The negativity bias reinforces the natural human tendency to assign more value to a negative story than to a positive one. In addition, it is known that a negative story has a greater impact on a person and remains in the mind for a long time. Social psychology studies this phenomenon.

As a result, modern journalists who have to develop against "fake news" and the so-called In the post-reality era, the world is increasingly criticized for negative news coverage. The solution is constructive journalism, which will allow the modern media to regain the trust of the public, as it will offer it a way to find a solution to the problem

Key words: constructive journalism, solution journalism, positive psychology.

Clinical and Immunological Study of the Effectiveness of the Medications, Lazolex and Zovirax, during the Complex Treatment of Chronic Recurrent Herpetic Stomatitis

Mariam Gogotishvili¹, Mzia Bakradze², Fridon Japaridze³, Nino Gogebashvili⁴, Tinatin Gorgiladze⁵

¹Assistant Professor, Batumi Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia

ORCID ID: 0009-0003-5232-0516; ²Professor, Department of Stomatology, Batumi Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia, ORCID ID:0009-00091516-1548 ³Assistant Professor, Department of Stomatology,

Batumi Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia. ORCID ID:0000-00033680-1566; ⁴Assistant Professor, Department of Periodontology and Oral Mucosal Diseases, Tbilisi State Medical University; V.

Bakhutashvili Institute of Medical Biotechnology, Tbilisi, Georgia

ORCID ID: 0009-0002-3323-3903; ⁵Assistant Professor, Department of Stomatology, Batumi Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia.

Abstract

At present, our country continues intensive research to find and introduce into practice new natural medicinal preparations made from ecologically pure endemic plants of Georgia. An example of such an agent in the Iveria-Pharma company is a Georgian medication - LAZOLEX (extract of the pericarpium of an unripe walnut), which has passed the necessary preclinical tests and now is used as an antiherpetic agent. We found positive immunotropic effects of Lazolex on healthy volunteers. Therefore, we considered it necessary to study the antiviral effects of the drug and its immunomodulatory properties in a clinical setting, specifically its effect on chronic herpetic stomatitis.

First of all, it was shown that the immune system status of the patients was in an apparent correlation with the severity of the course of herpes stomatitis, i.e. the most severe immunosuppression was recorded in patients with severe stomatitis. It should be noted that this medication not only doubles the efficiency of the results of antiviral treatment but also serves as an immune restoration agent in patients with herpetic stomatitis.

As a result of a parallel study of Zovirax and Lazolex, a high clinical activity of both drugs was recorded. However, the presence of pronounced immunocorrective properties of Lazolex manifested itself in an improvement of the quality of patient treatment: active tissue regeneration and a significant decrease in the timing of exacerbation of local herpetic lesions, an increase in the duration of remission. Conducted clinical, laboratory, and immunological studies allow us to recommend Lazolex for active use in dental practice for viral diseases.

Keywords: Herpetic stomatitis, Zovirax, Lazolex, Antiviral, and immunocorrective effect.

Introduction: Diseases of the mucous membrane of the oral cavity are most often of viral origin. 38% of them appear to be herpes stomatitis [Abashidze N. 2005; Mackenzie-Dyck et al., 2015]. Despite the great variety of drugs available nowadays, the recurrence rate of herpes stomatitis is increasing. It is established that exacerbation of chronic recurrent herpetic stomatitis is associated with undesirable changes in the immune status, which is why it is often advisable to include immunomodulating medications in the treatment plan [Jouanguy E. et al., 2020; Carter, S.B. et al., 2016]. However, on the one hand, the existence of resistant forms of the disease to various antiviral drugs should be taken into account, because of the anatomical and physiological features of the oral mucosa and, on the other hand, the pathogenetic mechanism of the spread of the disease. All of the above puts on the agenda the need to develop more effective approaches for the treatment of herpes stomatitis [Boeckh M. et al., 2017; V.A. Isakov e. al.,2015].

Based on the extensive experience in the production of medicinal products made from different components of walnut in the medicine of several countries, the pharmaceutical company "Iveria Pharma" developed the medication - LAZOLEX GEL containing the extract of the pericarpium of unripe fruits of walnut. Biologically active substances of plant origin contained in the extract are characterized by a wide range of antimicrobial activities. This is confirmed by the results of experimental studies (in-vitro studies based on standard tests on strains of bacteria and fungi) against the main pathogens. They are as follows: Staphylococcus Epidermidis, Staphylococcus aureus, Streptococcus Pyogenes, Pseudomonas Aeruginosa, Salmonella typhimurium, Propionibacterium acnes, Aspergillus niger, Malassezia furfur, Candida Ablicans, Trichophyton Rubrum. The antiviral activity of the drug has been identified in the culture of herpes simplex virus type I (HSV-1), and also, in-viva studies on herpes infection models in mice [N. Alavidze et al.,2013; www.iveriapharma.com].

Based on the above, we aimed to find out if the medication would be effective in the treatment of lesions of the oral mucosa, particularly during herpetic stomatitis, and study it in dental settings.

Materials and methods

To achieve the set goals, we examined and treated 54 patients aged 19 to 55 with Chronic Recurrent Herpetic Stomatitis. We divided the examined patients with **CRHS** into 2 groups. We enrolled 27 (50%) patients in each group. We treated the patients of both groups with the same treatment plan, with the difference that we used a 5% gel of Lazolex in the topical treatment plan of the patients of the main group, and a 5% cream of Zovirax in the control group.

For patients with mild and moderate forms of CRHS, we provided only topical treatment, and for etiologic therapy, we prescribed a topical application of Lazolex 5% protective gel 3-4 times a day to




ნახ. 2. სხვადასხვა ტიპის ვაგონების გამოყენების პროცენტული წილი რკინიგზის პროდუქციის შექმნაში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვაგონის მწარმოებლურობის გაზრდის მრავალი ხერხი, მეთოდი და საშუალება არსებობს. მათ შორის ძირითადია: ვაგონის საშუალო დატვირთვის ამალეობა, ვაგონის ცარიელი გარბენის შემცირება, მატარებელთა მოძრაობის საუბნო სიჩქარის გაზრდა, ვაგონის მოცდენების შემცირება დაცლა-დატვირთვისა და ტექნიკურ სადგურებში.

ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან ვაგონცისტერნების მწარმოებლურობის ასამალეობლად, ჩვენ გვესახება უპირველეს ყოვლისა, მატარებელთა მოძრაობის სიჩქარის გაზრდა, ასევე მატარებელნაკადების შემჭირდოება, მოძრაობის გრაფიკის ოპტიმიზაცია - სრულყოფა, გრაფიკში ძირითადი „მაფების“ გამოყოფა და სხვ. რაც შეეხება ვაგონთა მოცდენების შემცირებას დაცლა-დატვირთვისა და ტექნიკურ სადგურებში, ამ ღონისძიებების გატარება საქართველოს რკინიგზის პირობებში, ფაქტიურად შეუძლებელია. საიმპორტო ტვირთნაკადით მოსული ნავთობი და ნავთობპროდუქტები საქართველოს ტერიტორიაზე იტვირთება და იცლება ძალიან მცირე მოცულობით (ნავთობბაზებში ადგილობრივი გადაზიდვებისათვის). რადგანაც ისინი მიეკუთვნებიან საშიში ტვირთების კატეგორიას, მათი დამუშავების ტექნოლოგიური პროცესი ხორციელდება მკაცრად დაცული ნორმებით. ტექნიკურ სადგურებში მოცდენების შემცირების კუთხით, შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი: საქართველოს რკინიგზის მთავარ მიმართულებაზე (თბილისი-ბათუმი) განლაგებულია ოთხი ტექნიკური სადგური: თბილისი, ხაშური, ზესტაფონი, სამტრედია. ხაშური-ზესტაფონის უბნის ურთულესი პროფილის გამო, მკაცრად არის დაცული მატარებელთა დამუშავების ტექნოლოგიური პროცესები ხაშურისა და ზესტაფონის სადგურებში, ხოლო დანარჩენ სადგურებში შესაძლებელიც რომ იყოს ტექნოლოგიური დროების შემცირება, ეს სიდიდე იმდენად მცირე იქნება, რომ საგრძნობ გავლენას ვერ მოახდენს ვაგონის მწარმოებლურობის

ამაღლებათ. რაც შეეხება ვაგონის საშუალო დატვირთვის ამაღლებასა და ცარიელი გარბენის შემცირებას, ეს ღონისძიებები ჩვენ პირობებში ვაგონცისტერნებისათვის ფაქტიურად გამოუსადეგარია.

ჩატარებული ანალიზის მიხედვით საქართველოს რკინიგზის პირობებში ნახევარვაგონების ჩართულობა სხვადასხვა სახის ტვირთნაკადში ასეთია: ტრანზიტ - 39,88 %, იმპორტი - 19,24 %, ექსპორტი - 16,58 % და ადგილობრივი 24,30 %.

სადგურ ფოთში, ბათუმსა და ახალქალაქში, ნახევარვაგონებში დატვირთულ ტრანზიტულ და იმპორტულ ტვირთებზე შეიძლება განხორციელდეს ნახევარვაგონების მწარმოებლურობის ამაღლების ღონისძიებები, ხოლო საქსპორტო და ადგილობრივ ტვირთნაკადში ჩართულ მარშრუტებზე, ამ ღონისძიებების განხორციელება შესაძლებელია შეუზღუდავად (რასაკვირველია სადაც ამ ღონისძიებების გატარება იქნება შესაძლებელი).

ნახევარვაგონების მწარმოებლურობის ამაღლების ღონისძიებების განხილვისას, ის შეზღუდვები რაც მიღებული იყო ვაგონცისტერნებისთვის, აქაც ვრცელდება, მაგრამ აქ შესაძლებელია დამატებით გამოყენებული იქნას ისეთი ღონისძიებები (განსხვავებით ვაგონცისტერნებისაგან), როგორცაა ვაგონის საშუალო დატვირთვის ამაღლება და ცარიელი გარბენის შემცირება.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი:

– საქართველოს რკინიგზის გადაზიდვით პროცესში მონაწილეობს ოთხი სახის ტვირთნაკადი, ტრანზიტ, იმპორტი, ექსპორტი და ადგილობრივი; ამასთან, სატრანზიტო და საიმპორტო ტვირთნაკადები შეადგენენ მთლიანი ტვირთნაკადის დაახლოებით 80%-ს;

– ამ ოთხი სახის ტვირთნაკადის გადაზიდვაში მონაწილეობას იღებს საქართველოს რკინიგზის სატვირთო სავაგონო პარკის 9 ტიპის ვაგონი: დახურული, ბაქანი, ნახევარვაგონი, ვაგონცისტერნა, რეფრიჟერატორი, დუმპკარი, ცემენტშიდი, კონტეინერშიდი და მარცვალშიდი. გადაზიდვების 43,28% ხორციელდება ვაგონცისტერნებით, 30,25% ნახევარვაგონებით, 13,83% მარცვალშიდებით; სხვა ტიპის ვაგონების წილი გადაზიდვებში ისეთი მცირეა, რომ შეიძლება მათი ფაქტორის უგულვებელყოფა;

– სატვირთო ვაგონის მწარმოებლურობის გაზრდის მიზნით, ვაგონცისტერნებისათვის გვესახება ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორცაა მატარებელთა მოძრაობის სიჩქარის ზრდა, მატარებელნაკადების შემჭიდროება და მოძრაობის გრაფიკის ოპტიმიზაცია. ნახევარვაგონების მწარმოებლურობის გაზრდისათვის, გარდა ხსენებული მეთოდებისა, შესაძლებელია დამატებით გამოყენებული იქნეს ისეთი მეთოდები, როგორცაა ვაგონის საშუალო დატვირთვის ამაღლება და ცარიელი გარბენების შემცირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პ. ქენქაძე, ა. შარვაშიძე, ტ. კოტრიკაძე, რ. ქაშიბაძე, ნ. კოტრიკაძე. საქართველოს რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის გაუმჯობესების საკითხებისადმი. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ №2(51), 2021, გვ. 32-40;
2. სს „საქართველოს რკინიგზა“-ს სატვირთო გადაზიდვების პროგრამა „RAPL“ მონაცემები, 2021 წელი.

Определение доли использования грузовых вагонов и выбор интенсивных технологий для повышения их производительности

Петре Кенкадзе, Автандил Шарвашидзе, Георгий Кацитадзе

Резюме

В статье проанализированы структура, виды и характеры грузопотоков, движущиеся на Грузинской железной дороге; определена мощность каждого вида грузопотока; устоявлены процентные доля разных типов вагонов в осуществлении перевозок. Выявлены приоритетные типы вагонов, повышение производительности которых возможны в условиях Грузинской железной дороги; выбраны мероприятия по повышению производительности.

Determining the share of use of freight wagons and selecting intensive technologies to increase their productivity

Petre Kenkadze, Avtandil Sharvashidze, Giorgi Katsitadze

Summary

The article analyzes the structure, types and characters of freight flows moving on the Georgian Railway; the capacity of each type of cargo flow has been determined; the percentage shares of different types of cars in transportation are established. Priority types of cars have been identified, the productivity of which can be increased under the conditions of the Georgian Railway; measures to improve productivity have been selected.

On the Rules of Applying Fertilizers to Red Soils

Nunu Kutaladze^{1,*}, Zurab Mikeladze¹, Shota Lominadze², Sophio Papunidze^{1,*}, Avtandil Tsintsikiladze^{3,*}, Dodo Abuladze¹, Teimuraz Gorgiladze¹,

¹Department of Agrarian and Food Technologies, Shota Rustaveli State University, Institute of Agrarian and Membrane Technologies, Georgia, Batumi; ²Agrotechnology & Engineering Department, Shota Rustaveli State University, Institute of Agrarian and Membrane Technologies, Georgia, Batumi ³Department of Membrane Technologies, Shota Rustaveli State University, Institute of Agrarian and Membrane Technologies, Georgia, Batumi.

Abstract

The article presents research results of applying mineral fertilizers to red soils. The research aimed at increasing productivity in low productive red soils, definition of optimal volume of fertilizer costs, developing the recommendations for fertilization. The agrochemical indicators were studied before applying fertilizers, also after three years since the beginning of tests. There are some changes in agrochemical indicators because of fertilization. Total nitrogen content, soil acidity indicators and a sum of absorbed bases has also remained the same. Hydrolysed nitrogen and exchangeable potassium content has been slightly increased. It was revealed that application of phosphorus fertilizers in the soils with poor phosphorus content (phosphorus oxide $P_2O_5 < 30$ mg/100 g) with phosphorus P180 kg/ha nitrogen N300 potassium K100 increases productivity. It is recommended to apply phosphorus and potassium fertilizers during winter digging. In the soils with low phosphorus pentoxide, an optimal dose of nitrogen is 200 kg/ha. It is advisable to apply nitrogen fertilizer - 60% from March 1st to April 1st, and the rest 40% - in July. The research also revealed that phosphorus fertilizers shall be applied once in three years with dosage 540 kg/ha. This significantly decreases the costs.

Keywords: fertilizer; soil fertilization; red soil.

Introduction

Implementation of the goals of the country and its further development perspective, our future, along with other factors significantly depend on protection of the soil, increase of productivity and rational use of fertilizers, it is particularly important for the Autonomous Republic, where an opportunity for

increase of agricultural fields is almost exhausted and it depends on intensive farming development. Thus, scientific research of soil cover is of a high importance.

Immense growth of the world's population, along with other several issues, makes food security quite problematic, which is also related to increase of soil productivity. Production of agricultural crops and increase of rural population's social-economical potential highly depends on solving this problem. It may be surprising that the majority of our population in the region takes a little care for increasing productivity of "soil-breadwinner" (Kutaladze *et al.* 2019).

Adjara is one the unique regions in the world by its natural landscape conditions. There is an interesting changing pattern of climate, soil flora and fauna on small plots of territory. Natural contrasts are astonishing, as in any period of time one might enjoy a green blossoming flower bed and snowy mountains at the same time in Adjara. Agricultural activities of a Georgian man, and specification of Adjara agriculture, are harmonized and absorbed with this natural characteristic. Considering current soil-climate conditions, focused on unique southern crops (tea, citrus, tung-tree, laurel), the variety of fruit grows wonderfully (Tsintskiladze *et al.* 2022).

Considering complex geological-terrain and climate conditions, even a minor mistake in agricultural activity might cause irreparable impact. This is evidenced by an activation of natural-geological processes in the recent years in Adjara, such as erosion, floods, landslide, rocks - avalanches, snow avalanches, hundred hectares of agricultural fields are severely damaged, financial damage is huge. Plough made in steep slopes, uncontrolled cutting down of woods bring irretrievable damage with sparse forests and destroyed forest tracts, decreased or disappeared watery mountain streams, mountain slopes are gradually slipping off the source of our existence - soil cover (Urushadze *et al.* 2015).

Currently, in all regions of Georgia, including Adjara, the tea and citrus plantations are mainly planted in acidic red soils, characterized by a low productivity. Agricultural product production in any type of the soil, depends on natural productivity of soil, which impoverishes and exhausts the soil. An increase of the soil productivity directly relates to the intensive use of mineral and organic fertilizers. In this regard, mineral fertilizers have an important role (Kutaladze 2006; Kutaladze 2009).

Uneven and sometimes high-volume application of phosphorus fertilizers in the red soils caused different content of phosphorus pentoxide. Four categories were differentiated in the red soils of western Georgia: 1. Very poor with phosphorus pentoxide. 2. Poor. 3. Averagely supplied. 4. Increased. 5. High. 6. Very high. Phosphorus pentoxide transferred to sulfuric acid extract with 0,1 normalcy, for those soils, amounts to: 1) less than 8 ml, 2) 8-15 ml, 3) 15-30 ml, 4) 30-45 ml, 5) 45-60 ml, 6) more than 60 ml/100 g of soil (Kutaladze *et al.* 2003; Margvelashvili *et al.* 2009).

While assessing soil on the plant nutrition elements, along the content of moving forms, it is very important to consider synergy and antagonism in the process of transferring nutrition elements to plants. It is defined that excessive nitrogen in plants decreases intensity of phosphorus transfer and on vice versa, absorption of excessive phosphorus reduces nitrogen transfer. Thus, the creation of a physiologically balanced solution requires regulation of the dosage of nitrogen fertilizers according to the content of the phosphorus pentoxide in soil. If this pattern is violated, then a plant may not use it

for generating organic substances but increase the nitrate forms of nitrogen fertilizers instead, which are eventually transferred to fruit. For a transfer regulation of nitrate forms to a plant, we thought about application of nitrogen fertilizers with a consideration of a volume of phosphorus pentoxide in the soil. For this purpose, the different content of phosphorus pentoxide in the red soils, influence of nitrogen fertilizers over productivity and quality of tea green leaf were studied. The research of this topic has a huge importance for a rational application of nitrogen fertilizers and reduction of nitrates in tea production (Kutaladze *et al.* 2005a; Kutaladze *et al.* 2005b).

Application of N, P, K fertilizers to the red, low productivity soils, promotes complex chemical and biochemical reactions in the soil. A solubility and adoption of food substances, the elements' fixation in sparingly soluble or insoluble forms after chemical degradation and evaporation depends on the progression of those reactions (Kutaladze *et al.* 2003).

Material and methods

Field testing

The aim of the research was to study and substantiate the rational methods of applying mineral fertilizers to the red soils occupied by the tea plantations in Adjara ensuring high and stable harvest with a high-quality production.

The purpose of the research was to study the following topics:

- Phosphorus transformation in the red soils of Adjara through applying phosphorus fertilizers in different dosages.
- Influence of mineral fertilizers application methods over the harvest and quality of tea plant.
- Impact of mineral fertilizers regular application over productivity of red soils.
- Economic efficiency of applying phosphorus fertilizers in tea plantations. Definition of perspective, economically profitable variations, and their implementation in production.

The experiments were carried out on typical red soil in the testing station in Chakvi (2019-2021). The research used stationary field testing and laboratory research methods. A tea plantation on the sample plot was planted in 40s of the previous century: breed "Kolkhida 257".

The plot has been divided into sections for field testing. The samples for agrochemical description of the sample plot soil were taken prior to applying fertilizers. The samples were taken from the soil sections 0-10, 10-20, 20-30, 30-40, 40-50. The same works were carried after three years upon finalizing the field experiment.

Research methods

The agrochemical analysis of the soil samples were carried according to the following methods (Margvelashvili 2019; Margvelashvili *et al.* 2021; Mikeladze *et al.* 2021).:

- Total humus by Tyurin's method;
- Total nitrogen, phosphorus, potassium by Ginsburg-Shcheglova-Vul'fius accelerated method;
- Exchangeable acidity - Sokolov method;
- Hydrolytic acidity - Kappen's method;
- Absorbed bases - Trilonometric method;
- In extract of pH KCl - Potentiometer method (with pH meter);
- Phosphorus pentoxide - Oniani's method;
- Exchangeable potassium - Maslova's method;
- Hydrolytic nitrogen - Tyurin's and Kononova's method.

Results

Scheme of the field experiment

The experiment was carried out four times. Total area of the section is 48 square meters, which is isolated by 2 protection zones.

The field experiment was carried in the following scheme:

- (1) Unfertilized (control)
- (2) N300 K100 background
- (3) NK+P60- annual application
- (4) NK+P120 - annual application
- (5) NK+P180 - annual application
- (6) NK+P240 - annual application
- (7) NK+P360- application once in 3 years
- (8) NK+P540 – application once in 3 years.

Agrochemical characterization of the sample plot

Soil on the sample plot is characterized by the following agrochemical indicators (Table 1): an average content of humus and nitrogen in 0-15 cm layer of the plot soil it is 6,2-6,3%, while total nitrogen is 0,31-0,32%, which decreases in the depths of the soil. There is no decent difference between variations of humus and total nitrogen content. Total phosphorus content in 0-15 cm layer is 0,15-0,16%, phosphorus pentoxide content is low and in the same soil layer does not exceed 10,5 mg/100 g. Its content reduces in the depths of the soil.

The research soil is characterized by the following characteristics: a high content of potassium 0,92% and low content of exchangeable potassium 12-15 mg/100 g. As it was revealed by the agrochemical research, the research soil is characterized by a low content of absorbed bases and a high exchangeable acidity, which is caused by a high volume of potassium, this is typically normal for tea; reaction of soil is acid, 3,6-3,7 in pH KCl suspension, which is completely normal for tea.

A regular application of the fertilizers increases not only productivity and number of nutrient substances required for a plant, but their ratio in the soil. Applied fertilizers have a huge influence over physical, chemical, and other properties of the soil. Long term application of the fertilizers promotes profound changes, which increase productivity.

During three years (2019-2021) after the field experiment, nitrogen 900 kg/ha, potassium 300 kg/ha and phosphorus 180-720 kg/ha has been applied to the soil (Table 2).

Table 1: Agrochemical description of the sample plot before the field experiment (Chakvi red soil, tea plantation. 2019)

Sample	Depth of taking a sample (cm)	pH (KCL)	Humus %	Exchangeable acidity mg.equiv/ 100 g soil	Hydrolytic acidity mg.equiv/ 100 g soil	Total absorbed bases mg.equiv/ 100 g soil			Total %			Hydrolytic N mg/ 100 g soil	Movable P ₂ O ₅ mg/100 g soil	Exchangeable K ₂ O mg/100 g soil
						Ca	M g	To tal	N	P	K			
Unfertilized control	0-15	3,6	6,2	7,8	15,7	3,1	1,3	4,4	0,32	0,15	0,91	5,8	8,5	13,5
sample	15-30	3,6	4,5	8,0	12,3	2,8	1,1	3,9	0,22	0,09	0,90	3,2	6,5	11,8
	30-45	3,7	3,4	8,2	11,0	2,3	0,9	3,2	0,16	0,06	0,89	1,8	2,5	9,5
N-300 K-100	0-15	3,6	6,3	8,0	18,0	2,6	1,4	4,0	0,32	0,16	0,91	6,2	10,2	14,0
	15-30	3,6	4,6	8,5	16,2	2,6	1,0	3,6	0,22	0,11	0,90	3,6	6,7	11,2
	30-45	3,7	3,5	8,2	13,3	2,2	0,8	3,0	0,16	0,07	0,89	1,8	2,4	9,4
NK+P60	0-15	3,7	6,2	8,4	16,2	3,0	1,3	4,3	0,31	0,15	0,92	5,7	9,5	13,8
	15-30	3,7	4,2	8,7	12,5	2,6	1,1	3,7	0,21	0,10	0,91	3,3	6,3	11,0
	30-45	3,8	3,3	8,8	11,4	2,2	0,9	3,1	0,17	0,06	0,90	1,7	2,5	9,9
NK+P120	0-15	3,6	6,3	8,2	18,3	3,0	1,5	4,5	0,32	0,16	0,91	6,0	8,2	12,0
	15-30	3,6	4,5	8,3	16,8	2,6	1,2	3,8	0,22	0,09	0,90	3,5	6,5	8,8
	30-45	3,7	3,4	8,6	13,5	2,4	0,8	3,2	0,16	0,06	0,89	1,8	2,4	6,2
NK+P180	0-15	3,7	6,3	7,8	17,7	2,9	1,4	4,3	0,31	0,15	0,92	5,8	10,5	14,5
	15-30	3,7	4,4	8,0	15,0	2,5	1,1	3,6	0,21	0,10	0,91	3,4	6,4	11,2
	30-45	3,8	3,6	8,5	12,9	2,5	0,8	3,3	0,16	0,07	0,90	1,9	2,5	9,1
NK+P240	0-15	3,7	6,3	8,1	19,0	3,1	1,3	4,4	0,32	0,16	0,91	6,0	8,1	15,0
	15-30	3,7	4,4	8,3	15,5	2,5	1,2	3,7	0,21	0,11	0,91	3,4	6,3	11,0
	30-45	3,8	3,5	8,5	13,0	2,5	0,9	3,4	0,16	0,06	0,90	1,8	2,5	9,0
NK+P360 once in 3 years	0-15	3,7	6,2	8,1	18,9	3,1	1,3	4,4	0,31	0,15	0,91	6,0	9,0	15,0
	15-30	3,7	4,6	8,2	15,4	2,5	1,2	3,7	0,21	0,10	0,91	3,5	6,5	11,1
	30-45	3,8	3,5	8,6	12,9	2,5	0,9	3,4	0,16	0,07	0,90	1,4	2,5	8,0
NK+P540 once in 3 years	0-15	3,6	6,2	8,2	18,6	3,0	1,5	4,5	0,31	0,15	0,90	6,2	9,5	14,2
	15-30	3,7	4,5	8,4	14,8	2,3	1,3	3,6	0,21	0,10	0,90	3,6	6,4	11,3
	30-45	3,7	3,6	8,7	13,2	2,4	0,8	3,2	0,16	0,07	0,89	1,5	2,4	7,0

Table 2: Agrochemical description of the sample plot after 3 years of the field experiment (Chakvi red soil, tea plantation. 2021)

Sample	Depth of taking a sample (cm)	pH (KCL)	Humus %	Exchangeable acidity mg-equiv/100 g soil	Hydrolytic acidity mg-equiv/100 g soil	Total absorbed bases mg-equiv/100 g soil			Total %			Hydrolytic N mg/100 g soil	Movable P ₂ O ₅ mg/100 g soil	Exchangeable K ₂ O mg/100 g soil
						Ca	Mg	Total	N	P	K			
Unfertilized control sample	0-15	3,6	6,2	7,7	15,5	3,2	1,3	4,5	0,32	0,15	0,91	5,0	8,2	13,0
	15-30	3,7	4,4	8,0	12,2	2,8	1,2	4,0	0,21	0,08	0,90	3,0	6,2	11,0
	30-45	3,7	3,4	8,0	11,1	2,4	1,0	3,4	0,16	0,06	0,89	1,7	2,5	9,4
N300 K100	0-15	3,5	6,3	8,2	18,2	2,9	1,4	4,3	0,32	0,15	0,92	12,0	8,9	17,2
	15-30	3,5	4,7	8,6	16,3	2,6	1,0	3,6	0,22	0,11	0,91	6,5	6,3	13,2
	30-45	3,7	3,4	8,2	13,0	2,3	0,9	3,2	0,16	0,07	0,89	2,0	2,4	9,5
NK+P60	0-15	3,6	6,3	8,5	16,4	3,3	1,3	4,6	0,30	0,16	0,92	12,0	15,5	18,0
	15-30	3,6	4,7	8,7	12,6	2,7	1,1	3,8	0,22	0,10	0,91	6,1	8,0	13,3
	30-45	3,7	3,4	8,8	11,5	2,2	1,0	3,2	0,17	0,06	0,90	2,0	2,7	10,0
NK+P120	0-15	3,7	6,5	8,3	18,7	3,0	1,5	4,5	0,32	0,16	0,92	12,8	18,0	17,6
	15-30	3,6	4,6	8,4	16,8	2,7	1,1	3,8	0,23	0,10	0,91	6,0	10,5	13,0
	30-45	3,6	3,4	8,6	13,5	2,4	0,7	3,1	0,16	0,06	0,89	2,0	3,3	8,3
NK+P180	0-15	3,6	6,5	8,0	17,8	3,1	1,3	4,4	0,32	0,15	0,92	13,0	22,1	18,5
	15-30	3,7	4,5	8,2	15,0	2,6	1,2	3,8	0,22	0,10	0,91	5,8	12,8	13,4
	30-45	3,7	3,6	8,5	13,1	2,5	0,9	3,4	0,16	0,07	0,90	1,9	4,0	9,0
NK+P240	0-15	3,6	6,5	8,3	19,4	3,1	1,3	4,4	0,32	0,16	0,92	13,0	23,4	18,5
	15-30	3,6	4,5	8,3	15,5	2,6	1,2	3,8	0,21	0,11	0,91	6,5	13,5	13,5
	30-45	3,7	3,6	8,5	13,0	2,5	0,9	3,4	0,16	0,06	0,90	1,8	4,5	9,0
NK+P360 once in 3 years	0-15	3,7	6,4	8,3	19,4	3,2	1,3	4,5	0,31	0,16	0,91	13,5	17,3	18,1
	15-30	3,7	4,7	8,3	15,4	2,6	1,2	3,8	0,21	0,10	0,91	6,4	10,0	13,3
	30-45	3,8	3,5	8,5	13,2	2,5	0,6	3,1	0,16	0,07	0,90	1,8	3,0	9,0
NK+P540 once in 3 years	0-15	3,6	6,4	8,3	18,8	3,2	1,4	4,6	0,31	0,16	0,91	13,0	18,2	18,3
	15-30	3,7	4,5	8,4	14,9	2,4	1,4	3,8	0,21	0,11	0,90	6,5	11,8	13,4
	30-45	3,6	3,6	8,7	13,2	2,4	0,8	3,2	0,16	0,07	0,89	1,8	3,5	9,1

Final result

The data reveals that during the experiment, a high volume of nitrogen, phosphorus and potassium fertilizers were applied to the soil. The soil samples were taken (in the fall of 2019, at the end of the tea

bush vegetation, according to the field test options) to carry out relevant agrochemical analysis for defining the influence of mineral fertilizers applied to the soil on the agrochemical indicators (Table 2).

Discussion

There are some changes detected in the soil indicators of the experiment samples after applying nitrogen, phosphorus and potassium fertilizers (As shown in Table 2). It shall be noted that the humus content has remained almost the same for three years, with only 0,1-0,2% increase of total humus. Total nitrogen content, the soil acidity indicators and total absorbed bases also remained the same.

The content of hydrolytic nitrogen and exchangeable potassium has been increased compared to the control version of the research soil (As depicted in Table 2). If the content of exchangeable potassium is 13 mg/100 g of soil in the unfertilized sample, a volume of exchangeable potassium in the rest of the samples equals 17,2-18,5 mg/100 g. The content of hydrolytic nitrogen in unfertilized options is 5,0 mg/100 g of soil. In the rest of the samples 12-13 mg/100 g of soil. There is a distinct difference between the samples when it comes to the content of phosphorus pentoxide. The content of phosphorus pentoxide naturally grows with an increase of superphosphate. If its content in the unfertilized samples is 8,2-6,2-2,5 mg/100 g of soil according to the depth, it reaches maximum on NK+P240 sample and accordingly amounts to - 23,4-13,5-4,5 mg /100g of soil.

Thus, the content of phosphorus pentoxide in the upper layer of the soil has significantly increased on this sample. However, according to the resulting indexes, it still lacks this nutrition element, and it is important to apply phosphorus fertilizers. When reviewing Table 2, it is worth mentioning that - NK+P180, NK+P540 samples, that were applied in 2019 by the same volume of phosphorus, are essentially different by the content of phosphorus pentoxide. If the phosphorus content in the 0-15 cm soil layer of NK+P180 samples is 22,1 mg, in the NK+P540 sample it is 18 mg/100 g of soil.

This could be explained by the fact that the total volume of phosphorus in the NK+P540 kg/ha sample, was applied once and left for the following activation. Soluble phosphates applied to those samples have been transformed to sparingly soluble and less phosphorus pentoxide, while on the NK+P180 kg/ha sample phosphorus fertilizer has been applied annually. On this sample -180 kg/ha is newly applied, it is more active and soluble and has not transformed to sparingly soluble and hardly accessible form yet.

Conclusion

Red soils (Chakvi) have a heavy mechanical composition. The research soil is characterized by a low content of absorbed bases and high exchangeable acidity, average humus and total nitrogen content and a high content of total phosphorus and potassium. The soil is poor in phosphorus pentoxide and

hydrolytic potassium but has average content of exchangeable potassium. The regular application of nitrogen, phosphorus and potassium fertilizers for three years does not influence the total content of absorbed bases, acidity, humus, nitrogen, phosphorus and potassium. The soil productivity increase is detected when changing the moving forms of the nutrition elements (NPK).

Regular application rule of fertilizers on account of significant cut of costs for tea leaf productivity increase and storage, transportation, application of fertilizers and labour resources is financially beneficial. Financial efficiency analysis revealed that use of phosphorus fertilizers on tea crops in the red soil of Adjara is economically efficient.

Acknowledgments

This study was supported by Batumi Shota Rustaveli State University. The authors greatly acknowledged University for conducting field trials on the Chakvi collection plot. The authors thank University for actively involved during field studies.

ORCID

Nunu Kutaladze <https://orcid.org/0000-0002-6300-6202>

Sophio Papunidze <https://orcid.org/0000-0002-1051-7017>

Avtandil Tsintskiladze <https://orcid.org/0000-0003-2726-886X>

Teimuraz Gorgiladze <https://orcid.org/0000-0002-0561-8577>

Dodo Abuladze <https://orcid.org/0000-0001-5520-5351>

References

- Kutaladze N. 2006. The seasonal dynamics of phosphorus pentoxide in red soils of Adjara. *The Issues of Agric Sci* 34:74-76.
- Kutaladze N. 2009. Phosphorus transformation in red soil and efficiency of phosphorus fertilizers on tea plantation in Adjara. Batumi.
- Kutaladze N, Margvelashvili G. 2005a. Mineral forms of phosphorus in the red soil of Adjara and their transformation under the conditions of application of phosphorus fertilizers. *Bull Georgian Acad Agric Sci* 4:210-14.
- Kutaladze N, Mikeladze O, Tsintskiladze A. 2003. Characterization of Adjara soils and ways to increase fertility. *Proc Bat. Shota Rustaveli st. Univ.*:230-235.
- Kutaladze N, Mikeladze Z, Gogolishvili T. 2019. Some issues about increasing the fertility of the red soils of Adjara. *Akaki Tsereteli St Uni Sci J Moambe* 1:64-68.
- Kutaladze N, Oniani O. 2005b. A Migration of Phosphates in the Red Soil of Adjara. *Bull Georgian Acad Agric Sci.* 14:214-17.
- Margvelashvili G. 2019. *A Chemical Analysis of Soil.* Tbilisi.

- Margvelashvili G, Dzadzamia T. 2021. A Practical Manual in Agrochemistry. Tbilisi.
- Mikeladze Z, Kotaladze N, Lominadze Sh. 2021. Influence of the biopreparation “Gaupsin” on storability of mandarin fruits. *Int J Sci Res Manag.* 9:304–12
- Margvelashvili G, Kiknadze N. 2009. Phosphorus in intensive farming soils of Georgia and effectiveness of phosphorus fertilizers. Tbilisi.
- Tsintskiladze A, Gotsiridze R. 2022. Prospects of modern technologies of fertilizer production for Georgian agriculture. *Geor scien.* 4(1):172-84.
- Urushadze T, Tkheldze A, Gambashidze G. 2015. Soils of Georgia. Tbilisi: UNDP.

ტემპერატურის სტაბილიზაცია მზის ენერჯის მიმღები მრავალკასკადიანი ფოტოელექტრული გარდამქმნელების გაცივებისას

თენგიზ ხაჩიძე^{1,2}, ნიკოლოზ ხაჩიძე¹, ინგა კაპანაძე¹

¹სსიპ ინსტიტუტი „ოპტიკა“

²საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სტატიაში წარმოდგენილია კვლევები, რომლებიც ეხება მზის ელემენტებისათვის გაცივების თერმოსიფონური სისტემის დამუშავებას. ავტორების მიერ შემუშავებული და გამოკვლეული იქნა თერმოსიფონის პრინციპზე დაფუძნებული მზის ფოტოელექტრული გარდამქმნელების ეფექტური გაცივების სისტემა. შერჩეული იქნა თბომატარებელი სითხე კონკრეტული დუდილის ტემპერატურით.

კვლევებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ფოტოელექტრული გარდამქმნელების გასაცივებლად, სხვა მეთოდებთან შედარებით თერმოსიფონური სისტემა გაცილებით ეფექტურია, განსაკუთრებით მზის ენერჯის მაღალი კონცენტრაციისას. ამავე დროს ის უზრუნველყოფს ელემენტების საკმაოდ კარგ ტემპერატურულ სტაბილიზაციას.

საკვანძო სიტყვები: გაცივების თერმოსიფონური სისტემა, მზის ენერჯია, ფოტოელექტრული გარდამქმნელი.

როგორც ცნობილია ფოტოელექტრონული გარდამქმნელების (მზის ელემენტების) მახასიათებლები საგრძნობლად არის დამოკიდებული, მუშაობის პროცესში მის ტემპერატურაზე. ტემპერატურაზე ასევე დამოკიდებული P-N სტრუქტურაზე შექმნილი ნებისმიერი ნახევარგამტარული მასალისაგან დამზადებული ერთკასკადიანი თუ მრავალკასკადიანი მზის ენერჯის ფოტოელექტრონული გარდამქმნელის მარგი ქმედების კოეფიციენტიც (მქკ). ეს ძირითადად განპირობებულია დატვირთვაზე გამომავალი ძაბვის (უქმი სვლის ძაბვისაც) ტემპერატურაზე დამოკიდებულებით. კერძოდ, ტემპერატურის ზრდით მცირდება გამომავალი ძაბვა, ეს კი თავის მხრივ იწვევს გამომავალი სიმძლავრის შემცირებას და შესაბამისად მქკ-ს შემცირებასაც. გარდა ამისა ტემპერატურის მატებით მცირდება ფოტოელემენტის მდგრადობა. მისი მუშაობა ამ რეჟიმში ხდება არა სტაბილური და გარკვეულ ტემპერატურაზე ის შეიძლება მწყობრიდანაც გამოვიდეს [1].

ამის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება ფოტოელემენტის გაცივების სხვადასხვა მეთოდები და სისტემები. ერთერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია მაღალი თბოგამტარობის ლითონის (ალუმინი, სპილენძი) რადიატორით ელემენტიდან სითბოს ართმევა. მაგრამ მხოლოდ რადიატორით გაცივება ვერ უზრუნველყოფს მაღალი კონცენტრაციისას კრისტალზე გამოყოფილი სითბოს ართმევას, რის გამოც საჭირო ხდება დამატებით აირის ან სითხის ნაკადით გაცივება, რაც საგრძნობლად ართულებს გარდამქმნელის კონსტრუქციას და ზრდის მის ფასს. გვარდა ამისა აღნიშნული მეთოდები ვერ უზრუნველყოფენ ფოტოელემენტის სტაბილურ ტემპერატურას, რომელიც შეიძლება მუდმივად იცვლებოდეს მზის გამოსხივების ინტენსივობის ცვლილებისას. ტემპერატურის მუდმივი რყევა კი უარყოფითად აისახება ფოტოელემენტის მდგრადობაზე. გაცივების აღნიშნულ სისტემებში სტაბილური ტემპერატურის უზრუნველყოფა შესაძლებელი იქნება თუ გამოყენებთ ტემპერატურის სენსორებზე დაფუძნებულ ავტომატურ რეგულატორს. რაც თავის მხრივ კიდევ უფრო გაართულებს კონცენტრირებული მზის ენერჯის ფოტოელექტრული გარდამქმნელის სრულ კონსტრუქციას და გაზრდის მის ფასს.

თანამედროვე ელექტრონულ და კომპიუტერულ მოწყობილობებში მიკროპროცესორებისა და სხვადასხვა ელემენტებიდან სითბოს ართმევა ხშირ შემთხვევაში ხორციელდება ეგრეთწოდებული თბური მილების საშუალებით. თბური მილებით პროცესორების გაცივება ფართოდ გამოიყენება პორტაბელურ ეგრეთწოდებულ „ლეპტოპის“ ტიპის კომპიუტერებში. ამ შემთხვევაში სავალდებულოა, რომ თბური მილის ნებისმიერ მდგომარეობაში კონდენსირებული თბომატარებელი აგენტი დაბრუნდეს საწყის მდგომარეობაში. ამიტომ ასეთი ტიპის თბურ მილებში იყენებენ სპეციალურ ფითილებს, რომლებიც კაპილარული ეფექტიდან გამომდინარე უკან აბრუნებს კონდენსირებულ თბომატარებელ აგენტს.

ყველაზე მარტივი კონსტრუქციის თბურ მილებშიც კი თბოგადაცემის სიჩქარე და სიმძლავრე რამდენიმე ათეულჯერ მეტია ვიდრე იგივე დიამეტრის სპილენძის ძელაკით თბოგადაცემისას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ მზის ენერჯის მაღალი კონცენტრაციისას ფოტოელემენტზე, მასზე გამოყოფილი სითბოს ასართმევად ერთერთ საუკეთესო ვარიანტს შეიძლება წარმოადგენდეს თერმოსიფონური თბური მილების გამოყენება. რადგან მზის სხივური ენერჯის გარდაქმნისას ფოტოელემენტის მდგომარეობა განსაზღვრულია და ის მუდმივად დახრილია, შესაბამისად დახრილი იქნება თერმოსიფონური გამაცივებელი სისტემაც და გამაცივებელი აგენტი საწყის მდგომარეობას მუდმივად დაუბრუნდება სიმძიმის ძალის მოქმედებით. გამომდინარე აქედან, კაპილარულ ეფექტზე დაფუძნებული ფიტილის გამოყენება არ იქნება საჭირო.

ასეთი ტიპის თერმოსიფონური გამაცივებლის კონსტრუქციისას პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იყოს თბური დატვირთვები. ანუ სითბური სიმძლავრე რომლის არინებაცაა საჭირო. უკვე არსებული მონაცემებით ეს პარამეტრი ძირითადად დამოკიდებულია თბური მილის შიდა დიამეტრზე. ცხრილში-1 მოცემულია


თერმოსიფონური მილის მიერ წართმეული სითბოს რაოდენობასა მილის შიდა დიამეტრს შორის დამოკიდებულება [2].

მილის დიამეტრი, მმ	წართმეული სითბური სიმძლავრე, ვტ (არა ნაკლებ)
3	5
6	12
8	25
10	35
12	50
16	70

ცხრილი-1. ნებისმიერ დახრილ მდგომარეობაში სითბური მილის მიერ ართმეული სითბური სიმძლავრის დამოკიდებულება მილის დიამეტზე.

მილის ვერტიკალურ მდგომარეობაში ართმეული სითბური სიმძლავრე გაცილებით მეტია ცხრილში მოცემულ მონაცემებზე (შეიძლება ორჯერ მეტიც იყოს).


იმ შემთხვევაში, როდესაც მზის ენერჯის ფოტოელექტრული გარდამქმნელის ზედაპირის ფართობია 1სმ², მზის გამოსხივების ინტენსივობა 800ვტ/მ², ხოლო სხივური ენერჯის კონცენტრაციის ხარისხი არის 500, მზის ენერჯის სრული სიმძლავრე, რომელიც გამოიყოფა ასეთ ფოტოელემენტზე შეადგენს 40ვატს. იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე მრავალკასკადიანი ფოტოელემენტების მარგი ქმედების კოეფიციენტი მაღალია მათზე გამოყოფილი სითბური სიმძლავრე არ იქნება 25 ვატზე მეტი. აღნიშნული მსჯელობიდან და ცხრილის მონაცემებზე დაყრდნობით თბური მილის შიდა დიამეტრის ოპტიმალური ზომა უნდა შეირჩეს 8-10მმ-ის ფარგლებში.



ნახ.1. მზის ენერჯის ფოტოელექტრული გარდამქმნელის თერმოსიფონური გამაცივებლის კონსტრუქცია

ჩვენს მიერ დამუშავებული მზის ენერჯის ფოტოელექტრული გარდამქმნელის თერმოსიფონური გამაცივებელი (ნახ.1.) წარმოადგენს სპილენძის (ალუმინის) მილს-1, რომლის ერთი მხარეც ბრტყელია. ბრტყელი მხარე განკუთვნილია ფოტოელემენტის კრისტალის-4 დასამაგრებლად. ფოტოელემენტსა და მილს შორის კარგი სითბური კონტაქტის უზრუნველსაყოფად მოთავსებულია 150 მკმ სისქის ინდიუმის კილიტაში-5. თხელი და რბილი ინდიუმის კილიტა ავსებს იმ ღრეჭოებს რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ფოტოელემენტსა და მილს შორის. ფოტოელემენტიდან ემმ-ს მოხსნა ხორციელდება 3-კრისტალის დამჭერი-გამომყვანით-3, რომელიც თავის მხრივ უერთდება ფოლგირებულ მინატექსტოლიტს-2. თერმოსიფონის ქვედა მხარე დახურულია, ხოლო ზედა უერთდება კონდენსატორს, რომელიც მოთავსებული წყლის ავზში. წყალი ართმევს კონდენსატორს ენერჯიას და აცივებს მას.

მრავალკასკადიანი ფოტოელექტრული გარდამქმნელის თერმოსიფონური გამაცივებლის შემუშავებისას ფოტოელემენტიდან სითბოს ასართმევად ჩვენს მიერ შერჩეული იქნა თბომატარებელი სითხე. ამ სითხის შერჩევისას პირველ რიგში გავითვალისწინეთ მისი დუდილის ტემპერატურა. ეს პარამეტრი უნდა იყოს ფოტოელემენტის მუშაობისათვის ოპტიმალურ ტემპერატურაზე ნაკლები ან ტოლი. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე ჩვენ ერთერთ საუკეთესო ვარიანტად განვიხილავთ აცეტონს, რომლის დუდილის ტემპერატურა დაახლოებით 56°C-ია. თერმოსიფონში განსათავსებული აცეტონის რაოდენობა შეირჩა იმდენი, რომ მას მთლიანად შეეცხო ფოტოელემენტის გაცხელების ზონა ანუ უნდა შეექმნა აორთქლების ზონა. როდესაც ფოტოელემენტი მზის ენერჯის ზემოქმედებით ცხელდება ისე, რომ მისი ტემპერატურა და მისი განთავსების ზონის ტემპერატურა გადააჭარბებს 56°C მაშინ აცეტონი იწყებს დუდილს და შესაბამისად ინტენსიურ აორთქლებას. აორთქლებისას აცეტონი ართმევს სითბურ ენერჯიას ფოტოელემენტის კრისტალს და გადააქვს კონდენსატორისაკენ, რომელიც განთავსებულია წყლის ავზში და ცივდება წყლით. კონდენსატორში ცივდება აცეტონის ორთქლი და გადასცემს საკმაოდ დიდ სითბურ ენერჯიას წყალს, რომელიც თავის მხრივ თბება. გაცივებული აცეტონი კვლავ გადადის თხევად მდგომარეობაში და სიმძიმის ძალის ზეგავლენით კვლავ ჩამოედინება აორთქლების ზონაში. ეს პროცესი უწყვეტად მეორდება მანამდე სანამ მზის ენერჯია მოქმედებს ფოტოელემენტზე. აღნიშნული მეთოდი იმითაცაა კარგი, რომ ის უზრუნველყოფს ფოტოელემენტის ტემპერატურის სტაბილიზაციასაც გარკვეულ დიაპაზონში, რადგან აცეტონის აორთქლების ინტენსივობა იმატებს ტემპერატურის ზრდის პროპორციულად, შესაბამისად იმატებს ფოტოელემენტიდან სითბოს გადატანის ინტენსივობა, რითაც ხდება ფოტოელემენტის ტემპერატურის შენარჩუნება, იზრდება მხოლოდ გაცხელებული წყლის ტემპერატურა.



ნახ.2. ფოტოელემენტის ტემპერატურის დამოკიდებულები მზის ენერგიით გაცხელების დროზე.

აღნიშნული თერმოსიფონი გამოიყენება მზის ენერგიის სხვადასხვა კონცენტრაციის ხარისხისას, კონცენტრაციის ზრდისას იზრდებოდა, როგორც ფოტოელემენტის მიერ გამომუშავებული ელექტრული სიმძლავრე ასევე მისი ტემპერატურაც. გარკვეულ მომენტში ტემპერატურის ზრდა შეწყდა (ნახ.2) გადავიდა გაჯერების რეჟიმში. ეს იმით აიხსნება, რომ თერმოსიფონში დაიწყო აცეტონის დუღილი და მისი ინტენსიური აორთქლება შესაბამისად ინტენსიურად დაიწყო ფოტოელემენტის გაცივებაც. ამ დროს ვზომავდით ტემპერატურებს აორთქლების ზონის დასაწყისსა და ბოლოში. გაზომვებმა გვიჩვენა, რომ ტემპერატურათა სხვაობა არ აღემატება 3°C. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ფოტოელემენტზე ტემპერატურა პრაქტიკულად თანაბრადაა გადანაწილებული, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მისი სტაბილური და ეფექტური მუშაობისათვის.

შეიძლება დავასკვნათ, რომ თერმოსიფონური გამაცივებელი უზრუნველყოფს არა მარტო სითბოს ეფექტურ ართმევას მრავალკასკადიანი მზის ფოტოელექტრული გარდამქნელებიდან მზის სხივური ენერგიის მაღალი კონცენტრაციისას, არამედ ფოტოელემენტის ტემპერატურულ სტაბილიზაციასაც. შესაბამისად აღნიშნული ტიპის გამაცივებლები უზრუნველყოფენ ფოტოელექტრული გარდამქმნელების სტაბილურ და ხანგრძლივ მუშაობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Avaliani J. J., Kordzakhia I. I., Avaliani I.M., Chikovan R. I. , Khachidze T. I. Investigation of solar cell temperature for different cooling systems and concentration degrees. GEORGIAN ENGINEERING NEWS. 2012, No.1 (vol.61), pp. 66-69.
2. Т.Ю. Салова. Основы теории и расчета тепловых труб, Учебное пособие, Санкт-Петербург, 2018, 68стр.

Temperature stabilization during cooling of multi-cascade photovoltaic converters receiving solar energy

Tengiz Khachidze^{1,2}, Nikoloz Khachidze¹, Inga Kapanadze¹

¹ LEPL Institute "Optica"

² Georgian Technical University

abstract

The article presents studies related to the development of a thermosiphon cooling system for solar cells.

An efficient cooling system of solar photovoltaic converters based on the thermosiphon principle was developed and investigated by the authors. A heat transfer fluid with a specific boiling point was selected. It can be concluded from the research that for cooling of photovoltaic converters, compared to other methods, the thermosiphon cooling system is much more effective, especially at high concentration of solar energy. At the same time, it provides quite good temperature stabilization of the elements.

Keywords: thermosiphon cooling system, solar energy, photoelectric converter.

მსოფლიო ისტორიის განვითარების ციკლური თეორიის საკითხები

აკაკი აბზიანიძე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ეს ნაშრომი იკვლევს მსოფლიო ისტორიის განვითარებას ციკლურობის თეორიაზე დაყრდნობით. ეს თეორია ამტკიცებს, რომ ისტორია მეორდება ციკლებში. მოვლენები და შაბლონები მეორდება დროთა განმავლობაში. ჩვენ ვაანალიზებთ ისტორიულ მტკიცებულებებს სხვადასხვა კულტურისა და დროის პერიოდებიდან, რათა ვაჩვენოთ ისტორიაში ციკლური ნიმუშების არსებობა. ჩვენ ასევე განვიხილავთ, თუ როგორ განმარტეს და უპასუხეს სხვადასხვა საზოგადოებამ ციკლურ ნიმუშებს საკუთარ ისტორიაში. ჩვენი ანალიზი ვარაუდობს, რომ ციკლურობის თეორია იძლევა ღირებულ ჩარჩოს ადამიანთა საზოგადოებებისა და ცივილიზაციების ევოლუციის გასაგებად დროთა განმავლობაში.

საკვანძო სიტყვები: ციკლური თეორია, ისტორიის განვითარების კანონზომიერება, თეზისი და ანტითეზისი, ისტორიული მატერიალიზმი, კაპიტალიზმი, სოციალიზმი, ძალაუფლების დომინირება

შესავალი

მსოფლიო ისტორიის განვითარების ციკლური თეორიები ვარაუდობენ, რომ ისტორიული მოვლენები და ნიმუშები მეორდება ციკლებში. ეს თეორიები ამტკიცებენ, რომ ისტორია არ არის წრფივი პროგრესი წინასწარ განსაზღვრული დასასრულისკენ, არამედ ციკლების სერია, რომელიც მეორდება დროთა განმავლობაში. ციკლური ისტორიის იდეა არსებობდა მრავალ კულტურასა და საზოგადოებაში ისტორიის მანძილზე, ძველი ბერძნებიდან დაწყებული ჩინურ და ინდურ ცივილიზაციებამდე.

ციკლური ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მომხრე იყო ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი. თავის ცნობილ ნაშრომში "რესპუბლიკა" პლატონმა გამოაქვეყნა თავისი თეორია "რეჟიმების ციკლის" შესახებ, რომელიც ვარაუდობდა, რომ საზოგადოებები გადიან პოლიტიკური სისტემების ციკლს, დაწყებული არისტოკრატის ოქროს ხანით, რასაც მოჰყვება ტიმოკრატია, ოლიგარქია, დემოკრატია და საბოლოოდ ტირანია. პლატონის აზრით, ეს ციკლი უსასრულოდ მეორდება.

ანალოგიურად, ძველი ინდური კონცეფცია "იუგას" გვთავაზობს ოთხი ასაკის ციკლს, რომელიც იწყება სამართლიანობის ოქროს ხანით და მთავრდება დაპირისპირებისა და კონფლიქტის ბნელი ხანით. შემდეგ ეს ციკლი უსასრულოდ მეორდება.

ჩინელმა ფილოსოფოსმა და ისტორიკოსმა სიმა ციანმა ასევე შემოგვთავაზა ისტორიის ციკლური თეორია, რომელშიც დინასტიები ამალდებიან და იმლდებიან პროგნოზირებადი ნიმუშით. სიმა ციანის თეორია „ზეცის მანდატის“ შესახებ ვარაუდობს, რომ თითოეულ დინასტიას აქვს დროის შეზღუდული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ის ლეგიტიმური და სამართლიანია, რის შემდეგაც იგი კარგავს სამოთხის მანდატს და ცვლის ახალ დინასტიას.

გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფილოსოფოსია დასავლურ აზროვნებაში. მისი მსოფლიო ისტორიის განვითარების თეორია ამტკიცებს, რომ ისტორია მიჰყვება განვითარების რეგულარულ სტანდარტს, რომელიც გამოწვეულია წინააღმდეგობებისა და სინთეზების დიალექტიკური პროცესით.

ჰეგელის ისტორიული განვითარების თეორია ემყარება მის ანალიზს ადამიანის ცნობიერების ბუნების შესახებ. ჰეგელის აზრით, ადამიანის ცნობიერება ამოძრავებს თვითრეალიზაციის პროცესს, რომლის დროსაც ინდივიდები ცდილობენ გაიგონ და გააცნობიერონ საკუთარი პოტენციალი. თვითრეალიზაციის ეს პროცესი, ჰეგელის მტკიცებით, აისახება ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში, როგორც მთლიანობაში.

ჰეგელის აზრით, ისტორია შეიძლება დაიყოს რამდენიმე განსხვავებულ ეტაპად, რომელთაგან თითოეული ხასიათდება სოციალური ორგანიზაციის სპეციფიკური ფორმით. პირველი ეტაპი არის პრიმიტიული ეტაპი, რომელშიც ადამიანები ცხოვრობდნენ პატარა, თვითკმარი თემებში. ამ ეტაპს მოჰყვა ძველი იმპერიების ეტაპი, რომელშიც წარმოიქმნა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოები, რომლებიც დაფუძნებული იყვნენ დაპყრობასა და ბატონობაზე. მესამე ეტაპი იყო შუა საუკუნეების პერიოდი, რომელშიც რელიგიური ინსტიტუტები დომინანტურ როლს ასრულებდნენ საზოგადოებაში. მეოთხე ეტაპი იყო თანამედროვე პერიოდი, რომელშიც დომინანტურ ძალებად გამოჩნდნენ სეკულარული ინსტიტუტები და რაციონალიზმი.

ჰეგელი ამტკიცებდა, რომ ისტორიული განვითარების თითოეულ საფეხურს ახასიათებს ფუნდამენტური წინააღმდეგობა, რომელიც ამოძრავებს საზოგადოების განვითარებას კონკრეტული მიმართულებით. ეს წინააღმდეგობები წყდება სინთეზის პროცესით, რომლის დროსაც დაპირისპირებული ძალები შერიგდებიან საზოგადოების ახალ და მაღალ ფორმაში.

ჰეგელის ისტორიული განვითარების თეორიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წვლილი არის მისი ხაზგასმა სახელმწიფოს მნიშვნელობაზე ისტორიის მსვლელობის ჩამოყალიბებაში. ჰეგელი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო იყო ადამიანის ცნობიერების განვითარებისა და ინდივიდუალური პოტენციალის რეალიზაციის უპირველესი მექანიზმი. ამ ხაზგასმამ სახელმწიფოს როლზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პოლიტიკურ თეორიასა და პრაქტიკაზე, განსაკუთრებით თანამედროვე კეთილდღეობის სახელმწიფოების განვითარებაში.

მიუხედავად მსოფლიო ისტორიის ჩვენს გაგებაში შეტანილი მრავალი წვლილისა, ჰეგელის ისტორიული განვითარების თეორია ასევე ექვემდებარება კრიტიკას. ჰეგელის თეორიის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კრიტიკა არის ის, რომ ის ზედმეტად დეტერმინისტულია და რომ იგი ადეკვატურად არ ითვალისწინებს ინდივიდუალური აგენტობისა და შემთხვევითობის როლს ისტორიულ განვითარებაში. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ჰეგელის ფოკუსირება ისტორიული განვითარების კანონზომიერებაზე უგულებელყოფს შემთხვევითობისა და შემთხვევითობის მნიშვნელობას ისტორიის მსვლელობის ფორმირებაში.

ჰეგელის თეორიის კიდევ ერთი კრიტიკა არის ის, რომ ის ძალიან ვიწროა ორიენტირებული დასავლური საზოგადოებების განვითარებაზე.

დასასრულს, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის ისტორიული განვითარების თეორიამ უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო ისტორიის ჩვენს გაგებაზე. მისი აქცენტი ისტორიული განვითარების კანონზომიერებაზე დაგვეხმარა ისტორიის მიმდინარეობის ნიმუშებისა და ტენდენციების ამოცნობაში. ისტორიულ განვითარებაში წინააღმდეგობისა და სინთეზის როლის მისმა ანალიზმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფილოსოფიის სფეროზე.

კარლ მარქსი თანამედროვე ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოაზროვნეა. მისმა იდეებმა ჩამოაყალიბა არა მხოლოდ ეკონომიკის სფერო, არამედ პოლიტიკა, ფილოსოფია და სოციოლოგია. მარქსის ისტორიული განვითარების ანალიზი, რომელიც ცნობილია როგორც ისტორიული მატერიალიზმი, ამტკიცებს, რომ ისტორიის მიმდინარეობას ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებს. ეს ესე შეისწავლის მარქსის ისტორიული განვითარების თეორიას და მის გავლენას მსოფლიო ისტორიის ჩვენს გაგებაზე.

მარქსის ისტორიული განვითარების თეორია ემყარება მის ანალიზს ადამიანთა საზოგადოების ბუნების შესახებ. მარქსის აზრით, საზოგადოებები ორგანიზებულია

მატერიალური საქონლის წარმოებისა და განაწილების ირგვლივ. წარმოების რეჟიმი, ანუ საქონლის წარმოებისა და განაწილების გზა, არის სოციალური ურთიერთობებისა და სტრუქტურების ძირითადი განმსაზღვრელი, რომლებიც წარმოიქმნება მოცემულ საზოგადოებაში.

მარქსის აზრით, ისტორიული განვითარება შეიძლება დაიყოს რამდენიმე განსხვავებულ ეტაპად, რომელთაგან თითოეული ხასიათდება წარმოების სპეციფიკური რეჟიმით. ისტორიული განვითარების პირველი ეტაპი არის პრიმიტიული კომუნიზმი, რომელშიც საზოგადოებები იყო ორგანიზებული ქონებისა და რესურსების საერთო საკუთრების ირგვლივ. ამ ეტაპს მოჰყვა მონობა, რომლის დროსაც მმართველი კლასი ფლობდა და აკონტროლებდა მონების დაქვემდებარებული კლასის შრომას. მესამე ეტაპი იყო ფეოდალიზმი, რომლის დროსაც მმართველი კლასი ფლობდა მიწას და აკონტროლებდა გლეხების შრომას. მეოთხე ეტაპი იყო კაპიტალიზმი, რომელშიც კერძო პირები ან კორპორაციები ფლობენ წარმოების საშუალებებს და მუშები ყიდიან თავიანთ შრომას ხელფასზე.

მარქსი თვლიდა, რომ კაპიტალიზმი არ იყო წარმოების სტაბილური რეჟიმი, არამედ გარდამავალი ეტაპი, რომელიც საბოლოოდ ჩაანაცვლებდა სოციალიზმს. მისი აზრით, კაპიტალიზმის თანდაყოლილი წინააღმდეგობები საბოლოოდ გამოიწვევს მის კოლაფსს, რადგან მუშათა კლასი სულ უფრო მეტად ექსპლუატირებული და წარმოების საშუალებების გაუცხოება ხდება.

მსოფლიო ისტორიის ჩვენს გაგებაში შეტანილი მრავალი წვლილის მიუხედავად, მარქსის ისტორიული განვითარების თეორია ასევე კრიტიკის საგანი გახდა. მარქსის თეორიის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კრიტიკა არის ის, რომ ის ზედმეტად დეტერმინისტულია და რომ იგი ადეკვატურად არ ითვალისწინებს ინდივიდუალური აგენტობისა და შემთხვევითობის როლს ისტორიულ განვითარებაში. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ მარქსის ფოკუსირება ეკონომიკურ ფაქტორებზე უგულებელყოფს კულტურული, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორების მნიშვნელობას ისტორიის მიმდინარეობის ფორმირებაში.

მარქსის თეორიის კიდევ ერთი კრიტიკა არის ის, რომ ის ძალიან ვიწროა ორიენტირებული ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის კაპიტალისტური საზოგადოებების განვითარებაზე. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ მარქსის თეორია ადეკვატურად არ ითვალისწინებს არადასავლური საზოგადოებების განვითარებას ან ისტორიული გამოცდილების მრავალფეროვნებას, რომელიც არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში და მათ შორის.

დასასრულს, კარლ მარქსის ისტორიული განვითარების თეორიამ უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო ისტორიის ჩვენს გაგებაზე. მისი აქცენტი ეკონომიკური ფაქტორებისა და კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობაზე აქვს.

თანამედროვე ეპოქაში იტალიელმა ფილოსოფოსმა და პოლიტიკოსმა **ჯოვანი ჯენტილმა** შემოგვთავაზა ისტორიის ციკლური თეორია, რომელიც გავლენას ახდენდა დიალექტიკური მატერიალიზმის მარქსისტული იდეით. ჯენტილი ამტკიცებდა, რომ ისტორია მეორდება თეზისის, ანტითეზისა და სინთეზის ციკლური ნიმუშით. ჯენტილის აზრით, ისტორიის ყოველი ციკლი იწყება თეზისით, ან დომინანტური მსოფლმხედველობით ან იდეოლოგიით, რომელიც საბოლოოდ ეჭვქვეშ აყენებს ანტითეზისს. თეზისსა და ანტითეზს შორის კონფლიქტი შემდეგ იწვევს სინთეზს, რომელიც ხდება ახალი თეზისი ისტორიის შემდეგი ციკლისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ციკლური ისტორიის იდეა გავლენიანი იყო მთელი ისტორიის მანძილზე, მას ასევე აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ის იყო ძალიან დეტერმინისტული და გამარტივებული. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ციკლური თეორიები იგნორირებას უკეთებს ისტორიული მოვლენების სირთულესა და მრავალფეროვნებას და ვერ ითვალისწინებს ინდივიდებისა და საზოგადოებების აგენტობას ისტორიის მიმდინარეობის ფორმირებაში.

ჯორჯ მოდელსკი იყო გამოჩენილი ამერიკელი პოლიტოლოგი, რომელიც ცნობილია მსოფლიო ისტორიის ციკლური თეორიით. მოდელსკი ამტკიცებდა, რომ მსოფლიო ისტორიას ახასიათებს ლიდერობის ციკლი, რომელშიც დომინანტური ძალები დროთა განმავლობაში იზრდებიან და ეცემა. მოდელსკის აზრით, ლიდერობის ეს ციკლები განპირობებულია ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ძალაუფლების ცვლილებებით, ასევე ტექნოლოგიური ინოვაციებით.

მოდელსკიმ გამოყო მსოფლიო ისტორიის ციკლური ნიმუშის ოთხი განსხვავებული ფაზა: პრე-კომერციული ფაზა, კომერციული ფაზა, ინდუსტრიული ფაზა და საინფორმაციო ფაზა. კომერციულ წინა ფაზაში საზოგადოებები დაფუძნებულია საარსებო მინიმუმზე და ძირითადად თვითკმარია. კომერციული ეტაპი ხასიათდება ვაჭრობისა და ვაჭრობის ზრდით, ასევე ქალაქ-სახელმწიფოებისა და იმპერიების წარმოქმნით. ინდუსტრიული ეტაპი გამოირჩევა მრეწველობისა და მასობრივი წარმოების განვითარებით, ასევე ეროვნული სახელმწიფოების აღზევებით და იმპერიალიზმის გავრცელებით. და ბოლოს, საინფორმაციო ფაზას ახასიათებს ტექნოლოგიების ზრდა, გლობალური საკომუნიკაციო ქსელების აწევა და გლობალური საზოგადოების გაჩენა.

მოდელსკის აზრით, მსოფლიო ისტორიის ყოველ ფაზას ახასიათებს კონკრეტული ძალაუფლების დომინირება, რომელიც ძლიერდება ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ძალაუფლების ცვლილების შედეგად. წინაკომერციულ ფაზაში დომინანტური ძალაუფლება ძირითადად სამხედრო და პოლიტიკურ ძალაზე იყო დაფუძნებული. კომერციულ ფაზაში დომინანტური ძალები ეფუძნებოდა ვაჭრობასა და კომერციას. ინდუსტრიულ ფაზაში დომინანტური ძალები ეფუძნებოდა ინდუსტრიულ და ეკონომიკურ

სიძლიერეს, ხოლო საინფორმაციო ფაზაში დომინანტური ძალაუფლება ეფუძნება ტექნოლოგიურ ინოვაციებს და ინფორმაციის მანიპულირების უნარს.

მოდელსკის ციკლურობის თეორია გავლენიანი იყო საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში და გამოიყენებოდა გლობალური ძალაუფლების ცვლილებებისა და იმპერიების აღზევებისა და დაცემის ასახვად მთელი ისტორიის განმავლობაში. თუმცა, ისევე როგორც ისტორიის ყველა თეორია, ის ასევე გააკრიტიკეს ზედმეტად გამარტივებულობისა და ისტორიული მოვლენების სირთულისა და მრავალფეროვნების გათვალისწინების გამო. მიუხედავად ამისა, მოდელსკის თეორია რჩება მნიშვნელოვანი წვლილი მსოფლიო ისტორიისა და გლობალური ძალაუფლების დინამიკის შესწავლაში.

საკითხის ბიბლიური ინტერპრეტაცია

ძველი აღქმა

დანიელის წიგნი ბიბლიის ძველ აღთქმაში შეიცავს წინასწარმეტყველებებს მსოფლიო ისტორიის განვითარების შესახებ ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიხედვით. დანიელის წიგნის წინასწარმეტყველებები იძლევა ისტორიის თხრობას, რომელიც ხასიათდება სიკეთისა და ბოროტების ბრძოლით და ღვთის სამეფოს საბოლოო ტრიუმფით მსოფლიოს ყველა ერზე.

დანიელის წიგნის მიხედვით, მსოფლიო ისტორია დაყოფილია ოთხ იმპერიად, რომელთაგან თითოეული სიმბოლოა სხვადასხვა ცხოველით: ბაბილონის იმპერია წარმოდგენილია ლომით, სპარსეთის იმპერია წარმოდგენილია დათვით, ბერძნული იმპერია წარმოდგენილია ლეოპარდით და რომის იმპერია წარმოდგენილია მხეცით ათი რქით. ეს იმპერიები დროთა განმავლობაში ჩნდება და იშლება, ყოველი მომდევნო იმპერია უფრო ძლიერი და დომინანტი ხდება, ვიდრე წინა.

თუმცა, დანიელის წიგნი ასევე შეიცავს წინასწარმეტყველებებს მეხუთე იმპერიის შესახებ, რომელიც წარმოდგენილია ქვით, რომელიც ანადგურებს სხვა იმპერიებს და იქცევა დიდ მთად, რომელიც ავსებს მთელ დედამიწას. ეს მეხუთე იმპერია არის ღვთის სამეფო, რომელიც დაარსებულია დედამიწაზე და მართავს იესო ქრისტე.

მსოფლიო ისტორიის განვითარების ლოგიკა ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიხედვით, როგორც დანიელის წიგნი ასახული, ხასიათდება რამდენიმე ძირითადი თემით. პირველი თემა არის ღვთაებრივი სუვერენიტეტის იდეა. დანიელის წიგნი ხაზს უსვამს, რომ ღმერთი არის საბოლოო ავტორიტეტი მსოფლიოს ყველა ერზე და რომ ის წარმართავს ისტორიის მსვლელობას თავისი ღვთაებრივი გეგმის მიხედვით.

მეორე თემა არის მორალური კონფლიქტის იდეა. დანიელის წიგნი ასახავს ბრძოლას სიკეთესა და ბოროტებას შორის, როგორც მსოფლიო ისტორიის ცენტრალურ თემას. იმპერიები, რომლებიც დროთა განმავლობაში იზრდება და იშლება, გამოსახულია როგორც ბოროტების

სხვადასხვა ფორმების განსახიერება და ღვთის სამეფოს საბოლოო გამარჯვება განიხილება, როგორც სიკეთის ტრიუმფი ბოროტებაზე.

მესამე თემა არის ესქატოლოგიის იდეა. დანიელის წიგნი შეიცავს წინასწარმეტყველებებს ბოლო დროების შესახებ, როდესაც ღმერთი განიკითხავს მსოფლიოს ერებს და დაამკვიდრებს თავის სამეფოს დედამიწაზე. მსოფლიო ისტორიის ეს ესქატოლოგიური ხედვა იძლევა იმედისა და მნიშვნელობის განცდას მორწმუნეებისთვის, რომლებიც წახალისებულნი არიან დაუდგნენ დევნისა და ტანჯვის წინაშე, რადგან იციან, რომ ღმერთი საბოლოოდ აკონტროლებს.

მთლიანობაში, ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიხედვით მსოფლიო ისტორიის განვითარების ლოგიკას, როგორც ეს დანიელის წიგნშია ასახული, ახასიათებს ღვთაებრივი სუვერენიტეტის განცდა, მორალური კონფლიქტი და ესქატოლოგიური იმედი. ეს ნარატივი იძლევა ძლევამოსილ ჩარჩოს ისტორიის მიმდინარეობის გასაგებად და იმ ბრძოლებისა და გამოწვევების გასაგებად, რომელთა წინაშეც ჩვენ ადამიანები ვართ. საბოლოო ჯამში, ის მიგვითითებს ღვთის სამეფოს საბოლოო გამარჯვებისა და ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებისკენ, რომელიც დაფუძნებულია სამართლიანობაზე, მშვიდობასა და სიყვარულზე.

ახალი აღქმა

ბიბლიის ახალი აღქმა ძირითადად ყურადღებას ამახვილებს იესო ქრისტეს ცხოვრებაზე, სწავლებებზე და გავლენას, ისევე როგორც ადრეულ ქრისტიანულ საზოგადოებაზე. მიუხედავად იმისა, რომ იგი ცალსახად არ იძლევა დეტალურ აღწერას მსოფლიო ისტორიის განვითარების ლოგიკის შესახებ, იგი შეიცავს რამდენიმე თემას და პრინციპს, რომლებიც განიმარტება თეოლოგიებისა და მეცნიერების მიერ უფრო ფართო ისტორიულ კონტექსტში. ეს ინტერპრეტაციები შეიძლება არ გვთავაზობდეს ციკლურ შეხედულებას, მაგრამ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც წვლილი შეიტანოს მსოფლიო ისტორიის განვითარების უფრო წრფივ და თეოლოგიურად გაგებაში.

ხსნის ისტორია: ახალი აღქმა შემოაქვს "ხსნის ისტორიის" კონცეფციას. ეს პერსპექტივა ისტორიას განიხილავს, როგორც პროგრესს ადამიანთა გამოსყიდვის ღმერთის გეგმის შესრულებისკენ. იგი ხაზს უსვამს აზრს, რომ ღმერთის ქმედებები ისტორიაში იწვევს კაცობრიობის საბოლოო შერიგებას ღმერთთან. ამ თვალსაზრისით, იესო ქრისტეს სიცოცხლე, სიკვდილი და აღდგომა ცენტრალურია კაცობრიობის გამოსყიდვისთვის.

მესიანური აღსრულება: ახალი აღქმა წარმოგვიდგენს იესოს, როგორც ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებების შესრულებას მესიის შესახებ. მესიანური წინასწარმეტყველებების ეს შესრულება არის საკვანძო ელემენტი მსოფლიო ისტორიის ლოგიკაში, როგორც ეს ქრისტიანულ თეოლოგიაშია გაგებული. იესო განიხილება, როგორც შემობრუნება ისტორიაში

და ითვლება, რომ მის სწავლებებსა და მსხვერპლს აქვს გარდამტეხი გავლენა ადამიანის ბედზე.

სახარების გავრცელება : ახალი აღთქმა აღწერს სახარების ცნობის გავრცელებას მთელ მსოფლიოში, როგორც ეს მოციქულებმა გადმოსცეს. ეს გავრცელება განიხილება, როგორც მსოფლიო ისტორიის მნიშვნელოვანი ასპექტი, რადგან ის წარმოადგენს ქრისტიანული რწმენისა და ღირებულებების გავრცელებას სხვადასხვა კულტურასა და საზოგადოებაში.

მორალური და ეთიკური ჩარჩო: იესო ქრისტეს სწავლებები და მორალური პრინციპები, რომლებიც ასახულია ახალ აღთქმაში, ქმნის საფუძველს ეთიკური ქცევისთვის ადამიანთა საზოგადოებებში. ამ პრინციპებმა, როგორცაა მთაზე ქადაგება, გავლენა მოახდინა ეთიკური და მორალური სისტემების განვითარებაზე, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ისტორიის მიმდინარეობა.

ესქატოლოგია: ახალი აღთქმა შეიცავს ესქატოლოგიურ ელემენტებს, რომლებიც განიხილავს აღსასრულის ჟამს და ქრისტეს დაბრუნებას. მიუხედავად იმისა, რომ ის არ იძლევა ზუსტ ვადებს მსოფლიოს დასასრულისთვის, ის ხაზს უსვამს აზრს, რომ ისტორიას აქვს მიზანი და რომ ის მიდის საბოლოო, ღვთაებრივი განკითხვისა და ახალი შემოქმედებისკენ.

რწმენის როლი: მთელ ახალ აღთქმაში რწმენა ხაზგასმულია, როგორც ღმერთთან ურთიერთობის ცენტრალური ასპექტი. რწმენა განიხილება, როგორც გარდამქმნელი ძალა, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ინდივიდის ცხოვრების მიმდინარეობა და, შესაბამისად, კაცობრიობის ისტორიის მიმდინარეობა.

გამოცხადების წიგნი: იძლევა უნიკალურ პერსპექტივას მსოფლიო ისტორიის განვითარებაზე. წიგნი ხაზს უსვამს ღმერთის სუვერენიტეტს და სიკეთის საბოლოო გამარჯვებას ბოროტებაზე. წიგნი ასევე შეიცავს გაფრთხილებებს მოსალოდნელი განაჩენის შესახებ და მოწოდებებს მონანიებისა და ღმერთთან დაბრუნებისკენ. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი უაღრესად სიმბოლურია და მისი ინტერპრეტაცია არის დებატების საგანი, იგი იძლევა იმედისა და ღმერთის საბოლოო გამარჯვების ძლიერ გზავნილს ბოროტების ყველა ძალებზე.

დასკვნა

ციკლორობის თეორია იძლევა ღირებულ ჩარჩოს ადამიანთა საზოგადოებებისა და ცივილიზაციების ევოლუციის გასაგებად დროთა განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ბევრი კამათი მიმდინარეობს ციკლური ისტორიის სპეციფიკურ მექანიზმებზე, სხვადასხვა კულტურასა და დროის პერიოდებში განმეორებადი ნიმუშების არსებობა ვარაუდობს, რომ არსებობს გარკვეული ძალა.

ისტორიის ციკლური ბუნების ამოცნობით, ჩვენ შეგვიძლია უფრო ღრმად გავიგოთ ჩვენი საზოგადოებების წინაშე არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები. ჩვენ შეგვიძლია

მივმართოთ წარსულის წარმატებებსა და წარუმატებლობას, რათა შევქმნათ უფრო მდგრადი და სამართლიანი მომავალი. საბოლოო ჯამში, ციკლურობის თეორია გვახსენებს, რომ ისტორია არ არის წრფივი პროგრესია, არამედ ადამიანის გამოცდილების რთული და მუდმივად ცვალებადი .

ლიტერატურა :

- 1) ბიბლია : ძველი აღთქმა, ახალი აღთქმა. თბილისი : პალიტრა L, 2021.
- 2) ჰეგელი გ., ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე, თბ. 2001წ.
- 3) კარლ მარქსი და მეცნიერული სოციალიზმი, თბილისი, 1918.

Issues of the cyclical theory of world history development

Akaki abzianidze

Doctor of Political Sciences. Professor.

Head of Bachelor program in International Relations

Georgian National University SEU

Abstract

This paper explores the development of world history based on the theory of cyclicality. This theory posits that history repeats itself in cycles, with events and patterns recurring over time. We analyze historical evidence from different cultures and time periods to demonstrate the existence of cyclical patterns in history. We also examine how different societies have interpreted and responded to cyclical patterns in their own histories. Our analysis suggests that the theory of cyclicality provides a valuable framework for understanding the evolution of human societies and civilizations over time.

Introduction

The study of history is critical to understanding the development of human societies and civilizations. Historians have long debated the forces that have shaped world history, from geography and climate to culture and politics. One theory that has gained traction in recent years is the idea that history repeats itself in cycles. This theory of cyclicality posits that events and patterns recur over time, with societies and civilizations rising and falling in predictable cycles.

The theory of cyclicality has its roots in ancient Greek philosophy, particularly the idea of anacyclosis put forth by the philosopher Polybius. According to Polybius, societies follow a predictable cycle of

government types, starting with monarchy and transitioning through aristocracy, oligarchy, democracy, and back to monarchy. This theory was later expanded upon by other thinkers, such as Ibn Khaldun in the 14th century and Giambattista Vico in the 18th century.

Evidence for Cyclicity in History

While the idea of cyclical history has been debated for centuries, there is growing evidence to support its validity. Studies of different cultures and time periods have identified recurring patterns in areas such as political organization, economic development, and social structures.

For example, the history of China has been characterized by a series of dynastic cycles, with new dynasties rising to power, flourishing for a time, and eventually succumbing to internal or external pressures. Each new dynasty would draw upon the successes and failures of its predecessors to create a new iteration of Chinese civilization.

Similarly, the history of Europe has been marked by a series of cycles, with periods of relative stability and prosperity giving way to periods of upheaval and conflict. The rise and fall of empires, the impact of wars and revolutions, and the evolution of economic systems all demonstrate recurring patterns in European history.

Interpretations of Cyclicity

Different societies have responded to the idea of cyclicity in different ways. Some have seen it as a source of fatalism or resignation, believing that the cyclical nature of history means that events are predetermined and inevitable. Others have used the idea of cyclical history as a call to action, recognizing that patterns can be broken and that societies can learn from the mistakes of the past to create a better future.

In some cases, the theory of cyclicity has been used to justify political or social systems. For example, some proponents of Marxism have argued that history follows a predictable path towards communism, with the overthrow of capitalism and the eventual establishment of a classless society.

Conclusion

The theory of cyclicity provides a valuable framework for understanding the evolution of human societies and civilizations over time. While there is still much debate over the specific mechanisms of cyclical history, the existence of recurring patterns in different cultures and time periods suggests that there is some underlying force at work.

By recognizing the cyclical nature of history, we can gain a deeper understanding of the challenges and opportunities facing our own societies today. We can draw upon the successes and failures of the past

to create a more sustainable and equitable future. Ultimately, the theory of cyclicity reminds us that history is not a linear progression, but a complex and ever-changing tapestry of human experience.

მაღალი ენერჯის ელექტრონებით დასხივების გავლენა Si-ისა და Si+2ატ%Ge შენადნობის ფუძემდებლის ბლანტი მსხვრევის მახასიათებლებზე

გიორგი დარსაველიძე, კახაბერ შამათავა, ავთანდილ სიჭინავა, ია ყურაშვილი, მარინა ქადარია
¹სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი,
²სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სილიციუმის ფუძის ნახევარგამტარულ მასალებში ბზარების წარმოქმნისადმი მედეგობის კვლევა მეტად მნიშვნელოვანია მიკროელექტრომექანიკური სისტემების ტექნოლოგიების დამუშავებაში. მიუხედავად ამისა დღეისათვის არსებობს მწირი ინფორმაცია ნახევარგამტარული მასალების ინდენტირების პროცესებში ბზარების წარმოქმნა-გავრცელებისა და რღვევის დეფორმაციის მექანიზმების შესახებ.

ნაშრომში წარმოდგენილია ვიკერსის ინდენტორზე მოდებული მაქსიმალური დატვირთვის ფართო დიაპაზონში საწყისი და 12 მევ ენერჯის ელექტრონებით დასხივებული მონოკრისტალური n-Si (100), p-Si (111) და p-Si+2ატ.%Ge (111) ნიმუშების დრეკადობის მოდულის, მიკროსისალისა და ბზარ-წარმოქმნის მახასიათებლების კვლევის შედეგები. გაზომვები სრულდებოდა ვიკერსის მეთოდით Shimadzu DUH-211S სისტემის ულტრამიკროტესტერზე ოთახის ტემპერატურის პირობებში.

ნაჩვენებია, რომ საწყის მდგომარეობაში (111) ორიენტაციის p-Si ფუძემდებლები ხასიათდებიან შედარებით მაღალი დრეკადობის მოდულითა და მიკროსისალით. მაღალენერგეტიკული ელექტრონებით დასხივება იწვევს სამივე ნიმუშის მექანიკური მახასიათებლების ამაღლებას, რაც მეტად არის გამოსახული p-ტიპის მონოკრისტალურ სილიციუმში.

ინდენტირების ანაბეჭდების დიაგნოზის გასწვრივ გავრცელებული ბზარების სიგრძის განსაზღვრის საფუძველზე შეფასებულია ნიმუშის ზედაპირზე ბზარების წარმოქმნის კრიტიკული ძაბვის ინტენსივობის ფაქტორი (ბლანტი რღვევის კოეფიციენტი ანუ ბზარმედეგობა) და რღვევის ეფექტური ენერჯია.

ბლანტი რღვევისადმი მაღალი მედეგობა ახასიათებს p-Si -ის ფუძემდებლებს (111) სიბრტყეებზე. ელექტრონებით დასხივება აუმჯობესებს p-Si -ის ბლანტი რღვევის მახასიათებლებს. p-Si+2ატ.%Ge შენადნობის (111) ორიენტაციის ფუძემდებლების ბზარმედეგობა ხასიათდება უმნიშვნელო ზრდით ელექტრონებით დასხივებულ მდგომარეობაში. ინდენტირების

პროცესებში p-Si+2ატ.%Ge შენადნობის მექანიკურ თვისებებს, მათ შორის ბლანტი მსხვრევის მახასიათებლებს განსაზღვრავს ორი ურთიერთსაპირისპირო ფაქტორი: დარბილება, დაკავშირებული დიდი ატომური რადიუსის გერმანიუმის ატომებთან და განმტკიცება, დაკავშირებული ინდენტირებით სტიმულირებული ფაზური გარდაქმნის პროცესში მეტი რაოდენობით მაღალი სიმტკიცის β-კალის მოდიფიკაციის SiGe- II ფაზის წარმოქმნასთან.

საკვანძო სიტყვები: მონოკრისტალური Si, SiGe შენადნობი, ინდენტირება, ბლანტი მსხვრევა, მიკროსისალე, დრეკადობის მოდული, ელექტრონებით დასხივება.

მექანიკური დატვირთვების პროცესებში ნახევარგამტარული მასალების სტრუქტურის რღვევის მექანიზმების კვლევას ენიჭება დიდი მნიშვნელობა მათზე მაღალეფექტური საიმედო, დიდი ინტეგრალური სქემებისა და მიკრო-და ნანო ელექტრომექანიკური MEMS და NEMS სისტემების შესაქმნელად. ნახევარგამტარული ხელსაწყოების ოპტიმიზაციისა და დეფექტების მართვისათვის აუცილებელია მათი ფუძემდებლის ზედაპირებზე მექანიკური კონტაქტით ინიცირებული რღვევის პროცესების მიზეზების დადგენა.

ცნობილია [1,2], რომ განსაზღვრულ პირობებში ინდენტირებით ფორმირებული რადიალურ-მედიანური და გვერდითი ბზარები აღდგენით პროცესებში განიცდიან დრეკადი ძაბვების ველის ზემოქმედებას. ანაბეჭდებთან ფორმირებული სხვადასხვა წარმოშობის ბზარებისა და მათი განშტოებების სიგრძის პროპორციული რღვევის სიბლანტე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასალების მექანიკურ სიმტკიცეზე.

რადიალური ბზარის სიგრძის ათვლას აწარმოებენ ანაბეჭდის ცენტრიდან, ხოლო ინდენტირების მოდულისა და მიკროსისალის შეფარდებას საზღვრავენ ოლივერ-ფარის მეთოდით [3]. მათი გამოყენებით განისაზღვრება ბზარის წვეროსთან კრიტიკული ძაბვის ინტენსივობის ფაქტორი [4,5]:

$$K_{Ic} = K \cdot \left(\frac{E}{H}\right)^{1/2} \cdot \left(\frac{P}{C^{3/2}}\right),$$

სადაც, კოეფიციენტი $K=0.16$ ვიკერსის ინდენტორის გამოყენების შემთხვევებში [6].

C წარმოადგენს ბზარის სიგრძეს, P დატვირთვას ინდენტორზე, ხოლო E/H არის მოდულის შეფარდება მიკროსისალესთან.

ბზარის მამოძრავებელი კრიტიკული ძალა ანუ რღვევის ენერგია განისაზღვრება ფორმულით [4]:


$$\gamma = \frac{K_{Ic}^2}{2E}.$$

კოეფიციენტი K_{Ic} ასახავს სისალის რღვევის სიბლანტეს ანუ ბზარმედეგობას. მისი სიდიდე დამოკიდებულია ნარჩენი ანაბეჭდის ირგვლივ არსებული ძაბვების განაწილებაზე.

მეფე მასალების, კერძოდ ნახევარგამტარების, ინდენტირების პროცესების მახასიათებელი მექანიკური ძაბვების ინტენსივობისა და სივრცულ განაწილებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ატომთაშორისი კავშირების რღვევის, სტრუქტურული დეფექტების წარმოქმნისა და მოძრაობის, აგრეთვე სტრუქტურულ-ფაზური გარდაქმნის პროცესები გარეშე მექანიკური, თერმული და რადიაციული ზემოქმედების პირობებში. ლეგირებული მასალის სტრუქტურაში ჰეტეროგენურად განაწილებული დეფორმაციის არეები და კონცენტრაციის

გრადიენტები დიდ როლს ასრულებენ ბზარების წარმოქმნისა და გავრცელების, ასევე მასის გადატანის პროცესებში მოცულობიდან ზედაპირის მიმართულებით.

ნაშრომში წარმოდგენილია მაღალენერგეტიკული ელექტრონებით დასხივებული მონოკრისტალური სილიციუმისა და SiGe შენადნობის ორმხრივ პოლირებული ფუძემოყდრების ბზარმდეგობის შესწავლის შედეგები. ორივე საკვლევი ნიმუშის კუთრი ელექტროწინაღობა 5-10ომი.სმ-ია შესაბამისად, დენის მატარებლების კონცენტრაცია 10^{14} - 10^{15} სმ⁻³ რიგისაა და ის ატომთაშორისი კავშირის ძალებზე უმნიშვნელო გავლენას ახდენს. ბზარმდეგობაზე შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს დიდი ატომური რადიუსის გერმანიუმით ლეგირებამ 2ატ%-მდე. ასეთ პირობებში სილიციუმის კრისტალურ მესერში ფორმირდება მაღალი ინტენსივობის, ურთიერთზედდებული დეფორმაციის ველები და სტრუქტურაში წარმოიქმნება სხვადასხვა ზომის ბლოკებით შედგენილი უჯრედოვანი დისლოკაციური სტრუქტურა. ბლოკები ხასიათდებიან გერმანიუმის განსხვავებული კონცენტრაციითა და დისლოკაციების მაღალი სიმკვრივით ბლოკების გამყოფ საზღვრებზე. SiGe შენადნობის სტრუქტურაში ელექტრონებით რადიაციას შეაქვს სხვადასხვა ძვრადობის პირველადი რადიაციული დეფექტები. ისინი ოთახის ტემპერატურის პირობებში ინტენსიურად მოქმედებენ ერთიმეორესთან და მატრიცაში დასხივებამდე არსებულ დეფექტებთან. მათ ურთიერთქმედებას დისლოკაციურ სტრუქტურასთან შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს მექანიკური თვისებები და ინდენტირების პროცესში დეფორმაციის განვითარების პირობები.



ნახ.1 საწყისი ნიმუშების ბზარმდეგობის დამოკიდებულება ინდენტორზე მოდებულ მაქსიმალურ დატვირთვაზე.

- 1. p-Si, (111) 2. n-Si, (100) 3. P-Si+2ატ%Ge, (111)

ნახ.1-ზე წარმოდგენილია საკვლევი Si და SiGe ნიმუშების ინდენტირების პროცესებში ბლანტი რღვევის კოეფიციენტის ცვლილებები ინდენტორზე მოდებული მაქსიმალური დატვირთვის 100-1250 მნ დიაპაზონში. ნახ.1-დან ჩანს, რომ მინიმალურ დატვირთვებზე

ელექტრონებით დასხივება იწვევს n-Si-ის ბზარმედეგობის გაუმჯობესებას. ინდენტორზე მოდებული მაქსიმალური დატვირთვის გაზრდა იწვევს საწყისი და ელექტრონებით დასხივებული n-Si-ის ბზარმედეგობის შემცირებას. მაღალ დატვირთვებზე ინდენტორების პროცესებში ვლინდება სხვადასხვა ორიენტაციის ბზარების წარმოქმნა და გავრცელება ნიმუშის ზედაპირზე და მოცულობაში. მაღალენერგეტიკული ელექტრონების დასხივებით ფორმირებული რადიაციული დეფექტები მონაწილეობენ დისლოკაციების ბლოკირებაში, რის გამოც მოსალოდნელია პლასტიკურობის წვლილის შემცირება ინდენტორებით ინდუცირებული დეფორმაციის პროცესებში.

ინდენტორზე მოდებულ მაღალ მაქსიმალურ დატვირთვებზე საწყისი და ელექტრონებით დასხივებული n-Si-ის ნიმუშის სტრუქტურის რღვევა პრაქტიკულად ერთნაირ პირობებში მიმდინარეობს. კერძოდ ერთდროულად ინტენსიურად მიმდინარეობს რადიალური, მედიანური და სხვადასხვა მიმართულების მოცულობითი ბზარების ფორმირება და გაფართოება ენერგეტიკულად ხელსაყრელი კრისტალოგრაფიული მიმართულებებით. ეს გარემოება გრაფიკებზე ასახულია ბზარმედეგობის დაახლოებით ერთნაირი კანონზომიერებით შემცირებაში ინდენტორზე მოდებული მაღალი მაქსიმალური დატვირთვების დიაპაზონში. აღნიშნულ პირობებში იზრდება ბზარმედეგობის განსაზღვრის ცდომილება, რაც დაკავშირებულია ინდენტორების ანაბეჭდებზე ფიქსირებული ბზარების ნაკვალევის გავრცელების წრფივი კანონზომიერებისაგან გადახრით. სხვადასხვა ორიენტაციის მაღალი ინტენსივობის ძაბვების ურთიერთქმედება განაპირობებს ბზარების ნაკვალევის გავრცელების გადახრებს წრფივი კანონზომიერებიდან.


Si+2ატ%Ge შენადნობის საცდელი ნიმუშის ბზარმედეგობა შედარებით სწრაფად მცირდება ინდენტორების დაბალ მაქსიმალურ დატვირთვებზე, როდესაც ნარჩენი ანაბეჭდების კუთხეებთან შეინიშნება მხოლოდ წრფივი რადიალური ბზარები. მაღალ მაქსიმალურ დატვირთვებზე რადიალური ბზარების სიგრძე იზრდება, ზოგჯერ შეინიშნება მათი გავრცელების ძირითადი მიმართულებიდან გადახრა, აგრეთვე ბზარის ნაკვალევზე ღუნვებისა და საფეხურების წარმოქმნა. მაღალ დატვირთვებზე ანაბეჭდების ზონაში იზრდება მცირე ზომის ნამსხვრევების რაოდენობა. მაღალი ენერგიის ელექტრონებით დასხივებულ მდგომარეობაში ფიქსირებულია აგრეთვე პლასტიკური და რღვევის დეფორმაციების ბზარების ნაკვალევის რთული რელიეფი.

Si-სა და SiGe შენადნობის ბზარმედეგობათა დაახლოებით ერთნაირი კანონზომიერების ცვლილებები ასახავენ გარეშე და შინაგანი ძაბვების გავლენას მაღალ დატვირთვებზე ინდენტორებით ინდუცირებულ რთულ დეფორმაციულ პროცესებში.

საკვლევი Si და Si+2ატ%Ge ნიმუშების მაღალ დატვირთვებზე ინდენტორების ანაბეჭდებზე ფიქსირებული ბზარების ზიგზაგისებური ფორმა განპირობებულია მაღალი ინტენსივობის პლასტიკური და მყიფე რღვევის დეფორმაციით კრისტალის მოცულობაში. ძაბვების სივრცული განაწილების სპეციფიკურ შემთხვევებში ბზარი გავრცელების პროცესში შესაძლებელია გადაიხაროს მაქსიმალური გაჭიმვის ძაბვების სიბრტყიდან და გავრცელდეს რღვევისადმი დაბალი წინააღმდეგობის სიბრტყეზე. ცნობილია [7], რომ ბზარი შესაძლებელია გავრცელდეს მაღალი კრისტალოგრაფიული ინდექსებიან სიბრტყეზე. ამავე ნაშრომის

ავტორთა მოსაზრებით თუ ვიკერსის ინდენტორის დიაგონალი მიმართული იქნება (001) ან (110) ორიენტაციით, მაშინ ბზარი შესაძლებელია გავრცელდეს (110) სიბრტყეზე და წარმოქმნას $a/3 \langle 111 \rangle$ დისლოკაციური მარყუჟები.

ექსპერიმენტულმა გაზომვებმა აჩვენეს $\sim 10^{14} \text{სმ}^{-2}$ ფლუენსის მაღალენერგეტიკული ელექტრონების დასხივებული n-Si და Si+2ატ%Ge შენადნობის დრეკადობის მოდულისა და მიკროსისალის სუსტი მატება ვიკერსის ინდენტორზე მოდებული მაქსიმალური დატვირთვის 100-1250 მნ დიაპაზონში. საწყისი და ელექტრონებით დასხივებული Si+2ატ%Ge შენადნობის ინდენტორების დრეკადობის მოდულისა და მიკროსისალის შედარებითი მეტად ამაღლება განპირობებულია ინდენტორების პროცესში გაზრდილი რაოდენობით მეტალური Si-II ფაზის ფორმირებით ინდენტორის წვეროსა და მატრიცის გამყოფ საზღვარზე. მაღალი მექანიკური თვისებების მეტალური Si-II ფაზის გავლენა შენადნობის სტრუქტურულად-მგრძნობიარე ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე მნიშვნელოვნად მცირდება ინდენტორზე მოდებული მაღალი დატვირთვის პირობებში, როდესაც მიმდინარეობს ნიმუშის მოცულობაში ინტენსიური პლასტიკური და მყიფე რღვევის პროცესები.



ნახ.2 მაღალენერგეტიკული ელექტრონებით დასხივებული ნიმუშების ბზარმდეგობის დამოკიდებულება ინდენტორზე მოდებულ მაქსიმალურ დატვირთვაზე.

1. p-Si, (111) 2. n-Si, (100) 3. P-Si+2ატ%Ge, (111)

Ge-ით ლეგირებული Si-ის დრეკადობის მოდული და მიკროსისალე n-Si-თან შედარებით მაღალი სიდიდებით ხასიათდებიან, რაც განპირობებულია ინდენტორების პროცესებში წარმოქმნილ ფაზათა ნარევიში მაღალი სიმტკიცის β-კალის მოდიფიკაციის SiGe-II ფაზის მასის ზრდით. n-Si-თან შედარებით SiGe შენადნობში მცირდება ბზარების წარმოქმნისადმი მედეგობა. ასეთ მდგომარეობაში მაღალენერგეტიკული ელექტრონებით დასხივება სუსტად ზრდის ბლანტი რღვევის კოეფიციენტისა და რღვევის ეფექტური ენერჯის მნიშვნელობებს.

P-Si-ის (111) სიბრტყეებზე მაღალია დრეკადობის მოდულისა და მიკროსისალის სიდიდეები ინდენტორზე მოდებული დატვირთვის 100-1250 მნ დიაპაზონში. მაღალენერგეტიკული ელექტრონებით დასხივება შესამჩნევად ამაღლებს მექანიკური თვისებების მახასიათებლებს. იზრდება ასევე ბზარების წარმოქმნისადმი მედეგობა. შესაძლებელია ელექტრონებით დასხივების პროცესში რადიაციული დეფექტები მონაწილეობენ ინდენტორ-ნიმუშის გამყოფი საზღვრის ზონაში დრეკადი ძაბვების რელაქსაციაში დისლოკაციური პლასტიკური დეფორმაციის მექანიზმით. ასეთ პირობებში ენერგეტიკულად გამწვანებულია მყიფე მსხვრევის დეფორმაცია და მეტი ენერგია უნდა დაიხარჯოს განსაზღვრული ტიპის ბზარების ჩასახვისა და გავრცელებისათვის ნიმუშის ზედაპირზე და მოცულობაში.

ლიტერატურა

1. D.B. Marshall, B.R. Lawn and A.G.Evans J.Am.Ceram Soc., 63,(1982), 561-566
2. R.F, Cook and G.M. Pharr. J.Am.Ceram. Soc., 73, (1990), 787-817
3. W.C. Oliver and G.M. Pharr, J.Mater. Res, 7 (1192), 1567.
4. B.R. Lawn, A.G. Evans and D.B. Marshall. J. Am. Ceram Soc., 63, (1982), 1769-
5. J.S. Field, M.V. Swain, R.D. Dukino. J. Mater. Res., vol.18, N6 (2003), 1412-1419.
6. GR. Anstis, P. Chantikul, Lawn B.R, et al. J. Am. Ceram. Soc., (1981), 533-538.
7. F. Ebrahimi,L. Kalwani, J. Materials Science and Engineering, A268, (1999), 116-126.

Effect of highenergetic electrons irradiation on the fracture toughness characteristics of Si and Si+2at.%Ge wafers

Giorgi Darsavelidze, Kakhaber Shamatava, Avtandil Sichinava, Ia Kurashvili, Marina Kadaria

¹Ilia Vekua Sukhumi Institute of Physics and Technology,

²Sokhumi State University

Abstract

Crack resistance of silicon based materials wafers have a vital meaning in development of microelectromechanical systems technology. Nevertheless, there is currently little information about the mechanisms of crack formation, propagation and rupture deformation in the processes of indentation of semiconductor materials.

Present paper deals with the investigation of elastic modulus, microhardness and crack-formation characteristics of the monocrystalline n-Si (100), p-Si (111) and p-Si+2at.%Ge wafers in the initial and 12 MeV energy electrons irradiated states, over a wide range of maximum applied load on the Vickers indenter. Measurements were performed by the Vickers method on Shimadzu DUH-211S system ultramicrotester at room temperature.

It is shown that in the initial state (111) orientation p-Si substrates are characterized by relatively high elastic modulus and microhardness. Irradiation with high-energy electrons leads to an farther increase in the mechanical characteristics of all three samples, which is more expressed in p-type monocrystalline silicon.

Based on the evaluation of the length of the cracks propagated along the diagonals of the residual impressions, the critical stress intensity factor for the cracks formation on the sample surface and the effective rupture energy are estimated.

p-Si substrates on the (111) planes are characterized by high resistance to fracture toughness. Electron irradiation improves the fracture toughness characteristics of p-Si wafers. Crack resistance of the p-Si+2at.%Ge wafers is characterized by a slight increase in the electron-irradiated state. In indentation processes, the mechanical properties of the p-Si+2at%Ge wafers, including the fracture toughness characteristics, are determined by two opposing factors: softening associated with germanium atoms with large atomic radius and hardening associated with the formation of more high-strength beta-tin-modification SiGe-II phase during the indentation-stimulated phase transformation process.

Keywords: Monocrystalline Si, SiGe alloys, indentation, microhardness, elastic limit, electron irradiation

მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების „PI“ ტიპის და „T“ ტიპის მოდელების ქცევის შესწავლა ჰარმონიკულ ნაკადგანაწილებაში

გიორგი არზიანი, ზაია ქვათაძე, ლუკა ბარამიძე

რეზიუმე

ელექტრულ სისტემებში ძალოვანი ელექტრონული ინტერფეისების მქონე მოწყობილობების რიცხვის ინტენსიურმა მატებასთან ერთად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მაღალი ძაბვის ქსელში ჰარმონიკული ნაკადგანაწილების სიღრმისეული შესწავლა. კლასიკური ნაკადგანაწილებისაგან განსხვავებით, ჰარმონიკულ ნაკადგანაწილებაში მონაწილეობს სხვადასხვა სიხშირის დენებისა და ძაბვების მთელი სპექტრი, რის გამოც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ელექტრული სისტემის ელემენტების ჩანაცვლების სქემებისა და მოდელების სწორად შერჩევას. ფუნდამენტური სიხშირის დენებისა და ძაბვებისთვის დამყარებული რეჟიმების კალკულაციისას, გამარტივებული მოდელებით შესაძლებელია საკმაოდ მაღალი სიზუსტის მიღწევა. თუმცა, ჰარმონიკული ნაკადგანაწილების შემთხვევაში სიტუაცია ბევრად უფრო რთულია. ამის მიზეზი კი, ქსელის ტოპოლოგიური ელემენტების რეაქტიული კომპონენტების მაღალი მგრძობიარობაა სიხშირის მიმართ.

კლასიკურ ნაკადგანაწილებაში მაღალი ძაბვის ხაზების გამარტივებული, ეგრედწოდებული შეყურსულპარამეტრებიანი მოდელების გამოყენება დასაშვებია, რადგან ხაზის თავსა და ბოლოში მიიღება ელექტრული რეჟიმის ძირითადი პარამეტრების საკმაოდ მაღალი სიზუსტე, ხაზის გასწვრივ მიმდინარე პროცესები კი დამყარებული რეჟიმის ძირითადი ამოცანა არ არის. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ყველა თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფა (რომელსაც გააჩნია ჰარმონიკული დომენი) გამარტივებულ მოდელებზე ჰარმონიკული ანალიზის ჩატარების საშუალებას იძლევა, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მოდელების ვალიდაციას. ამ დროს, შესაძლებელია მივიღოთ შედეგები, რომელიც არა თუ დაბალი სიზუსტის, არამედ საერთოდ აცდენილია რეალობას და ამის შედეგად, გაიზარდოს შეცდომების დაშვების რისკი, როგორც ჰარმონიკული ფილტრების შერევისას, ასევე ჰარმონიკული მდგენელების ჩასახშობად სხვადასხვა ღონისძიების გატარებისას.

სტატიაში განხილულია მაღალი ძაბვის ხაზების ორი მათემატიკური მოდელის, კერძოდ კი „PI“ ტიპის და „T“ ტიპის მოდელების ქცევა მაღალსიხშირულ, ჰარმონიკულ

ნაკადგანაწილებაში. სიტუაციის ანალიზი ჩატარებულია მცირე მასშტაბის მაღალი ძაბვის სისტემის მაგალითზე, რომელიც შეიცავს 500 და 200 კვ ძაბვის კვანძებს. ჰარმონიკული დენების წყაროდ გამოყენებულია სტატიკური გენერატორი, რომელიც მიერთების წერტილში ძაბვის რეგულირების ფუნქციასაც ითავსებს. ქსელის სიხშირული მახასიათებლები გადაღებულია ორი კერძო შემთხვევისთვის. პირველ შემთხვევაში მაღალი ძაბვის მთლიანი ქსელი მოდელირებულია კლასიკური, შეყურსულპარამეტრებიანი ჩანაცვლების სქემით - „PI“ ტიპის მოდელით, ხოლო მეორე შემთხვევაში, მის ნაცვლად გამოყენებულია განაწილებულპარამეტრებიანი „T“ ტიპის მოდელი. ქსელში არსებული დანარჩენი ელემენტების მოდელები სცენარების მიხედვით არ იცვლება. ორივე შემთხვევისთვის მოდელირებულ იდენტური სცენარებში ჰარმონიკული ნაკადგანაწილების შედეგები შედარებულია ერთმანეთთან, შემოთავაზებულია გაკეთებულია შესაბამისი რეკომენდაცია ჰარმონიკულ ნაკადგანაწილებაში ვალიდური მოდელების გამოყენების შესახებ.

საძიებო სიტყვები: ჰარმონიკები, ელექტრული სისტემა, მოდელირება, სიმულაცია, სიხშირული სკანირება, ჰარმონიკული ნაკადგანაწილება.

შესავალი

თანამედროვე ელექტროენერგეტიკულ სისტემებში ყოველწლიურად იზრდება ძალოვანი ელექტრონული ინტერფეისის ბაზაზე აგებული ელექტრული სისტემების რიცხვი. ასეთი სისტემები გამოიყენება, როგორც ელექტრული ენერჯის გენერაციისა და მოხმარების ობიექტებზე, ასევე, უშუალოდ, დაბალი, საშუალო და მაღალი ძაბვის ხაზებსა და ქვესადგურებში. გენერაციის ობიექტების შემთხვევაში, ძალოვანი ელექტრონიკა ძირითადად გვხვდება ქარისა და მზის ელექტრულ სადგურებზე. დატვირთვის ობიექტებზე ძალოვანი ელექტრონიკას წამყვანი როლი აქვს პრაქტიკულად ყველგან, სადაც ადგილი აქვს ცვლადი ძაბვის გარდაქმნას, ძრავების ელექტრონულ გაშვებასა და მართვას, სხვადასხვა სახის საწარმოო ციკლების მართვას, ნედლეულის გადამამუშავებას, და სხვა. მაღალი ძაბვის გადამცემ და სადისტრიბუციო ქსელებში, ძალოვანი ელექტრონიკა ძირითად ელექტრული რეჟიმების ოპტიმიზაციის, საიმედოობისა და დინამიკური მდგრადობის ამალგების მიზნით გამოიყენება. მიუხედავად იმისა, რომ ძალოვანი ელექტრონული ინტერფეისების როლი სხვადასხვა ობიექტზე შეიძლება განსხვავებული იყოს, ყველა აღნიშნულ შემთხვევაში მის მიერ შექმნილ მთელ რიგ სიკეთეებთან ერთად, ვაწყდებით გარკვეული ხასიათის პრობლემებსაც. ელექტრული სისტემის ოპერირების პერსპექტივიდან, ამ პრობლემათაგან ყველაზე კრიტიკული ელექტრული ენერჯის ხარისხია. ელექტრული ენერჯის ხარისხის პრობლემის მოგვარება არ არის ერთჯერადი ხასიათის, რამდენადაც მას საკმაოდ კომპლექსური ბუნება აქვს და მუდმივ მონიტორინგს და ანალიზს საჭიროებს. აქაც, შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე ძირითადი კომპონენტი, თუმცა ამ სტატიის მიზანია ფოკუსირდეს ხარისხის განმსაზღვრელ ერთ-ერთ კონკრეტულ კომპონენტზე, რომელიც ელექტრული დენისა და ძაბვის ჰარმონიკული დამახინჯების სახელით არის ცნობილი.

მოდელირებული ქსელის აღწერა და ძირითადი დაშვებები


ჰარმონიკული დენებისა და ძაბვების ქსელზე გავლენის შესასწავლად ვიყენებთ ქსელის ჰარმონიკული ანალიზის მეთოდს. ეს მეთოდი სიმძლავრის კლასიკური ნაკადგანაწილებისაგან განსხვავდება იმით, რომ ნაცვლად ფუნდამენტური სიხშირის დენებისა და ძაბვებისა, ვიკვლევთ თუ როგორ ნაწილდება ქსელში სხვადასხვა სიხშირის მქონე ჰარმონიკული კომპონენტები, რომელთა რიგებშიც გვხვდება როგორც ჯერადი რიგის ჰარმონიკები, ასევე არაჯერადი (ინტერჰარმონიკები) და მაღალი სიხშირის ჰარმონიკები (სუპრაჰარმონიკები).

ქსელში წარმოქმნილი დენისა და ძაბვის თითოეული რიგის ჰარმონიკა ხასიათდება როგორც ამპლიტუდით ასევე ფაზით. ეს პარამეტრები მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდიან ჰარმონიკების ქსელში გავრცელებისას. კერძოდ, გამომდინარე ქსელის სპექტრული წინააღობების მახასიათებლებიდან, ზოგიერთი ჰარმონიკის ამპლიტუდა შესაძლებელია გაიზარდოს, ხოლო ზოგიერთის — შემცირდეს. იგივე ლოგიკა მოქმედებს თითოეული ჰარმონიკის ფაზაზეც. შესაბამისად, ჯამური ჰარმონიკული დამახინჯება ქვესადგურიდან ქვესადგურამდე შესაძლებელია იცვლებოდეს და არ ექვემდებარებოდეს ელექტრული სიშორის ლოგიკას, რასაც ვიყენებთ ფუნდამენტური სიხშირის პარამეტრების კლასიკური ანალიზისთვის.

ამასთან, მაღალი ძაბვის ქსელის სიხშირული მახასიათებლები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქსელის ტოპოლოგიურ სურათზე და მიერთებული ელემენტების აქტიურ, ინდუქციურ და ტევადურ კომპონენტებზე.


საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, კლასიკური ნაკადგანაწილების შესწავლისას, მაღალი ძაბვების ხაზები წარმოდგენილია ეგრედწოდებული „PI“ ტიპის, შეყურსულპარამეტრებიანი მოდელებით, რაც გულისხმობს ხაზის მთლიანი ტევადური კომპონენტის ორ ნაწილად დაშლას და მათ მიერთებას ხაზის თავსა და ბოლოში. „PI“ ტიპის მოდელში გრძივი აქტიური და ინდუქციური წინააღობები წარმოდგენილია მიმდევრობით შეერთებული R-L წრედის სახით. ხაზის ასეთი მოდელით წარმოდგენა მისაღებია დამყარებული რეჟიმების ანალიზის ჩასატარებლად, მაგრამ ამჟღავნებს დიდ უზუსტობას როგორც კი გადავდივართ ჰარმონიკული ანალიზის დომენში.

სურათ 1-ზე ნაჩვენებია მარტივი, ფიქტიური ელექტრული სისტემა, რომელიც შეიცავს ორ 500 კვ ძაბვის კვანძს (TERMINAL 1, TERMINAL 2) და ოთხ 220 კვ ძაბვის კვანძს (TERMINAL 3, TERMINAL 4, TERMINAL 5 და TERMINAL 6). TERMINAL 3 ზე მიერთებულია სინქრონული გენერატორი, ხოლო TERMINAL 6 -ზე სტატიკური გენერატორი, რომელიც პრაქტიკულად წარმოადგენს სტატიკური კომპენსატორისა და ენერჯის შემნახველი სისტემის კომბინირებულ მოდელს. სტატიკურ გენერატორს აქტიური სიმძლავრის გენერაციასთან ერთად შეთავსებული აქვს სალტეზე ძაბვის მდორე რეგულირების ფუნქციაც.



სურათი 1. სიმპლავრის ნაკადგანაწილება მოდელირებულ, მარტივ ელექტრულ სისტემაში

სტატიკური გენერატორი აგებულია ძალოვანი ელექტრონული ინტერფეისის ბაზაზე, რაც ნიშნავს რომ სინქრონული გენერატორისაგან განსხვავებით იგი ქსელთან მიერთებულია არა უშუალოდ სტატორის გრაგნილით, არამედ ინვერტორის საშუალებით. შესაბამისად, ელექტრონული ვენტის კომუტაციიდან და ინვერტორის არაწრფივი მახასიათებლიდან გამომდინარე, მისი მუშაობის პროცესში ფუნდამენტური 50 ჰერციანი ტალღების გარდა, ადგილი აქვს მაღალი სიხშირის ჰარმონიკული მდგენელების წარმოქმნასაც. სიმარტივისთვის, სტატიკური გენერატორის გამოსასვლელი წარმოდგენილია 12 პულსიანი სამფაზა, დაბალანსებული ინვერტორის სახით. შესაბამისად ჰარმონიკული სპექტრში პრაქტიკულად მიღებულია მე-5, მე-7, მე-17, და მე-19 ჰარმონიკები და ძირითადად დომინირებს მე-11, მე-13, 23-ე და 25-ე რიგის ჰარმონიკები, როგორც ეს სურათ 2-ზეა ნაჩვენები.



სურათი 2. სტატიკური გენერატორის ინვერტორის დენის ჰარმონიკული სპექტრი


მოდელირების პროცესის გამარტივების მიზნით, კვლევის ამ ეტაპზე არ ვითვალისწინებთ ინტერჰარმონიკებისა და სუპრაჰარმონიკების წარმოქმნას და შესაბამისად, ქსელში მათი გავრცელების ფენომენიც უგულებელყოფილია. ძირითადი აქცენტი კი, გადატანილია ფუნდამენტური სიხშირის ჯერადი ჰარმონიკების ნაკადგანაწილებაზე.

ჰარმონიკული ანალიზის შედეგები PI ტიპის მოდელების გამოყენებისას

ამ სცენარში მოდელირებული ელექტრული სისტემის ყველა მაღალი ძაბვის ხაზი წარმოდგენილია PI ტიპის მოდელების საშუალებით. აქვე უნდა აღიშნოს, რომ ნორმალური რეჟიმის პარამეტრებს სცენარების მიხედვით არ ვცვლით. მცირე ცვლილება, რომელიც შესაძლებელია დაფიქსირდეს ნაკადგანაწილების შედეგებში გამოწვეული იქნება მხოლოდ და მხოლოდ მოდელების ცვლილების გამო, რადგან დატვირთვისა და გენერაციის პარამეტრებს ვტოვებთ ხელუხლებელს.

სტატიკური გენერატორის ქსელთან მიერთების წერტილში სიხშირული მახასიათებლის გადასაღებად TERMINAL 6 - ში მოვახდინეთ ქსელის სიხშირული სკანირება. ქსელში ინექცირდა 0-დან 2500 ჰც დიაპაზონის მქონე სიხშირული სპექტრი, 0.1 ჰერციანი ბიჯით.


სიხშირული სკანირების შედეგები ასახულია სურათ 3-ზე. როგორც ამ მრუდებიდან აშკარად იკვეთება, სიხშირის ამ დიაპაზონში ქსელი ამჟღავნებს სამ რეზონანსულ წერტილს, აქედან ერთი დაახლოებით 230 ჰერცის, მეორე 610 ჰერცის, ხოლო მესამე 1230 ჰერცის მიდამოებში.



სურათი 3. სტატიკური გენერატორის მიერთების წერტილში ქსელის წინააღობების სიხშირული მახასიათებლები ხაზების PI ტიპის მოდელების გამოყენებისას

თითოეულ ასეთ წერტილში ადგილი აქვს მიერთების წერტილის მიმართ ქსელის რეაქტიული წინააღობის ბუნების მკვეთრ ცვლილებას სიხშირის საკმაოდ ვიწრო დიაპაზონებში. კერძოდ, ადგილი აქვს წინააღობის ტევადურიდან ინდუქციურში და ინდუქციურიდან ისევ ტევადურში გადასვლას. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სიხშირეზე დამოკიდებული ქსელის ეკვივალენტური აქტიური წინააღობაც, რაც გამოწვეულია არა სადენების ზედაპირული ეფექტით, არამედ ქსელის ელემენტების წინააღობების კომპლექსური ბუნებით. ქსელის ეკვივალენტური წინააღობა სურათ 3-ზე წითელი მრუდის საშუალებით არის გამოსახული. მოდელირებული სისტემის რეაქტიული წინააღობის ასეთი ვარიაციები გამოწვეულია მისი გრძივი და განივი რეაქტიული კომპონენტების შემთხვევითი რეზონანსებიდან, რაც პრაქტიკაში ნაკლებად პროგნოზირებადია და შესაბამისად აუცილებელია მათი წინასწარი კალკულაცია სხვადასხვა ტოპოლოგიური სცენარებისთვის (მათ შორის ყველა N-1 სცენარისთვის).

სიხშირული მახასიათებლის გადაღების შემდეგ ჩავატარეთ ჰარმონიკული ნაკადგანაწილების კალკულაცია, რომლის შედეგებიც TERMINAL 5 -სთვის და TERMINAL 1-სთვის ნაჩვენებია სურათ 4-ზე.



სურათი 4. ჰარმონიკული დამახინჯებები 1-ელ და მე-5 ტერმინალებში, ხაზების PI ტიპის მოდელების გამოყენებისას


როგორც ჰარმონიკული დამახინჯებების ამსახველი დიაგრამიდან ჩანს Terminal 5-ში მე-11 და მე-13 რიგის ჰარმონიკები შედარებით მილეული, თუმცა ადგილი აქვს 23 - ე და 25 - ე ჰარმონიკების გაძლიერებას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 25-ე რიგის ჰარმონიკა, რომლის სიდიდე ძირითადი მდგენელის დაახლოებით 28 %-ს აღწევს, რაც ყოვლად დაუშვებელია მაღალი ძაბვის ქსელში. ეს ნიშნავს, რომ სინუოსიდას პრაქტიკულად დაკარგული აქვს თავისი ფორმა.

Terminal 1-ში განსხვავებული სურათი გვაქვს. კერძოდ, აქ დომინანტი ჰარმონიკებია მე-11 და მე-13, ხოლო 25-ზე მაღალი რიგის ჰარმონიკები პრაქტიკულად გამქრალია.

ცხადია, ჰარმონიკული დამახინჯების ასეთი მაღალი დონეები რეალურ ქსელში არ შეგვხვდება, რადგან დამახინჯების ყველა ძირითადი წყარო როგორც წესი ქსელთან ერთდება ცვლადი ძაბვის ფილტრებთან ერთად. ასეთ შემთხვევაში ფილტრები ხელოვნურად ქმნიან დაბალი წინაღობების შუნტურ არხებს ყველა იმ ჰარმონიკისთვის, რომელთა დონეც ლოკალური ქსელის წესების ან ელექტრული ენერჯის ხარისხის შესაბამის სტანდარტებით დასაშვებ ზღვრებს სცილდება. ჩვენი სცენარები ნაანგარიშებია ჰარმონიკული ფილტრების გარეშე, რათა მკაფიოდ გამოჩნდეს ქსელის გავლენა თითოეულ ჰარმონიკაზე.


ჰარმონიკული ანალიზის შედეგები T ტიპის მოდელების გამოყენებისას

ამ სცენარში, მოდელირებული ელექტრული სისტემის ყველა მაღალი ძაბვის ხაზის PI ტიპის მოდელები ჩავანაცვლეთ განაწილებულპარამეტრებიანი T ტიპის მოდელებით. როგორც ზემოთ აღინიშნა რეჟიმის სხვა პარამეტრები, ქსელის ტოპოლოგია და კვანძებში მიერთებული ელემენტები დავტოვეთ უცვლელი.



სურათი 5. სტატიკური გენერატორის მიერთების წერტილში ქსელის წინააღობების სიხშირული მახასიათებლები ხაზების T ტიპის მოდელების გამოყენებისას

ახალი მოდელისთვის სიხშირული მახასიათებლის გადასაღებად, TERMINAL 6-ში კვლავ მოვახდინეთ ქსელის სიხშირული სკანირება. მიღებული შედეგი სურათ 5-ზეა ნაჩვენები. აქ წარმოდგენილი ახალი სიხშირული მახასიათებლიდან ნათლად ჩანს, რომ სიტუაცია დრამატულად შეიცვალა. კერძოდ, დაიძრა პრაქტიკულად ყველა არსებული რეზონანსული წერტილი, შეიცვალა კომპლექსური წინააღობების სიდიდეები და გაჩნდა ახალი რეზონანსული წერტილები, რომლის შესახებაც პირველ სცენარში საერთოდ არ გვექონდა ინფორმაცია.



სურათი 6. ძაბვის ჰარმონიკული დამახინჯებები 1-ელ და მე-5 ტერმინალებში, ხაზების T ტიპის მოდელების გამოყენებისას

დაკვირვებული თვალი ადვილად შენიშნავს, რომ სიხშირის ზრდასთან ერთად სულ უფრო მკვეთრად იზრდება განსხვავება მახასიათებლებს შორის.

ასევე აბსოლუტურად განსხვავებული შედეგები მივიღეთ ჰარმონიკული ნაკადგანაწილების ანგარიშისას. სურათ 6 - ზე ნაჩვენებია ძაბვების მაღალსიხშირული კომპონენტები TERMINAL 5 - ისთვის და TERMINAL 1 - ისთვის. ადვილი შესამჩნევია, რომ წინა სცენარისაგან განსხვავებით, TERMINAL 5 -ში მკვეთრად არის გაზრდილი 23-ე, 35-ე, 47-ე და 49-ე რიგის ჰარმონიკები. განსხვავებული სურათი მივიღეთ TERMINAL 1-შიც. აქ მკვეთრად არის შემცირებული მე-11 და მე-13 რიგის ჰარმონიკები, ხოლო მნიშვნელოვნად არის გაზრდილი 35-ე რიგის ჰარმონიკა. 47-ე და 49-ე ჰარმონიკები წინა სცენარში პრაქტიკულად არ არსებობდა, აქ კი მათი ამპლიტუდები აღემატება 3%-სა 4%-ს, შესაბამისად.

დასკვნა

ჰარმონიკული მოდელირების დომენში მაღალი ძაბვის ხაზების PI ტიპისა T ტიპის მოდელებზე დაყრდნობით გამოკვლეული სცენარების შედეგებში შეინიშნება დრამატული განსხვავება. ეს განსხვავება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ PI ტიპის შემთხვევაში, ხაზის თავსა ბოლოში განაწილებული ტევადური კომპონენტები მოქმედებენ როგორც მამუნტებელი

არხები მაღალი რიგის ჰარმონიკებისთვის. სწორედ ამიტომ, მაღალი რიგის ჰარმონიკები, ცალკეული გამონაკლისის გარდა, ან სრულად ჩახშობილია ან თავს იჩენს უმნიშვნელო ამპლიტუდებით. ეს შეგვიძლია გავაიგივოთ შემთხვევასთან, როდესაც ჰარმონიკულ წყაროს ინექციის კვანძშივე ვახვედრებთ მაღალი სიხშირის მამუნტებელი ფილტრს, რომელიც არ აძლევს ჰარმონიკულ მდგენელებს ქსელში გავრცელების საშუალებას.

ამასთან, რადიკალურად განსხვავებულ შედეგებს ვიღებთ ქსელის სიხშირული სკანირებისას. როგორც აღმოჩნდა, PI ტიპის მოდელების გამოყენებისას, შესაძლებელია დაიმალოს და ვერ შევნიშნოთ არაერთი რეზონანსული კონტური, რომელიც რეალურ ქსელში არსებობს და შესაძლებელია იწვევდეს რიგ პრობლემებს ზოგიერთი ჰარმონიკული მდგენელის გაძლიერების კუთხით. ასეთი კონტურების გამოვლენა შესაძლებელი ხდება მხოლოდ განაწილებულპარამეტრებიანი T ტიპის მოდელების გამოყენების შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყოვლად მიუღებელია ქსელის ჰარმონიკული ანალიზის ჩატარება შეყურსულპარამეტრებიან სქემაზე. მითუმეტეს, როდესაც საქმე ეხება ცვლადი ძაბვის ფილტრების შერჩევას. მოდელირებაში დაშვებული შეცდომა ნეგატიურად აისახება ფილტრების დიზაინზე, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს მათი მუშაობის ხარისხის გაუარესებას და ეფექტურობის მნიშვნელოვან შემცირებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფილტრების შერჩევისას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს არა მხოლოდ გენერირებული ჰარმონიკების სპექტრს, არამედ ამ სპექტრის მიმართ მიერთების წერტილის კომპლექსური წინაღობების სიხშირულ მახასიათებლებსაც.

T ტიპის მოდელების გამოყენება იძლევა ბევრად უფრო ზუსტ შედეგებს, რამდენადაც განაწილებული პარამეტრები უფრო მეტად ასახავს რეალური ხაზის თვისებებს და შესაბამისად, მნიშვნელოვნად ზრდის ელექტრული ქსელის მახასიათებლების ხილვადობას მაღალსიხშირული ანალიზის ჩატარებისას.

Analyzing the Behavior of PI Section and T Section High Voltage Line Models in Harmonic Load Flow

Summary

The considerable increase in the number of devices equipped with power electronic interfaces in electrical power systems highlights the escalating importance of conducting detailed studies on harmonic load flow in high voltage networks. This area of study diverges from classical power flow analysis as it encompasses the analysis of a full spectrum of currents and voltages of different frequencies. This complex scenario necessitates the accurate representation of the electrical system's components, making the selection of suitable equivalent models critical. When calculating steady state scenarios for fundamental frequency currents and voltages, simplified models can yield relatively high accuracy. However, the scenario becomes significantly more complex with harmonic load flow

analysis. This increased complexity is due to the capacitive and inductive components of the network's topological elements being highly sensitive to frequency variations.

In conventional load flow scenarios, employing simplified models with lumped parameters for high-voltage lines is generally acceptable. This approach works because the critical parameters at both ends of the line can be accurately determined, and the electromagnetic processes occurring along the line are not the main focus in steady state conditions.

However, even though most modern modeling and simulation software capable of harmonic domain analysis can perform harmonic analysis using these simplified models, meticulous validation of these models is crucial. Inaccurate models can lead to results that are not just imprecise but also grossly disconnected from reality, increasing the risk of errors. This caution is especially important when designing harmonic filters and implementing various strategies to mitigate harmonic injections into the network.

The article examines how two types of models for high-voltage lines, specifically the "PI" and "T" type models, behave in scenarios involving high-frequency harmonic load flow. This analysis uses a small-scale high-voltage system with 500 and 200 kV nodes as an example. A static generator, providing both harmonic current injections and voltage regulation at the connection point, is used as a source. The network's frequency characteristics are assessed in two scenarios. In the first, the high-voltage network is represented using a classical, lumped-parameter "PI" type model, while in the second, a distributed-parameter "T" type model is applied. The models for other network elements remain unchanged across the scenarios. The outcomes of the harmonic flow distribution in identical scenarios modeled for both cases are compared, leading to a conclusion and recommendation on choosing the appropriate high voltage line model for harmonic load flow calculations.

Keywords: Harmonics, Power System, Modeling, Simulation, Frequency Scanning, Harmonic load flow.

გარემოს დაბინძურება ტყვიით და მისი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე

მანანა მამულაშვილი¹, ეკატერინე მაცაბერიძე²

¹საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი, ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხი

²საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ქიმიის დოქტორის აკადემიური ხარისხი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია მძიმე ლითონებით, კერძოდ ტყვიით გარემოს დაბინძურება და მასთან დაკავშირებული პრობლემები. გამოკვლეულია ტყვიით გამოწვეული პრობლემის მასშტაბები და განხილულია მასთან დაკავშირებული პოტენციური ზომები.

ტყვია ერთ-ერთი ძლიერი ტოქსიკური ნივთიერებაა, რომელიც მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით საშიშია ბავშვებისათვის. შესწავლილია ტყვიის ზემოქმედების რისკები გარემოს, ადამიანის და ბავშვების ჯანმრთელობაზე, როგორც მთელ მსოფლიოში ასევე საქართველოშიც. განხილულია ტყვიის შემცველი პროდუქტის მოხმარება ყოფაცხოვრებაში, როგორცაა, მშენებლობა, ელექტრონიკა, საწვავი, საღებავები, სათამაშოები, ატმოსფეროს გაბინძურება გამონაბოლქვით და სხვა. აღნიშნულია, რომ ტყვიამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ნეგატიური ეკონომიკური და სოციალური ზემოქმედება მოსახლეობის დონეზე.

დასახულია ტყვიით გარემოს დაბინძურების შემცირების შესაძლო ღონისძიებები.

საკვანძო სიტყვები: ტყვია, ადამიანი, ჯანმრთელობა, გარემო, დაბინძურება

შესავალი

თანამედროვე კაცობრიობა გარემოზე მზარდი ზემოქმედების შედეგად გლობალური ცვლილებების პერიოდში იმყოფება. ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ ძლიერ შეიცვალა ეკოლოგიური მდგომარეობა, გაიზარდა მძიმე ლითონებით გარემოს დაბინძურების ხარისხი, რაც დღემდე რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად. ლითონის ჭარბი კონცენტრაციები ცოცხალ ორგანიზმებზე ავლენენ ტოქსიკურ და კანცეროგენულ ეფექტს.

ტყვიით დაბინძურების გამო ყოველწლიურად მსოფლიოში დაახლოებით 900,000 ადამიანი იღუპება (IHME, 2019). როგორც წესი, ეს პრობლემა ყველაზე მწვავედ განვითარებად ქვეყნებში დგას, სადაც ტყვიის შემცველობა სრულად არ რეგულირდება და სათანადოდ არ კონტროლდება.

ტყვია დედამიწის ქერქის კომპონენტია და ერთ-ერთი ძლიერი ტოქსიკური ლითონია. მას გააჩნია სტაბილური და ბუნებრივი რადიაქტიური იზოტოპები. იგი ჭედადი, პლასტიკური, ყველაზე რბილი ლითონია მძიმე ლითონებს შორის. დედამიწის ქერქში მისი შემცველობა $1,6 \times 10^{-3} \%$. მდინარის წყლებში ტყვიის საშუალო შემცველობა 0,2 – 8,7 მკგ/ლ. ფიტოპლანქტონის ზოგიერთი სახეობა მას აკუმულირებს 12000-ჯერ. ზღვის წყალმცენარეებში 0,84 მგ/100გ მშრალ ნივთიერებაზე გადათვლით. ხმელეთის მცენარეებში 0,27მგ/კგ, ჰიდროფაუნა შეიცავს 0,05მგ/კგ, ხმელეთის ცხოველები 0,2მგ/კგ, ბაქტერიები 0,6-1,5 მგ/100გრ. ტყვიას ინტესიურად აკუმულირებს წიწვოვანი მცენარეები და ხავსი [1]. დიდი ხანია, ტყვია ბუნებრივ დამაბინძურებლად ითვლება, ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთი აქტიური თანმდევა და უკავშირდება მეტალურგიული, მადნების, შენადნობების, ბატარეა-აკუმულატორების, საბრძოლო მასალების, სათამაშოების, აქსესუარების, კერამიკის, ნავთობისა და სხვა ბევრი კატეგორიის პროდუქტის წარმოებას. დროსთან ერთად ამ ყველაფერმა გაზარდა ტყვიის დონე ნიადაგში, წყალსა და ჰაერში, რამაც უფრო ნათელი გახადა რისკები და საფრთხეები.

ტყვიის მოცულობის ზრდამ გარემოში ადამიანის ჯანრთელობისთვის საშიში არაერთი ფაქტორის პროვოცირებაც მოახდინა. არსებობს ასეთი ფრაზაც — *ტყვიის ეპიდემია*. ესაა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ადრე დაწყებული და დღემდე დაუსრულებლად მიმდინარე ეპიდემია, რომელიც ყველა დროში თითოეულ სოციალურ ფენას სწვდება და ჯანმრთელობის, სრულფასოვანი ცხოვრების შეუქცევად პრობლემებს ქმნის.

ტყვიის შემცველობა ბავშვებში

ტყვია განსაკუთრებით საშიშია და მოწამვლის რისკი ბევრად მაღალია ბავშვებისათვის. ბავშვის ორგანიზმში ტყვიის კონცენტრაციის გაზრდა 10-დან 20 მკგ/გ-მდე იწვევს გონებრივი განვითარების კოეფიციენტის შემცირებას. თმებში ტყვიის დასაშვები რაოდენობა 8-9 მკგ/გ. შეიძლება ითქვას რომ მოსწავლეთა ცუდი მოსწრება და აგრესიული ქცევა დაკავშირებულია ტყვიის დაგროვებასთან. ბავშვები განსაკუთრებით დაუცველნი არიან მისი უარყოფითი ზემოქმედებისგან ორი მიზეზის გამო – უფროსებთან შედარებით მათი ორგანიზმი ტყვიის მეტ ნაწილაკებს შთანთქავს ხელებისა და პირის ღრუს ერთმანეთთან ხშირი შეხებისა გამო. ტყვიით მოწამვლამ ბავშვებში შეიძლება გამოიწვიოს კოგნიტური და ფიზიკური აქტივობის დაქვეითება, მათ შორის, იქონიოს გავლენა მათ ნეირომოდულურ და ნეიროენდორულ ფუნქციებსა და სწავლის უნარზე [1].

ცხრილი 1. სასკოლო ბავშვების ორგანიზმში ტყვიის შეღწევის გზები

ქალაქის	ტყვიის საერთო	ორგანიზმში Pb-ის შეღწევის გზები %
---------	---------------	-----------------------------------

დახასიათება	რაოდენობა მკგ/დღეში	ჰაერი	სასმელი წყალი	ნიადაგი	კვების პროდუქტები
ქალაქები შედარებით დაბალი დასაშუალო გაჭუჭყიანების დონით	23-33	0,3	1,5	11,3	86,9
ქალაქები გაჭუჭყიანების გაზრდილი დონით	24-67	0,7	2,8	16,7	89,8

თანამედროვე მსოფლიოში ტყვიის მთავარი წყარო საღებავებია, რომლითაც ღებავენ სათამაშოებს. ეს ტყვიის ორგანიზმში მოხვედრის ერთი გზაა. აშშ-ს კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მიერ გამოკვლეული ყოველი ექვსი ბავშვიდან ერთი ტყვიით მოწამლული აღმოჩნდა. ჯანმრთელობისა და გარემოს გამოკვლევების მესამე ნაციონალური კონგრესის მასალების მიხედვით 930 ათასი სკოლიმდელი ასაკის ბავშვის სისხლში ტყვიის შემცველობა აღემატება დასაშვებ ნორმას. არასამთავრობო ორგანიზაციის PURE EARTH და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ ერთობლივად 2020 წლის ივლისში, გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ ყოველი მესამე ბავშვი მსოფლიოში, ანუ გლობალურად დაახლოებით 800 მილიონი ბავშვი, საშიშ ან ძალიან საშიშ მდგომარეობაშია, რადგან ტყვიის შემცველობა სისხლში თვალშისაცემია [2] [3] [4].

საქართველოში ვითარება კიდევ უფრო მძაფრია. ბავშვების 41%-ს სისხლში ტყვიის მაღალი ან ძალიან მაღალი დონე აღენიშნება. საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2021 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ ხსენებული რაოდენობიდან 16%-ზე მეტ ბავშვს აღენიშნება 10 მკგ/დლ-ზე მეტი, 25%-ს 5-დან 10-მდე მკგ/დლ, ხოლო დანარჩენს — 5 მკგ/დლ-მდე [5]. იმავე წელს საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრის და PURE EARTH-ის საქართველოს წარმომადგენლობის კვლევამ აჩვენა, რომ ყველზე მეტად დაავადებული იყვნენ დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ბავშვები და სისხლში ტყვიით დაბინძურების ძირითადი წყარო საკვები იყო.

ტყვია და საკვები

ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის არა მარტო ატმოსფეროში მყოფი, არამედ საკვებ პროდუქტთა შესაფუთ ზოგიერთ ქაღალდსა და მუყაოში უმცირესი რაოდენობით შემავალი ტყვია რომელიც გადადის საკვებში. ტყვია განსაკუთრებით ბევრია სასმელსა და ხილში. განსაკუთრებით ბევრი გროვდება არახისში 10%-მდე.

ცხრილი 2. ტყვიის ზღვ საკვებ პროდუქტში (მგ/კგ პროდუქტში) და ბიოსფეროს კომპონენტებში

ელემენტი	ზღვ						
	პროდუქტის სახე (მგ/კგ პროდუქტში)						
	თევზი	ხორცი	რძე	პური და მარცვლეული	ბოსტნეული	ხილი	წვენები
ტყვია	1,0	0,5	0,05	0,2	0,5	0,4	0,4
ტყვია არაორგანული ნაერთი	ბიოსფეროს კომპონენტები						
	ატმოსფერული ჰაერი მგ/მ ³					წყალი მგ/ლ	ნიადაგი მგ/კგ
	მაქსიმალური ერთჯერადი		საშუალო დღე-ღამური			0,03	32,0
	0,01		0,0003				

გამოცემაში Annals of Global Health მეცნიერთა ჯგუფმა გამოაქვეყნა ნაშრომი, სადაც ნათქვამია, რომ ტყვიით გამდიდრებული სუნელები წარმოადგენს უზარმაზარ რისკს საქართველოს მოსახლეობისთვის [6] [7].

ტყვიის ზღვ ჰაერში არ უნდა აღემატებოდეს 3 მკგ/მ³, ნიადაგში 20 მგ/კგ, ხოლო საშუალო რაოდენობა მცენარეებში 2-3 მგ/კგ. ყველაზე მცირეა პარკოსნებში, ყველაზე მეტი ყაბაყში. დიდი რაოდენობით აკუმულირებს ინდური მდოგვი.

ტყვია და საღებავები

ტყვიით მოწამვლის ძირითადი წყაროა საღებავები (ტყვიის თეთრა, ტყვიის სურინჯი). ასეთ საღებავებში ტყვიის რაოდენობა მერყეობს 5-დან 40%-მდე. ასეთი საღებავებით ღებავენ ავეჯს, ფანჯრის რაფებს, სათამაშოებს. ტყვია ბევრია წიგნებისა და გაზეთის საღებავებში. ტყვიით მოწამვლის მიზეზი შეიძლება გახდეს ძველი შენობა-ნაგებობების დანგრევის შედეგად გაფანტული მტვერი ან ბოლი. მხატრული ტილოები, ხშირად მინანქარი, განსაკუთრებით წითელი და ყვითელი ფერი შეიცავს ტყვიას. საუველირო ნაკეთობათა ნარჩენები, საყოფაცხოვრებო აკუმულატორები და ტყვიის შრიფტები. ტყვიის ნაერთები Pb₃O₄, PbSO₄ ფართოდ გამოყენებული პიგმენტებია, რომლებიც ქიმიურ მრეწველობაში გამოიყენება. PbSO₄ - თეთრი ფერის ნალექია და გამოიყენება თეთრი საღებავების დასამზადებლად, ამჟამად მისი გამოყენება შეზღუდულია.

მსოფლიოში ტყვიის შემცველი საღებავების კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, მწარმოებლები აწარმოებენ საღებავს, რომელიც შეიცავს 90 ppm-ზე ნაკლებ ტყვიას. თუმცა, საგანგაშოა, როდესაც ამ მაჩვენებელს აჭარბებს ტყვიის კონცენტრაცია საღებავებში, რომლის გამოყენებაც დახურულ სივცეებში, საცხოვრებელ სახლებში ხდება. ამ ვითარებას საგანგაშოს ხდის ის გარემოება, რომ ბევრ ქვეყანაში არ არსებობს ორგანოები, რომლებსაც ევალებათ მათი

ზედამხედველობა და მონიტორინგი. ამ შემთხვევაში ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა მთლიანად მწარმოებლის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული.

ტყვიის შემცველი საღებავები საქართველოში ტყვიით დაბინძურების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულ მიზეზს წარმოადგენს. ძველ სახლებში უმეტესად სწორედ ასეთი საღებავებია გამოყენებული. ეს პრობლემა ასეთ დასახლებაში მცხოვრები თითოეული ადამიანისთვის და ოჯახებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ფინანსები საკუთარი სახლების გასარემონტებლად (საქართველოს პარლამენტი, 2020) [8]. მეორე მხრივ, პოზიტიური ისაა, რომ პრობლემა მარტივად მოგვარებადია. ჯანმრთელობის ზემოქმედების პროექტმა აშშ-ში ჩაატარა ტყვიით დაბინძურებასა და ბავშვების ჯანმრთელობას შორის კავშირის კვლევა. ამ საპილოტე პროექტმა გამოავლინა, რომ ძველი სახლების გადაღება მთელ შეერთებულ შტატებში, განსაკუთრებით იმ სახლებში, სადაც მცირეწლოვანი ბავშვები ცხოვრობენ, დაიცავდა 2018 წელს დაბადებულ 311,000-ზე მეტ ბავშვს ტყვიით მოწამვლისგან (Health Impact Project, 2017). ასეთი პროექტის განხორციელება საქართველოში შესაძლოა დიდ ხარჯებთან იყოს დაკავშირებული და ძნელად განსახორციელებელი აღმოჩნდეს.

2017 წელს, ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეამ დაამტკიცა, ქიმიური ნივთიერებათა საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიულ მიდგომაში ჯანმრთელობის დაცვის სექტორის ჩართვის წახალისების სამოქმედო გეგმა 2020 წლის მიზნის მისაღწევად (decision WHA70(23)), რომელიც მოიცავს, საღებავებში ტყვიის გამოყენების ეტაპობრივი შემცირების ეროვნულ ქმედებას. 2017წელს, გაეროს გარემოსდაცვით ასამბლეაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია UNEP/EA.3/Res.9, ტყვიის შემცველი საღებავების ექსპოზიციის აღმოფხვრის და ტყვია-მყავას ელემენტების ეკოლოგიური მართვის ხელშეწყობის შესახებ [9].


ტყვია ბატარეებსა და ელექტრონიკაში

ნიადაგის დაბინძურება საქართველოში ტყვიით დაბინძურების გავრცელების ერთ-ერთი მთავარი წყაროა, აუცილებელია, უზრუნველვყოთ ბატარეებისა და ელექტრონიკის უსაფრთხო განადგურება და არა მათი გადაყრა ნაგავსაყრელებსა და სხვა ადგილებზე, რაც აბინძურებს გარემოს, კონკრეტულად კი ნიადაგს.

ამ მიმართულებით ზომების მიღება, შესაძლოა, მოიცავდეს კანონის აღსრულების ხელშეწყობას, სახიფათო ელექტრონული ნარჩენების განადგურებასთან დაკავშირებული შეზღუდვების დაწესებას და ნიადაგის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად სპეციალური ინფრასტრუქტურისა და ნაგავსაყრელების მშენებლობას. პარალელურად, ცნობიერების ამაღლების კამპანიების მეშვეობით, ელექტრონული პროდუქტების ნარჩენები სხვა ნარჩენებისგან უნდა განცალკევდეს. ამგვარად, ნარჩენების დახარისხების პოლიტიკამ შეიძლება დააჩქაროს ეს პროცესი [10].

ტყვისა და მისი ნაერთების გამოყენების სფეროები

- ელექტროკაბელებისა და ტყვის აკუმულატორების წარმოება (84%)
- ტყვიაშემცველი საწვავის წარმოება
- მანქანათმშენებლობა
- ატომური ენერჯეტიკა
- ქიმიური მრეწველობა (საღებავების წარმოება)
- პოლიგრაფია



ტყვის გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე

ტყვით მოწამვლის წინააღმდეგ სხვადასხვა საჯარო განხილვისას, მნიშვნელოვანია შეფასდეს ტყვით დაბინძურებით გამოწვეული ზარალი. ჯანმრთელობის მეტრიკისა და შეფასების ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში არსებული ინტელექტუალური განვითარების გაურკვეველი წარმოშობის შეფერხებათა 62.5%, გულის ჰიპერტენზიული დაავადებების 8.2%, გულის იშემიური დაავადებების 7.2% და ინსულტების 5.65% გამოწვეულია ტყვით მოწამვლით [11]. ორგანიზმისთვის ქრონიკული მოწამვლა იწვევს ტვინის სიმსივნეს, მოქმედებს ბრონქულ სისტემაზე. დაღლილობა, მეხსიერების შესუსტება, მოძრაობის დარღვევა-პარეზი და დამბლა, კუნთების დაზიანება, მხედველობის დაზიანება, ენდოკრინული და ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, სისხლის სისტემის შეცვლა, თირკმელების ფუნქციის დარღვევა და სხვა [12] [13].

მეცნიერთა მტკიცებით, ტყვია არის ის ელემენტი, რომლის სისხლში შემცველობა არანაირი კონცენტრაციით არ არის დასაშვები. ტყვის დოზის ზრდა სისხლში ბევრ პათოლოგიას იწვევს. მედიკოსების ინფორმაციით, სისხლის ნაკადში მოხვედრილი ტყვია სწრაფად უერთდება ერითროციტებს, ცირკულირებს, დაახლოებით, 30 დღე, აქედან ის გადადის რბილ ქსოვილებში, თირკმელში, ნერვულ სისტემაში, ღვიძლსა და ძვლის ტვინში. ძვალში დიფუნდირებული ტყვია ათწლეულების მანძილზე გროვდება და ინახება. ძვლის რემოდელირებისა და რეზორბციის პროცესები აქტიურდება ორსულობის დროს, მენოპაუზისას, ლაქტაციისას. ტყვის შემცველობის უსაფრთხო დონე ადამიანის სისხლში არ არის დადგენილი. ტყვით ინტოქსიკაცია გამოხატული კლინიკური სიმპტომების გარეშე მიმდინარეობს, 2012 წლის შემდეგ, ტერმინი "ტყვის მაღალი შემცველობა" გამოიყენება, თუ სისხლში ტყვის დონე მეტია 5 მკგ/დლ-ზე და საჭიროა შესატყვისი ღონისძიებების დაგეგმვა [14] [15].

ადამიანის ორგანიზმში ტყვიის გარკვეული რაოდენობა ასტიმულირებს ზრდის პროცესს და კანის რეგენერაციას. არეგულირებს სისხლში ჰემოგლობინის რაოდენობას. ამ ელემენტის ორგანიზმში მოხვედრის ნორმა არის 15-20 მკგ/დღე-ღამეში, ხოლო 1 მგ. უკვე იწვევს არასასიამოვნო სიმტომებს, 10 გრ. კი სიკვდილს.

დასკვნა

ჯანდაცვის მსოფლიოს ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიოში 120 მილიონი ადამიანი იწამლება ტყვიით. საფრთხე შეიძლება იყოს ყველგან ჰაერში, წყალსა და ნიადაგში. დღეს 21-საუკუნეში ტყვიით ინტოქსიკაციის შედეგად ადამიანები იღუპებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ტყვიის ტოქსიკური ეფექტის მიმართ ყველაზე დაუცველნი არიან ბავშვები, სინამდვილეში, ტყვიის ზემოქმედებამ, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს ყველა ასაკობრივ ჯგუფზე. ტყვიის ზემოქმედების შედეგად გამოწვეულმა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, შესაძლებელია, ასევე, გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ნეგატიური ეკონომიკური და სოციალური ზემოქმედება მოსახლეობის დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Collin, M. S., Venkatraman, S. K., Vijayakumar, N., Kanimozhi, V., Arbaaz, S. M., Stacey, R. G. S., Anusha, J., Choudhary, R., Lvov, V., Tovar, G. I., Senatov, F., Koppala, S., & Swamiappan, S. (2022). Bioaccumulation of lead (Pb) and its effects on human: A review. *Journal of Hazardous Materials Advances*, 7, 100094. <https://doi.org/10.1016/j.hazadv.2022.100094>
2. Lanphear, B. P., Rauch, S., Auinger, P., Allen, R. W., & Hornung, R. W.. (2018). Low-level lead exposure and mortality in US adults: a population-based cohort study. *The Lancet Public Health*, 3(4), e177–e184. [https://doi.org/10.1016/s2468-2667\(18\)30025-2](https://doi.org/10.1016/s2468-2667(18)30025-2)
3. Pichery, C., Bellanger, M., Zmirou-Navier, D., Glorennec, P., Hartemann, P., & Grandjean, P.. (2011). Childhood lead exposure in France: benefit estimation and partial cost-benefit analysis of lead hazard control. *Environmental Health*, 10(1), 44. <https://doi.org/10.1186/1476-069x-10-44>
4. Final review of scientific information on lead. Nairobi: United Nations Environment Programme; 2010 (<https://wedocs.unep.org/handle/20.500.11822/27635>, accessed 13 April 2020).
5. Ericson, B., Hu, H., Nash, E., Ferraro, G., Sinitsky, J., & Taylor, M. P. (2021). Blood lead levels in low-income and middle-income countries: a systematic review. *The Lancet Planetary Health*, 5(3), e145–e153. [https://doi.org/10.1016/s2542-5196\(20\)30278-3](https://doi.org/10.1016/s2542-5196(20)30278-3)
6. Bret Ericson, Levan Gabelaia, John Keith, Tamar Kashibadze, Nana Beraia, Lela Sturua, Ziad Kazzi. Elevated Levels of Lead (Pb) Identified in Georgian Spices. *Annals of Global Health Year: 2020 Volume: 86 Issue: 1 Page/Article: 124 DOI: 10.5334/aogh.3044*
7. Parliament of Georgia. (2020). Assessment of Lead Pollution in Georgia. Retrieved 20 February 2022, from <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/263763>.
8. Scientific Research Center of Agriculture. (2018). Risk Assessment of Lead Prevalence in Food Report. Retrieved 20 February 2022, from:

9. Lead-based paint and housing renovation. In: Guidelines for the evaluation and control of lead-based paint hazards in housing. Washington (DC): United States Department of Housing and Urban Development; 2012 (https://www.hud.gov/program_offices/healthy_homes/lbp/hud_guidelines, accessed 13 April 2020).
10. Side events. (n.d.). [Www.brsmeas.org](http://www.brsmeas.org). Retrieved November 25, 2023, from <https://www.brsmeas.org/2019COPs/Sideevents/tabid/7853/language/en-US/Default.aspx>
11. Institute for Health Metrics and Evaluation. (2019). GBD Compare. IHME, University of Washington
12. Agency for Toxic Substances and Disease Registry. (2020). Toxicological Profile for Lead. Atlanta, GA: U.S. Department of Health and Human Services, Public Health Service. Retrieved 20 February 2022, from: <https://wwwn.cdc.gov/TSP/ToxProfiles/ToxProfiles.aspx?id=96&tid=22>.
13. Mandal, G. C., Mandal, A., & Chakraborty, A.. (2023). The toxic effect of lead on human health. *Human Biology and Public Health*, 3. <https://doi.org/10.52905/hbph2022.3.45>
14. UNICEF. (2018). Multiple Indicator Cluster Survey 2018. NBS, UNICEF.
15. World Bank. (2019). Population ages 0-14, total. Retrieved 20 February 2022, from: <https://data.worldbank.org/indicator/SP.POP.0014.TO>

Environmental contamination with lead and its impact on human health

Environmental pollution with heavy metals, in particular lead, and related problems are discussed in the article. The scale of the problem caused by lead is being investigated and related to it potential measures are discussed. Lead is one of the strong toxic substances that affects human health, it is especially dangerous for children. The risks of exposure to lead on the environment, human and children's health have been studied, both in the whole world and in Georgia. The use of lead-containing products in everyday life, such as construction, electronics, fuel, paints, toys, air pollution with exhaust, and others is discussed. It is noted that lead can cause significant negative economic and social impacts at the population level.

Is scheduled possible measures to reduce environmental pollution with lead.

Key words: lead, a person, health, environment, pollution

საზღვაო ტერმინთა შემოკლებული ფორმები

ნინო ფუტყარაძე

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ასისტენტ
პროფესორი, <https://orcid.org/0009-0007-1419-0182>

აბსტრაქტი. დარგობრივ ტერმინოლოგიებში საინტერესოა ტერმინთა ლექსიკოგრაფიული საკითხები, კერძოდ, ტერმინთა გაფორმების წესი. ამ მხრივ საზღვაო ტერმინოლოგიისთვის დამახასიათებელია კონკრეტულ ტერმინთა სიმრავლე და მათი შემოკლებული ფორმები, ანუ აბრევიატურა.

ქართულ საზღვაო კოდექსის მუხლებში კონკრეტული ტერმინთა სიმრავლე და მათი შემოკლებული ფორმები განსაკუთრებით იჩენს თავს.

ამ ლინგვისტური ფენომენის გავრცელებული ფორმებია: აბრევიატურები და აკრონიმები.

აკრონიმი წარმოადგენს შემოკლებულ სიტყვათა ნაერთს, ინგლისურ სალიტერატურო ენაში არსებული სიტყვის მსგავსია და აქვს შესაბამისი მნიშვნელობა. აბრევიატურა გაგებულია, როგორც სიტყვების პირობითი შემოკლება

ინგლისურ აბრევიატურებში გამოვლენილია ძალიან მრავალფეროვანი სიტყვათშემოკლებები, აქ შეიძლება რამდენიმე შემთხვევაზე ვილაპარაკოთ, მაგალითად:

1) ინგლისურ ენაში არსებობს საწყისი ასოებისგან შედგენილი სიტყვათშემოკლებები, რომელიც წარმოითქმება და იკითხება ინგლისური ენის ანბანური სახელების დასახელების მიხედვით. ინგლისურ ენაში აბრევიატურები ძირითადად დიდი ასოებით იწერება, მათთან აღარ იყენებენ სასვენ ნიშნებს, მაგალითად:

VDR –Voyage Date Recorder

TTS –Traffic Separation System

CC – Compass Course

LT – Local Time

ამ ტიპის შემოკლებანი როგორც უკვე აღვნიშნეთ გამოითქმის ცალცალკე ასოების წარმოთქმით. ჩვენ ხშირად გვიძნელდება განსაკუთრებით ახალი ტერმინების ამოშიფვრა რადგან მათში მხოლოდ დასაწყისი სიტყვის ასოებია წარმოდგენილი.

2) ორი სიტყვის თავკიდური მარცვლების შეერთებით მიღებული ახალი შემოკლებული სიტყვა, მაგალითად:

Navicert – Navigation Certificate

Marsec – Maritime security

3) შესამოკლებელი სიტყვიდან პირველი ფუძითაა წარმოდგენილი მეორე სიტყვის ბოლოკიდური მარცვლით, ანუ სუფიქსით, მაგალითად:

Bulker – Bulk Carrier

4) ორ ან მეტ სიტყვიდან პირველი, ან პირველი ორი, სამი სიტყვის შემოკლება წარმოდგენილია მათი საწყისი ასოების შეერთებით, ბოლო სიტყვა კი სრული ფორმით, მაგალითად:

MCC room – motor control center room

NR ports – Northern range ports

5) აბრევიატურებს ინგლისურ ენაში ახასიათებს ომონიმების შემთხვევები, ისინი გვხვდება საზღვაო სფეროშიც, მაგალითად:

1.LT – Low tension

LT – Local Time

2.BC – Birth Certificate

B.C. – Bulk Cargo

3.TA –Travel Agent

TA – Travel Agency

TA – Time of Arrival

TA – Telegraphic Address

აქ ორმაგი სირთულის წინაშე ვდგავართ. აბრევიატურებისთვის არა მარტო სწორი ეკვივალენტების შერჩევა გვევალება, არამედ მათი ზუსტი, სრული მნიშვნელობის გარკვევა, რათა თავიდან ავიცილოთ შემდგომი უზუსტობანი.

6) შესამოკლებელ სიტყვათა პირველი ასოების შეერთება, რომელიც წარმოითქმება როგორც ერთი მთლიანი სიტყვა ანუ აკრონიმების ფორმით, მაგალითად:

1.LASH – Lighter Abroad Ship

2.OBO – Ore, Bulk, Oil ship

საზღვაო ტერმინოლოგიაში შემოკლების ფორმები განპირობებულია ადგილისა და დროის ეკონომიით, გრძელსიტყვაობის მოკლედ გადმოცემის პრაქტიკული საჭიროებით. ქართულ ზეპირ მეტყველებაში ინგლისური შემოკლებანი გადმოდის ტრანსლიტერაციისა და სესხების საშუალებით. საქართველოს საზღვაო კოდექსში მრავლადაა აბრევიატურის გამოყენების მაგალითი, რადგან მისი ქართული ექვივალენტი მრავალსიტყვიანია, ამიტომ გამოიყენება ერთი ინგლისური აბრევიატურა, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული. ტერმინოლოგიური მუშაობისადმი ინტერესი განსაკუთრებით იზრდება დღეს, რადგან ქართულ საზღვაო ტერმინოლოგია დღითიდღე იზრდება ინგლისური ტერმინების შემოდინებით.

საკვანძო სიტყვები: შემოკლებული ფორმები, აბრევიატურა, აკრონიმი, საზღვაო ტერმინები.

შესავალი. დარგობრივი ლექსიკა ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, ის გულისხმობს სხვადასხვა დარგის ლექსიკონების შედგენას, მაგ. საზღვაო ტერმინოლოგიის ლექსიკონი, სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონი, იურიდიული ტერმინოლოგიის ლექსიკონი, და მრავალი სხვა. დარგობრივ ტერმინოლოგიებში საინტერესოა ტერმინთა ლექსიკოგრაფიული საკითხები, კერძოდ, ტერმინთა გაფორმების წესი. ამ მხრივ ინგლისური საზღვაო ტერმინოლოგიისთვის დამახასიათებელია კონკრეტულ ტერმინთა სიმრავლე და მათი შემოკლებული ფორმები, ანუ აბრევიატურა, რომელიც ხშირ შემთხვევაში ქართულ ენაში გადმოდის ტრანსლიტერაციით ან სესხებით რადგან მისი ქართული ექვივალენტი მრავალსიტყვიანია, ამიტომ გამოიყენება ერთი ინგლისური აბრევიატურა, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული. შემოკლება მეტყველების ელიფსური ფორმაა და ბუნებრივად წარმოიშობა ზეპირ, განსაკუთრებით კი წერით მეტყველებაში. აზრის მოკლე და სხარტი გადმოცემა ან დროის მაქსიმალური გამოყენების აუცილებლობა, საფუძველს უყრის კონკრეტულ დარგში ახალი შემოკლებული სიტყვების შექმნასა და დამკვიდრებას. შემოკლებული ფორმის სიტყვების გავრცელების არეალი ძალიან ფართოა, სიტყვათშემოკლებების გამოყენება ჩვეულებრივ ამბად იქცა ჟურნალ-გაზეთებში, სამეცნიერო-ტექნიკურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ლიტერატურაში, სამხედრო და საზღვაო ნაშრომებში. ქართულ საზღვაო ლიტერატურასა და ასევე საზღვაო კოდექსის მუხლებში კონკრეტულ ტერმინთა სიმრავლე და მათი შემოკლებული ფორმები განსაკუთრებით იჩენს თავს.

მეთოდები. ნაშრომი ძირითადად ემყარება აღწერით მეთოდს, მოიცავს ლინგვისტური მასალის ანალიტიკური დაკვირვებისა და სემანტიკური ანალიზის მეთოდებს.

შედეგები და მსჯელობა. სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების შემოკლების ხელოვნება, აბრევიატურა – გამოყენებითი ლინგვისტიკის ერთ-ერთი თანამედროვე დარგია. ამ ლინგვისტური ფენომენის გავრცელებული ფორმებია: აბრევიატურები და აკრონიმები.

აკრონიმი წარმოადგენს შემოკლებულ სიტყვათა ნაერთს. ინგლისურ სალიტერატურო ენაში არსებული სიტყვის მსგავსია და აქვს შესაბამისი მნიშვნელობა. აბრევიატურა გაგებულია, როგორც სიტყვების პირობითი შემოკლება.

ინგლისურ აბრევიატურებში გამოვლენილია ძალიან მრავალფეროვანი სიტყვათშემოკლებები. აქ შეიძლება რამდენიმე შემთხვევაზე ვილაპარაკოთ, მაგალითად:

1) ინგლისურ ენაში არსებობს საწყისი ასოებისგან შედგენილი სიტყვათშემოკლებები, რომელიც წარმოითქმება და იკითხება ინგლისური ენის ანბანური სახელების დასახელების მიხედვით. ინგლისურ ენაში აბრევიატურები ძირითადად დიდი ასოებით იწერება, მათთან აღარ იყენებენ სასვენ ნიშნებს, მათში გამოყენებული წინდებულები (of – ის; on – ზე და ა.შ.) არ მოკლდება, მაგალითად:

- 1.VDR –Voyage Date Recorder
- 2.TTS –Traffic Separation System
- 3.OOW – Officer of Watch
4. E/D – Engine Department
- 5.IMDG – International Maritime Dangerous Goods

- 6.ETA – Estimated Time Of Arrive
- 7.ETD – Estimated Time Of Departure
- 8.PCC – PURE Car Carrier
- 9.SSP – Ship Security Plan
- 10.NB – Navy Base
- 11.SMS – Safety Management System
- 12.ATM – Automatic Teller Machine
- 13.SSO – Ship Security Officer
- 14.UT – Universal Time
- 15.TMS – Traffic Management system
- 16.TA – Time of Arrival
- 17.CC – Compass Course
- 18.LT – Local Time
19. TDC –Top Dead center
20. BDC – Bottom dead center

ამ ტიპის შემოკლებანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოითქმის ცალ-ცალკე ასოების წარმოთქმით. ჩვენ ხშირად გვიძნელდება განსაკუთრებით ახალი ტერმინების გაშიფვრა, რადგან მათში მხოლოდ სიტყვის დასაწყისი ასოებია წარმოდგენილი.

2) ინგლისურ ენაში არსებობს ორი სიტყვის თავკიდური მარცვლების შეერთებით მიღებული ახალი შემოკლებული სიტყვები:

- 1.Navicert – Navigation Cetificate
- 2.Marsec – Maritime security
- 3.Westmed – Western Mediterranean
- 4.Sitrep – Situation Report

3) შესამოკლებელი სიტყვიდან პირველი ფუძითაა წარმოდგენილი, მეორე – სიტყვის ბოლოკიდური მარცვლით, ანუ სუფიქსით:

1. Bulker – Bulk Carrier
2. Roller – Roll on carrier

4) ორი ან მეტი სიტყვიდან პირველი, ან პირველი ორი, სამი სიტყვის შემოკლება წარმოდგენილია მათი საწყისი ასოების შეერთებით, ბოლო სიტყვა კი სრული ფორმით:

- 1.MCC room – motor control center
2. N R ports – Northern range ports
- 3.ID card – Identification card.
4. P. Charges – particular charges
- 5.Z Time – Zone Time
- 6.W/W days – Weather Working days
- 7.AC generator – Alternating Current Generator
- 8.DC generator – Direct Current Generator
- 9.AC/DC converter – Alternating Current/ Direct Current converter

10.AC circuit – Alternating Current Circuit

11. DC circuit – Direct Current Circuit


12. B/C-Bulk carrier

13. C/P- Charter Party

14. HW: High water

15. SB: Safe berth

5) ინგლისურ ენაში აბრევიატურებში უხვადაა ომონიმების შემთხვევები:



→ 10.P.D. port dues
→ p.d. per day

აქ ორმაგი სირთულის წინაშე ვდგავართ. აბრევიატურებისთვის არა მარტო სწორი ეკვივალენტის შერჩევა გვევალება, არამედ აბრევიატურების ზუსტი, სრული მნიშვნელობის გარკვევა, რათა თავიდან ავიცილოთ შემდგომი უზუსტობანი.

6) შესამოკლებელ სიტყვათა პირველი ასოების შეერთება, რომელიც წარმოითქმება როგორც ერთი მთლიანი სიტყვა ანუ აკრონიმების ფორმით:

1. LASH – Lighter Abroad Ship
2. OBO – Ore, Bulk, Oil ship
3. PIN – Personal Identification Number
4. BIBO – Bulk in Bags out
5. laser – Light Amplification by Stimulated Emission of Radiation;
6. scuba - Self-Contained Underwater Breathing Apparatus
7. radar – Radio Detection and Ranging
8. LOLO: Lift on – lift off
9. ROB: Remaining on board
10. SAR: Search and Rescue
11. SOF: Statement of facts

საზღვაო ტერმინოლოგიაში შემოკლების ფორმები განპირობებულია ადგილისა და დროის ეკონომიით, გრძელსიტყვაობის მოკლედ გადმოცემის პრაქტიკული საჭიროებით, ენობრივი ეკონომიის არსი ისაა, რომ ტექსტში სწრაფი წვდომის ინფორმაციულობის მყისიერი მიღწევა თვით ტექსტის შემოკლების ხარჯზე ხდება, მცირდება ბეჭდვითი სიტყვის მოცულობა. სიტყვათშემოკლებების დიდი ნაწილი სწორედ ამ გზით შემოიჭრა ქართულ საზღვაო ტერმინოლოგიაში და მათი რაოდენობა განუწყვეტილად იზრდება. ზოგიერთი მათგანი ძალიან მარტივად, წინასწარი განმარტებების გარეშე დამკვიდრდა ქართულ საზღვაო ნაშრომებში. საზღვაო კოდექსის მუხლებში მრავლადაა აბრევიატურის გამოყენების შემთხვევები, რადგან მისი ქართული ეკვივალენტი მრავალსიტყვიანია, ამიტომ გამოიყენება ერთი ინგლისური აბრევიატურა, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული.

დღესდღეობით ინგლისური აბრევიატურები ქართულ ენაში შემოდის ორი ძირითადი გზით, ეს არის ტრანსლიტერაცია და აბრევიატურების სესხება. ინგლისური საზღვაო სიტყვათშემოკლებების ყველაზე დიდი რაოდენობა ქართულში უცვლელი ფორმითაა გადმოტანილი. უცხო ენაზე არსებული შემოკლებული სიტყვების შიფრების თარგმნა, ქართული ეკვივალენტების შექმნის ტენდენცია მეტ-ნაკლებადაა გავრცელებული, ხოლო აბრევიატურების ტრანსლიტერაცია ერთეულ შემთხვევებში ვლინდება. თუ აბრევიატურის ტრანსლიტერაციას მივმართავთ, მაშინ ყურადღება უნდა გავამახვილოთ მისი გრაფიკული, ხმოვანი ფორმის ზუსტ გადმოტანაზე:

NATO (The North Atlantic Treaty Organization) - როგორც „ნატო“ .

IMO (International Maritime Organization) - როგორც „აიმო“.

PIN – (Personal Identification Number) - როგორც „ფინი“.

PR (Public Relations) - „ფიარ“-ი;

ასევე საყურადღებოა ისეთი შემთხვევა, როცა ინგლისური აბრევიატურის ფორმას ქართულ ენაზე გადმოცემისას ერთ ან მეტ ასოს რამდენიმე ვარიანტი აქვს. ამგვარი დამოკიდებულების კარგი ნიმუშია აბრევიატურა — „PR“ და „PIN“, რომელთა ტრანსლიტერირებულ ქართულ ვარიანტებში ორი ფორმა „პიარ“, „ფიარ“ და „პინი“, „ფინი“ გვხვდება. ჩვენი აზრით, რადგანაც ტერმინი ტრანსლიტერირებულია ინგლისური ენიდან და ტრანსლიტერაციაც გრაფიკული თუ ხმოვანი ფორმის ზუსტ გადმოტანას გულისხმობს ქართულ ენაზე, უმჯობესია უპირატესობა მივანიჭოთ ზედმიწევნით მიახლოებულ ვარიანტს, ამ შემთხვევაში „ფიარ“-ს და „ფინ“-ს. საყურადღებოა, ინგლისური ენის ორთოგრაფიული და ფონეტიკური წესები.

მეორე ხშირი ტენდენცია, რომელიც აბრევიატურებისა და აკრონიმების ლათინური ფორმით გადმოტანას გულისხმობს არის აბრევიატურების სესხება. ინგლისური საზღვაო სიტყვათმემოკლებების დიდი ნაწილი სწორედ ამ გზით შემოიჭრა ქართულ ენაში და მათი რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება. ჩვენ ხშირად გვხვდება მსგავსი ფორმით გავრცელებული აბრევიატურები:

VDR –Voyage Date Recorder

TTS –Traffic Separation System

OOW – Offocer of Watch

E/D – Engine Department

ცალკე უნდა გამოიყოს ტერმინოლოგიური ნომინაციის ერთი სტრუქტურული ტიპი – სიმბოლური დასახელებანი, ეს გახლავთ ასოებით, ციფრებით, ფორმულებით, სქემებით, ნახატებით და ა.შ. გამოხატული სახელწოდებანი.

საზღვაო სფეროში საკმაოდ ხშირად გამოიყენება არავერბალური კომუნიკაცია– „სიმბოლური დასახელებანი“, რომლებიც ხორციელდება ფონეტიკური ანბანის გამოსახულებით ალმებზე – სასიგნალო ალმების აღმართვით. საერთაშორისო სასიგნალო ალმებს ზღვაში გასული გემები იყენებენ. სიგნალებს მსოფლიოს ყველა ენაზე ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ. სხვადასხვა ალამი გამოიყენება ანბანის ყოველი ასოსთვის. ფონეტიკური ანბანი პირველად გამოჩნდა „*The Bluejackets' Manual*“ –ის 1913 წლის გამოცემაში. შემდეგ ის დაუკავშირეს დროშებს. დროშების მნიშვნელობა და მათი სახელების არჩევა მოხდა საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე. როგორც უკვე ვთქვით ეს დროშები არის საერთაშორისო სიგნალები, გამოიყენება მოკლე შეტყობინების გადასაცემად. თითოეული დროშა გამოხატავს შეტყობინებას. მაგალითებს ვიმოწმებთ საქართველოს საზღვაო კოდექსიდან :

მუხლი 15

საზღვაო ლოცმანის გამოძახება

1. გემს, რომელიც იძახებს საზღვაო ლოცმანს, აღმართული უნდა ჰქონდეს შესაბამისი ალამი – „G“ („მე მჭირდება ლოცმანი“).

მუხლი 16

7. გემზე საზღვაო ლოცმანის ყოფნის განმავლობაში აღმართული უნდა იყოს შესაბამისი სასიგნალო ალამი – „H“ („მე მყავს გემზე ლოცმანი“).

მუხლი 40

7. გემს, რომელიც ამუშავებს სახიფათო ტვირთს, ანძაზე უნდა ენთოს არანაკლებ 1 (ერთი) საზღვაო მილის ხილვადობის წითელი წრიული შუქი. დღისით აღმართული უნდა იყოს ალამი „B“.

მუხლი 62

8. საყვინთი სამუშაოების წარმოებისას დღის ნათელ პერიოდში, მყვინთავთა გემზე გამოსაჩენ ადვილას უნდა აღიმართოს ერთი ალამი „A“ (ALFA) („იყავით ჩემგან მოშორებით, მე ვატარებ წყალქვეშა სამუშაოებს“).....

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ აბრევიატურა ერთი რომელიმე ტერმინოლოგიური სისტემის ფარგლები უნდა კეთდებოდეს, თორემ შეიძლება მან თავისი ფუნქცია ვერ შეასრულოს და გაუგებრობის წყაროდ იქცეს.

დასკვნა. დასასრულ, გლობალიზაციის პერიოდში, გამომდინარე იქიდან, რომ ინგლისური საერთაშორისო საზღვაო ენადაა აღიარებული, უფრო და უფრო მატულობს სიტყვათშემოკლებების უცვლელი ფორმით გადმოტანის ტენდენცია ქართულში. ამის ერთ-ერთი მიზეზია ინგლისური ენის ლექსიკური ფონდის უწყვეტი ზრდა. ხშირად, სანამ ახალი სიტყვათა შემოკლება ქართულ ენაზე შეიქმნებოდეს, ინგლისური აბრევიატურა ქართულში უკვე შემოსულია და გამოიყენება კიდევ, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ინგლისური ენაზე საზღვაო აბრევიატურა მოითხოვს დამატებით მინიშნებებს, ვინაიდან არის სფეციფიური და მხოლოდ საზღვაო სფეროსთვის დამახასიათებელი.

ქართული სიტყვათშემოკლებების შექმნისას ამოსავალ წერტილად უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ აზრობრივი ეკვივალენტობა, რაც მეცნიერულ ტერმინოლოგიაში მაინც ყველაზე მთავარია, არამედ ისიც, რომ იგი შემოღებისდაგვარად ქართულად ადვილად უნდა გამოითქმოდეს. ამიტომ, ზოგიერთ შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებენ ინგლისურენოვანი აბრევიატურების ტრანსლიტერაციას ან მათი უცვლელი ფორმით გადმოტანას, რადგანაც ინგლისურენოვანი აბრევიატურებიდან ქართული ეკვივალენტების წარმოება შეიძლება ქართულ ენაზე მრავალსიტყვიანი იყოს და გამოსათქმელად ძალიან რთული.

ვფიქრობთ, საჭიროა ინგლისური აბრევიატურების ქართულად განმარტება. იქვე გადმოვიტანოთ ორიგინალი, ამ შემთხვევაში ინგლისური აბრევიატურა უცვლელად და ფრჩხილებში დაიწეროს ინგლისური აბრევიატურის შეუმოკლებელი ფორმაც, რადგან შემოკლებული ტერმინი საფრთხილო ენობრივი ფორმაა და რიგ შემთხვევაში შეიძლება გააბუნდოვნოს ტერმინის შინაარსი. ჩვენ მიერ შემოთავაზებული აბრევიატურების გადმოცემის ეს მიდგომა განსაკუთრებით სასურველია გამოვიყენოთ საზღვაო ხელშეკრულებებში, საზღვაო კოდექსის მუხლებში, სტუდენტთა სახელმძღვანელოებში, ასევე, ზოგადად საზღვაო ლიტერატურის თარგმნის დროსაც, რათა მკითხველს გაუმარტივდეს ტექსტის აღქმისა და გააზრების პროცესი.

გამოყენებული ლიტერატურა

- ღამბაშიძე, რ. (1986) ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები. თბილისი.
- ღლონტი, ა. (1988). ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები. თბილისი.
- რიჩკოვი, რ. (2010). რუსულ-ინგლისურ-ქართული საზღვაო ლექსიკონი. ბათუმი.
- Арнольд, И. В. (1973). Лексикология современного английского языка. Москва.
- Бобин, В. И. (2005). Терминологический справочник капитана по ведению дел и документации на английском языке. Москва.
- Akmajian, A., & Demers, R. (1995). Linguistics an introduction to Language and Communication. Cambridge
- Bezhanovi Z. A., (2010) Guide to Maritime English, Batumi.
- Yule, G., (2006). The study of Language. Cambridge.
- Fromkin, V., & Rodman, R. (2003). An introduction to Language. USA.
- Oxford English Dictionary on Historical Principles (OED). (1989). Oxford University Press.

SHORT FORMS OF THE MARITIME TERMS

Nino Putkaradze

PhD degree in Philology, Assistant Professor of Batumi State Maritime Academy,

<https://orcid.org/0009-0007-1419-0182>

Abstract

One of the Lexicographical issues of the terms are very interesting in the field terminologies, namely the rules of term organizing. In this view point the multiplicity and their short forms i.e. abbreviations are typical for the maritime terminology. Abbreviations and acronyms are most widespread linguistic forms of this phenomena.

Acronym is the type of shortened word, similar to the word existing in the English language and has an appropriate meaning. Abbreviation is the conditional contraction of the word.

There are many English abbreviations used in Georgian marine agreements and maritime codes, in students' textbooks, as well as in Georgian maritime literature, here we talk only about some of them. For example:

1) There are abbreviations composed by the first letters of the terms, which are pronounced and read in an alphabetical manner. Abbreviations are written with the capital letters in English language, punctuation signs are not used with them and prepositions used in this term are not contracted in the abbreviation, for example:

VDR –Voyage Date Recorder

TSS –Traffic Separation System

CC – Compass Course

LT – Local Time

Such kind of abbreviations, as we already mentioned are pronounced separately by letters. Reading of the new terms is quite difficult for us as only the first letters of the words are presented.

2) Words composed by the beginnings of two words, for instance:

Navicert – Navigation Certificate

Marsec – Maritime security

3) The first part is presented by a root and another one by suffix in the following example:

Bulker – Bulk Carrier

4) From two or more words, the first ones are represented by abbreviations and the last one by its full form, for instance:

MCC room – motor control center room

5) The examples of English homonyms are widely used in Georgian maritime sphere, for example:

1. LT – Low tension

LT – Local Time

2. BC – Birth Certificate

B.C. – Bulk Cargo

3. TA – Travel Agent

TA – Travel Agency

TA – Time of Arrival

TA – Telegraphic Address on

Here we face the double complexity as we need to choose not only a correct equivalent for the abbreviations but to find their full meanings also. Both of them are necessary in order to avoid further incorrectness and misunderstanding.

6) Combination of the first letters of the words which is pronounced as a whole word, i.e. Acronym, for example:

1. LASH – Lighter Abroad Ship

2. OBO – Ore, Bulk, Oil ship

In the maritime terminology the short forms take place in order to save place and time. Transliteration and borrowing are the methods of transferring English abbreviations into Georgian conversation. There are many examples of using abbreviations in Georgian maritime code, as there are many equivalents of the term in Georgian English abbreviation is used as an independent lexical unit.

In conclusions it can be said that interest towards the working with terminology is especially growing nowadays. Results of the paper are the most important information on the vocabulary fond its perspectives and potential for the researchers interested in lexicography and study of terms.

Keywords: Abbreviations, Acronyms, Maritime terms, Short forms.



ბაზალურუჯრედოვანი კარცინომების სხვადასხვა ქვეტიპების პროლიფერაციული აქტივობის შეფასება AgNOR ტექნოლოგიით

გიორგი არველაძე¹, რიმა ბერიაშვილი², შოთა კეპულაძე³, გიორგი ბურკაძე⁴

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის Phd სტუდენტი; ექიმი-დერმატოლოგი; ²თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ციტოპათოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი; ³თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის Phd სტუდენტი; ექიმი პათოლოგანატომი; ⁴თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, მოლეკულური პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

აბსტრაქტი

კანის ბაზალურუჯრედოვანი კარცინომა წარმოადგენს კანის ეპითელური წარმოშობის პირველადი სიმსივნეების 75%-ს ახასიათებს ნელი ზრდა და იშვიათად იძლევა მეტასტაზებს დაბალი ანგიოგენური პოტენციალის გამო, თუმცა გააჩნია ლოკალური ინვაზიის, ქსოვილის დესტრუქციისა და რეციდივის განვითარების უნარი. ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომის დამოუკიდებელი პროგნოზული ფაქტორებია სქესი, ასაკი, იმუნოსუპრესიის არსებობა, კანის ნათელი ფოტოტიპი, ჭორფლები, ბავშვობაში გადატანილი კანის დამწვრობა, კანისა და თმის ღია შეფერილობა. გარემოს რისკ-ფაქტორებიდან კარგად შესწავლილია კანზე მზის ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედება. ულტრაიისფერი B გამოსხივება (UBV) დნმ-ში წარმოქმნის მუტაგენურ ფოტო-პროდუქტს, როგორცაა ციკლოპირიმიდინის დიმერი და იწვევს სიმსივნის სუპრესორი P53 გენის მუტაციას. ულტრაიისფერი A გამოსხივება (UAV) კი ახდენს არაპირდაპირ ზემოქმედებას ციტოტოქსიური და მუტაგენური თავისუფალი რადიკალების დაგროვებით. ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომები ხშირად კლასიფიცირდება როგორც აგრესიული და არააგრესიული. სიმსივნის აგრესიულობა გამოიხატება ღრმა ქსოვილებში ინვაზიისა და შესაძლო მეტასტაზირების უნარით. მიკრონოდულური, ინფილტრაციული და სკლეროდერმიფორმული ჰისტოლოგიური ქვეტიპები ითვლება უფრო აგრესიულად, ზედაპირულ და ნოდულურ ქვეტიპებთან შედარებით. არსებობს კვლევები, რომელთა მიხედვითაც პროლიფერაციული მარკერის Ki67-ის ექსპრესიის თავისებურებები ასოცირებულია ბაზალურუჯრედოვანი კარცინომების არააგრესიულ ქვეტიპებთან. კვლევის მიზანს შეადგენდა აგრესიული ქვეტიპის დაბალი რისკის მქონე ბაზალურუჯრედოვანი კარცინომების (ნოდულური, ზედაპირული) და აგრესიული ქვეტიპის მაღალი რისკის ბაზალურუჯრედოვანი კარცინომების (ინფილტრაციული, მიკრონოდულური)

პროლფერაციული აქტივობის შეფასება სიმსივნის ეპიცენტრსა და პერიფერიაზე AgNOR ტექნოლოგიით.

საკვანძო სიტყვები: ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომა; პროლიფერაცია; AGNOR; პროგნოზული მარკერები;

შესავალი

კანის ბაზალურუჯრედოვანი კარცინომა წარმოადგენს კანის ეპითელური წარმოშობის პირველადი სიმსივნეების 75%-ს¹ ახასიათებს ნელი ზრდა და იშვიათად იძლევა მეტასტაზებს დაბალი ანგიოგენური პოტენციალის გამო, თუმცა გააჩნია ლოკალური ინვაზიის, ქსოვილის დესტრუქციისა და რეციდივის განვითარების უნარი.¹ ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომის დამოუკიდებელი პროგნოზული ფაქტორებია სქესი, ასაკი, იმუნოსუპრესიის არსებობა, კანის ნათელი ფოტოტიპი (I and II, Fitzpatrick classification), ჭორფლები, ბავშვობაში გადატანილი კანის დამწვრობა, კანისა და თმის ღია შეფერილობა. გარემოს რისკ-ფაქტორებიდან კარგად შესწავლილია კანზე მზის ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედება. ულტრაიისფერი B გამოსხივება (UBV) დნმ-ში წარმოქმნის მუტაგენურ ფოტო-პროდუქტს, როგორცაა ციკლოპირიმიდინის დიმერი და იწვევს სიმსივნის სუპრესორი P53 გენის მუტაციას. ულტრაიისფერი A გამოსხივება (UAV) კი ახდენს არაპირდაპირ ზემოქმედებას ციტოტოქსიური და მუტაგენური თავისუფალი რადიკალების დაგროვებით.^{2,3}

ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის პათოგენეზი, ძირითადად, დაკავშირებულია Hedgehog სასიგნალო გზის აქტივაციასთან. უჯრედშიდა Hedgehog (Hh) ცილების ოჯახი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ემბრიოგენული განვითარების მრავალ ფუნდამენტურ პროცესში. კანში Hh სასიგნალო გზა პასუხისმგებელია ღეროვანი უჯრედების პოპულაციის შენარჩუნებაზე, თმის ფოლიკულებისა და ცხიმოვანი ჯირკვლების განვითარებაზე. Hh სასიგნალო გზის ცენტრალური კომპონენტები წარმოადგენილია სამი სეკრეტირებული ლიგანდით (Sonic HH, indiana HH and Desert HH), ტრანსმემბრანული რეცეპტორის ცილებით (PTCH1 and PTCH2), SMO ცილით და ბოლოს, GLI ტრანსკრიფციის ფაქტორებით (Gli1, Gli2, Gli3). Hh სასიგნალო გზის გააქტიურება დამოკიდებულია სპეციალიზებულ სტრუქტურაზე, რომელიც გვხვდება თითქმის ყველა ტიპის უჯრედის პლაზმურ მემბრანაზე და მოქმედებს, როგორც სენსორი უჯრედგარე სიგნალებისთვის. Hh სასიგნალო გზა აქტიურდება, როდესაც HH ლიგანდები უკავშირდებიან PTCH1-ს, რაც განაპირობებს SMO-ს ინჰიბიციას და ტრანსკრიფციის ფაქტორების გამოთავისუფლებას. ისინი გადაინაცვლებენ ბირთვში და იწვევენ სპეციფიკური გენების ტრანსკრიფციას, რომლებიც პასუხისმგებელი არიან უჯრედების თვითგანახლებაზე.⁴

კლინიკური კვლევებით ნაჩვენებია, რომ იმ ინდივიდებში, რომლებშიც ვითარდება კანის ბაზალური კარცინომა, აღინიშნება ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის ახალი უბნის განვითარების მაღალი რისკი. გარდა ამისა, იმატებს კანის სხვა სიმსივნეების განვითარების რისკიც, მათ შორის მელანომისა და ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის. ბოლო 20 წლის

განმვალობაში ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის განვითარების რისკი ზოგად პოპულაციაში გაიზარდა 35%-ით.^{5,6}

ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომები ხშირად კლასიფიცირდება როგორც აგრესიული და არააგრესიული.⁷ სიმსივნის აგრესიულობა გამოიხატება ღრმა ქსოვილებში ინვაზიისა და შესაძლო მეტასტაზირების უნარით. მიკრონოდულური, ინფილტრაციული და სკლეროდერმიფორმული ჰისტოლოგიური ქვეტიპები ითვლება უფრო აგრესიულად, ზედაპირულ და ნოდულურ ქვეტიპებთან შედარებით⁴.

არსებობს კვლევები, რომელთა მიხედვითაც პროლიფერაციული მარკერის Ki67-ის ექსპრესიის თავისებურებები ასოცირებულია ბაზალურუჯრედოვანი კარცინომების არააგრესიულ ქვეტიპებთან^{8,9}. მარკერის ყველაზე მაღალი ექსპრესიის მაჩვენებელი დაფიქსირდა ზედაპირულ ქვეტიპში. დადებითი რეაქცია აღინიშნა ბაზალოიდურ ბუდეებში ერთგვაროვანი განაწილებით ცენტრსა და პერიფერიაზე. ნოდულურ ვარიანტში Ki67 განსაკუთრებით ჭარბად ექსპრესირებს ბაზალოიდური ბუდეების პერიფერიაზე განლაგებულ ბირთვებში. შედარებით ნაკლებად ინტენსიური დადებითი რეაქცია Ki67-ზე აღინიშნება ბაზალოიდური ლობულის ცენტრში. რაც შეეხება ერთ-ერთ აგრესიულ ქვეტიპს, მიკრონოდულურ ვარიანტში აღინიშნა ყველაზე დაბალი Ki67-ის ექსპრესია, დადებითი რეაქციით ბაზალოიდური მიკროკვანძების მხოლოდ რამდენიმე ბირთვში.

დადგენილია, რომ არსებობს ძლიერი კორელაცია პროლიფერაციულ აქტივობასა და სიმსივნის ცუდ პროგნოზს შორის, ამიტომ კლინიკური კვლევებით ინტერესი პროლიფერაციული პოტენციალის განმსაზღვრელ სხვადასხვა მარკერებზე ჯერ კიდევ აქტუალურია და ყოველწიურად იზრდება. მოწოდებულია პროლიფერაციის შეფასების სხვადასხვა საშუალებები, როგორცაა თიმიდინის მარკირების/მონიშვნის ინდექსი (thymidin labeling index), გამდინარე ციტომეტრია (flow cytometry) და იმუნოჰისტოქიმიური ანტისხეული Ki-67 - ის გამოყენებით.^{10,11}

სიმსივნის ბიოლოგიური ქცევისა და პროგნოზის დადგენა მეტად რთული პროცესია და მოითხოვს სხვადასხვა ტექნოლოგიების, დახვეწილი და სპეციალიზებული ინსტრუმენტებისა თუ ტექნიკის გამოყენებით რაც ასევე დიაგნოსტიკურად არახარჯეფექტურია.

AgNOR-ის შეღებვის ტექნიკა ეკონომიური, სწრაფი, და მარტივი შესასრულებელია. ის შეიძლება შესრულდეს პარაფინში ჩაყალიბებულ ანათლებზე. ნაკლოვანებები მოიცავს შრომატევადი და დამლელი წერტილების დათვლის მეთოდს, რომელიც ხშირად ასოცირდება დამკვირვებლებს შორის განსხვავებულ შედეგებთან, არასტანდარტიზებული შეფასების კრიტერიუმების არარსებობის გამო. გარკვეული ტიპის კვლევებით გამოვლენილია მისი ეფექტურობა, როგორც დამხმარე საშუალება საშვილოსნოს ყელის ბრტყელ ეპითელიუმის დისპლაზიების დიფერენცირებაში ასევე სხვადასხვა ორგანოთა სისტემის კეთილთვისებიანი თუ ავთვისებიანი პროცესების დიფერენცირებაში^{11,12}

AgNOR/The Nucleolar Organiser Regions ავლენს ბირთვულ მორგანიზებელ რეგიონებს და დნმ-ის მარყუქებს, რომლებიც ვლინდება მიტოზის ინტერფაზური ბირთვების ბირთვაკებში. AgNOR ტექნიკით იღებება ცილები შერჩევითად ვერცხლის კოლოიდური ტექნიკით. AgNOR ლაქა შეიძლება ვიზუალურად იყოს შავი წერტილის სახით ოპტიკური მიკროსკოპის ქვეშ. AgNOR-ის გაზრდილი რაოდენობა დაკავშირებულია უჯრედების გაზრდილ პროლიფერაციასთან^{13,14}.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს შეადგენდა აგრესიული ქცევის დაბალი რისკის მქონე ბაზალურუჯრედოვანი კარცინომების (ნოდულური, ზედაპირული) და აგრესიული ქცევის მაღალი რისკის ბაზალურუჯრედოვანი კარცინომების (ინფილტრაციული, მიკრონოდულური) პროლფერაციული აქტივობის შეფასება სიმსივნის ეპიცენტრსა და პერიფერიაზე AgNOR ტექნოლოგიით.

მასალა და მეთოდები

კვლევისათვის გამოყენებული იქნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო და დიაგნოსტიკური ლაბორატორიის 2019-2023 წლების საარქივო მასალა.


კვლევა მოიცავდა ჯამში 60 შემთხვევას:

- აგრესიული ქცევის მაღალი რისკის ჯგუფი - 25 შემთხვევა (16 ინფილტრაციული, 9 მიკრონოდულური)
- აგრესიული ქცევის დაბალი რისკის ჯგუფი - 35 შემთხვევა (24 ნოდულური, 11 ზედაპირული)

H&E კვლევის შედეგებისა და მიტოზური აქტივობის შეფასება განხორციელდა ორი დამოუკიდებელი პათოლოგანატომის მიერ (შ.კ; გ.ბ) ორმაგი ბრმა მეთოდით. ანათლები დამატებით შეიღებოდა AgNOR-ის ტექნოლოგიით (შესაბამისი პროტოკოლის მიხედვით).

1. ანათლები დაიჭრა 4 მიკრონის სისქეზე;
2. დეპარაფინიზაცია, ჰიდრატაცია დეიონიზებულ წყალში.
3. ერთი მოცულობა 2% ჟელატინის ხსნარი და ორი მოცულობა ვერცხლის ნიტრატის ხსნარის ნარევის მოთავსდა სლაიდზე და დაიფარა მთლიანად;
4. სლაიდები ინკუბატორში 37°C ტემპერატურაზე დაყოვნდა 15 წუთის განმავლობაში.
5. ვერცხლის კოლოიდი ჩამოირეცხა დეიონირებული წყლით.
6. ანათლები დეჰიდრატირდა ქსილოლით და დაფიქსირდა ბიომაუნთის ხსნარით;

ექსპრესია შეფასდა ციფრული პათოლოგიის პროგრამით QuPath-ის მეშვეობით (ვერსია 0.4.0): თითოეული შემთხვევიდან აღებული იქნა მაღალი მხედველობის ველის HPF სურათი (უპირატესად 200X და 400X) და ჩართულ იქნა პროგრამაში შემდგომი დამუშავებისათვის.



სურათი 1 : სურათზე ნაჩვენებია გამოსახულების ციფრული დამუშავების შედეგად AGNOR-ის წერტილების შეფასების ალგორითმი; ყვითლად მონიშნულია სიმსივნური უჯრედები 100 უჯრედი; წითლად წერტილები 109 წერტილი - AGNOR რიცხვად განისაზღვრა 1.09; 400X; ნოდულური ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომა წყარო QuPath;

ყველა ანათალში გამოკვლეული იქნა 100 უჯრედი და დათვლილი იყო AgNOR წერტილების ჯამური რაოდენობა. AgNOR-ის ციფრად განისაზღვრა 100 უჯრედის საშუალო წერტილების რაოდენობა (ჯამური რიცხვი გაყოფილი 100ზე მაგ. 100 უჯრედში ნანახი იქნა 350 წერტილი; AgNOR რიცხვად მიჩნეული იქნა 350/100=3.5)

გამოვლინდა წერტილების გადანაწილების სამი ტიპი:

ტიპი I - აღინიშნებოდა ცალკეულ უჯრედში, ცენტრალურად ლოკალიზებული დიდი ზომის წერტილი; **ტიპი II** - აღინიშნებოდა დიდი ზომის წერტილის მიმდებარედ მცირე ზომის მეორე წერტილი; **ტიპი III** - აღინიშნებოდა ორზე მეტი, უპირატესად მცირე ზომის წერტილები თითოეულ უჯრედში.


პროლიფერაციული აქტივობა AgNOR-ის ტექნოლოგიით არსებულ 60 შემთხვევაში შეფასდა შემდეგ ჰისტოლოგიურ ერთეულში:

- ❖ ბაზალურუჯრედოვანი კარცინომა ნოდულური ვარიანტი n = 24;
- ❖ ბაზალურუჯრედოვანი კარცინომა ზედაპირული ვარიანტი n=11;


❖ ბაზალურუჯრედოვანი კარცინომა ინფილტრაციული ვარიანტი n=16;

❖ ბაზალურუჯრედოვანი კარცინომა მიკრონოდულური ვარიანტი n=9;


მიტოზური აქტივობისა და AgNORის წერტილების შეფასება ხდებოდა სიმსივნური კვანძის ცენტრალურ ნაწილსა და პერიფერიაზე.




სურათი 2: ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომა 400X გადიდების ველი, შეღებილი H&E ტექნოლოგიით; მაღალი რისკის ჯგუფი;



სურათი 3: სურათზე ნაჩვენებია AGNOR-ის ტექნოლოგიით შეღებილი კვლევაში ჩართული ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომის ნოდულური ვარიანტი მაღალი პროლიფერაციული აქტივობით - AGNOR რიცხვი განსაზღვრული იქნა 2.7; გადიდება 400X



სურათი 4: სურათზე ნაჩვენებია გამოსახულების ციფრული ანალიზის პროგრამა H&E ტექნოლოგიით შეღებილი საკვლევი ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომის მაღალი რისკის ჯგუფი 3 მიტოზური ფიგურა სიმსივნის პერიფერიაზე გადიდება 400X წყარო Qupath;



სურათი 5: სურათზე ნაჩვენებია გამოსახულების ციფრული ანალიზის პროგრამა H&E ტექნოლოგიით შეღებილი საკვლევი ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომის დაბალი რისკის ჯგუფი 2 მიტოზური ფიგურა სიმსივნის ეპიცენტრი; გადიდება 400X წყარო Qupath;

მიღებული რაოდენობრივი მონაცემები დამუშავდა შესაბამისი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით: კორელაცია განისაზღვრა Spearman rank test-ის მიხედვით ხოლო შედარებითი ანალიზისთვის ჯგუფებს შორის გამოყენებული იქნა Mann-Whitney და Kruskal-Wallis ტესტი. მგრძნობელობა და სპეციფიურობა შეფასდა 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალით. P რიცხვი

<0.05 განხილულ იქნა სტატისტიკურად სარწმუნოდ. ყველა სტატისტიკური დამუშავება განხორციელდა **SPSS statistical software V20.0**-ის საშუალებით.

კვლევის შედეგები

	რის კჯგუფი	N	Mean	Std. Deviation
ზომა mm	1 დაბალი	35	5.00	4.066
	2 მაღალი	20	14.00	9.165
მიტოზის ფიგურები ეპიცენტრში	1 დაბალი	35	1.66	.938
	2 მაღალი	20	2.80	1.196
მიტოზის ფიგურები პერიფერიაზე	1 დაბალი	35	1.657	.9375
	2 მაღალი	20	2.815	1.1444
AGNOR რიცხვი ეპიცენტრში	1 დაბალი	35	1.569	.3732
	2 მაღალი	20	2.080	.4396
AGNOR რიცხვი პერიფერიაზე	1 დაბალი	35	1.557	.3712
	2 მაღალი	20	2.115	.4308

ცხრილი 1: ცხრილში მოცემულია აღწერითი სტატისტიკური მონაცემები - ჯგუფები შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მაღალი და დაბალი რისკის მქონე ჯგუფების მიმართებით წყარო **SPSS statistical software V20.0**;

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ შესწავლილ ჯგუფებში დაბალი რისკის მქონე ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომის ჰისტოლოგიურ ტიპებში სიმსივნის საშუალო ზომა შეადგენდა 5 ± 4.06 მმ, ხოლო მაღალი რისკის მქონე სიმსივნის ჯგუფში 14.0 ± 9.16 მმ;

მიტოზური ფიგურების საშუალო რაოდენობა სიმსივნის ეპიცენტრში (შეფასებული H&E ტექნოლოგიით) დაბალი რისკის მქონე ჰისტოლოგიურ ტიპებში შეადგენდა 1.66 ± 0.9 ფიგურა; ხოლო მაღალი რისკის მქონე ჯგუფში 2.8 ± 1.1 ფიგურა; რაც შეეხება მიტოზის ფიგურების რაოდენობა სიმსივნის პერიფერიაზე დაბალი რისკის მქონე ჯგუფში შეადგენდა 1.65 ± 0.93 ; ხოლო მაღალი რისკის მქონე ჯგუფში 2.8 ± 1.14 ;

AGNOR-ის დამატებითი შეღებვის მეთოდით სიმსივნის ეპიცენტრში დაბალი რისკის მქონე ჯგუფში საშუალო მაჩვენებელი დაფიქსირდა 1.5 ± 0.37 , ხოლო მაღალი რისკის მქონე ჯგუფში 2.0 ± 0.43 ; AGNOR-ის რიცხვი შეფასებული სიმსივნე პერიფერიაზე დაბალი რისკის მქონე ჯგუფში დაფიქსირდა 1.55 ± 0.37 ხოლო მაღალი რისკის მქონე ჯგუფში 2.1 ± 0.43 .

		ზომა mm	მიტოზის ფიგურები ეპიცენტრში	AGNOR რიცხვი ეპიცენტრში	AGNOR რიცხვი პერიფერიაზე	რისკ ჯგუფი	მიტოზის ფიგურები პერიფერიაზე
ზომა mm	Pearson Correlation	1	.623**	.674**	.657**	.569**	.591**
	Sig. (2-tailed)		.000	.000	.000	.000	.000
	N	55	55	55	55	55	55
მიტოზის ფიგურები ეპიცენტრში	Pearson Correlation	.623**	1	.822**	.837**	.475**	.944**
	Sig. (2-tailed)	.000		.000	.000	.000	.000
	N	55	55	55	55	55	55
AGNOR რიცხვი ეპიცენტრში	Pearson Correlation	.674**	.822**	1	.954**	.533**	.760**
	Sig. (2-tailed)	.000	.000		.000	.000	.000
	N	55	55	55	55	55	55
AGNOR რიცხვი პერიფერიაზე	Pearson Correlation	.657**	.837**	.954**	1	.570**	.786**
	Sig. (2-tailed)	.000	.000	.000		.000	.000
	N	55	55	55	55	55	55
რისკჯგუფი	Pearson Correlation	.569**	.475**	.533**	.570**	1	.487**
	Sig. (2-tailed)	.000	.000	.000	.000		.000
	N	55	55	55	55	55	55
მიტოზის ფიგურები პერიფერიაზე	Pearson Correlation	.591**	.944**	.760**	.786**	.487**	1
	Sig. (2-tailed)	.000	.000	.000	.000	.000	
	N	55	55	55	55	55	55

** . Correlation is significant at the 0.01 level (2-tailed).

ცხრილი 2: კორელაციური კავშირები სიმსივნის სხვადასხვა პარამეტრებს შორის წყარო **SPSS statistical software V20.0**;

პირსონის კორელაციის ანალიზმა გამოავლინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია სიმსივნის ზომასა და მიტოზური ფიგურების რაოდენობას სიმსივნის ეპიცენტრში ($r = .623, p < .001$).

ანალოგიურად, დაფიქსირდა ძლიერი დადებითი კორელაცია სიმსივნის ზომასა და AGNOR რაოდენობას შორის სიმსივნის ეპიცენტრში ($r = .674, p < .001$).

ანალიზმა აჩვენა მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია სიმსივნის ზომასა და AGNOR რაოდენობას სიმსივნის პერიფერიაზე ($r = .657, p < .001$).

გარდა ამისა, დაფიქსირდა დადებითი კორელაცია სიმსივნის ზომასა და სიმსივნის პერიფერიაზე მიტოზური ფიგურების რაოდენობას შორის ($r = .569, p < .001$).

ასევე მნიშვნელოვანი იყო კორელაცია მიტოზურ ფიგურებს შორის სიმსივნის ეპიცენტრში და AGNOR რაოდენობას ეპიცენტრში, რაც აჩვენებს დადებით კორელაციას ($r = .591, p < .001$).

კვლევის შედეგების ანალიზი

საკვლევ ჯგუფებში კორელაციური ანალიზის საშუალებით გამოვლინდა სარწმუნო, მაღალი ხარისხის დადებითი კორელაციური კავშირი სიმსივნის ზომასა და სიმსივნის როგორც გაზრდილი მიტოზური ფიგურების არსებობას, AGNOR-ის ტექნოლოგიით სიმსივნის ეპიცენტრსა და პერიფერიაზე გაზრდილ AGNOR-ის რიცხვსა და შესაბამისად სიმსივნის გაზრდილ აგრესიულობის (მაღალი რისკის) ჯგუფს შორის. რაც თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო მაღალია სიმსივნის ზომა, მაღალია პროლიფერაციული აქტივობა, როგორც მიტოზის ფიგურების შეფასებით (H&E ტექნოლოგიით) ასევე AGNOR-ის ტექნოლოგიით გამოყენებით;

დასკვნა

ჩვენი კვლევის შედეგები ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის შესწავლილ შემთხვევების როგორც სიმსივნის ეპიცენტრში ასევე პერიფერიაზე ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს სტატისტიკურად სარწმუნო დადებით კორელაციაზე სიმსივნის ზომას, მიტოზურ ფიგურებსა და AGNOR რაოდენობას შორის.

სიმსივნის ეპიცენტრსა და პერიფერიაზე სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება არ გამოვლინდა, ორივე თანაბრად ასახავს სიმსივნის გაზრდილ პროლიფერაციას, როგორც AGNOR-ის ტექნოლოგიით ასევე სტანდარტული H&E ტექნოლოგიით.

კვლევის შედეგად გამოვლენილი კორელაციური კავშირები იძლევა ღირებულ ინფორმაციას ამ ცვლადებს შორის პოტენციურ ურთიერთობებზე, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს და გააღრმავებს ჩვენს ცოდნას ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომების პროგრესირების შესახებ.

შემფასებელთა შორის მნიშვნელოვანი ვარიაციურობა AGNOR-ით დამატებითი შეღებვის მეთოდით გამოყენებისას არ გამოვლენილა, რის საფუძველზეც შესაძლოა ვივარაუდოდ, რომ ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომების შემთხვევაში ის ეფექტურია, როგორც დამხმარე დიაგნოსტიკური საშუალება სიმსივნის პროლიფერაციული აქტივობის შეფასებისას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Rönsch H, Bauer A. The Preventive Value of Sun Protection. In: ; 2021:316-328. doi:10.1159/000517641
2. Didona D, Paolino G, Bottoni U, Cantisani C. Non Melanoma Skin Cancer Pathogenesis Overview. Biomedicines. 2018;6(1):6. doi:10.3390/biomedicines6010006
3. Griffin LL, Ali FR, Lear JT. Non-melanoma skin cancer. Clinical Medicine. 2016;16(1):62-65. doi:10.7861/clinmedicine.16-1-62
4. Chren MM, Linos E, Torres JS, Stuart SE, Parvataneni R, Boscardin WJ. Tumor Recurrence 5 Years after Treatment of Cutaneous Basal Cell Carcinoma and Squamous Cell Carcinoma. Journal of Investigative Dermatology. 2013;133(5):1188-1196. doi:10.1038/jid.2012.403
5. Wu QJ, Sun H, Wen ZY, et al. Shift work and health outcomes: an umbrella review of systematic reviews and meta-analyses of epidemiological studies. Journal of Clinical Sleep Medicine. 2022;18(2):653-662. doi:10.5664/jcsm.9642
6. Wen M, Ren H, Zhang S, Li T, Zhang J, Ren P. CT45A1 promotes the metastasis of osteosarcoma cells in vitro and in vivo through β -catenin. Cell Death Dis. 2021;12(7):650. doi:10.1038/s41419-021-03935-x
7. Sara Espinosa N, McCullough B, Schmults CD, et al. NCCN Guidelines Version 2.2024 Basal Cell Skin Cancer NCCN Evidence Blocks TM Continue ω Dermatology ϕ Diagnostic/Interventional Radiology \ddagger Hematology/Hematology Oncology \P Internal Medicine \dagger Medical Oncology ζ Otolaryngology \neq Pathology/Dermatopathology \ddot{Y} Reconstructive Surgery \S Radiotherapy/Radiation Oncology \P Surgery/Surgical Oncology * Discussion Section Writing Committee NCCN Guidelines Panel Disclosures.; 2023. www.nccn.org/patents
8. Dongre A, Rashidian M, Eaton EN, et al. Direct and Indirect Regulators of Epithelial–Mesenchymal Transition–Mediated Immunosuppression in Breast Carcinomas. Cancer Discov. 2021;11(5):1286-1305. doi:10.1158/2159-8290.CD-20-0603
9. Mendez-Flores R, Martínez-Fernández D, Vega-De la Torre D, et al. Role of Bcl-2, p53, and Ki-67 expression in basal cell carcinoma and their association with aggressive and non-aggressive

histological phenotypes. *Advances in Dermatology and Allergology*. 2022;39(3):517-523.
doi:10.5114/ada.2022.117598

10. Metreveli B, Gagua D, Burkadze G, Kepuladze S. Proliferative characteristics of eutopic and ectopic endometrium in adenomyosis using AgNOR technology. *GEORGIAN SCIENTISTS*. Published online January 24, 2023. doi:10.52340/gS.2023.05.01.04
აღსანიშნავია, რომ პოტენციური კოალიციების წინაშე არსებული იდეოლოგიური თავსებადობის შეზღუდვა უფრო ძლიერია არჩევნებამდე, ვიდრე შემდგომ. ეს იმიტომ ხდება, რომ ამომრჩეველს შესაძლოა არ სურდეს ხმა მისცეს საარჩევნო კოალიციებს, რომლებიც მათი ფავორიტი პარტიის პოლიტიკასთან შეუთავსებელია. “არჩევნების შემდეგ პარტიებს აქვთ მეტი თავისუფლება ამ ტიპის სამთავრობო კოალიციებში შესვლისთვის, რადგან ამომრჩევლები აღარ წარმოადგენენ პოლიტიკოსების ქმედებებზე მყისიერ შეზღუდვას” (Stykwow,2020, გვ. 158). შესაბამისად, განსაკუთრებით საფრთხილოა და ღრმა ანალიზს მოითხოვს პარტიათა მხრიდან კომპრომისული ნაბიჯები, ვინაიდან ეს აისახება ამომრჩეველთა ქცევაზე. კოალიციებში პოლიტიკოს კომპრომისების საარჩევნო შედეგების ნიუანსურ გაგებაზე ყურადღება გამახვილა მკვლევარმა დევიდ ფორტუნატომ, რომელიც მიიჩნევს, რომ პარტიათა ურთიერთთანამშრომლობა სავარაუდოა ამომრჩეველმა ლალატად აღიქვას, ვინაიდან ყოველივე გაცხადებული პრინციპებიდან გადახრად ჩათვალონ და შეიცვალოს მათი მხარდამჭერის დონეც. სწორედ ამიტომ, არსებითად გასათვალისწინებელია, რომ წინასაარჩევნო კოალიციაში ჩართულმა პარტიებმა მკაფიოდ ჩამოაყალიბონ **მიზანი, მოტივი და მჭიდრო, თანმიმდევრული კამპანია აწარმოონ**, რა დროსაც მრავალი ფსიქოლოგიური ფაქტორის გათვალისწინება მართებთ (D. Fortunato, 2017). შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად ნებისმიერი კოალიციისთვის განხილული მახასიათებლების გარდა, საარჩევნო კოალიციისთვის ამომრჩევლის აღქმა დამატებით ფუნდამენტურ ფაქტორად გვევლინება, რაც ცალკე კვლევის საგანია.

ფსიქოლოგიური ასპექტები

ქცევის შესწავლა ფსიქოლოგიის ფუნდამენტური საკითხია. იგი მოიცავს აქტივობების ფართო სპექტრს, მათ შორის, ფიზიკურ მოქმედებებს, სიტყვიერ გამონათქვამებს და შინაგან შემეცნებით პროცესებსაც კი. ფსიქოლოგიაში განარჩევენ იმპულსურ და ნებელობით/ნებისმიერ ქცევას, რასაც ადამიანის მიზნები, ინტერესები, დამოკიდებულებები, ღირებულებები, მსოფლმხედველობა, იდეალები და სხვა ფაქტორები განსაზღვრავს, რომლებიც **ერთიან მოტივაციურ სისტემას ქმნიან**. შესაბამისად, **თუ არ ვიცით მოტივები რთულია ადამიანის მოქმედების გაგება**. „მეტიც ფსიქიკა და მისი უმაღლესი ფორმა - ცნობიერება მოქმედების პროცესში ყალიბდება და მოქმედების პროცესში ვლინდება“ (სვანიძე, 2016, გვ.257). ნებისმიერი ქცევის მსგავსად პოლიტიკური ქცევა გულისხმობს ინდივიდების მიერ პოლიტიკურ კონტექსტში გამოვლენილ შემეცნებით, ემოციურ და ქცევით პროცესებს, რომლებიც გამოხატავს მათ აზრებს, დამოკიდებულებებს, მოტივებსა და მოქმედებებს, რაც დაკავშირებულია პოლიტიკურ საკითხებთან, ინსტიტუტებთან და გადაწყვეტილების მიღებასთან. იგი მოიცავს ფსიქოლოგიურ პროცესებს, რომლის მეშვეობითაც ინდივიდები

აყალიბებენ პოლიტიკურ შეხედულებებს, ეწევიან პოლიტიკურ საქმიანობას და ურთიერთობენ პოლიტიკურ სისტემებთან და აქტორებთან. პოლიტიკური ქცევა გულისხმობს აქტივობების ფართო სპექტრს, როგორცაა ხმის მიცემა, კამპანია, ლობირება, საპროტესტო ან დემონსტრაციებში მონაწილეობა, პოლიტიკურ დისკუსიებში ჩართვა, თანამდებობაზე კენჭისყრა, პოლიტიკური კამპანიებისთვის შემოწირულობა, პოლიტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანება და ალიანსების შექმნა. ცხადია, ისიც უნდა ითქვას, რომ შესაძლოა პოლიტიკური ქცევა იყოს რეაქტიული (არ იყოს წინასწარ განზრახული), ჩვეული იგივე რუტინული ან თუნდაც არაცნობიერი. თუმცა, ბევრი პოლიტიკური ქმედება არის მიზანმიმართული, რომელიც ეფუძნება გადაწყვეტილების აქტს, სტრატეგიულად დაგეგმილია და ემსახურება კონკრეტული მიზნის მიღწევას. **სწორედ ამ კატეგორიის პოლიტიკური ქცევაა კოალიციის შექმნაც** (Weiner, 1986).

კოალიციის, როგორც „შერეული მოტივის“ გაერთიანების, ფუნდამენტია პარტიათა გადაწყვეტილების მიღების პროცესი ორმაგმომგებიანი მოქმედების საკეთილდღეოდ. ეს არის შემეცნებითი პროცესი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიზანმიმართული ქცევის ჩამოყალიბებაში. იგი აერთიანებს ისეთ მოქმედებებს, რომლებიც განპირობებულია ცნობიერი ზრახვებითა და მიზნებით. გადაწყვეტილების მიღებას განახორციელოს ნებისმიერი ქცევა განსაზღვრავს მოტივი, ვინაიდან იგი გადაწყვეტილების მიღების აქტს წინ უსწრებს. „ამრიგად, „მე მინდა“-ს განცდის არ არსებობის შემთხვევაში არც ნებელობაზე შეიძლება საუბარი. აქედან გამომდინარე, მისი გამორკვევა ქცევის მიზეზის გაგებასაც კი ნიშნავს. მეტიც, როგორც დიმიტრი უზნაძე მიიჩნევს, ობიექტურ ღირებულებას აქტუალურ ღირებულებად სუბიექტისთვის მოტივი აქცევს: იგი იმ მომქმედებას, რომელიც სუბიექტისთვის ამჟამად არაფერს მიმზადივებს არ შეიცავს, ფსიქოლოგიურად ისეთ მოქმედებად გარდაქმნის, რომელიც მისთვის აქტუალური ღირებულების მატარებლად იქცევა. მოკლედ, მოთხოვნილებას, რომელიც ნებისმიერი ქცევის საფუძველზე მდებარე განწყობის აღმოსაგენებლადაა საჭირო, მოტივი იძლევა“ (უზნაძე, 2006, გვ.212). ხოლო მოტივაცია განპირობებულია იმით, რომ კონკრეტული ქცევა სასურველ შედეგამდე მიგვიყვანს. როგორც ყოველთვის კოალიციის ფორმირების განხილვისასაც უნდა გავმიჯნოთ **გარეგანი** (ამომრჩევლის ტიპი; საარჩევნო კოდექსი; რესურსები; ჯილდო (მანდატები, მინისტრთა კაბინეტები); ქვეყნის საგარეო პულიტიკური კურსი და მდგომარეობა პიროვნული ურთიერთობები) და **შინაგანი** - იდეოლოგია; აღქმა; მოლოდინი; ღირებულება; იდეა; ისტორიული მეხსიერება; გამოცდილება; პიროვნული თვისებები; ემოცია (ნდობა, შიში); ლიდერი) მოტივაციური ფაქტორები. მოტივაციის დონეზე კი გავლენას ახდენს სასურველი შედეგების მიღწევის ალბათობის აღქმა. ინდივიდები აფასებენ პოტენციურ შედეგებს და ჯილდოებს, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა გადაწყვეტილების არჩევანის გაკეთებაზე. (Guest, 1965).

სწორედად, რომ კოალიციის ქცევაზე ზემოქმედებაში ფსიქიკური პროცესი, აღქმაც გადამწყვეტ როლს თამაშობს, რადგან ის გულისხმობს, თუ როგორ ინტერპრეტაციას უკეთებენ პოლიტიკოსები და აცნობიერებენ გარემოში არსებულ ინფორმაციას და მასში საკუთარ პოზიციონირებას. სხვადასხვა ფსიქოლოგიურმა თეორიამ და ავტორმა წვლილი შეიტანა აღქმისა და ქცევაზე მისი გავლენის გაგებაში. მეცნიერთა დასკვნების მიხედვით, ინდივიდები

უფრო მეტად ქმნიან კოალიციას მათთან, ვისაც აღიქვამენ, როგორც საკუთარ თავს, ან მსგავსი დამოკიდებულებების, ღირებულებების თვალსაზრისით. ეს ემსახურება ნდობის, საერთო მიზნების ჩამოყალიბებას და კოალიციებში თანამშრომლობის ხელშეწყობას, რაც გააძლიერებს პრობლემის გადაჭრის უნარს (De Dreu & Gelfand, 2007). ანალოგიურ მსჯელობას ავითარებს მაიკლ ჰოგი სოციალური იდენტობის კონტექსტში, რომელიც თვითკატეგორიზაციის ცნებით განმარტავს, თუ როგორ აღიქვამენ ინდივიდები საკუთარ თავს და სხვებს მათი საერთო სოციალური იდენტობების მიხედვით, რაც გავლენას ახდენს ჯგუფთაშორის ქცევაზე, მათ შორის, კოალიციის ფორმირებაზე (Hogg, 2008).

კოალიციის ქცევასა და ამავდროულად მის ფარგლებში ინდივიდების დამოკიდებულებებზე, გადაწყვეტილებებსა და ქმედებებზე ემოციებიც უდიდეს გავლენას ახდენენ. მათი მართვა კოალიციებში მართლაც მნიშვნელოვანია ჰარმონიული ურთიერთობებისა და ეფექტური თანამშრომლობის შესანარჩუნებლად. პოზიტიური ემოციები, როგორცაა ნდობა და იმედი, ხელს უწყობს თანამშრომლობას და სოლიდარობას, ხოლო ნეგატიურმა ემოციებმა, როგორცაა შიში და უკმაყოფილება, შეიძლება ძირი გამოუთხაროს კოალიციის სტაბილურობას. განსაკუთრებით ნდობა სასიცოცხლო როლს თამაშობს კოალიციის ფორმირებაში, შენარჩუნებასა და ფუნქციონირებაში. ნდობა არის ფუნდამენტური ემოცია, ის არის რწმენა სხვების საიმედოობის, მთლიანობისა და კეთილგანწყობის მიმართ. კოალიციებში ნდობა ხელს უწყობს ურთიერთშეთანხმებას, ინფორმაციის გაზიარებას და კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებას. როდესაც კოალიციის პარტნიორები ენდობიან ერთმანეთს, ისინი უფრო ეფექტურად მოქმედებენ, იზიარებენ რესურსებს და მუშაობენ საერთო მიზნების მისაღწევად. ნდობა ქმნის ფსიქოლოგიურ უსაფრთხოების ატმოსფეროს, რაც საშუალებას აძლევს ინდივიდებს გამოხატონ თავიანთი აზრი და წვლილი შეიტანონ განსჯის ან დალატის შიშის გარეშე.

კოალიციის ქცევის, როგორც პოლიტიკური ქცევის, ანალიზისთვის არსებითია იდეოლოგიის, როგორც სოციალური კოგნიციის, როლის განხილვაც. კონსერვატიულ და ლიბერალურ იდეოლოგიებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ სოციალურ ქცევაზე და ჯგუფთაშორის ურთიერთობებზე. კონსერვატორები ავლენენ ქცევებს, რომლებიც ხელს უწყობენ ჯგუფში ერთიანობას, შესაბამისობას და ლოიალობას. ისინი შეიძლება უფრო მდგრადი იყვნენ გარე ჯგუფის წევრებთან ან ინდივიდებთან ურთიერთობისას, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ მათ რწმენას. თავის მხრივ, ლიბერალებს შეუძლიათ აჩვენონ ქცევები, რომლებიც ხელს უწყობენ ინკლუზიურობას, მრავალფეროვნებას და თანამშრომლობას სხვადასხვა ჯგუფებში. ისინი შეიძლება უფრო ღია იყვნენ ჯგუფის გარე წევრებთან ურთიერთობისთვის და განსხვავებული პერსპექტივების მისაღებად. პოლიტიკური იდეოლოგიები ასევე განაპირობებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესებს. კონსერვატორებს შეუძლიათ გამოიჩინონ უპირატესობა სტატუს კვოს შესანარჩუნებლად რისკის ან ცვლილების თავიდან აცილების მიზნით, რაც იწვევს გადაწყვეტილების მიღებისას უფრო ფრთხილ ქცევას. ლიბერალები, თავის მხრივ, შეიძლება უფრო გახსნილები იყვნენ რისკისა და ცვლილებების მიმართ, რის გამოც გადაწყვეტილების მიღებისას უფრო მეტად ცდილობენ ადაპაციური ქცევების მოძიებას (Jost et al., 2003).

დასკვნისთვის, რომ ვთქვათ ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად ფსიქოლოგიური ასპექტებიდან როგორც მიზანმიმართულ ქცევას, ისევე კოალიციის ფორმირებასაც განაპირობებს შინაგანი და გარეგანი მოტივაციური ფაქტორები, მიზნები, ემოციები, იდეოლოგიური თავისებურებები, აღქმის საფუძველზე საკუთარი თავის და კონკურენტის შეფასება არსებულ გარემოში.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის კითხვა და ჰიპოთეზა

პოლიტიკური ფსიქოლოგია იკვლევს ფსიქოლოგიურ პროცესებს, რომლებიც საფუძვლად უდევს პოლიტიკურ დამოკიდებულებებს, მოტივაციასა და ქცევას, ცდილობს გაიგოს, თუ როგორ აყალიბებს ინდივიდუალური და ჯგუფური მახასიათებლები პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებასა და მონაწილეობას. სწორედ ამ ფუნდამენტური მოცემულობიდან გამომდინარე, ჩემი კვლევის მიზანია დადგინოს:

- 1) რა მოტივით ერთიანდებიან პოლიტიკური პარტიები?
- 2) რა განაპირობებს პოლიტიკოსთა ქცევას საპარლამენტო არჩევნებთან მიმართებაში?
- 3) რა საერთო მთავარი მიზნები იკვეთება პარტიებს შორის და რომელ პარტიებს შორის?

ჰიპოთეზა: ვვარაუდობ, რომ საქართველოში წინასაარჩევნო კოალიციების ფორმირება დადებით მიმართებაშია პარტიათა გარეგან მოტივაციაზე.

კვლევის ინსტრუმენტი

საკითხის ფუნდამენტური ანალისა და სანდო შედეგების მისაღებად კვლევის მეთოდად შევარჩიე სიღრმისეული ინტერვიუ. ეს არის თვისებრივი კვლევის მეთოდი, რომელიც მოიცავს დეტალურ, ვრცელ და ღია საუბრებს ინდივიდებთან ან მცირე ჯგუფებთან. ინტერვიუ, როგორც წესი, სტრუქტურირებულია ღია კითხვების ნაკრების გარშემო, მაგრამ ის ასევე იძლევა მოქნილობისა და შემდგომი კითხვების საშუალებას, რათა უფრო ღრმად შეისწავლოს მონაწილის პასუხები. მთავარი მიზანია მივიღოთ ყოვლისმომცველი გაგება მონაწილის დამოკიდებულებების, მოტივაციებისა და კონკრეტულ თემაზე დაკავშირებული სუბიექტური გამოცდილების შესახებ.

სიღრმისეული ინტერვიუ მკვლევარებს საშუალებას გვაძლევს შევაგროვოთ მდიდარი და დეტალური თვისებრივი მონაცემები უშუალოდ კოალიციის ფორმირების პროცესში ჩართული პოლიტიკური აქტორებისგან. ის გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ფსიქოლოგიური ფაქტორები, როგორცაა, პარტიული იდეოლოგია, მოტივაციები, ძალაუფლების დინამიკა და პირადი ურთიერთობები კოალიციის არჩევანზე.

სიღრმისეული ინტერვიუს განხილვის მიზნით მოვახდინე მათი შინაარსობრივი ანალიზი. გამოვიყენე დამუშავების თემატური მეთოდი. ინტერვიუ დაყავი ექვს ბლოკად.

თავდაპირველად საკვლევი სტრუქტურირებული კითხვების შესაბამისად პასუხები დავაგენირირე საწყისი კოდებით ისე, რომ ინტერვიუს შინაარსის სხვადასხვა ასპექტებს ასახავდნენ. არაერთგზის გადახედვის შედეგად საბოლოო თემების განსაზღვრის შემდეგ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე, ანალიზზე გადავედი, რა დროსაც მოვძებნე შაბლონები, ვარიაციები და კავშირები.

კვლევის აღწერა

ჩავატარე სიღრმისეული ინტერვიუები საპარლამენტო პარტიების წარმომადგენლებთან 2023 წლის 5 - 11 ივნისის შუალედში. შევარჩიე 6 საპარლამენტო პარტია. აღსანიშნავია, რომ ყველა რესპოდენტი მაღალი ავტორიტეტით გამოირჩევიან, რაც კვლევის სანდოობას ზრდის. სიღრმისეული ინტერვიუები წარიმართა ფიზიკურ და ონლაინ რეჟიმში, გამოვიყენე Zoom-ის, Google Meet-სა და Messenger პლატფორმები.

კვლევის მონაწილეები

პარტიათა დახასიათებას წარმოგიდგენთ ინტერვიუსას თავის წარდგენის მონაკვეთების საშუალებით.

- 1) **„ნაციონალური მოძრაობა“** - რესპოდენტი აღნიშნავს, რომ პარტიას დაფუძნებისასაც 1999 წელსაც და 2012 წლის შემდეგაც ერთი და იგივე მიზანი ამოძრავებთ და ეს არის რუსული ხელისუფლების ცვლილება. იდეოლოგიურად მემარჯვენე ცენტრისტები არიან, თუმცა პოლიტიკოსი ადასტურებს, რომ „უწევთ ცოტა მემარცხენეობაც“, რაც სკოლებში უფასო კვების, საბანკო სისტემის, კუმუნალურების რეფორმის სახით ვლინდება.
- 2) **„ლელო საქართველოსთვის“** - პოლიტიკოსი ამბობს, რომ „ლელო საქართველოსთვის“ ჯერ 2019 წლის დეკემბერში, როგორც მოძრაობა ისე დაარსდა და ამის შემდეგ რამდენიმე თვეში ჩამოყალიბდა, როგორც პარტია. დაადასტურა ის ფაქტი, რომ ქვეყნის საჭიროებისა და მოცემულობიდან გამომდინარე უწევთ რაღაც დოზით მემარცხენული იდეოლოგიის გათვალისწინებაც, ისეთ დროს, როდესაც გარდაუვლად საჭიროა. იდეოლოგიის კლასიკური გაგებით კი მემარჯვენე ცენტრისტები არიან.
- 3) **„გირჩი“** - პარტიის წარმომადგენელი თვლის, რომ 2015 წლიდანაა პოლიტიკაში, ვინაიდან მაშინ დაიწყო „გირჩის“ დაარსებაზე მუშაობა, ხოლო 2016 წელს კი ოფიციალურად გაფორმდა. საკუთარ თავს კლასიკურ ლიბერალად მიიჩნევს, რაც ადამიანის ცხოვრებაში სახელმწიფოს ნაკლებ ჩარევას და მოქალაქისთვის ყველაფრის უფლების მიცემას გულისხმობს (გარდა იმისა, რომ სხვა არ დააზარალოს). „ჩვენ იდეოლოგიური პარტია ვართ და არა მხოლოდ საარჩევნოდ, მუდმივად ჩვენი იდეოლოგიიდან გამოვდივართ“.
- 4) **„სტრატეგია აღმაშენებელი“** - „დაფუძნდა 2020 წლის ზაფხულში, ივნისის დასაწყისში. ძირითადი იდეოლოგია არის ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებები, შესაბამისად ვართ ლიბერალური პარტია. ვართ ევროპული ლიბერალების და დემოკრატების ალდეს წევრი“ - განაცხადა პოლიტიკოსმა.

- 5) „გირჩი-მეტი თავისუფლება“ - პარტია დაასრულა 2016 წელს. მთავრი მიზანი იყო განსახვევებული და პოლიტიკური ველიდან ამოვარდნილი ძალა გამოჩენილიყო, რომელსაც ექნებოდა კონკრეტული იდეა. რესპოდენტი აღნიშნავს, რომ მათი მიზანი ხელისუფლების ცვლილება არასდროს ყოფილა, რადგან ხელისუფლებაში ყოფნას უფრო მეტად უყურებენ, როგორც საშუალებას იმისთვის, რომ მიაღწიონ მთავარ ამოცანას, რაც არის „სისტემის დაშლა“. „გირჩი-მეტი თავისუფლების“ იდეოლოგიაა კლასიკური ლიბერალიზმი, გადახრილი ლიბერტარიალიზმისკენ, რომელიც ინდივიდზე მორგებულობას გულისხმობს.
- 6) „საქართველოსთვის“ - რესპოდენტი თქმით, პარტიის დაფუძნების მთავარი მიზანი ადგილობრივი პოლიტიკური გარემოს დაკორექტირება და შეცვლა იყო უზომოდ პოლარიზებულ გარემოში, ამასთან, ამომრჩევლისთვის არჩევანის გაზრდა. იდეოლოგიურად მემარჯვენე ცენტრისტად მიიჩნევენ თავს.

კვლევის ძირითადი მიგნებები

პარტიათა წარმომადგენლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ პოლიტიკური ქცევის ფუნდამენტური განმაპირობებელი ფაქტორი, იდეოლოგია, თითქმის ყველასთვის, გარდა „გირჩისა“ არ არის გადამწყვეტი კოალიციის შექმნისთვის. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ კვლევაში მონაწილე 4 პარტია მიიჩნევს, რომ აქვთ მემარჯვენე ცენტრისტული იდეოლოგია, ხოლო „გირჩი“ და „გირჩი-მეტი თავისუფლება“ კლასიკური ლიბერალები (მემარჯვენე) არიან. ერთი შეხედვით წარმოდგენილი ექვსივე პარტიის გაერთიანების მაღალი ალბათობა არსებობს, თუმცა, მეორე მხრივ, „იდეოლოგიურად მერყეობა“ და დეკლარირებული იდეოლოგიიდან აცდენა ნაკლებ სანდოობასა და თანმიმდევრულობაზე მიგვანიშნებს. გამოიკვეთა, რომ „ერთპარტიული აზროვნების“ ფონზე იდეოლოგიის გავრცელების პოტენციალი არც მამოტივირებელია და არც შემაფერხებელი პარტიათა გაერთიანებისთვის.

პოლიტიკოსებმა ცხადია დამიდასტურეს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ შემდეგი შინაარსის განცხადებების სიუხვე: „ოპოზიცია საპასუხისმგებლო ეტაპზე გადადის“; „ოპოზიციას ბევრად მეტი აერთიანებს, ვიდრე ყოფს“; „[გაერთიანების გარეშე] შეუძლებელია ჩვენს ქვეყანაში ცვლილებების მოტანა“ (Civil.ge, 2020). მიუხედავად ამისა, ინტერვიუსას ხაზგასმით აღნიშნეს თავიანთი პარტიის პერსონალური ინტერესების მიღწევის აუცილებლობა. მაგალითად: პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი“ 2020 წლის არჩევნებისას ერთ-ერთ ყველა მნიშვნელოვან ამოცანად თავის ცნობადობის ზრდას და ბრენდის შექმნაზე მუშაობას მიიჩნევს. პარტია „ლელო საქართველოსთვის“ მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციურ პარტიებს შორის ზოგიერთ ხელშეკრულებაზე აწერს ხელს, არ შედის კოალიციაში არცერთ პარტიასთან. ამასთან საჯაროდ აცხადებდა, რომ ის იქნება „ყველას გამაერთიანებელი ძალა“. ინტერვიუს დროს მისმა წარმომადგენელმა ისაუბრა პარტიის იმდროინდელ საჭიროებებსა და გამოწვევებზე, რამაც არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობისკენ უბიძგათ. „გირჩი“ და „გირჩი-მეტი თავისუფლება“ მთავარ პრობლემად იდეის ნაკლებობას და გაფორმებული

შეთანხმებების შეუსრულებლობას ასახელებენ, რის გამოც მათ შეწყვიტეს ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობა. გამოკვეთეს თავიანთ მთავარ მოტივაციად იდეისადმი ერთგულება და ამომრჩეველთან სანდოობის შენარჩუნება. რაც შეეხება „ნაციონალ მოძრაობას“, რომელმაც შექმნა 4 სხვა პოლიტიკურ სუბიექტთან ერთად საარჩევნო ბლოკი, რასაც ხსნიან ე.წ. 1 პროცენტის პარტიების მხარდაჭერითა და „ყველა მინუს 1-ს“ პრინციპის დაცვის მოტივით, იკვეთება მათი რეალური სურვილი ჰქონოდათ შესაძლებლობა მოეპოვებინათ „სხვებზე კონტროლი“. კოალიცია, რომელიც თავისთავად გულისხმობს სხვადასხვა მოტივების მქონე პარტიების გაერთიანებას, სჭირდება რაიმე ტიპის საერთო მიზანი. როგორც ხედავთ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისას ასეთი გადაკვეთის წერტილის მოძებნა რთული აღმოჩნდა. „პოლიტიკური ეგოიზმის“ წამოწევა შესაძლოა მივაწეროთ მოწინააღმდეგის უკიდურესად ძლიერად აღქმასაც, რამაც განაპირობა საერთოს სავარაუდო მიზნის უგულებელყოფა და ცალსახად პირად ინტერესებზე ზრუნვა.

მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე კოალიციის ფორმირების მთავარ საყრდენად პოლიტიკური პრაგმატიზმი დასახელა პარტიამ „საქართველოსთვის“. ასევე, დააზუსტა, რომ ზეპარტიულ საკითხებზე ფაქტობრივად, ყველასთან ითანამშრომლებენ. „ლელო საქართველოსთვის“ კოალიციის შექმნის მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორად სხვა პარტიების ლიდერებზე, დამფინანსებლებსა და წარსული ურთიერთობის გავლენებზე საუბრობს. „სტრატეგია აღმაშენებელი“ თვლის, რომ ოპოზიციურ ფლანგზე ფაქტობრივად, არავინ ეგულება ვისაც მათგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება ექნება, თუმცა, მათვის გასათვალისწინებელია პარტიების ლიდერებს შორის კომუნიკაციაც. „გირჩისა“ და „გირჩი-მეტი თავისუფლების“ მთავარი ღერძი კი იდეოლოგიური, შინაარსე საუბრით გარკვეული ურთიერთთანამშრომლობაა. ამასთან, „გირჩი-მეტი თავისუფლება“ პარტიათა პროგრამულ დაწვრილმანებას არ თვლის საჭიროდ თუ ძირითად საკითხებზე ერთიანდებიან, რაც ნაწილობრივ თავის სხვა პასუხებს ეწინააღმდეგება. „ნაციონალურ მოძრაობის“ წარმომადგენელმა მსჯელობაში შემოიტანა კომპრომისების ფენომენი. მიუხედავად ამისა, რომ განაცხადა „ახლა ჩვენ არ გვჭირდება ვინმესთან გაერთიანება, ჩვენ მხოლოდ ვზარალებით ვიღაცების ჩვენი სიით პარლამენტში შეყვანით, გამოცდილებას კი ყველას გავუზიარებთ და დავებმარებით“. საბოლოოდ კი „პიროვნული აუტანლობის“ საკითხი აბსოლუტურად ყველა პარტიისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

საერთო მიზნის იდენტიფიცირებისთვის ვთხოვეთ 3-3 მთავარი ზეპარტიული ამოცანის დასახელება, რის გამოც კოალიციაში შევიდოდნენ სხვა პარტიასთან. გადაკვეთის წერილების მოძებნით გამოვლინდა, რომ „გირჩისთვის“, „გირჩი-მეტი თავისუფლებასა“ და „ლელო საქართველოსთვის“ ყველაზე პრიორიტეტული საკითხი მართლმსაჯულების რეფორმაა. ხოლო, „სტრატეგია აღმაშენებლის“, „საქართველოსთვისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ძირითად მიზანს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი წარმოადგენს. ჩემი აზრით, აღნიშნული მიგნება საჭიროებისამებრ ძლიერი მოტივატორი იქნება ამ პარტიებისთვის კოალიციის შესაქმნელად.

საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს 5 პროცენტთან ბარიერსა და სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლას. ამ ფაქტს „გირჩი-მეტი თავისუფლება“ დიდ გამოწვევად მიიჩნევს, რის გამოც არ გამოირიცხავს, რომ ეს მოცემულობა იდეურად განსხვავებულ პარტიასთან კოალიციის შექმნის მთავარი მოტივაცია იქნება. ამგვარ დამოკიდებულებას ავლენს პარტია „სტრატეგია აღმაშენებელიც“. „ლელო საქართველოსთვის“ და „საქართველოსთვის“ ასე აშკარად არ გამოხატავენ 5%-იანი ბარიერის ფაქტორის პრიორიტეტულობას, თუმცა, საზოგადოდ ამბობენ, რომ ასეთ პირობებში პარტიები იძულებულნი იქნებიან რაიმე ახლის მოფიქრებისთვის, ვინაიდან 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით შეცვლილი და გამძაფრებული მდგომარეობაა. ამის მიუხედავად პარტია „გირჩი“ ღირებულებებისა და იდეის თანხვედრის გარეშე არ აპირებს რაიმე ტიპის ერთობის განხილვას.

ჯილდოს გადანაწილებას ყველა საკუთარი და სხვისი „წონის“ შესაბამისობით უყურებს. აგრეთვე, 2-3 დამატებითი მანდატის არ არსებობის გამო „მოლაპარაკების შეწყვეტა“ არასწორად მიაჩნიათ. რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტისა და სადეპუტატო მანდატების გადანაწილებას, ამაზეც მეტწილად მსგავსი და თავისი პარტიის გამოცდილების შესაბამისი პასუხები აქვთ.

რომ შევაჯამოთ, გამოიკვეთა წინასაარჩევნო კოალიციის შექმნისას განსაკუთრებული შემაკავებელი ან პირიქით ბიძგის მიმცემად პოლიტიკოსთა პიროვნული ურთიერთობები. ერთი მხრივ, უმეტესად ცენტრისტული იდეოლოგიური მიდგომები პარტიებს არ ბოჭავს აქტიურ ურთიერთანამშრომლობაში, პლუს ამას თავიანთი იდეოლოგია კოგნიტურ დონეზე მათ ადაპტაციური ქცევისკენ მიმართავს, მეორე მხრივ, კი აღნიშნული აშკარა არასანდო და მერყევ ბუნებას უყალიბებთ. კვლევისას თვალსაჩინო გახდა აღქმის აქტუალური როლიც, რის საფუძველზეც პარტიები აფასებენ თავიანთ და მოწინაარმდეგეთა ძალას. რაც შეეხება მოტივაციას წინასაარჩევნო კოალიციის ფორმირებაში, რაც აგრეთვე ნებელობითი ქცევის განმაპირობებელი ასპექტია, დიდ როლს ასრულებს პოლიტიკოსთა გადაწყვეტილებაზე. მეტი კონკრეტულობისთვის აღვნიშნავ, რომ პარტიები მეტწილად არჩევანს გარეგან მოტივებზე აკეთებენ.

კვლევის შეზღუდვები

წინასაარჩევნო კოალიციის შესაწავლა ძალზედ მრავლამხრივია, რასაც სჭირდება არაერთი მეცნიერული ცოდნის საფუძველად სიღრმისეული ანალიზი. თუმცა, ჩემი მთავარი ამოცანა იყო ყველა საკითხი შემესწავლა მაქსიმალურად ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ამ მიმართულებით პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში და პარალელურად ქართულ რეალობაში ძალზედ მცირე ინფორმაცია არსებობს, რაც კვლევის ერთგვარი შეზღუდვა იყო. მასთან, მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ექვსი პარტიის წარმომადგენელმა, რაც პოლიტიკური ლანდშაფტის სრულ სურათს ვერ გვაძლევს, მიუხედავად იმისა, რომ შერჩეული პარტიები აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ პროცესებში და მათვისაც თემატ მნიშვნელოვანია.

დასკვნა

წარმოდგენილი ნაშრომი პასუხობს საკვლევად დასმულ კითხვებს:

1) რა მოტივით ერთიანდებიან პოლიტიკური პარტიები?

უმთავრესი მოტივი საარჩევნო კოალიციის შექმნისთვის არის საარჩევნო ბარიერის გადალახვა, მანდატების მოპოვება და სხვაზე კონტროლის მოპოვების სურვილი. აღნიშნული გარე მოტივები უმეტეს შემთხვევაში გადაწონის იდეოლოგიურ და ღირებულებით მოტივაციურ ფაქტორებსაც. (მხოლოდ „გირჩი“ ერთგულობს ცალსახად იდეოლოგიურ პრინციპებს.)

2) რა განაპირობებს პოლიტიკოსთა ქცევას საპარლამენტო არჩევნებთან მიმართებაში?

პოლიტიკოსთა ქცევაზე უდიდეს გავლენას ახდენს პიროვნული ურთიერთობები, რესურსების სიმცირე, პროცესების პრაგმატულად აღქმა, წარსული გამოცდილება, იდენტობის ნაკლებობა და ემოციური ფონი.

3) რა საერთო მთავარი მიზნები იკვეთება პარტიებს შორის და რომელ პარტიებს შორის?

ქვეყნის საგარეო კურსი და სასამართლო რეფორმა აღმოჩნდა პარტიების ინტერესთა გადაკვეთის წერტილი, კერძოდ, როგორც ზემოთ მჯელობისასაც აღვნიშნე, „გირჩის“, „გირჩი-მეტი თავისუფლებასა“ და „ლელო საქართველოსთვის“ ყველაზე პრიორიტეტული საკითხი მართლმსაჯულების რეფორმაა, ხოლო, „სტრატეგია აღმაშენებლის“, „საქართველოსთვის“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ძირითად მიზანს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი წარმოადგენს.

კვლევის საფუძველზე დადასტურდა ჰიპოთეზა, რომელიც გამოხატავდა ვარაუდს, რომ საქართველოში წინასაარჩევნო კოალიციების ფორმირება დადებით მიმართებაშია პარტიათა გარეგან მოტივაციაზე.

ბიბლიოგრაფია

APA dictionary of psychology. (n.d.). APA Dictionary of Psychology.

<https://dictionary.apa.org/coalitions>

Civil.ge. (2020). 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები. Civil Georgia.

<https://civil.ge/ka/archives/363475>

Coalition formation. Psychology Wiki. Retrieved July 10, 2023, from

https://psychology.fandom.com/wiki/Coalition_formation

- De Dreu, C. K., & Gelfand, M. J. (2007). The psychology of conflict and conflict management in organizations. <https://doi.org/10.4324/9780203810125>
- Fortunato, D. (2017). The electoral implications of coalition policy making. *British Journal of Political Science*, 49(1), 59-80. <https://doi.org/10.1017/s0007123416000430>
- Gandhi, J., & Reuter, O. J. (2013). The incentives for pre-electoral coalitions in non-democratic elections. *Democratization*, 20(1), 137-159. <https://doi.org/10.1080/13510347.2013.738865>
- GOLDER, S. N. (2006). Pre-electoral coalition formation in parliamentary democracies. *British Journal of Political Science*, 36(2), 193-212. <https://doi.org/10.1017/s0007123406000123>
- Guest, R. H. (1965). Book Review: Work and motivation. Victor H. Vroom. *The Journal of Business*, 38(2), 213. <https://doi.org/10.1086/294767>
- Hogg, M. A. (2008). Social categorization, depersonalization, and group behavior. *Blackwell Handbook of Social Psychology: Group Processes*, 56-85. <https://doi.org/10.1002/9780470998458.ch3>
- Inderrieden, E. J. (1987). An exploratory investigation of the relationship between leaders' characteristics and dimensions of work groups. *Psychological Reports*, 61(3), 839-846. <https://doi.org/10.2466/pr0.1987.61.3.839>
- Jost, R. G. (2003). Introduction to paper by R. G. Jost, M.D., et al? PACS experience as a motivation for a campus-wide picture network? *Journal of Digital Imaging*, 16(1), 84-84. <https://doi.org/10.1007/s10278-002-6016-7>
- Shenhav, S. R., Oshri, O., Ofek, D., & Sheaffer, T. (2013). Story coalitions: Applying narrative theory to the study of coalition formation. *Political Psychology*, 35(5), 661-678. <https://doi.org/10.1111/pops.12072>
- Stykwow, P. (2020). Bergman, Torbjörn, Gabrielle Ilonski, Wolfgang C. Muller, Hrsg. 2019. Coalition governance in central Eastern Europe. *Zeitschrift für Vergleichende Politikwissenschaft*, 14(2), 157-160. <https://doi.org/10.1007/s12286-020-00453-6>
- Weiner, B. (1986). An Attributional theory of achievement motivation and emotion. *An Attributional Theory of Motivation and Emotion*, 159-190. https://doi.org/10.1007/978-1-4612-4948-1_6
- სვანიძე ლ.. (2016). ლექციები ეკონომიკურ ფსიქოლოგიაში. გამომცემლობა "ცოტნე". გ.მაღაშხია
- უზნაძე დ.. (2006). ზოგადი ფსიქოლოგია. გამომცემლობა "საქართველოს მაცნე". რ.ნათაძე

Psychological aspects of pre-election coalition formation as political behavior

Sosana Grigalashvili

The Saint Andrew The First-Called Georgian University, invited lector;

Master of Psychology at GIPA;

Member of the International Society of Political Psychology

Abstract

When studying the "psychological aspects of pre-election coalition formation as political behavior", I rely on the theoretical foundations of psychological factors of political behavior, the deep scientific knowledge of the pre-election coalitions themselves and the fundamental features of the coalition. The issue is particularly relevant due to the approach of the 2024 parliamentary elections in Georgia and the coalitions created many times in the past (sometimes successfully, sometimes unsuccessfully). Considering all this, the paper aims to investigate the internal and external motives for the possible unification of political parties in the current reality of Georgia, what determines the behavior of politicians in relation to the parliamentary elections and what common interests exist when forming a coalition. For the research, I used the in-depth interview method, I conducted in-depth interviews with representatives of six parties. I selected the respondents using the purposeful sampling method. During the content analysis of politicians' interviews, it was revealed that external motives have the greatest influence on the formation of the pre-election coalition. I believe that the paper presented by me is valuable both theoretically (in terms of political psychology, there is no Georgian research in this direction) and practically, since the majority of parties are faced with the need to form a coalition in order to successfully participate in the 2024 parliamentary elections.

Keywords: coalition; pre-election coalition; political behavior, motivation.

ჯენი ჯოზეფის ლექსი “Warning” და მისი ქართული თარგმანი

ლელა ებრალიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი <https://orcid.org/0000-0003-0802-4085>

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ბრიტანელი პოეტის, ჯენი ჯოზეფის ლექსი “Warning” და მისი ქართული თარგმანი. აღნიშნული ნაწარმოებისადმი ჩვენი ინტერესი განპირობებულია მისი განსაკუთრებული პოპულარობით გაერთიანებულ სამეფოში და მის გარეთ. ეს არცთუ დიდი, სახუმარო ლექსი აღსანიშნავია იმით, რომ იგი აშშ-სა და კიდევ 30 სხვა ქვეყანაში შთაგონების წყაროდ გადაიქცა უამრავი ქალისათვის და საფუძველი ჩაუყარა ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. სტატიაში წარმოჩენილია ლექსისათვის დამახასიათებელი დახვეწილი იუმორი, ის მხატვრული ხერხები, რომელთა მეშვეობითაც პოეტი მკითხველზე ესთეტიკურ და ემოციურ ეფექტს ახდენს, ასევე მათი ქართულ თარგმანში გადმოტანის შესაძლებლობები და საშუალებები. ქართული თარგმანი გაანალიზებულია დედანთან შეპირისპირებით და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: ლექსი “Warning,” იუმორი, მხატვრული ხერხები, ქართული თარგმანი

შესავალი

ზოგჯერ ხელოვნის ერთ-ერთი ქმნილება მთელს მის შემოქმედებას გადასწონის და ავტორიც სამუდამოდ მასთან ასოცირდება. ამის მაგალითია, თუნდაც, ბრიტანელი პოეტი, მწერალი და ჟურნალისტი ჯენი ჯოზეფი (1932-2018), ბევრი შესანიშნავი ნაწარმოების, მათ შორის არაერთი პოეტური კრებულისა და ექვსი საბავშვო წიგნის ავტორი, სხვადასხვა (ერიკ გრეგორის, ჩამლის, ჯეიმზ ტეიტ ბლეკის მემორიალური და სხვა) პრემიების ლაურეატი, სამეფო ლიტერატურული საზოგადოების წევრი, ავტორთა საზოგადოების სტიპენდიანტი, რომელიც ინგლისურენოვანი მკითხველისათვის ყველაზე კარგად ცნობილია ლექსით “Warning” („გაფრთხილება“).

ეს საკულტო ლექსი, რომელსაც ნონკომფორმიზმისადმი მიძღვნილ ოდასაც უწოდებენ, 1961 დაიწერა, როდესაც მისი ავტორი 29 წლის იყო. იგი პირველად, 1962 წელს, ჟურნალ “The Listener”-ში დაიბეჭდა, მოგვიანებით, 1974 წელს – თავად ჯოზეფის კრებულში, სახელწოდებით “Rose In the Afternoon” და ცნობილი ინგლისელი პოეტის, რომანისტიკისა და კრიტიკოსის, ფილიპ ლარკინის რედაქტორობით გამოსულ ანთოლოგიაში “The Oxford Book of Twentieth Century English Verse”, უფრო მეტიც, ლექსი “Warning” სასკოლო ანთოლოგიაშიც შეიტანეს და რადიოთივც გადმოსცემდნენ [Joseph, 1999, Suppl., Vol. 354, SIII30-SIII32]. 1992 წელს ჯენი ჯოზეფმა კვლავ გამოსცა რჩეული ლექსების კრებული (Selected Poems), სადაც ხსენებული ლექსიც შეიტანა. 1996 წელს კი, BBC-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, “Warning” გაერთიანებულ სამეფოში ყველაზე პოპულარულ ომისშემდგომ ლექსად დასახელდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ხსენებულმა ლექსმა საფუძველი ჩაუყარა 1998 წელს ამერიკაში „წითელი ქუდების საზოგადოებად“ (The Red Hat Society) წოდებული ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნას. 1997 წელს, კალიფორნიელმა მხატვრმა სიუ ელენ კუპერმა მეგობარ ქალს 55 წლის იუბილეზე ჯენი ჯოზეფის “Warning” და ანტიკვარულ მაღაზიაში ნაყიდი წითელი შლაპა აჩუქა, რადგან ლექსის დასაწყისში ნათქვამია, რომ მისი ლირიკული გმირი რომ დაბერდება, წითელ ქუდს დაიხურავს. ამის შემდეგ, კუპერს სხვა მეგობრებმაც სთხოვეს იგივე საჩუქარი, ზოგმა თავად შეიძინა იისფერი კაბა და წითელი ქუდი და ასე გამოწყობილები 1998 წლის 25 აპრილს ჩაიზე შეიკრიბნენ. ასე შეიქმნა წითელი ქუდების საზოგადოება, სადაც თავდაპირველად 50 წელს გადაცილებული ქალები შედიოდნენ, ამჟამად კი და აშშ-სა და 30 სხვა ქვეყანაში ყველა ასაკის დაახლოებით 750 000 ქალს აერთიანებს.

მანც რამ მოუპოვა აღნიშნულ ლექსს ასეთი დიდი წარმატება და პოპულარობა? მის განხილვას ქვემოთ შემოგთავაზებთ, ჯერ კი ზოგად დახასიათებას დავჯერდებით. “Warning” ურითმო ლექსია, მაგრამ რიტმისა და გამეორების წყალობით პოეტი ახერხებს მის ერთ მთლიანობად შეკვრას და თემის შესაფერისად აჟღერებას. მისი მთავარი ღირსებაა საოცარი იუმორი, უშუალობა და ოპტიმიზმი, რითაც ასე ხიბლავდა და დღესაც ხიბლავს მკითხველს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ, მიუხედავად ლექსის სისადავისა, მისი ადეკვატურად თარგმნა თარგმანმცოდნეობაში დღესდღეობით აღიარებული კრიტერიუმების მიხედვით, დედნის ერთგულების პრინციპის დაცვით, იოლ ამოცანას არ წარმოადგენს.

ხსენებულ კრიტერიუმებში ვგულისხმობთ რეალობასთან და ლირიკულ გმირთან ავტორის დამოკიდებულების თარგმანში გადმოტანას, დედნისეული ფორმისა და შინაარსის ერთიანობის შენარჩუნებას, მკითხველის წინაშე თარგმანის ეპოქისა და კულტურის წარმოჩენას და მის კულტურასთან უცხო კულტურის სინთეზის მიღწევას, ფუნქციური კომპენსაციის გზით ავტორის სტილის რეპროდუქციას [ფანჯიკიძე, 1988:20, 31], ლექსში მოცემულ ფაქტობრივ ინფორმაციასთან ერთად კონოტატიური, ქვეტექსტური და ხატობრივი ინფორმაციის სწორად გადმოცემას [მერაბიშვილი, 2005:312], რის შედეგადაც, მკითხველზე ემოციური და ესთეტიური შთაბეჭდილების მოხდენის თვალსაზრისით, თარგმანი დედანს გაუტოლდება. ეს წარმოადგენს მხატვრული თარგმანის მთავარ მიზანს, რომლის

განხორციელებაც ადრე ბევრ ცნობილ თეორეტიკოსსა თუ შემოქმედს შეუძლებლად მიაჩნდა. ამას მოწმობს თუნდაც აუგუსტ შლეგელის მოსაზრება, რომ „ყოველგვარი თარგმანი „განუხორციელებელი პრობლემის გადაჭრის მცდელობაა“, ან თუნდაც სერვანტესის მიერ თარგმანის უკუღმა ამოტრიალებულ ფლამანდრიულ ხალიჩასთან შედარება [მერაბიშვილი, 2005:13]. თარგმანისადმი უნდობლობის გამოსახატად სხვა მეტაფორებიც მოუმარჯვებიათ, მაგალითად, პირზე ცხვირსახოცაფარებული კოცნა [House, 2013:3]. საბედნიეროდ, თარგმანის თეორიის მიერ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მოპოვებული ისეთი მიღწევების წყალობით, როგორცაა იუჯინ ნაიდას დინამიკური ეკვივალენტობის პრინციპი [Nida, 1993:24], დღეს მსგავსი სკეპტიციზმის საფუძველი აღარ არსებობს, გაზრდილია ნდობაც და მოთხოვნებიც ლიტერატურული, მეტადრე პოეტური თარგმანის მიმართ. ამგვარი ვითარების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება თუ საკუთარი ნაშრომის მკითხველის სამსჯავროზე გამოტანისას მთარგმნელი მას საკუთარ გამოცდილებასაც გაუზიარებს და ისაუბრებს იმაზე, თუ როგორ გაართვა თავი იმ სირთულეებს, თარგმნის პროცესში რომ შეხვდა და რამ განაპირობა მისი ესა თუ ის არჩევანი. ასე რომ, წინამდებარე სტატიაში გთავაზობთ ჯენი ჯოზეფის ლექსის “Warning” საკუთარი თარგმანის დედანთან შეპირისპირებით ანალიზს.

ლექსის განხილვა

ჯოზეფის იუმორით აღსავსე, ხალას სტრიქონებში იკითხება პროტესტი მის თანამედროვე საზოგადოებაში არსებულ ქცევის წესებსა და მოთხოვნებზე. როგორც ლექსის სათაურიდანვე ჩანს, მისი ლირიკული გმირი მკითხველს აფრთხილებს. იგი ხმამაღლა აცხადებს, რომ გადაწყვეტილი აქვს სიბერეში მაინც გათავისუფლდეს იმ შეზღუდვებისაგან, რომელთაც მთელი ცხოვრება იცავდა და მოიქცეს ისე, როგორც თავად მოესურვება. აზრობრივად და სტრუქტურულად ლექსი ოთხ (11, 4, 4 და 3-სტრიქონიან) ნაწილად არის გაყოფილი. დასაწყისში ავტორი პირველ პირში საუბრობს: იქადნება, რომ დავბერდები, იისფერ კაბას ჩავიცვამ და წითელ ქუდს დავიხურავ, რომელიც არც კაბას შეეფერება და არც მე მომიხდებაო.

When I am an old woman I shall wear purple
With a red hat which doesn't go, and doesn't suit me.

შემდეგ ამატებს, რომ მთელ პენსიას ბრენდიზე, ზაფხულის ხელთათმანებსა და ატლასის სანდლებზე, ანუ ფუფუნების საგნებზე დახარჯავს, კარაქისთვის კი ფულს აღარ დაიტოვებს.

And I shall spend my pension on brandy and summer gloves
And satin sandals, and say we've no money for butter.

ამასთან, ჯოზეფის გმირი მრავალი უცნაურობისა და პატარ-პატარა ხულიგნობების ჩადენასაც აპირებს, მაგალითად, მაღაზიებში გასასინჯად გამოფენილ პროდუქტებს ხარბად გადასანსლავს, ცრუ განგაშს ატებს, მოაჯირებს თავის ხელჯოხს გააყოლებს, წვიმაში სახლის ჩუსტებით გავა, სხვების ბაღებში ყვავილებს დაკრეფს და ფურთხებასაც კი ისწავლის, ყოველივე ამას კი იმით ამართლებს, რომ სურს ახალგაზრდობისას გამოჩენილი თანდაჭერილობა აინაზღაუროს.

I shall sit down on the pavement when I'm tired
And gobble up samples in shops and press alarm bells
And run my stick along the public railings
And make up for the sobriety of my youth.
I shall go out in my slippers in the rain
And pick flowers in other people's gardens
And learn to spit.

მკითხველს ღიმილს მოჰგვრის მოხუცი ქალბატონის წარმოდგენა, რომელიც ასე იქცევა. ლექსის მეორე ნაწილში ქალი ქმარს მიმართავს, რომლისგანაც მოელის, რომ სიბერეში, შესაძლოა, საშინელი პერანგები ჩაიცვას, გასუქდეს, ხან უამრავი სოსისი და ხანაც მხოლოდ მწნილი და პური ჭამოს, ნივთები შეაგროვოს და ყუთებში ჩაყაროს.

You can wear terrible shirts and grow more fat
And eat three pounds of sausages at a go
Or only bread and pickle for a week
And hoard pens and pencils and beermats and things in boxes.

დიდი იუმორია ჩაქსოვილი შემდეგ ნაწილში მოცემულ მოწოდებაში, რომ იქამდე, ანუ დაბერებამდე, ისეთი ტანისამოსი უნდა ატარონ, რომელიც წვიმისგან დაიცავს, ბინის ქირა გადაიხადონ და ქუჩაში გინებისგანაც თავი შეიკაონ, რომ ბავშვებს კარგი მაგალითი მისცენ, სტუმრებიც მოიწვიონ სადილად და გაზეთებიც იკითხონ.

But now we must have clothes that keep us dry
And pay our rent and not swear in the street
And set a good example for the children.
We must have friends to dinner and read the papers.

მთავარი ინტრიგის შემცველია ლექსის ბოლო ნაწილი, რომელსაც მოულოდნელობის ეფექტი აქვს მკითხველზე. ლირიკული გმირი ერთბაშად ეჭვქვეშ აყენებს იმას, რასაც ახლახან ამბობდა და საკუთარ თავს ეკითხება, უკვე ხომ არ წამეყარჯიშა ამ ყველაფერში, რომ ნაცნობები მთლად შოკში არ ჩავარდნენ, როდესაც დავბერდები და იისფერში გამოვეწყობიო.

But maybe I ought to practice a little now?
So people who know me are not too shocked and surprised
When suddenly I am old, and start to wear purple.

თარგმანის ანალიზი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლექსი “Warning” 1960-იანი წლების დასაწყისში დაიწერა, სანამ ფემინიზმის მეორე ტალღა, სიყვარულის ზაფხული და კულტურული რევოლუცია საზოგადოების დამოკიდებულებას ქალებისადმი და თავად ქალების მიერ საკუთარი თავის

აღქმას ბრიტანეთშიც და სხვა ქვეყნებშიც რადიკალურად შეცვლიდა. ჯენი ჯოზეფის ახალგაზრდობაში ქალისაგან ჯერ კიდევ ოჯახის შექმნასა და მასზე ზრუნვას უფრო მოელოდნენ, ვიდრე მუშაობას. ამასთან, აღსანიშნავია საზოგადოებრივი აზრი და საზოგადოებაში მიღებული ქცევის ნორმები, ასევე ჩაცმის კულტურა, რისი გათვალისწინებაც მისი ყოველი წევრისათვის აუცილებელია. ყოველივე ეს გარკვეულ ჩარჩოში აქცევს ადამიანს, მეტადრე ქალს და სწორედ ამ ჩარჩოდან გამოსვლას და სტერეოტიპების დამსხვრევას აპირებს ჯოზეფის ლექსის ლირიკული გმირი მაშინ, როდესაც მოხუცდება და მისთვის საკუთარი სურვილები უფრო მნიშვნელოვანი გახდება, ვიდრე კეთილგონიერება. თუმცა, როგორც ლექსის ბოლოს ირკვევა, იგი მთლად სიბერემდე მოცდას არ აპირებს და უკვე სურს საზოგადოებრივ აზრს გამოწვევა ესროლოს.

აღსანიშნავია ჯოზეფის ოპტიმისტური დამოკიდებულება სიბერისადმი, რაც, თუ მის დროში დიდი სითამამე იყო, ახლა უკვე დიდი ხანია დამკვიდრებულია დასავლურ სამყაროში, სადაც სიბერე შვილიშვილების მოვლასთან, ავადმყოფობასა და სიკვდილთან კი არ ასოცირდება, არამედ, პირველ ყოვლისა, თავისუფლებასთან, მოგზაურობასა და ცხოვრებით ტკბობასთან, რადგან პენსიაზე გასვლის შემდეგ ადამიანებს დროც ბევრი აქვთ და დანაზოგიც. იუმორთან ერთად, ალბათ, სწორედ ოპტიმიზმმა მოხიბლა ასე „გაფრთხილების“ მკითხველი და ჩვენი არჩევანიც, გარკვეულწილად, ამან განაპირობა, რადგან სიცილი, სიხალისე და ბედნიერება გადამდებია და ქართველ მკითხველსაც ნამდვილად არ აწყენდა.

გადავიდეთ თარგმანის ანალიზზე. ლექსი სადაა, ადვილად გასაგები, ურთიმო და, ერთი შეხედვით, მისი თარგმნა დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ, მეორეს მხრივ, დიდი პასუხისმგებლობაა მისეული იუმორის, უშუალოებისა და ჟღერადობის თარგმანში გადმოტანა. ჩვენს ამოცანას შეადგენდა ისეთი თარგმანის შექმნა, რომელიც ქართველ მკითხველსაც ესთეტიურ სიამოვნების მიანიჭებდა, დედნის ხიბლს შეაგრძნობინებდა და ღიმილს მოჰგვრიდა, და თუ რამდენად შევძელით ეს, თავად მკითხველმა უნდა განსაჯოს.

ქვემოთ ნაწილ-ნაწილ გავაანალიზებთ საკუთარ თარგმანს და ყურადღებას გავამახვილებთ იმ მომენტებზე, რაც ჩვენთვის სირთულეს წარმოადგენდა. ლექსის დასაწყისშივე ნახსენებია ფერი “purple”. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიტყვა იისფრის უამრავ ტონს აღნიშნავს, ღია იასამნისფრიდან დაწყებული და მელნისფრით დამთავრებული. მის მნიშვნელობათა შორისაა ასევე „მუქი წითელი“ და „სისხლისფერი“ [<https://dictionary.ge/ka/>]. ლექსის მიხედვით, მისმა ლირიკულმა გმირმა სიბერეში კაშკაშა კაბა უნდა ჩაიცვას, რომელიც მას არ მოუხდება და წითელ ქუდთან შეუსაბამო იქნება. სავარაუდოდ, მყვირალა ფერი იგულისხმება, მუქ ვარდისფერთან მიახლოებული²⁹. იმდროინდელი სტანდარტებით, როდესაც ეს ლექსი დაიწერა, შეგვიძლია წითელი და იისფერი ერთმანეთთან შეუსაბამოდ ჩავთვალოთ. ამ ტონებიდან იასამნისფერიც გამოვრიცხეთ და მელნისფერიც, რადგან იასამნისფერი ბაცი და ნაზია, მელნისფერი კი, პირიქით, მეტისმეტად მუქია საიმისოდ, რომ თვალშისაცემი იყოს;

²⁹ ამის გამო ადრინდელ თარგმანში „ვარდისფერს“ მივანიჭეთ უპირატესობა წითელთან მისი შეუსაბამობის გამო, მაგრამ ახლა შევცვალეთ. ძველი თარგმანი დაბეჭდილია 2006 წელს გამოცემულ ანთოლოგიაში სახელწოდებით „ლირიკული მოზაიკა. ბრიტანელი და ამერიკელი პოეტები“.

მუქი წითელი და სისხლისფერი თავადაც წითელია და ქუდთან კონტრასტს ვერ შექმნის; სიტყვა „მეწამული“, ვფიქრობთ, ლექსში რომანტიკულ განწყობას შემოიტანდა, რადგან იგი დიდებულებასთან, ბუნების სურათებთან ასოცირდება (მეწამული სამოსი, მეწამული ცა, ღრუბლები, ზღვა, მთვარე), ამიტომ ავირჩიეთ „იისფერი“. საინტერესოა, რომ „წითელი ქუდების საზოგადოების“ 50 წლამდე ასაკის წევრები ვარდისფერ ქუდებსა და უფრო ღია ფერის კაბებს ატარებენ, რითაც განსხვავდებოდნენ უკვე 50 წელს გადაშორებული, იისფერ კაბებში გამოწყობილი და წითელი ქუდებით მორთული ქალებისაგან.

ჩვენს თარგმანში ლექსის პირველი სტრიქონები ასე ჟღერს:

რომ დავბერდები, ტანთ ჩავიცვამ იისფერ კაბას,
თავზეც წითელ ქუდს უგემოვნოდ ჩამოვიფხატავ.

იმ აზრის გადმოსაცემად, რომ ქუდი არც კაბას უხდება და არც ლირიკულ გმირს (“With a red hat which doesn't go, and doesn't suit me”), მოვიშველიეთ სიტყვა „უგემოვნოდ“. შეუსაბამობის ხაზგასასმელად და მოხდენილობის გამოსარიცხად გამოვიყენეთ ასევე „ჩამოვიფხატავ“ როგორც უარყოფითი ელფერის მქონე სიტყვა.

ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ სიბერეში ქალი მთელ პენსიას ფუფუნების საგნებზე დახარჯავს, კარაქისთვის კი ფულს არ გაიმეტებს, ასე გადმოვიტანეთ:

ბრენდის, ზაფხულის ხელთათმანებს, ატლასის სანდლებს
სულ მივახარჯავ ჩემს პენსიას და კარაქისთვის
აღარ დამრჩება არც ერთი პენი.

გამოვიყენეთ ინგლისური ხურდა ფულის სახელწოდება, რაც ქართველ მკითხველს უფრო ნათლად მიანიშნებს, რომ ლექსის ლირიკული გმირი ბრიტანელია. ბრიტანული საზოგადოება ხომ ცნობილია თავდაჭერილობითა და თავაზიანობით. სწორედ ეს თავშეკავება და რესპექტაბელურობა აქვს მობეზრებული ჯენი ჯოზეფის გმირს და სურს სიბერეში მაინც დაარღვიოს ქცევის ის ნორმები, მთელი ახალგაზრდობა რომ იძულებით იცავდა. აკი ამბობს კიდევაც, “... And make up for the sobriety of my youth” („და ჩემი ახალგაზრდობის ზომიერებას ავინაზღაურებ“ -სიტყვასიტყვითი თარგმანი). ხსენებული ფრაზა ჩვენს თარგმანში ასე გადმოვიდა: „ახალგაზრდობას სიდინჯესაც თან გავაყოლებ“. ამ აზრის გასამიერებლად, იმ ადგილას, სადაც გმირი ამბობს, რომ წვიმაშიც კი სახლის ჩუსტებით გავა, დავამატეთ სიტყვა „ავცეტდები“ („ავცეტდები და წვიმაშიაც ჩუსტებით გავალ“).

აქ გვინდა ცალკე გამოვყოთ ფრაზა “gobble up samples in shops”. საქმე ისაა, რომ ბრიტანეთში გასული საუკუნის 60-იანი წლებისთვის, როდესაც ლექსი “Warning” შეიქმნა, უკვე არსებობდა სურსათის მაღაზიებში გასასინჯად პროდუქტების ე.წ. „ნიმუშების“ (“samples”) მყიდველისთვის შეთავაზების პრაქტიკა. ახლა ეს პრაქტიკა აღარც ჩვენთვისაა უცხო, მაგრამ მაინც უხერხულობა შეგვიქმნა სიტყვამ “samples” – გაგვიჭირდა მისი ქართული შესატყვისის პოვნა, რომელიც ზუსტად გადმოსცემდა აღნიშნული ცნების მნიშვნელობას და ხელოვნური არ იქნებოდა, როგორც, მაგალითად, „ნიმუშები“. საბოლოოდ, არჩევანი შევაჩრეთ

„სასუსნავებზე“ („მაღაზიებში სასუსნავებს შევახრამუნებ“) და შენიშვნაში მივუთითეთ, რომ ლექსში საუბარია მაღაზიაში მომხმარებლისთვის პროდუქტის გასასინჯად შეთავაზებაზე მისთვის ახალი პროდუქტის გაცნობის მიზნით. თუმცა, მათთვის, ვინც უკვე იცნობს გამოფენილ პროდუქტებს ან მათ ყიდვას არ აპირებს, უფასოდ „სასუსნავების შეხრამუნება“, რასაც ლექსის გმირი აპირებს, ცუდ ტონად ითვლება.

ლექსის პირველ ნაწილში ყურადღებას იქცევს ანაფორა, ანუ ტაეპების დასაწყისში სიტყვის (კავშირი “And”) გამეორება, რაც რიტმის შექმნას და ჩამოთვლილი ქმედებების ერთმანეთთან დაკავშირებას ემსახურება. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი ანაფორის თარგმანში წარმატებით გადმოტანის მაგალითები. უპირველეს ყოვლისა, გვახსენდება შექსპირის 66-ე სონეტის ქართული თარგმანები, რომელთაგან დავასახელებთ ყველაზე ცნობილთ: გ. გაჩეჩილაძისა და რ. თაბუკაშვილის ბრწყინვალე თარგმანებს, სადაც ანაფორული სიტყვა “And” გადმოტანილია როგორც „და“ (გაჩეჩილაძესთან „და“) და „რადგან“ (თაბუკაშვილთან). იმის გათვალისწინებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თარგმანში დედნისეული მხატვრული ხერხების შენარჩუნება, ჩვენს თარგმანში ანაფორად „და“-ს გამოყენება ვცადეთ, თუმცა ამან ლექსის ქართულ, ჩვენეულ ვარიანტს, ცოტა არ იყოს, დაძაბული, დრამატული ჟღერადობა შესძინა და სიმსუბუქე დაუკარგა, ვერ ჩაჯდა რიტმში, რომელიც, შევეცადეთ მაქსიმალურად მიგვესადაგებინა დედნის განწყობისთვის. აქ პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ ინგლისური მონოსილაბური ენაა, ქართული სიტყვები კი გაცილებით გრძელია და მარცვლების რაოდენობა თარგმანში ყოველთვის მეტი გამოდის, ჩვენი სტრიქონებიც, შესაბამისად, დედანთან შედარებით უფრო გრძელია, ამიტომ, უბრალოდ ვერ ჩავატოთ თუნდაც მოკლე „და“. არ გამოვრიცხავთ, რომ სხვა მთარგმნელს თავის ვარიანტში ეს მოეხერხებინა, მაგრამ ჩვენს ტექსტს არ მოუხდა და ამიტომ შეიძლება ჩაითვალოს დანაკარგად. ჯოზეფის ლექსის პირველი ნაწილი ჩვენს თარგმანში ასე ჟღერს:

გაფრთხილება

რომ დავბერდები, ტანთ ჩავიცვამ იისფერ კაბას,
თავზეც წითელ ქუდს უგემოვნოდ ჩამოვიფხატავ.
ბრენდის, ზაფხულის ხელთათმანებს, ატლასის სანდლებს
სულ მივახარჯავ ჩემს პენსიას და კარაქისთვის
აღარ დამრჩება არც ერთი პენი.

თუ დავიღალე, დავსკუპდები იქვე ასფალტზე,
მაღაზიებში სასუსნავებს³⁰ შევახრამუნებ
და თითს დავაჭერ განგაშის ღილაკს,
ავახმიანებ მოაჯირებს ჩემი ხელჯოხით,
ახალგაზრდობას სიდინჯესაც თან გავაყოლებ,
ავცეტდები და წვიმაშიაც ჩუსტებით გავალ,
მერე ყვავილებს დავკრეფ სხვის ბაღში,

³⁰ ინგლისურად samples („ნიმუშები“), მიუთითებს პროდუქტების ნიმუშებზე, რომელთაც მაღაზიებში მომხმარებლებს გასასინჯად სთავაზობენ, რათა, მოწონების შემთხვევაში, მათ ეს პროდუქტები შეიძინონ.

და ფურთხებაშიც გავიწაფები.

ლექსის მეორე ნაწილში, იმის ხაზგასასმელად და მკვეთრად წარმოსაჩენად, რომ ლირიკული გმირი ქმარს მიმართავს, ასევე უშუალოდ და სახუმარო ეფექტის შესაქმენლად, გამოვიყენეთ სიტყვა „ვაჟბატონო“:

შენც, ვაჟბატონო, თუ მოგინდა, უშნო პერანგებს
ამოიჩემებ, თან გასუქდები.

დედნაში ნათქვამია, რომ ქალის მეუღლეს სიბერეში შეუძლია საშინელი პერანგები ატაროს (“You can wear terrible shirts”). ჩვენი აზრით, კარგი გადაწყვეტილებაა სიტყვის „ამოიჩემებ“ გამოყენება, რადგან ეს სიტყვა ადამიანის ახირებაზე მიანიშნებს, საშინელი პერანგების ტარება კი სხვა არაფერია, თუ არა ახირება. ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ ინგლისური სიტყვები ქართულზე ბევრად მოკლეა. მაგალითად, განსაკუთრებით პრობლემური აღმოჩნდა სიტყვა “beermats”, რომელიც ქართულში გადმოვიდა როგორც „ლუდის კათხების დასადგამები“. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ქართულ თარგმანში სტრიქონების სიგრძე, კერძოდ ტაეპში მარცვალთა რაოდენობა ბევრად სჭარბობს დედნისას. ამ შემთხვევაში ერთნახევარი ტაეპი დაგვჭირდა.

And hoard pens and pencils and beermats and things in boxes
ლუდის კათხების დასადგამებს, კალმებს თუ ფანქრებს
შეაგროვებ და ყუთებში ჩაყრი.

ლექსის მეორე ნაწილი ქართულად ასე გადმოვიტანეთ:

შენც, ვაჟბატონო, თუ მოგინდა, უშნო პერანგებს
ამოიჩემებ, თან გასუქდები.
ხანდახან ჯერზე სამ გირვანქა სოსისს მიირთმევ,
მერე მთელ კვირას ხოლოდ პურს და მწნილს დასჯერდები.
ლუდის კათხების დასადგამებს, კალმებს თუ ფანქრებს
შეაგროვებ და ყუთებში ჩაყრი.
მაგრამ ჯერ ისე უნდა გვეცვას, რომ არ დავსველდეთ,
გადავიხადოთ ბინის ქირა და ქუჩაშიაც
ნუ შევიგინებთ, ცუდ მაგალითს ნუ მივცემთ ბავშვებს.
მოვიპატიჟოთ მეგობრები ზოგჯერ სადილად
და გაზეთებიც ვიკითხოთ ხოლმე.

რაც შეეხება ნაწარმოების ბოლო, მესამე ნაწილს, სადაც ამ ლექსისთვის დამახასიათებელი იუმორი კულმინაციას აღწევს - ლირიკული გმირი „ემმაკურად“ გვაპარებს, ერთბაშად შოკში რომ არ ჩავაგდო საზოგადოება, იქნებ ცოტ-ცოტა უკვე

მეგარჯიშაო - მთავარ ამოცანას სწორედ იუმორის, სახუმარო ტონის გადმოტანა წარმოადგენს. ჩვენ ამ ამოცანას ასე გავართვით თავი:

იმასაც ვფიქრობ, უკვე ვარჯიშს ხომ არ შევუდგე, რომ ჩემს ნაცნობებს უცბად გული არ შეუღონდეთ, როცა იისფერ კაბას ჩავიცვამ.

დასკვნა

წინამდებარე სტატიაში მოთხრობილია ჯენი ჯოზეფის ყველაზე პოპულარული ლექსის ისტორია, მოცემულია აღნიშნული ლექსის განხილვა და ქართული თარგმანის დედანთან შეპირისპირებითი ანალიზი. ყურადღება გამახვილებულია იმ ელემენტებზე, რომელთა თარგმნამაც ჩვენგან განსაკუთრებული ძალისხმევა მოითხოვა და წარმოდგენილია საბოლოო შედეგი, თუ როგორ გადმოვიდა ისინი თარგმანში.

